

საქართველოს სსრ
სბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული"
19 თბილისი 61

სოფელი

I

კრასოვების პაპის მამა, რომლისთვისაც შინაყმებს მეტსახელად ბოშა შეერქმიათ, ბატონმა დურნოვომ მწევრებს დააგლეჯინა. ბოშამ ბატონს საყვარელი წაართვა თურმე. დურნოვოს უბრძანებია ბოშა სოფელ დურნოვკის გარეთ, მინდორში გაეყვანათ და ბორცვზე დაესვათ, თვითონ კი ძაღლები მიუშვია და — ეცითო — დაუყვირია. შემცბარი ბოშა წამომხტარა და გაქცეულა, ხოლო მწევარი რომ გამორბის, არ უნდა გაექცე.

კრასოვების პაპამ მოახერხა აზატობა მიეღო, ოჯახითურთ ქალაქს მიაშურა და მალე გაითქვა სახელი: ცნობილი ქურდი გახდა. ჩორნაია სლობოდაში ცოლს ქოხმახი დაუქირავა და მაქმანის ქსოვა დააწყებინა, რომ შემდეგ გაეყიდათ, თვითონ კი ვიღაც მედაბურ ბელოკოპიტოვთან ერთად გუბერნიის ეკლესიების ძარცვას მიჰყო ხელი. როცა შეიპყრეს, ისე ეჭირა თავი, მთელი მაზრა გააოცა: იდგა თავისთვის, გეგონება ხავერდის ხიფთანი და თხის ტყავის ჩექმები აცვიაო, თავხედურად ათამაშებდა ყვრიმალებს, თვალებს და უამრავ დანაშაულთაგან უმნიშვნელო რამესაც კი მოწიწებით აღიარებდა:

— დიახ, ბატონო, დიახ, ბატონო.

კრასოვების მამა მეწვრილმანე იყო. ფორნით დადიოდა მაზრაში; ერთ ხანს დურნოვკაში ცხოვრობდა, დუქნის გახსნას აპირებდა, მაგრამ გაკოტრდა, ლოთობას გადაჰყვა, ქალაქს დაბრუნდა და მოკვდა. დუქანში ნამსახურმა მისმა ვაჟიშვილმა ტიხონმა და კუზმამაც მეწვირლმანეობას მიჰყვეს ხელი. აივლ-ჩაივლიდნენ თავიანთი ფორნით, რომელზედაც პატარა დუქანი ედგათ, და ყურისწამღებად გაჰყვიროდნენ:

— სა-ქო-ნე-ლი, ქა-ლე-ბო! სა-ქო-ნე-ლი!

დუქანში ეწყოთ სარკეები, საპნები, თვლიანი ბეჭდები, ძაფები, თავსაფრები, ნემსები. კრენდელები, ხოლო ფორანზე კი — ყველაფერი, რაც ამ საქონელში გაეცვალათ: მკვდარი კატები, კვერცხები, ტილოები, ჩვრები...

მაგრამ რამდენიმე წლის მოგზაურობის შემდეგ ძმებმა დანებით გაიწიეს ერთმანეთზე და — ცოდვაში ფეხი არ ჩავდგათო — ურთიერთს დასცილდნენ. კუზმამ ერთ ჩოდართან ერთად დაიწყო ვაჭრობა, ხოლო ტიხონმა სადგურ ვორგოლთან, ღურნოვკიდან ხუთიოდე ვერსის მანძილზე, ფუნდუკი დაიქირავა და იქ სახამრო და საწვრილმანო გახსნა, რომელზედაც წარწერილი იყო: „არის წვრიმალი საქონელი: ჩაი, შაქარი, სიგარების თამბაქო და სხვები“.

ორმოც წელს მიღწეულ ტიხონს წვერი აქა-იქ შეეერცხლოდა, მაგრამ წინანდებურად ლამაზი და ახოვანი იყო: მოღუშული სახისა, შავგვრემანი, ოდნავ ჩოფურა, მხრებგანიერი, მაგრამ ხმელ-ხმელი. რაღაცნაირი მბრძანებლური და მკვახე სიტყვის თქმა იცოდა. სისხარტე კვლავ შერჩენოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ წარბებს ახლა უფრო ხშირად ათამაშებდა და თვალებსაც უფრო აელვარებდა, ვიდრე წინათ.

შეუსვენებლივ დასდევდა ბოქაულებს შემოდგომის იმ ჯანღიან დღეებში, როცა ისინი გადასახადს შეაწერდნენ ხალხს და სოფელში გაცხარებული საჯარო ვაჭრობა იმართებოდა. დიდი მონდომებით შეისყიდდა ხოლმე მემამულეებისაგან მოუმკელ პურის ყანებს, ჩალის ფასად ყიდულობდა მიწას... ერთ მუნჯ მზარეულ ქალთან ცხოვრობდა ღიდხანს, — კაია, ვინმესთან არაფერი წამოსცდებაო! მას-

თან ბავშვიც ეყოლა, რომლის დაძინებისას ერთხელ მუნჯ-მა თვითონაც ვეღარ გაართვა ძილს თავი, ზედ დააწვა და გა-ჭყლიტა. ამის შემდეგ ტიხონმა მოხუც ქალბატონ შახოვას მოახლე შეირთო ცოლად, ერგო მზითევი და მალე ბოლო მო-უღო გაღარიბებული დურნოვოების ნაშიერს, სქელ-სქელ, გულთბილ ბატონს, რომელიც ოცდამეხუთე წელში გამელო-ტებულიყო, მაგრამ ჩინებული წაბლისფერი წვერი კი ჰქონდა. გლეხები სახტად დარჩნენ, როცა მან დურნოვოს მამული იგ-დო ხელთ: მთელი დურნოვკა თითქმის სულ კრასოვებისაგან შედგებაო!

უკვირდათ ისიც, თუ როგორ ართმევდა თავს ტიხონი ყიდ-ვა-გაყიდვასაც, მამულში თითქმის მუდამდღე ყოფნასაც, ყო-ველი მტკაველი მიწისთვის ქორულებრ თვალის დევნებასაც. განცვიფრებულნი ამბობდნენ: ულმობელი კაცია, მაგრამ ბა-ტონიც ასეთი უნდაო.

ამას თვითონ ტიხონ ილიჩიც ჩააგონებდა გლეხებს. ხში-რად არიგებდა რომელიმე მათგანს:

— ნუ იქმ ავსა და ავისაც ნუ გეშინიაო, ხომ გაგიგონია? ჰოდა, გახსოვდეთ, თორემ სიმართლის ძალით ტყავს გაგა-ძრობთ. მე ძმაო, რუსი კაცი ვარ. მუქთად წენი არაფერი მინ-და, მაგრამ გახსოვდეს: ჩემსასაც ერთ ბეწოს აარას დაგითმობ! თავს არ გაგივიდეს, იცოდე!

ხოლო ფეხებმოქცეული ნასტასია პეტროვნა (იხვივით ტა-ატით რომ დადიოდა, — მუდმივი ფეხმძიმობის გამო, რაც ყო-ველთვის მკვდარი გოგოების დაბადვით მთავრდებოდა, — სა-ხეგაყვითლებული და დასიებული, თხელი, უფერული თმე-ბით) უსმენდა და კვნესოდა:

— ეეჰ, ერთი შენც მოჰყევ, რაღა! ემაგ სულელთან თავს რაზე იღლი? შენ ჭკუას არიგებ და ეგ აინუნშიაც არ გაგდებს. ვერა ხედავ როგორ გაუჩაჩხავს ფეხები, გეგონება ემირის ბუხარა იყოს!

შემოდგომაზე ფუნდუკის ახლოს, რომელსაც ერთი გვერ-დი შარაგზისაკენ ჰქონდა მიქცეული, მეორე კი — სადგურისა და ბეღლის მხარეს, თვლების გულისწამღები ჭრიალი ისმო-და: ფუნდუკს აქეთ-იქიდან ჩაუვლიდნენ ხორბლით დატვირ-

თული საზიდები. ყოველ წუთს წრიპინებდა ურდული ხან სახამროს კარზე, საიდანაც ნასტასია პეტროვნა მუშტრებს ისტუმრებდა, ხან კი ბნელი, ჭუჭყიანი საწვრილმანოს კარზე, სადაც საპნის, ქაშაყის, წეკოს, პიტნიანი თაფლაკვერისა და ნავთის სუნი ტრიალებდა. სახამროში ყოველ წუთს გაისმოდა:

— უ-უჰ! ცეცხლივით არაყი გაქ, პეტროვნა! თავში ამივარდა, დასწყევლოს ღმერთმა!

— შაქრად შეგერგოს, ჩემო კარგო!

— ბურნუთი ხომ არ გაგირევია?

— ერთი ამ სულელს დამიხედეთ!

საწვრილმანოში კი უფრო მეტ ხალხს მოეყარა თავი:

— ილიჩ! ერთ გირმანქა შაშხს ვერ ამიწონი?

— შაშხი, ჩემო ძმაო, წრეულა, მადლობა ღმერთს, თავსაყარი მაქ, თავსაყარი!

— როგორ ჰყიდი?

— მუქთად!

— მასპინძელო! კარგი კუპრი არ გეშოვება?

— ამნაირი კუპრი, ჩემო კარგო, პაპაშენსაც არა ჰქონია ქორწილში!

— როგორ ჰყიდი?

ტიხონ ილიჩს შვილის ყოლის იმედი გადაუწყდა, თან სახამროებიც აკრძალეს და ყოველივე ამან თავისი კვალი დააჩნია მის ცხოვრებას. თითქოს დაბერდა კიდეც, როცა დარწმუნდა, მამობა არ მეღირსებაო. თავდაპირველად ხუმრობდა:

— არა, ჩემსას მაინც გავიტან,—ეუბნებოდა ნაცნობებს.— უშვილო კაცი აბა რა კაცია,—უშტოო ხეა და სხვა არაფერი!..

მერე თანდათან შიშიც შეეპარა: ეს რა ამბავია, — ერთმა ბავშვი გაჭყლიტა, მეორე სულ მკვდარს ბადებსო! ნასტასია პეტროვნას უკანასკნელი ფეხმძიმობის დღეები ხომ განსაკუთრებით მძიმე იყო. ტიხონ ილიჩი იტანჯებოდა, ბრაზობდა; ნასტასია პეტროვნა იდუმალად ლოცულობდა და ტიროდა; შეგეცოდებოდათ, როცა ღამღამობით კანდელის შუქზე საწოლიდან ჩუმად ადგებოდა და, დარწმუნებული იმაში, რომ ქმარს ეძინა, დიდი ჯაფით მოიყრიდა მუხლს, წამდაუწუმ ჩურჩულით ემხობოდა იატაკზე და სევდიან თვალებს ხატებისკენ

აღაპყრობდა, მერე კი ვაი-ვაგლახით კვლავ მართავდა ბებრულ მუხლებს. ტიხონ ილიჩს, — თუმცა თავისთავსაც ვერ უტყდებოდა. ამაში, — ბავშვობიდანვე სძულდა კანდელი და მისი უთანაბრო ეკლესიური შუქი: სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში ნოემბრის ის ღამე, როცა პაწაწკინტელა, გვერდმოღრეცილ ქოხმახში ჩორნაია სლობოდაშიც ასე ენთო კანდელი, ასევე მშვიდად, სევდიანად ეალერსებოდა თვალს; მისი ძეწკვების ჩრდილები კედელს ეცემოდნენ; სამარისებური სიჩუმე იდგა; გრძელ სკამზე, წმიდანთა ხატებქვეშ იწვა თვალდახუჭული მამა, რომელსაც წვეტიანი ცხვირი მაღლა აეწია, სანთელივით ყვითელი ხელები გულზე დაეკრიფა, ხოლო მის შორიახლო, წითელჩვარჩამოფარებული ფანჯრის იქით, ჭშფოთვარე, სევდიანი სიმღერებით, ვიშ-ვიშით და ხმაშეუწყობლად მოქუფიტინე გარმონებით მიდიოდა ხალხი. ახლა კანდელი ნიადაგ ენთო.

ფუნდუკის ცხენებს კვებავდნენ ვლადიმირელი მეკოლოფეები, მათი წყალობით სახლში გაჩნდა „ახალი მისანი, ჯადოქარი, რომელიც კარტების, ცერცვისა და ყავის მეშვეობით წინასწარმეტყველებდა ადამიანის მომავალს". საღამოობით ნასტასია პეტროვნა სათვალეს მოირგებდა, სანთლის პატარა ბურთულას გააკეთებდა და მისნურ წრეებზე აგდებდა. ტიხონ ილიჩი ალმაცერად უყურებდა ამ საქმიანობას. პასუხები უხეში, ავისმომასწავებელი ან მთლად უაზრო გამოდიოდა.

— „ვუყვარვარ თუ არა ჩემს ქმარს?" — ეკითხებოდა ნასტასია პეტროვნა მისანს:

მისანი მიუგებდა:

— „ისე უყვარხარ, როგორც ძაღლს ჯოხი".

— „რამდენი შვილი მეყოლება?"

— „შენ სიცოცხლე არ გიწერია, კუზიანს სამარე გაასწორებს".

მაშინ ტიხონ ილიჩი ეტყოდა:

— მოიტა, მე დავაგდებ...

ლამობდა გამოეცნო:

— „ღირს თუ არა ვწიო ჭაპანი ამ ქალთან ერთად?"

მასაც სისულელე გამოსდიოდა:

— „დაითვალე რამდენი კბილი გაქვს“.

ერთხელ ტიხონ ილიჩმა ცარიელ სამზარეულოში შეიხედა და დაინახა თავისი ცოლი, რომელიც მზარეული ქალის ბავშვის აკვანს მისჯდომოდა. რაფაზე ჭრელი წიწილა დაბორიალობდა, ნისკარტს ფანჯარას უკაკუნებდა, ბუზებს იჭერდა და წივწივებდა. ქალი კი ტახტზე იჯდა, აკვანს არწევდა და საბრალო, მთრთოლვარე ხმით ძველებურ იავნანას დამღეროდა:

ჩემი შვილი სადაა,
ქვეშაგები სადა აქვს?
იგი მაღალ კოშკშია,
ცას რომ სწვდება წვერითა.
არ მოხვიდეთ არავინ,
არვინ დააკაკუნოთ!
სძინავს რბილად გახვეულს
აბრეშუმის საბანში,
ჩუქურთმაან აკვანში...

ამ წუთს ტიხონ ილიჩს ისე შეეცვალა სახე, რომ მისი შემყურე ნასტასია პეტროვნა არ შემკრთალა, არც დაბნეულა,— მხოლოდ აქვითინდა და წყნარად უთხრა:

— ღვთის გულისათვის, წამიყვანე ეკლესიაში...

ტიხონ ილიჩიც ადგა და ცოლი ზადონსკში წაიყვანა. მაგრამ გზაში ფიქრობდა: სულერთია, ღმერთმა მაინც უნდა დამსაჯოს იმისათვის, რომ ამ ფუსფუსში და ვაი-ვაგლახში მხოლოდ დღისით-მზისით ვახერხებ ეკლესიაში სიარულსო. თან მკრეხელური აზრები მოსდიოდა თავში: თავისთავს რატომღაც წმიდანთა მშობლებს ადარებდ., რომელთაც აგრეთვე კარგა ხანს არ შესძენიათ შვილი. ეს აზრი ჭკვიანური არ იყო, მაგრამ უკვე დიდი ხანია შეამჩნია, . რომ მასში, კიდევ იყო ვიღაც — მასზე უფრო სულელი. გამგზავრების წინ ათონიდან წერილი მიიღო: „ღვთისმოსავო ქველმოქმედო ტიხონ ილიჩ! მშვიდობა და ხსნა, ღვთის წყალობა, წმიდა სუფევა იყვნენ თქვენდა ღვთისმშობლის სააქაო ადგილსამყოფლისა, წმიდა ათონისაგან! მე მჭონდა ბედნიერება, მსმენოდა შესახებ თქვენთა კეთილთა საქმეთა და იმისა, რომ თქვენ სიყვარულით შეგაქვთ წვლილი ღვთის ტაძართა და საბერმონაზ-

ვნო სენაკთა აღსაშენებლად და შვენიერსაყოფად. ამჟამად ქოხი ჩემი დროთა ვითარების გამო ესრეთ უბადრუკი შეიქმნა, რომ...“ და ტიხონ ილიჩმა ქოხის შესაკეთებლად წითელი თუმნიანი გაუგზავნა. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მას გულუბრყვილო სიამაყით სჯეროდა, რომ თვით ათონამდე მივიდა ხმები მის შესახებ; კარგად იცოდა, რომ რაღაც ძალიან ბევრი ქოხი დაჩაჩანაკებულიყო ათონში—მაგრამ მაინც გაუგზავნა. არც ამან უშველა. ცოლის მშობიარობა წამებით დამთავრდა: სანამ უკანასკნელ მკვდარ ბავშვს შობდა, ნასტასია პეტროვნას დაძინებისას შეხტომა, კვნესა და წამოკივლება დასჩემდა... როგორც თვითონ ამბობდა, ძილში რაღაც ველური სიმხიარულე ეუფლებოდა, რომელსაც რაღაც გამოუთქმელი შიში ერთვოდა. ხან ესიზმრებოდა, რომ მინდორ-მინდორ მისკენ მოდიოდა ოქროსმოსასხამიანი ციური დედოფალი და საიდანღაც ჩაესმოდა ხმატკბილი გალობა, თანდათან რომ ძლიერდებოდა; ხან საწოლს ქვემოდან გამოხტებოდა ეშმაკი, — რომელსაც სიბნელეში ვერ არჩევდა, მაგრამ შინაგანი ხედვით ნათლად ჩანდა, — და მარჯვედ, გატაცებით უკრავდა ხმაწკრიალა სასულე გარმონს! ნასტასია პეტროვნას დახუთულ ოთახში ბუმბულზე წოლას ბეღლის საჩიხეში წოლა ერჩივნა, მაგრამ ეშინოდა — ძაღლები დამადგებიან თავზე და ყნოსვას დამიწყებენო...

შვილის ყოლის იმედი რომ გადაუწყდა, ხშირად მოსდიოდა თავში აზრი: დალახვროს ღმერთმა, ნეტავ ვისი.ვის ვცხოვრობ ამ კატორღაშიო? ეს მონოპოლია ხომ ცეცხლზე ნავთს უსხამდა! ხელებმა კანკალი დაუწყო, წარბები ავადმყოფურად უთამაშებდა და მაღლა ეწეოდა, ტუჩები ებრიცებოდა, — განსაკუთრებით იმ სიტყვების თქმაზე, რომელიც [illegible]ულ პირზე ეკერა: „მხედველობაში იქონიეთ“. ტიხონ ილიჩი წინანდებურად კოხტაობდა — საუცხოო თალათინის ჩექმები ამშვენებდა, ორბორტიან პიჯაკს შიგნით გვერდზე შესაკრავი მოქარგული ხალათი ეცვა. მხოლოდ წვერი კი უჭაღარავდებოდა, უთხელდებოდა და ებურდებოდა.

ზაფხულიც, თითქოს განგებ, ცხელი და გვალვიანი გამოდგა. ჭვავი სულ მთლად გადახმა. ახლა იგი მუშტრებს შესჩიოდა და ამით იოხებდა გულს.

— ვაჭრობას თავს ვანებებთ, თავს ვანებებთ!—მხიარულად, ყოველი სიტყვის დამარცვლით ამბობდა ტიხონ ილიჩი ღვინით ვაჭრობაზე. — მაშ! მონოპოლიაა! ფინანსთა მინისტრს თავად მოესურვა ვაჭრობა!

— ოჰ, ერთი ამას დამიხედეთ! — კვნესოდა ნასტასია პეტროვნა. — არ გააჩერებ ენას და გიკრავენ თავს დასაკარგავში!

— არ მეშინია, — სიტყვას მოუჭრიდა ხოლმე ტიხონ ილიჩი და წარბებს მაღლა ასწევდა. — ყველას კი ვერ მოუკუპრავენ პირს!

და კვლავ სიტყვების უფრო მკვეთრი დამარცვლით მიმართავდა მყიდველს:

— ჭვავიც თვალგასახარია! მხედველობაში იქონიეთ: ყველას თვალს ახარებს! ღამეც კი ჩანს. კარში გახვალ, მთვარის შუქზე გახედავ ყანას: მელოტი თავივით მოჩანს! ახლოს მივალ — ლაპლაპებს!

პეტროვკიში იმ წელს ტიხონ ილიჩმა ოთხი დღე-ღამე დაჰყო ქალაქის ბაზრობაზე და კიდევ უფრო აეშალა ძარღვები — ცალკე ფიქრისაგან, ცალკე სიცხისა თუ უძილო ღამეებისაგან. ჩვეულებრივ იგი ბაზრობაზე დიდი ხალისით მიდიოდა. შებინდებისას პოხავდნენ ფორნებს, გამოტენიდნენ თივით; იმ ფორანში, რომლითაც თავად ბატონს და მის მოჯამაგირე ბერიკაცს უნდა ემგზავრათ, ბალიშებსა და გრძელ ხიფთანს აფენდნენ. სოფლიდან გვიან გადიოდნენ და განთიადამდე ჭრიალ-ჭრიალით მიემართებოდნენ. ერთ ხანს მეგობრულად საუბრობდნენ, თამბაქოს სწევდნენ, უამბობდნენ ერთმანეთს ძველებურ საშინელ ამბებს იმ ვაჭრებისას, რომლებიც გზად ან ღამისთევის დროს მოეკლათ ყაჩაღებს: მერე ტიხონ ილიჩი დასაძინებლად წვებოდა და სიამოვნებდა, როცა ძილში ჩაესმოდა შემხვედრთა ხმები, გრძნობდა, თუ როგორ ირწეოდა ფორანი, თითქოს სულ მთიდან ეშვებაო, როგორ უთამაშებდა ლოყა ბალიშზე, ქუდი ეხდებოდა და ღამის სიგრილეში თავი უცივდებოდა. კარგი იყო, როცა მზის ამოსვლამდე, ვარდისფერ, ცვარნამიან დილას, მქრქალ-მწვანე პურის ყანებს შორის გაიღვიძებდა და გახედავდა ცისფერ დაბლობზე თეთრად მოციალე ქალაქს, მის ეკლესიათა

ბრწყინვალებას, ერთი ლაზათიანად დაამთქნარებდა, შორით მოდენილ რეკვაზე პირჯვარს გამოისახავდა და მთვლემარე ბერიკაცს, ბავშვივით რომ მოეთენთა დილის სიგრილეს და ისე გაცრეცილიყო, როგორც ცარცი განთიადის შუქზე, სადაევა გამოართმევდა. ამჯერად ტიხონ ილიჩმა ფორნებს მამასახლისი გააყოლა, თვითონ კი ორთვალა ეტლით გაუდგა გზას. ღამე იყო თბილი, ნათელი, მაგრამ მას არაფერი ახარებდა, — მგზავრობამ დაღალა; ბაზრის, სატუსაღოსა და ქალაქის თავში ამართული საავადმყოფოს სინათლე სტეპში ათიოდ ვერსზე ჩანდა და გევონებოდათ ვერასოდეს ვერ მიაღწევდი მას — ამ შორეულ, მბჟუტავ სინათლეს. შჩეპნაია პლოშჩადის ფუნდუკში ცხელოდა, იკბინებოდნენ რწყილები, ხშირად ისმოდა ხმები ალაყაფის კარებთან, რახრახებდნენ ქვებიან ეზოში შემავალი ფორნები, ადრიანად იყივლეს მამლებმა, აღუღუნდნენ მტრედები და ბოლოს ღია ფანჯრებშიც ინათა; ასე რომ, ტიხონ ილიჩს თვალი არ მოუხუჭავს. ცოტა ხანს ეძინა მეორე ღამესაც, რომლის გატარებაც ბაზარში მდგომ ფორანში გადაწყვიტა: ჭიხვინებდნენ ცხენები, კარვებში სინათლე ენთო, ირგვლივ მიმოდიოდნენ და ლაპარაკობდნენ; განთიადისას კი, როცა ქუთუთოები ერთმანეთზე ეწებებოდა, სატუსაღოსა და საავადმყოფოში ზარები ჩამორეკეს და ზედ თავზე შემზარავად დაბღავლა ძროხამ...

„კატორღაა!“ — წამდაუწუმ ფიქრობდა ტიხონ ილიჩი ამ დღეებისა და ღამეების განმავლობაში.

ბაზარში, რომელიც ტრიალ მინდორზე მთელი ერთი ვერსის მანძილზე გადაჭიმულიყო, როგორც ყოველთვის, ახლაც ხმაური და აურზაური იდგა. იყო ერთი ღრიანცელი, ცხენების ჭიხვინი, ბავშვების სასტვენთა ხმა, ხოლო კარუსელებთან კი გრიალებდა ხან მარში და ხან პოლკა, რომელსაც ორკესტრი ასრულებდა. ყბედი მამაკაცებისა და ქალების ბრბო დილიდან საღამომდე დააბოტებდა მტვრიან, ნეხვით მოსვრილ მოსახვევებში ფორნებსა და კარვებს შორის, ცხენებსა და ძროხებს შუა, ფარდულებსა და სასაუზმეებში, საიდანაც ქონიანი ტაფებიდან ავარდნილი ხრაკის მყრალი სუნი მოდიოდა. როგორც ყოველთვის, ახლაც შეხვდებოდით

უამრავ ჩარჩს, რომლებსაც საოცარი აზარტი შეჰქონდათ ყოველგვარ დავასა თუ გარიგებაში; დაუსრულებელ მწკრივებად, ნაღვლიანი ღიღინით მოემართებოდნენ ბრმები და დავრდომილნი, ღატაკნი და ხეიბარნი, ყავარჯნებზე დაყრდნობილნი თუ ფორნებზე მსხდომნი; ბრბოში ზანზალაკების წკარუნით ნელ-ნელა მიმოდიოდა სამაზრო პოლიციის უფროსის სამცხენა, რომელსაც ბამბის ხავერდის უსახელოებო ხალათში გამოწყობილი მეეტლე მართავდა, ფარშავანგის ფრთებიანი ქუდი რომ ეხურა... ტიხონ ილიჩს ბევრი მუშტარი ჰყავდა. მასთან მიდიოდნენ შავგვრემანი ბოშები, წითური პოლონელი ებრაელები, რომლებსაც ტილოს ხალათები და გაცვეთილი ჩექმები ეცვათ. მზისაგან დამწვარი, წვრილი აზნაურები ხიფთანებითა და ჩიხაქუდებით; ცოლითურთ მოდიოდა ინგლისურ კოსტუმში გამოწყობილი, ლამაზი ჰუსარი თავადი ბახტინი; სევასტოპოლის გმირი, აწ დაჩაჩანაკებული ბერიკაცი ხვოსტოვი, — მაღალი, ხმელ-ხმელი, შავგვრემანი კაცი, რომელსაც დიდნაკვთებიანი სახე დანაოჭებოდა, ეცვა გრძელი მუნდირი, ჩაჩაჩული შარვალი, ფართოცხვირიანი ჩექმები და ეხურა ყვითელძირიანი ჩიხაქუდი, რომლის ქვეშაც ყვრიმალებზე ჩამოვარცხნილი მუქწაბლისფრად შეღებილი თმა მოუჩანდა... ალუბლისფერ რეიტუზში გამოწყობილი ბახტინი წელში გადაიზნიქებოდა, ცხენს შესცქეროდა, ულვაშებში იცინოდა და ფეხს ათამაშებდა. ხვოსტოვი მიფრატუნდებოდა ცხენთან, რომელიც თვალს უბრიალებდა, და ისე შეჩერდებოდა, გეგონებოდათ ეს-ეს არის წაიქცევაო. ყავარჯენს შემართავდა და ყრუ, გულგრილი ხმით მეათედ ეკითხებოდა:

— რა მოგცე?

ტიხონ ილიჩი იძულებული იყო ყველასათვის პასუხი გაეცა და ისიც უპასუხებდა, მაგრამ ისეთ ფასს ამოღერღავდა, რომ ყველა ერთბაშად სცილდებოდა.

მზემოკიდებულს, გამხდარს, გაფერმკრთალებულსა და მტვერში ამოგანგლულს, გულისწამღები დარდი დაუფლებოდა, მთელ ტანში სისუსტეს გრძნობდა. ისე აეშალა კუჭი, რომ კრუნჩხვა დაეწყო. იძულებული გახდა საავადმყოფოში

წასულიყო. მაგრამ იქ ორ საათს უცდიდა თავის რიგს, იჯდა ხმაურიან დერეფანში, ისუნთქავდა კარბოლის მჟავის საზიზღარ სუნს და თავისი თავი ტიხონ ილიჩად კი აღარ მიაჩნდა, არამედ — კაცად, რომელიც მოსაცდელში ელოდა ბატონს თუ უფროსს. ცისფერთვალება, სახეღაღაჟა ექიმჰა, რომელიც შესახედავად დიაკვანს ჰგავდა და ტანთ შაბიამნის სუნით გაჟღენთილი, მოკლე, შავი სერთუკი ეცვა, ქშინვით დააყურა გულზე, მაგრამ ტიხონ ილიჩმა დაასწრო ეთქვა — „მუცელმა თითქმის გამიარაო“, და მხოლოდ შიშის გამო დასთანხმდა დაელია სასაქმებელი ზეთი. ხოლო როცა ბაზრობაზე დაბრუნდა, ჭიქა პილპილიანი და მლაშე არაყი გადაჰკრა და ისევ მიირთმევდა ძეხვს, გაუმტკიცავ პურს, ჩაის, აუდუღარ წყალს, მჟავე კომბოსტოს შეჭამანდს და კვლავ ვერ იკლავდა წყურვილს. ნაცნობები ლუდზე პატიჟებდნენ — და ისიც მიჰყვებოდა. იქ ბურახის გამყიდველი ღრიალებდა:

— აბა ბურახი, შუშხუნა ბურახი! კათხა კაპიკი, ყველაზე კარგი ლიმონათი!

და ისიც გააჩერებდა ხოლმე ბურახის გამყიდველს.

— აბა ნაყინი! — გამყივანი ხმით იძახოდა ნაყინის გამყიდველი — გაოფლილი, ღიპიანი, მელოტი ბერიკაცი, რომელსაც წითელი პერანგი ეცვა.

და ისიც ჭამდა ძვლის კოვზით ნაყინს, სანახევროდ თოვლს, რის გამო ყვრიმალები საშინლად სტეხდა.

ფეხებით, თვლებითა და ფლოქვებით მოთელილი, მტვრიანი, დანაგვიანებული და მონეხვილი ადგილი ცარიელდებოდა, — ბაზრობა იშლებოდა, მაგრამ ტიხონ ილიჩი, თითქოს ვინმეს ჯიბრზე, კვლავ ფორანზე იჯდა, და იმ სიცხეში და მტვერში ეყენა თავისი გაუყიდავი ცხენები. ღმერთო ჩემო, ეს რა მხარეა! არშინნახევარი შავი მიწაა და მერე როგორი! ხუთი წელიც არ გავა ისე, რომ შიმშილობა არ იყოს. ქალაქი მთელ რუსეთშია განთქმული პურით ვაჭრობით, ეს პური კი საძღომად მთელ ქალაქში მხოლოდ ას კაცს თუ ექნება. ახლა ბაზარი? ღატაკების, უგუნურების, ბრმებისა და ხეიბრების, შემაძრწუნებელ და გულისამრევ ხალხთა ლეგიონია მთელი!

შინ ტიხონ ილიჩი ბრუნდებოდა მზიან, სიცხიან დილას,

ძველი, დიდი გზით. ჯერ გამოუვლიდა ქალაქს, ბაზარს, მერე ერთ პატარა, ტყავის ქარხნისაგან ამქავებულ მდინარეს, შემდეგ კი ჩორნაია სლობოდისაკენ მიმავალ აღმართს შეუყვებოდა. ბაზარში იგი ოდესღაც მსახურობდა თავის ძმასთან ერთად მატორინის დუქანში. ახლა კი ბაზარში ყველა თავს უკრავდა. სლობოდაში გაატარა ბავშვობა, ამ მომაღლო ადგილზე, სანახევროდ მიწაში ჩარგულ, დამპალ, სახურავჩაშავებულ ფაცხებს შორის, — ნაკელში, ფაცხის წინ რომ აშრობდნენ და საწვავად იყენებდნენ, ნაგავში, ნაცარსა და ჩერებში... ახლა კი კვალიც არ იყო იმ ფაცხისა. სადაც დაიბადა და გაიზარდა ტიხონ ილიჩი; მის ადგილას იდგა ახალი მოყავრული სახლი ჟანგმოკიდებული ფირნიშით: „სასულიერო პირთა ტანისამოსის ჰკერავი სობოლევი". სხვა მხრივ კი სლობოდაში ყველაფერი ძველებურად იყო: ზღურბლთან — ღორები და ქათმები; ჭიშკართან — მაღალი სარები, სარებზე — ცხვრის რქები; ყვავილებიან ქოთნებს უკან მდგარი თეთრ და დიდსახიანი მემაქმანეები, პატარა ფანჯრებიდან რომ იცქირებოდნენ; ფეხშიშველი ბიჭუნები, მხარზე გადაგდებული ცალი საბეჭურით რომ დატანტალობდნენ და ქაღალდის ფრანს უშვებდნენ ჰაერში; ქერათმიანი, წყნარი გოგონები, რომლებიც მიწაყრილებთან ახლოს თავიანთი საყვარელი თამაშობით — თოჯინების დაკრძალვით — გართულიყვნენ... მთაზე ასულმა, მინდორში, სასაფლაოზე პირჯვარი გადაიწერა; ღობის შიგნით, ბებერ ხეთა შორის იყო ერთი მდიდარი და ძუნწი კაცის ზიკოვის ოდესღაც შიშისმომგვრელი საფლავი, რომელიც იმწუთსავე ჩაინგრა, როგორც კი მიწა დააყარეს. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ტიხონ ილიჩმა სასაფლაოს ჭიშკრისაკენ მოაბრუნა ცხენი.

ამ დიდ, თეთრ ჭიშკართან იჯდა და წინდებს ქსოვდა მოხუცი ქალი, რომელიც ზღაპრულ დედაბერსა ჰგავდა,—სათვალიანი, ცხვირნისკარტა, კბილებჩაცვივნული, — ერთ-ერთი იმ ქვრივთაგან, რომლებიც ეკლესიის ქვრივთა და ობოლთა თავშესაფარს შეჰკედლებოდნენ.

— გამარჯობა, დედი! — შესძახა ტიხონ ილიჩმა და ცხენი ჭიშკრის ბოძს მიაბა. — შეგიძლია ცხენს მიმიხედო?

დედაბერი წამოდგა, თავი მოწიწებით დაუკრა და ხაჩიფჩიფა:

— შემიძლია, შვილო.

ტიხონ ილიჩმა ქუდი მოიხადა, კიდევ ერთხელ ალაპყრო თვალი ალაყაფის კარებზე გამოსახულ ღვთისმშობლის მიძინების ხატს, პირჯვარი გადაიწერა და დაუმატა:

— აქ ბევრი ხართ?

— თორმეტი დედაბერი ვართ, შვილო.

— ალბათ ხშირად ლანძღავთ ერთმანეთს.

— ხშირად, შვილო...

ტიხონ ილიჩი აუჩქარებლად გაჰყვა ხეებსა და ჯვრებს შორის გზას, ხეივანს, რომელიც ხის ძველი ეკლესიისაკენ მიემართებოდა. ბაზრობაზე მან თმა შეიკრიჭა, წვერი შეისწორა, შეიმოკლა — და ძალიან გაახალგაზრდავდა. ავადმყოფობის შემდეგ გახდომამაც გააახალგაზრდავა იგი, სახეზე მზის მოკიდებამაც (მხოლოდ საფეთქლებთან სამკუთხად თმაშეკრეჭილი ნაზი ჭანი მოუჩანდა თეთრად). აახალგაზრდავებდა ბავშვობისა და სიჭაბუკის მოგონებაც, ტილოს ახალი ჩიხაქუდიც; მიდიოდა და თვალს ავლებდა იქაურობას... რა ხანმოკლე და უაზროა სიცოცხლე! რა სიშშვიდე და მყუდროებაა ირგვლივ ამ ძველი სასაფლაოს მზიურ სასუფეველში! ცხელი ქარი დანავარდობდა მზით გაბრწყინებულ ხეთა კენწეროებზე—უღრუბლო ცას რომ სწვდებოდნენ და სიცხისაგან უდროოდ შეთხელებოდათ ფოთლები,—ქვებზე და ძეგლებზე ათრთოლებდა მათს გამჭვირვალე, მსუბუქ ჩრდილებს. ხოლო როცა ქარი ჩადგებოდა, მზე აცხუნებდა ყვავილებს და ბალახს, ტკბილად მღეროდნენ ბუჩქებში ჩიტები, გახურებულ ბილიკებზე გარინდულიყვნენ სიამით მიბნედილი პეპლები... ერთ ჯვარზე ტიხონ ილიჩმა წაიკითხა:

ო, რა მძიმეა კაცისათვის
სიკვდილის ღალა!

მაგრამ ირგვლივ საშიში არაფერი იყო. ის მიდიოდა, თითქოს სიამოვნებდა კიდეც, რომ სასაფლაო იზრდებოდა, რომ ძველ, ფეხებიან კუბოს მსგავს ქვებსა, ფილებსა და ვეებერ-

თელა, უხეშ და აწ სანახევროდ დამპალ ჯვრებს შორის, რომლებითაც სავსეა იგი, გაჩნდა ბევრი ახალი საფლავის ძეგლი. „მიიცვალა 1819 წლის ნოემბრის 7-ს, დილის 5 საათზე“ — შემაძრწუნებელი იყო ასეთი წარწერების კითხვა; ცუდია სიკვდილი განთიადისას, შემოდგომის ჯანღიან დღეს, ძველ სამაზრო ქალაქში! ბაგრამ გვერდით, ხეთა შორის თეთრად ქათქათებდა თაბაშირისაგან გამოძერწილი ანგელოზი, რომელსაც თვალები ზეცად აღეპყრო, და მის ქვეშ ამოკვეთილი იყო ოქროს ასოები: „ნეტარ არიან ქრისტეს მიერ განსვენებულნი!“ უამინდობის და ჟამთა სვლისაგან აჭრელებულ რკინის ძეგლზე, რომელიც ვიღაც კოლეგიის ასესორისათვის აეგოთ, შეიძლებოდა გაგერჩიათ ლექსი:

ის დიდ ხელმწიფეს მსახურებდა მუდამ ერთგულად,
წრფელ სიყვარულით ეპყრობოდა მოყვასსა თვისსა,
დაიმსახურა მან პატივი თვისი ხალხისა...

ეს ლექსი ტიხონ ილიჩს ყალბად ეჩვენა. თუმცა — სადაა სიმართლე? აგერ ბუჩქებში ადამიანის ყბა გდია, — გეგონება ჭუჭყიანი სანთლისაგან გაუკეთებიათო, — ესაა ყველაფერი, რაც კაცისაგან დარჩა... ნუთუ ყველაფერი? მიწაში ლპება ყვავილი, ლენტი, ჯვარი, კუბო და ძვლები, — ყველგან სიკვდილი და ხრწნაა! ბაგრამ ტიხონ ილიჩი განაგრძობდა გზას და კითხულობდა: „ესევეა მკვდართა აღდგომისასაც: როცა ხორცი კვდება — სული ცოცხლობს!“

ყოველი წარწერა გულშიჩამწვდომად მეტყველებდა მყუდროებასა და განსვენებაზე, სინაზეზე, სიყვარულზე, რომელიც თითქოს არც არის და არც იქნება ქვეყნად, კაცთა შორის ერთგულებასა და ღვთისადმი მორჩილებაზე, საიქიო ცხოვრების იმედზე და იმ უცხო, ნეტარ მხარეში შეხვედრაზე, რაც მხოლოდ ამქვეყნად სჯერათ; იმ თანასწორობაზე, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი ანიჭებს ხალხს, — იმ წუთებში, როცა მკვდარ მათხოვარს ეამბორებიან უკანასკნელი ამბორით, ვითარცა ძმას, თვლიან მას ხელმწიფეთა და მეუფეთა

სწორად... ხოლო იქ, გალავნის კუთხეში, მზის გულზე მთვლემარე ანწლის ბუჩქებთან, ტიხონ ილიჩმა დაინახა ბავშვის ახალი საფლავი, ჯვარი, ჯვარზე კი — ორპწკარიანი ლექსი:

ჰე, ფოთლებო, იშრიალეთ ჩუმად,
ჩემ კოსტიას არ დაუფრთხოთ ძილი! —

გაახსენდა თავისი ბავშვი, მუნჯმა მზარეულმა რომ გაუჭყლიტა ძილში, და ცრემლმორეული თვალები დაახამხამა.

შარაგზით, რომელიც სასაფლაოს ჩაუდის და მობიბინე ყანებში იკარგება, არავინ მგზავრობს. დადიან სოფლის მტვრიანი გზით, შარაგზის გასწვრივ რომ მიემართება. ტიხონ ილიჩიც სოფლის გზას დაადგა. ამ დროს გვერდით ჩაუქროლა მისკენ მომავალმა თავგადახდილმა ეტლმა,—მარდად დაჰქრიან მაზრის მეეტლეები!—ეტლში იჯდა ქალაქელი მონადირე; ფეხთით ჭრელი მეძებაოი უწვა, მუხლებზე ბუდიანი თოფი ედო, ფეხზე ჭაობის მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, თუმცა მაზრაში ჭაობი არ იყო. ტიხონ ილიჩმა ბრაზით გააღრჭიალა კბილები: წოჯაპაგირედ უნდა აიყვანოს კაცმა ეს უსაქმური! შუადღის მზე აცხუნებდა, ცხელი ქარი ქროდა, უღრუბლო ცა მტრედისფერდებოდა. ტიხონ ილიჩი ბრაზით არიდებდა თავს გზაზე ავარდნილ მტვერს და სულ უფრო დამწუხრებული გაჰყურებდა გალეულ და უდროოდ ჩამხმარ პურის ყანებს.

მწყობრი ნაბიჯით, გრძელი კომბლებით ხელში, მოდიოდნენ დაღლილობითა და სიცხით გატანჯული მლოცველი ქალები. ისინი მდაბლად, დინჯად უკრავდნენ თავს ტიხონ ილიჩს, მაგრამ ახლა მას ყველაფერი თაღლითობად ეჩვენებოდა.

— მშვიდობის მაძიებლები! ღამე კი ალბათ ძაღლებივით კბენენ ერთმანეთს!

ჯაგლაგ ცხენებს მოერეკებოდნენ და მტვრის ბუღს აყენებდნენ ბაზრობიდან დაბრუნებული მთვრალი გლეხები, — წითურნი, სისვნი, შავები, მაგრამ ყველა ერთნაირად უგვანო, გამხდარი და თმაებურძგვნილი. ტიხონ ილიჩი ცდილობდა

მათი მორახრახე ფორნებისათვის გაესწრო და თავს აქნევდა:

— უჰ, თქვე გლახაკებო, ჯანდაბას თქვენი თავი!

ერთ გლეხს, რომელსაც ჩითის შემოფლეთილი პერანგი ეცვა, გულაღმა ეძინა, თავი უკან გადავარდნოდა, გასისხლიანებული წვერი და გასივებული, სისხლშემხმარი ცხვირი მაღლა აეწია და მკვდარივით ინჯღრეოდა. მეორე კი ქარისაგან მოტაცებული ქუდის დასაწევად გარბოდა; წაიფორხილა. ამ დროს ბოროტი ენინით შეპყრობილმა ტიხონ ილიჩმა მათრახი გადაუჭირა. მან დაინახა ფორანი, რომელიც სავსე იყო ლარტყებით, ბარებითა და დედაკაცებით; ცხენისაკენ ზურგშექცეული ქალები ჯაყჯაყებდნენ და ხტოდნენ; ერთს ბავშვის ახალი ჩიხაქუდი ეხურა უკუღმა, მეორე მღეროდა, მესამე ხელებს იქნევდა და ხარხარით გასძახოდა ტიხონ ილიჩს:

— ბიძია! ჭინჭილაკი დაგეკარგა!

სადარაჯოს იქით, სადაც შარაგზა უხვევდა, მორახრახე ფორნები უკან ჩამორჩნენ და ირგვლივ გამეფდა სიჩუმე, სიხალვათე და სტეპის მხურვალება. ტიხონ ილიჩმა იგრძნო, რომ ამქვეყნად ყველაზე მთავარია „საქმე“. ეჰ, სიღარიბეა გარშემო! გლეხები სულ მთლად გაღატაკდნენ, კაპიკის საღირალიც აღარ დარჩათ გავერანებულ კარ-მიდამოებში, მაზრაში რომაა გაბნეული... პატრონი არა ჰყავთ, პატრონი!

შუა გზაზე გადაჭიმულიყო სოფელი ჯოვნოე. ხორშაკი ქარი დანავარდობდა ცარიელ ქუჩებში, სიცხისაგან გადარუჯულ ტირიფებში. კარის ზღურბლთან იფოფრებოდნენ და ნაცარს ქექავდნენ ქათმები. ტრიალ მინდორზე აწოწილიყო რაღაც გელური ფერის ეკლესია. ეკლესიის იქით, ნაკელის გროვის ძირას, მზეზე ბრწყინავდა პატარა თიხოვანი გუბე — სქელი ყვითელი წყალი, რომელშიც იდგნენ ძროხები, ყოველ წუთს რომ იკმაყოფილებდნენ თავიანთ საჭიროებას, და სადაც შიშველი გლეხი თავს ისაპნიდა. იგი წელამდე შესულიყო წყალში, გულზე სპილენძის ჯვარი უბრწყინავდა, მზით დამწვარი კისერი და სახე გაშავებოდა, ხოლო ტანი საოცრად თეთრი ჰქონდა.

— მოდი ერთი, ლაგამი ახსენი, — უთხრა ტიხონ ილიჩმა

და ცხენი გუბეში შეაგდო, რომელსაც ნახირის სუნი ასდიოდა.

გლეხმა მოლურჯო თეთრი საპნის ნალეკი ძროხის ნეკვისაგან გაშავებულ ძიწაზე დააგდო და ნაცრისფერი, გასაპნული თავით გაეშურა ბრძანების შესასრულებლად, თან ხელს მორცხვად იფარებდა ტანზე. ცხენი ხარბად დაეწაფა წყალს, მაგრამ ისე თბილი და საზიზღარი იყო, რომ თავი ასწია და უკან გამობრუნდა. ტიხონ ილიჩმა დაუსტვინა და ჩიხაქუდი დააქნია:

— ეს რა წყალი გქონიათ! ნუთუ ამასა სვამთ?

— რა, თქვენა შაქრიანი წყალი გაქვთ? — ალერსიანად და მხიარულად მიუგო გლეხმა. — ათასი წელია ვსვამთ! წყალს რა უშავს, პური არა გვაქ, თორემა...

როვნოეს შემდეგ გზა ჭვავის ყანებში გადადიოდა. ჭვავი აქაც გალეული იყო და მთლად ღიღილოებს დაეფარა... ვისელკის ახლოს კი, დურნოვკის ძირას, ფუღურო და კორძიან ტირიფზე გუნდად ისხდნენ ჭილყვავები, რომლებსაც მოვერცხლისფრო ნისკარტები დაეღოთ, — მათ რატომღაც უყვართ ნახანძრალი ადგილები. ვისელკის მხოლოდ სახელიღა შერჩენოდა, — დანაგვიანებულ ნაქოხარებს გარდა აქ ვერაფერს ნახავდით. ნაგავს მოლურჯო ცისფერი კვამლი და ნამწვის მყრალი სუნი ასდიოდა... ხანძრის დანახვაზე ელდა ეცა ტიხონ ილიჩს. „უბედურება!“ — გაიფიქრა და გაფითრდა. მას ხომ არაფერი არა აქვს დაზღვეული, ყოველივე შეიძლება ერთბაშად გაქრეს...

პეტროვკის ბაზრობაზე ამ სამახსოვრო მოგზაურობიდან მოკიდებული ტიხონ ილიჩმა სმას მიჰყო ხელი. არ თვრებოდა, მაგრამ რიგიანად კი აუღაქღაქდებოდა ხოლმე ლოყები. თუმცა ეს არც უშლიდა ხელს საქმეში; ის კი არა, მისთვის რომ გეკითხათ, არც ჯანმრთელობას ვნებდა. არაყი სისხლს წმენდსო, — ამბობდა. თავის ცხოვრებას იგი ახლაც ხშირად უწოდებდა კატორღას, ყულფს, ოქროს გალიას. მაგრამ თანდათან უფრო გულდაჯერებით მიაბიჯებდა თავის გზაზე და რამდენიმე წელმა ისე ერთფეროვნად გაიარა, თითქოს ერთი სამუშაო დღე ყოფილიყოს. მოხდა მნიშვნელოვანი რამ, რა-

საც სულაც არ მოელოდნენ, — იაპონიასთან ომი და რევოლუცია.

ომზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ბაქიაობით დაიწყო. „ჩემო ძმაო, კაზაკები მალე გააძრობენ ტყავს ყვითელ მხეცს!“ მაგრამ მალე სულ სხვა სიტყვები მოისმა.

— რა ეშველება ჩვენს მიწა-წყალს? — მკაცრი ბატონკაცური ხმით ამბობდა ტიხონ ილიჩიც. — ომი კი არა, პირდაპირ უაზრობაა!

რუსეთის არმიის განადგურების ამბებს აღტაცებაში მოჰყავდა იგი და ნიშნის მოგებით ამბობდა:

— ყოჩაღ! ასე მოუხდებათ, მაგათი დედა კი...

თავდაპირველად აღაფრთოვანებდა რევოლუციაც, მკვლელობებიც.

— ისეთი დარტყმა აგემა თვით მინისტრს, — ამბობდა ზოგჯერ აღტაცებული ტიხონ ილიჩი, — ისე დაარტყა, რომ სული გააცხებინა!

მაგრამ როგორც კი მიწების ჩამორთმევაზე დაიწყეს ლაპარაკი, მასში უკვე ბოროტმა სულმა გაიღვიძა. „სულ ურიების საქმეა! სულ ურიების, ეს თმააბურძგვნილი სტუდენტებიც მათ ემხრობიან!“ ვერ გაიგო: რევოლუცია, რევოლუციაო, — ყველა ამბობდა და გარშემო კი ყველაფერი ისევ ისე იყო, ძველებურად: მზე ანათებდა, მინდვრად ჭვავი ჰყვაოდა, საზიდები სადგურისაკენ მიემართებოდნენ... ვერც ხალხს მიუხვდა გულისთქმას, — ზოგი დუმდა, ზოგი ორპოფულად ლაპარაკობდა.

— გულჩათხრობილი გახდა ხალხი. ისეთი გულჩათხრობილია, რომ ნუღარ იტყვი! — ამბობდა ტიხონ ილიჩი.

„ურიების“ ამბავი რომ გადაავიწყდა, ახლა უმატებდა:

— ისე ვთქვათ, არც მაინცდამაინც ეშმაკური ამბავია. მთავრობის გამოცვლა, მიწების გათანაბრება, — ამას ხომ ბავშვიც მიხვდება. ესე იგი, აშკარაა, ვის ემხრობა ხალხი, თუმც გაჩუმებული კი არის. ჰოდა, ეს ეი იგი, თვალყური უნდა ადევნო, დრო შეურჩიო, როცა დუმს. გასაქანი არ უნდა მისცე! თორემ ვაი შენი ბრალი: როგორც კი ბედი გაუღიმებს და თან საბარკულს იგრძნობს, მაშინვე გაგთელავს!

როცა ის გაიგონებდა ან წაიკითხავდა, მიწას მხოლოდ იმათ

ჩამოართმევენ, ვისაც ხუთას დესეტინაზე მეტი აქვსო, თვითონაც „შფოთისთავი“ ხდებოდა. გლეხებთანაც კი კამათობდა. ზოგჯერ მის დუქანთან გლეხი იდგა და ეუბნებოდა:

— არა, ილიჩ, მაგას ნუ ამბობ. სამართლიანად მიწის ჩამორთმევა შეიძლება, ისე კი — არა, არ არის კარგი საქმე.

ცხელა, ეზოს პირდაპირ, ბეღელთან დაყრილი ფიჭვის ყავრის სურნელი ტრიალებს ირგვლივ. ხეებსა და სადგურის შენობებს იქით ისმის საბარგო მატარებლის გახურებული ორთქლმავლის ქშენა. ტიხონ ილიჩი უქუდოდ დგას, თვალებს წკურავს და ეშმაკურად იღიმება. იღიმება და მიუგებს:

— კი, მაგრამ, თუ ის კარგი ბატონი კი არა, უქნარაა?

— ვინ? ბატონი? ეგ უკვე სხვა საქმეა... მაგნაირი ბატონისა ბუნდღლაც არ უნდა დატოვო, ახია მაგაზე!

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნები!

მაგრამ მოდიოდა მეორე ამბავიც — ხუთასზე ნაკლებსაც ჩამოართმევენო! — და ტიხონ ილიჩი მაშინვე იბნეოდა და ახირებული ხდებოდა. ყველაფერი, რაც მის კარმიდამოში კეთდებოდა, საძაგლად ეჩვენებოდა.

მის ხელქვეით ეგორკას დუქნიდან ფქვილის ტომრები გამოჰქონდა და ფერთხავდა. ქოჩორი აპრეხოდა, თმა ხეშეში და ხშირი ჰქონდა — „ნეტავ რათა აქვთ სულელებს ასეთი ხშირი თმა?“ — შუბლი შეკუნტული, სახე კვერცხის მსგავსი, მოლრეცილი, თვალები თევზისა, გამობურცული, გეგონებოდათ ვიღაცას ზედ ხბოს თეთრწამწამებიანი ქუთუთოები გადაუკრავს, ტყავი საკმარისი არ ყოფილა და ბიჭი ისე დარჩენილა, რომ თუ თვალებს დახუჭავდა, პირი უნდა დაეღო, ხოლო, თუ პირს დამუწავდა, მაშინ თვალები უნდა დაეკუნტა. ტიხონ ილიჩი ღვარძლიანად უყვიროდა:

— უტვინო! ყეყეჩო! თავზე მაფერთხავ?

მისი ოთახები, სამზარეულო, დუქანი და ბეღელი, სადაც წინათ ღვინის სავაჭრო იყო, — ყველაფერი ეს მოთავსებულა იყო ერთ თუნუქისსახურავიან ხის შენობაში. სამი მხრიდან მას მჭიდროდ ეკვროდა ჩალით დახურული ბაკები და იქმნებოდა მყუდრო კვადრატი. ბეღლები იდგა სახლის წინ, ეზოს გადაღმა. მარჯვნივ იყო სადგური, მარცხნივ — შარაგზა, შარა-

გზის იქით — არყის ტყე. და როცა ტიხონ ილიჩი უგუნებოდ იყო, შარაგზაზე გადიოდა. უღელტეხილიდან უღელტეხილამდე თეთრ ზოლად მიეშართებოდა შარაგზა. სამხრეთისაკენ, მინდორ-მინდორ დაბლდებოდა, ხოლო შორეულ ჯიხურთან კვლავ შეუყვებოდა აღმართს ჰორიზონტისაკენ, სადაც მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი რკინიგზა კვეთდა. როცა ზოგჯერ დურნოვკის რომელიმე გლეხი აქეთ ჩამოიელიდა,— რა თქმა უნდა, ისეთი, რომელიც უფრო საქმიანი და ჭკვიანი იყო, მაგალითად, იაკობი, რომელსაც ყველა იაკობ მიკიტიჩს ეძახდა იმისათვის, რომ იგი „მდიდარი" და ხარბი იყო, ტიხონ ილიჩი აჩერებდა მას.

— ჩიხაქუდი მაინც გეყიდა! — დაცინვით შესძახებდა იგი.

იაკობი, რომელსაც თავზე ქუდი ეხურა, ტანთ ხამის პერანგი, მოკლე ხამის ძიქვა ეცვა და ფეხშიშველი იჯდა ფორნის კოფოზე, თოკის სადავეს მოსწევდა და მაძღარ ფაშატს გააჩერებდა.

— გამარჯობა, ტიხონ ილიჩ, — თავშეკავებულად ეუბნებოდა ის.

— გაგიმარჯოს! დროა ეგ ქუდი ჭკებს დაუთმო ბუდედ!

იაკობი ეშმაკური ღიმილით ჩასცქეროდა მიწას და თავს უქნევდა.

— ეგ... როგორ გითხრა?... ცუდი არ იქნება, მაგრამ, გესმის, კაპიტალი არ მაძლევს უფლებას.

— მოჰყვება ახლა! გიცნობთ, გიცნობთ ყაზანელ ობლებს! ქალი გაათხოვე, ბიჭი დააქორწინე, ფული გაქვს... ერთი მითხარი, რაღას ითხოვ კიდევ უფლისაგან?

ეს სიამეს ჰგვრიდა იაკობს, მაგრამ კიდევ უფრო იკავებდა თავს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — ოხვრით და ხმის კანკალით დუდუნებდა იგი, — როგორა ვთქვა, ფული ჩემს დღეში არ მქონია... ბიჭი კი... აბა რა გითხრა ბიჭზე? არ გამომადგა... რაღა დაგიმალო და არ გამომადგა!

იაკობმა სხვა გლეხებივით იცოდა გაბრაზება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მის ოჯახსა და მეურნეობაზე მიდგებოდა. გულჩათხრობილი კაცი კი იყო, მაგრამ სიბრაზე მაინც

სძლევდა, რაც მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მთრთოლვარე ხმით ლაპარაკში ემჩნეოდა. ტიხონ ილიჩი ცდილობდა კიდევ უფრო აღეშფოთებინა იგი და თანაგრძნობით ეკითხებოდა:

— არ გამოგადგა? უყურე შენ! ალბათ სულ დედაკაცი ბრალია!

იაკობი აქეთ-იქით თვალს მიმოავლებდა და გულს იხოკდა:

— დედაკაცის ბრალია, დალახვროს ღმერთმა!..

— ეჭვიანობს?

— ეჭვიანობს... ჰგონია, რომ სხვანაირი თვალით ვუყურებ...

იაკობი თვალებს აცეცებდა:

— იქ ქმარს შესჩივლა, ჩვენზე შესჩივლა! მერე, იცი, მოწამვლა დამიპირა! ზოგჯერ, გესმის, გულს გადააყოლებ... თამბაქოს მოსწევ... ჰოდა, ბალიშქვეშ პაპიროსი ამომიდო... რომ არ შემემჩნია — დავიღუპებოდი!

— რა პაპიროსი იყო ეგეთი?

— მკვდრის ძვლები დანაყა და თუთუნის მაგივრად შეახვია...

— ჰოდა, სულელი გყოლია ბიჭი, თორემ ასწავლიდა ჭკუას, როგორც რუსს შეჰფერის.

— რაო? ეგ კი არა, გესმის, მე მეცა ყელში! გველივით იკლაკნებოდა... თავში ხელი წავაელე — თმა შეკრეჭილი ჰქონდა და გამისხლტა... პერანგში ვწვდი — დახევა დამენანა!

ტიხონ ილიჩი თავს აქნევდა, ერთ წუთს დუმდა და, ბოლოს, ეკითხებოდა:

— როგორ არის თქვენთან საქმე? ელოდებით ამბოხებას?

ამის გაგონებაზე იაკობს კვლავ გულჩათხრობილობა ეუფლებოდა, იცინოდა და ხელს აქნევდა.

— რას ამბობ! — სხაპასხუპით მიაყრიდა. — რა დროს ამბოხებაა! ჩვენთან წყნარი ხალხია... წყნარი ხალხი...

და სადავეს მოსწევდა, თითქო ცხენი სადმე მიდიოდა.

— თავყრილობა რაღად იყო კვირას? — ღვარძლიანად მიუგებდა სიტყვას ტიხონ ილიჩი.

— თავყრილობა? ეშმაკმა იცის მაგათი თავი! ყაყანებდნენ, გესმის...

— მესმის, მერე რა აყაყანებდათ?

— რა და, არ დაგიმალავ... ლაყბობდნენ, გესმის, რაღაცა განკარგულება გამოსულაო, არაფრით არ შეიძლება ბატონებს წინანდელ ფასად ვემსახუროთო...

სამწუხარო იყო იმაზე ფიქრი, რომ რომელიღაც სოფელ დურნოვკის გულისათვის მუშაობით წელი წყდებოდა. თანაც დურნოვკაში სულ ოცდაათიოდ კომლი სახლობდა. თან იგი სადღაც ჯოჯოხეთში იყო გადაკარგული. ფართო ხევის ერთ მხარეს ქოხები იდგა, მეორე მხარეს კი პატარა საკარმიდამო ნაკვეთები. ჰოდა, იდგნენ ეს საკარმიდამო ნაკვეთები თავიანთი ქოხებითურთ და დღე-დღეზე ელოდნენ რაღაც „განკარგულებას“... ეჰ, სად არიან როზგიანი კაზაკები!

ეს „განკარგულებაც“ მოვიდა, ერთ კვირა დღეს ხმა დაირხა: დურნოვკაში თავყრილობაა დანიშნული, უნდა მომზადდეს გეგმა, თუ როგორ შეუტიონ საკარმიდამო ნაკვეთებსო. ბოროტი ჟინით შეპყრობილმა ტიხონ ილიჩმა, რომელიც უჩვეულო ძალასა და სითამამეს გრძნობდა და მზად იყო „თვით ეშმაკისთვისაც მოეტეხა რქები“, დაიყვირა: „ორთვალაში ულაყი შეაბით!“ ათი წუთის შემდეგ შარაგზაზე იყო და დურნოვკისაკენ მიქროდა. წვიმიანი დღის შემდეგ მოწითალო რუხ ღრუბლებში იმალებოდა მზე, არყის ხეთა ტოტები ალისფრად შეფაკლულიყვნენ, სოფლის ატალახებული, სავალად ძნელი გზა შავმოიისფროდ მოჩანდა ამწვანებულ არემარეში. ულაყს ბარძაყებიდან და საბარკულიდან ვარდისფერი ქაფი სდიოდა. სადაურების ტკაცუნში ტიხონ ილიჩმა რკინიგზიდან მარჯვნივ გადაუხვია, მინდორში მიმავალ გზას დაადგა და, დურნოვკა რომ დაინახა, წუთით ეჭვი შეეპარა ამბოხების შესახებ გავრცელებული ხმების სიმართლეში. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა, მშვიდად გალობდნენ ტოროლები მწუხრის სიმღერებს, საამო სურნელი ასდიოდა სველ მიწასა და მინდვრის ყვავილებს... მაგრამ უეცრად თავის საკარმიდამო ნაკვეთში, ნასვენ მიწაზე, სადაც ყვითელი ძიძო ეთესა, გლეხების ცხენებს მოჰკრა თვალი. დაუწყიათ! ტიხონ ილიჩმა სადაურ ჩაჰკრა, ჩაუქროლა ცხენების ჯოგს, ოროვანდითა და ჭინ-

ჭრით დაფარულ საცეხველს, ბელურებით სავსე ბაღჩას, საჯინიბოს, სამოახლო ქოხს და ეზოში შევარდა...

ხოლო შემდეგ ისეთი რამ მოხდა, თვალსა და ყურს რომ ვერ დაუჯერებდა კაცი: ბრაზის, შეურაცხყოფისა და შიშისაგან ქვად ქცეული ტიხონ ილიჩი მინდვრად გაჩერებულ ორთვალაში იჯდა. გული საგულეში აღარ ეტეოდა, ხელები უცახცახებდა, სახეზე ალმური ასდიოდა, სმენა ძხეცსავით გამახვილებოდა. ის იჯდა, დურნოვკიდან მოდენილ ხმებს ყურს უგდებდა და ფიქრობდა. ამ დროს, მისი დაბახვისთანავე, ხევიდან საკარმიდამოსაკენ გამოეშურა უზარმაზარი ბრბო, ეზოში ღრიანცელი და ლანძღვა-გინება ატეხა, პარმაღთან შეეუჩდა და ტიხონ ილიჩი კართან მიიმწყვდია. ტიხონ ილიჩს ხელში მათრახის გარდა არაფერი ჰქონდა. ისიც იქნევდა მათრახს, ხან უკან იხევდა, ხან თავგანწირვით ეძგერებოდა ბრბოს. მაგრამ უფრო ხელმარჯვედ ატრიალებდა კეტს შეტევაზე გადასული სარაჯი, — ავი, კაფანდარა, ცხვირწვეტა კაცი, რომელსაც ჩექმები და ლილისფერი პერანგი ეცვა. ის მთელი ბრბოს სახელით ღრიალებდა, რომ გამოვიდა განკარგულება, „დამში მოვიდეს ეს საქმე" — დამში მოვიდეს ერთსა და იმავე დღესა და საათს მთელ გუბერნიაში: გაძევებულ იქნან გარეშე მოჯამაგირეები ყველა მეურნეობიდან და მათ ადგილას მუშაობა დაიწყოს ადგილობრივმა ხალხმა, — დღეში მანეთად! ტიხონ ილიჩი ცდილობდა სარაჯის ხმა ჩაეხშო და უფრო გააფთრებით ყვიროდა:

— რაო? მაშ ეგრე? მაწანწალავ, გაგწვრთნეს აგიტატორებმა? დაგგეშეს?

სარაჯი სხარტად, ჰაერშივე იჭერდა მის სიტყვებს:

— შენ თვითონ ხარ მაწანწალა! — შეჰყვიროდა ის და გული ყელში ებჯინებოდა. — შე სულელო ბებრუხუნავ! განა არ ვიცი რამდენი მიწა გაქვს? რამდენი გაქვს, კატების გამტყავებელო? ორასი? მე კი — ეშმაკმა წაიღოს! — შენი პარშაღის ოდენა მიწა თუ მექნება! მერედა, რატომ? ვინა ხარ? რა ხარ? შენ გეკითხები! წითელი კოჭი ხარ?

— დაიმახსოვრე-ე, მიტკა! — უმწეოდ შესძახა ბოლოს ტი-

ხონ. ილიჩმა და, რომ შეატყო თავბრუ მესხმისო, ხალხი გაარღვია და ეტლისაკენ გაექანა. — დაიმახსოვრე!

მაგრამ მუქარის არავის ეშინოდა — ყაყანი, ღრიალი და სტვენა დაადევნეს უკან... მერე თავისი ეტლით გარშემო შემოუარა საკარმიდამოს, გარინდული უსმენდა რაღაცას. გავიდა გზაჯვარედინზე, სახე განთიადისკენ მიეპყრო და ყოველ წუთს მზად იყო ცხენისათვის მათრახი გადაეკრა. ნესტიანსა და ბნელ არემარეში სიმშვიდე სუფევდა. ცის დასალიერთან სადაც ჯერ კიდევ ბჟუტავდა მოწითალო შუქი, მიწა უფსკრულივით ჩაშავებულიყო.

— დადექ, შე სამგლევ! — ებუზღუნებოდა ტიხონ ილიჩი ცხენს. — დადექ!

შორიდან ისმოდა ხმები, შეძახილები. ყველაზე მეტად ყვიროდა ვანკა კრასნი, რომელიც უკვე ორჯერ იყო ნამყოფი დონეცის მაღაროებში. მერე საკარმიდამოს თავზე კვამლნარევი ალი ავარდა: გლეხებმა ბაღში ცეცხლი წაუკიდეს კარავს და დამბაჩა, რომელიც გაქცეულ მედაბურ მებაღეს კარავში დარჩენოდა, თავისთავად ისროდა ცეცხლიდან...

შემდეგ გაიგეს, რომ მართლაც სასწაული მომხდარიყო: ერთსა და იმავე დღეს მთელი მაზრის გლეხები ამბოხებულიყვნენ. ქალაქის სასტუმროები დიდხანს იყო გამოტენილი მეპამულეებით, რომლებიც მთავრობისაგან შველას ითხოვდნენ. მაგრამ შემდეგ ტიხონ ილიჩიც სირცხვილით იგონებდა, რომ თვითონაც ითხოვდა შველას, — სირცხვილით, რადგან მთელი ამბოხება იმით დამთავრდა, რომ გლეხებმა იყაყანეს მაზრაში, გადაწვეს და გაანადგურეს რამდენიმე საკარმიდამო და გაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სარაჯმა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, კვლავ დაიწყო სიარული ვორვოლის დუქანში, მოწიწებით უხდიდა ქუდს კარის ზღურბლთან და თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რომ მისი გამოჩენისას ტიხონ ილიჩს სახე ეღუშებოდა. თუმცა ჯერ კიდევ იყო მითქმა-მოთქმა — დურნოვკელები ტიხონ ილიჩს მოკვლას უპირებენო. ტიხონ ილიჩს ეშინოდა, როცა დურნოვკიდან მომავალს გზაში შეაგვიანდებოდა, ჯიბეში მოსინჯავდა „ბულდოგს“, რომელიც მომაბეზრებლად ქაჩავდა შარვლის ჯიბეს, იფიცებდა, რომ ერთ მშვე-

ნიერ ღამეს სულ მთლად გადასწვავდა დურნოვკას... მოწამლავდა წყალს დურნოვკის გუბურებში... მერე მითქმა-მოფქმაც შეწყდა. მაგრამ ტიხონ ილიჩმა მტკიცედ გადაწყვიტა გასცლოდა დურნოვკას. „დამარხული ოქრო დაკარგულიაო!“.

ამ წელს ტიხონ ილიჩი ორმოცდაათისა სრულდებოდა, მაგრამ მამად გახდომაზე მაინც ოცნებობდა. და აი, სწორედ ამ ოცნებამ შეახვედრა იგი როდკას.

როდკა, ახმახი, მოღუშული სახის ულიანოვკელი ჭაბუკი, ორი წლის წინათ იაკობის ქვრივ ძმასთან ფედოტთან დასახლდა. დაქორწინდა, ქორწილის დროს ღვინოში ჩამხრჩვალი ფედოტი დაასაფლავა, და სალდათად წავიდა. ხოლო პატარძალი,—ჩამოსხმული ტანის, ნაზი, თეთრ-ყირმიზი სახის გრძელწამწამა ქალი, — საკარმიდამოში დღიურ მუშად მოეწყო. ეს წამწამებიც საშინლად აღელვებდნენ ტიხონ ილიჩს. დურნოვკელი დედაკაცები თავზე „რქებს“ ატარებენ: გათხოვდებიან თუ არა, ნაწნავებს საქოჩრეზე აიწევენ, შემდეგ თავშალს წაიხურავენ, და გამოდის რაღაც ველური, პირუტყვული. ატარებენ ძველებურ, მუქლილისფერ, შინნაქსოვ ყაითნიან შალის კაბას, სარაფანის მსგავს თეთრ წინსაფარსა და ქალამნებს. მაგრამ პატარძალი, — ასევე შერჩა კიდეც ეს სახელი, — ამ მორთულობითაც კარგი იყო. ერთ საღამოს, ბნელ საცეხველში, პატარძალი მარტოდმარტო აგროვებდა თავთავს. ტიხონ ილიჩმა მიმოიხედა, სწრაფად შეევიდა მასთან და სხაპასხუპით უთხრა:

— ყელიან ფეხსაცმელს ჩაგაცმევ, სულ აბრეშუმის თავშლებს დაგახურავ... ოცდახუთმანეთიანსაც არ დავინანებ!

მაგრამ პატარძალი მკვდარივით დუმდა.

— გესმის თუ არა? — ჩურჩულით შესძახა ტიხონ ილიჩმა.

ქვადქცეული პატარძალი თავჩაღუნული იდგა და ფოცხს იქნევდა.

მან ვერ მიაღწია საწადელს. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა როდკა. ვადაზე ადრე, ცალთვალა. ეს იყო დურნოვკელთა ამბოხებიდან ცოტა ხნის შემდეგ, და ტიხონ ილიჩმა მაშინვე დაიქირავა როდკა მისი ცოლითურთ დურნოვკის საკარმიდამოში: ასეთ დროს უსალდათოდ ყოფნა შეუძლებელიაო, — მოიმიზეზა მან. ელიათბის წინა დღეს როდკა ახალი ცოცხებისა

და ნიჩბების საყიდლად წავიდა, პატარძალი კი სახლში იატაკს რეცხავდა. ტიხონ ილიჩმა ტბორებს გადააბიჯა, ოთახში შევიდა; თვალი შეავლო იატაკისკენ თავდახრილ პატარძალს, ჭუჭყიანი წყლით დაწინწკლულ მის თეთრ კანჭებს, გათხოვების შემდეგ ჩამრგვალებულ ტანს... უცებ რაღაც განსაკუთრებით მარჯვედ მოიკრიბა ძალა, სურვილი და პატარძლისაკენ გაემართა. წამოჭარხლებული ქალი სწრაფად გასწორდა წელში, აღგზნებული სახე ასწია, სველი ჩვარი მოუღერა და უცნაურად შეჰყვირა:

— გაჩე, თორემ გაგთხუპნე!

ტიხონ ილიჩს ნარეცხი წყლის, ცხელი ტანისა და ოფლის სუნი ეცა... იგი ხელში სწვდა პატარძალს, მხეცურად ჩაბღუჯა, დაიქნია და ჩვარი გაუგდებინა, მარჯვენა ხელი წელზე მოჰხვია, ისე ჩაიკრა, რომ ძვლებმა ტკაცატკუცი დაიწყეს, — და ჰეორე ოთახისაკენ გააქანა, სადაც საწოლი იდგა. ახლა პატარძალს თავი უკან გადაეგდო, თვალები ფართოდ გაეღო და უკვე აღარ ფხარკალებდა, აღარ ეწინააღმდეგებოდა...

ამის შემდეგ სატანჯველი იყო მისთვის თავისი ცოლის ყურება, როდკას ცქერაც, გახსენება იმისა, რომ როდკას პატარძალთან სძინავს, უწყალოდ სცემს ყოველდღე და ყოველღამ. სულ მალე შეძრწუნდა კიდეც. ძნელმისაწვდომია გზა, რომელსაც უნდა დაადგეს სიმართლის მაძიებელი იჭვნეული კაცი. როდკამ იპოვა ეს გზა. ხმელ-ხმელი, ცალთვალა, მაიმუნივით გრძელხელება და ძლიერი როდკა, რომელსაც მოკლედ შეკრეჭილი, შავი, პატარა თავი ნიადაგ ჩაღუნული ჰქონდა და ჩაღრმავებული, ელვარე თვალით წარბებს ქვემოდან იყურებოდა, საშიში გახდა. სალდათად ყოფნისას რაღაც თავისებური სიტყვები შეითვისა და, როცა პატარძალი უკმეხი სიტყვის თქმაზე შეპასუხებას გაბედავდა, როდკა დინჯად აიღებდა მათრახს, ბოროტი ღიმილით მივიდოდა მასთან და მშვიდად ეკითხებოდა:

— რაებს მიჰქარამ?

და ისე დაურთავდა მათრახს, რომ ქალს თვალთ უბნელდებოდა.

ერთხელ ამნაირ ანგარიშსწორებას ტიხონ ილიჩმაც შეუსწრო, ვერ მოითმინა და შესძახა:

— რასა შვრები, არამზადავ?!

მაგრამ როდკა წყნარად ჩამოჯდა სკამზე და შეხედა:

— რაებს მიჰქარამ? — ჰკითხა მან.

ტიხონ ილიჩმა სწრაფად გაიჯახუნა კარი...

ახლა უკვე ველური აზრი გაუელვებდა ხოლმე თავში: საქმე ისე უნდა მოეწყო, რომ როდკას ან სახლის სახურავი ჩამოქცეოდა თავზე, ანდა მიწას ჩაეტანა... მაგრამ გავიდა ერთი თვე, მეორეც — და იმედი, ის იმედი, რომელიც თავბრუს ახვევდა მას, მწარედ გაუცრუვდა: პატარძალი ფეხმძიმედ არ შეიქნა! რაღა საჭირო იყო ამის შემდეგ ცეცხლთან თამაში? საჭირო იყო თავიდან მოეშორებინა როდკა, რაც შეიძლება მალე გაეგდო იგი.

მაგრამ ვინ უნდა მოეყვანა მის მაგივრად?

შემთხვევამ იხსნა. მოულოდნელად ტიხონ ილიჩი ძმას შეურიგდა და დაიყოლია დურნოვკის მოურავობა ეკისრა.

ქალაქელი ნაცნობისაგან გაიგო, რომ კუზმას დიდხანს ემუშავა მემამულე კასატკინთან კანტორის მოსამსახურედ და, რაც ყველაზე საკვირველია, — „ავტორი“ გამხდარიყო. დიახ, თითქოს დაებეჭდათ მისი ლექსების მთელი წიგნი და უკანა გვერდზე წაეწერათ: „ავტორის საწყობი“.

— ჰო-ო! — გააგრძელა ტიხონ ილიჩმა ამის გაგონებაზე.— ყოჩაღ, კუზმა! ვერე, იქნება ესეც მითხრათ, კუზმა კრასოვის ნაწარმოებიო, ასე დააწერეს?

— ზუსტად აგრე, — უპასუხა ნაცნობმა, რომელსაც ბევრ ქალაქელსავით დაბეჯითებით სწამდა, რომ კუზმას ლექსები წიგნებიდან და ჟურნალებიდან ჰქონდა „აწაპნილი“.

მაშინ ტიხონ ილიჩმა, დაევის სახამროში რომ უჯდა მაგიდას, ადგილიდან არც ამდგარა, ისე დაწერა დასაბუთებული და მოკლე წერილი ძმისადმი: დროა ბერიკაცები შევრიგდეთ და ცოდვები მოვინანიოთო. მეორე დღეს კი დაევის სახამროში ძმები შერიგდნენ და საქმეზეც ისაუბრეს.

დილა იყო და სახამროში ჯერ არ მოეყარა ხალხს თავი. მზე იხედებოდა მტვრიან ფანჯრებში, ანათებდა წითელსუფრაგადაფარებულ სველ მაგიდებს, ქატოთი ახლახან მოხეხილ მუქ იატაკს, რომელსაც საჯინიბოს სუნი ასდიოდა, თეთრ ხალათებსა და შარვლებში გამოწყობილ მსახურთ. გალია-

ში შეუსვენებლივ ჭიკჭიკებდა იადონი, თითქოს ცოცხალი კი არა, დაქოქილიაო. ტიხონ ილიჩი ბრაზიანი, მაგრამ დინჯი სახით მიუჯდა მაგიდას და ის იყო ორი ჭიქა ჩაი მოითხოვა, რომ ყურში დიდი ხნის ნაცნობი ხმა ჩაესმა:

— გამარჯობა შენი!

კუზმა ძმაზე დაბალი და გამხდარი იყო, ხმელ-ხმელი, ფართოყვრიმალძვლიანი პირისახისა, მოღუშული, რუხი წარბები და მომწვანო, პატარა თვალები ჰქონდა. უბრალოდ არ დაუწყია ლაპარაკი:

— უპირველეს ყოვლისა, გაგაცნობ, ტიხონ ილიჩ, — დაიწყო, როგორც კი ტიხონ ილიჩმა ჩაი დაუსხა, — გაგაცნობ ვინა ვარ მე, რომ იცოდე... — მან ჩაიცინა: — ვისთანა გაქვს საქმე...

ლაპარაკის დროს სჩვეოდა სიტყვების გამოკვეთა, წარბების აწევა, პიჯაკის ზედა ღილის შეხსნა და შეკვრა. ღილი რომ შეიკრა, განაგრძო:

— მე, ხომ ხედავ, ანარქისტი ვარ...

ტიხონ ილიჩმა წარბი შეხარა.

— ნუ შიშობ. პოლიტიკაში მე არ ვერევი. ფიქრს კი ვერავინ ამიკრძალავს. შენც არაფერი დაგიშავდება. ბეჯითად ვიმუშავებ, მაგრამ, პირდაპირ გეტყვი, — ხალხს ტყავს არ გავაძრობ.

— აღარც დროა სამაგისო, — ამოიოხრა ტიხონ ილიჩმა.

— რატომ, დრო არ შეცვლილა. ტყავის გაძრობა კიდევ შეიძლება, მაგრამ არა, არ ვარგა. მეურნეობას გავუძღვები, თავისუფალ დროს კი თვითგანვითარებას მოვანდომებ... წიგნების კითხვაა.

— ოჰ, მხედველობაში იქონიე: კითხვას აჰყვები — ვალებს ჩაჰყვები!—თქვა მან, თავი გააქნია და ტუჩები გამობურცა.— შენ დაიჯერე, არც არის ჩვენი საქმე.

— მე კი აგრე არ ვფიქრობ, — მიუგო კუზმამ. — მე, ძმაო, როგორ გითხრა? — უცნაური რუსი კაცი ვარ.

— მეც რუსი ვარ, მხედველობაში იქონიე, — ჩაურთო ტიხონ ილიჩმა.

— მაგრამ სხვა. არ მინდა ვთქვა, რომ შენზე უკეთესი ვარ, მაგრამ სხვა კი ხარ. აი, მე ვხედავ, ამაყობ რუსი ვარო. მე კი,

ძმაო, ოჰ, სულაც არა ვარ სლავოფილი! ბევრი მიდებ-მოდება რა საჭიროა და ერთს კი ვიტყვი: თუ ღმერთი გწამთ, ნუ იქებთ თავს, რომ რუსები ხართ! ველური ხალხი ვართ ჩვენ!

ტიხონ ილიჩი მოიღუშა და მაგიდაზე თითები დააკაკუნა.

— ეგ კი მართალია, — თქვა მან. — ველური ხალხი ვართ, შფოთიანი.

— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ. ვე, შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ ვიხეტიალე ქვეყნად, — რა მერე? — პირდაპირ არსად არ მინახავს ამაზე უფრო მოსაწყენი და ზანტი ხალხი. ხოლო ვინც არ ზარმაცობს, — ალმაცერად შეხედა კუზმამ ძმას, — ისიც არაფრის მაქნისია. იჭაჭება, ბუდეს იშენებს, მაგრამ რა გამოდის?

— როგორ თუ რა გამოდის? — ჰკითხა ტიხონ ილიჩმა.

— როგორ და ისე. ბუდის აშენებასაც ჭკუა უნდა. ბაიყუშივით მარტო ვიქნები, მაგრამ ადამიანურად კი ვიცხოვრებ; აი, ამით და ამით.

და კუზმამ გულსა და შუბლზე დაირტყა თითი.

— ჩვენ, ძმაო, ეტყობა, მაგის თავი არა გვაქვს, — თქვა ტიხონ ილიჩმა.

„იცხოვრე სოფლად, წუწუხა წვენი თქვლიფე და თქვლიფე, თან ქალამნები ცვითე და ცვითე!“

— ქალამნები! — ღვარძლინად შეეპასუხა კუზმა. — მეორე ათასეული წელია დავათრევთ, ძმაო, ამ ქალამნებს, სამგზის წყეულ იყვნენ ისინი. ვინ არის დამნაშავე? თათრებმა, გესმის, დაგვარბიეს! ჩვენ, გესმის, ახალგაზრდა ხალხი ვართ! ალბათ ევროპაშიც ცოტას არ ააოხრებდნენ — სხვადასხვა მონღოლები. გერმანელებიც არ უნდა იყვნენ ჩვენზე ხნიერნი... ჰო, ამაზე საგანგებოდ უნდა ილაპარაკოს კაცმა!

— მართალია! — თქვა ტიხონ ილიჩმა.—ჯობს საქმეზე ვისაუბროთ!

თუმცა კუზმამ მაინც განაგრძო:

— ეკლესიაში არ დავდივარ...

— მაშ მალაკანი ხარ? — ჰკითხა ტიხონ ილიჩმა და გაიფიქრა: „დავიღუპე! უნდა გავეცალო დურნოვკას!“

— არა, მალაკნის მსგავსი, — გაეცინა კუზმას. — ჰო, შენ

დადიხარ? შიში და გაჭირვება რომ არა, — სულაც დაივიწყებდი.

— რას იზამ, მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, შეეპასუხა სახემოღუშული ტიხონ ილიჩი. — ყველა სცოდავს. აკი ნათქვამიც არის: სულის ამოსვლისას ღმერთი ყველას შეუნდობსო.

კუზმამ თავი გააქნია:

— ისევ მოჰყევ ძველებურს,—უთხრა მან მკაცრად. — აბა დაუფიქრდი: განა ასე შეიძლება? მთელი სიცოცხლე კაცმა ღორობაში გაატაროს, სული ამოუვიდეს — და ყოველივე ერთბაშად გაქრეს! არის აქ რაიმე აზრი?

საუბარი მძიმე ხდებოდა. „ესეც მართალია“, — გაიფიქრა ტიხონ ილიჩმა, ელვარე თვალებით რომ მისჩერებოდა მაგიდას. მაგრამ, როგორც ყოველთვის, სურდა ღმერთზე და ცხოვრებაზე ფიქრსა და საუბარს მორიდებოდა და, რაც ენაზე მოადგა, ისა თქვა:

— სამოთხეში მოხვედრას რა სჯობს, მაგრამ ცოდვები არ მიშვებენ.

— აი, აი, აი! — სიტყვა ჩამოართვა კუზმამ და მაგიდაზე თითი დააკაკუნა. — ყველაზე საყვარელი, ყველაზე დამღუპველი თვისებაა ჩვენი: სიტყვა სხვაა, საქმე — სხვა! რუსული ჰანგია, ძმაო: ღორულად ცხოვრება ცუდია, მაგრამ მაინც ღორულად ვცხოვრობ და ვიცხოვრებო! აბა, ახლა საქმეზე ილაპარაკე...

იადონი გაჩუმდა. სახამროში ხალხი გროვდებოდა. ახლა უკვე ბაზრიდან გარკვევით ისმოდა, როგორ ქვითქვითებდა რომელიღაც დუქანში მწყერი. და, სანამ საქმეზე საუბრობდნენ, კუზმა ყურს უგდებდა მას და ხანგამოშვებით ხმადაბლა ამბობდა: „ყოჩაღ!“ ხოლო როცა შეთანხმდნენ, მაგიდას ხელი დაჰკრა და ომახიანად თქვა:

— მაშ ასე, — პირობას ნულარ გადავალთ! — პიჯაკის უბეში ხელი ჩაიყო, ქაღალდების მთელი დასტა ამოიღო, იქიდან ნაცრისფერყდიანი წიგნაკი გამოარჩია და ძმას წინ დაუდო.

— აი, — უთხრა მან. — ვემორჩილები შენს თხოვნას და

ჩემს სისუსტეს. წიგნაკი ცუდია, ლექსები მოუფიქრებელი, ძველი... მაგრამ რას იზამ. აბა, გამომართვი და შეინახე.

და ტიხონ ილიჩი კვლავ ააღელვა იმან, რომ მისი ძმა ავტორი იყო, რომ ამ ნაცრისფერ ყდაზე ეწერა: „კ. ი. კრასოვის ლექსები". წიგნაკი ხელში შეატრიალა და გაუბედავად თქვა:

— წაგეკითხა მაინც რამე... ა? ქენი სიკეთე, წაიკითხე სამოთხი ლექსი!

კუზმამ თავი ჩალუნა, პენსნე გაიკეთა, წიგნი შორს დაიჭირა და, შუშიდან პირქუშად გამომზირალმა, კითხვა დაიწყო. იგი კითხულობდა ლექსებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ეტანებოდნენ თვითნასწავლნი: ჰბაძავდა კოლცოვსა და ნიკიტინს, გამოთქვამდა ბედისა და გაჭირვების სამდურავს, ბრძოლად იწვევდა მთას მიფარებულ საავდრო ღრუბელს. მაგრამ გამხდარი სახე ეფაკლებოდა, ხანგამოშვებით ხმა უთრთოდა. ტიხონ ილიჩს თვალები უბრწყინავდა. მთავარი ის როდი გახლდათ, კარგი იყო თუ ცუდი ლექსები, — მთავარი ის იყო, რომ ისინი შეთხზა მისმა ღვიძლმა ძმამ, უბრალო ადამიანმა, რომლისგანაც წეკოსა და ძველი ჩექმების სუნი სცემდა...

— ჩვენ კი, კუზმა ილიჩ, — თქვა მან, როცა კუზმა გაჩუმდა, პენსნე მოიძრო და თავი ჩაჰკიდა, — ჩვენ კი ერთი სიმღერა გვაქვს...

მან უსიამოდ გამობურცა ტუჩი:

— ჩვენ ერთი სიმღერა გვაქვს: რა და რამდენად?

ძმა რომ დურნოვკაში დააბინავა, ტიხონ ილიჩს კიდევ უფრო ჩაუვარდა გულში ეს სიმღერა. სანამ ძმას დურნოვკის მმართველობას ჩააბარებდა, მან შარი მოსდო როდკას იმის გამო, რომ ძაღლებმა ახალი ჭაპანი შეუჭამეს, და სამუშაოდან დაითხოვა. როდკამ ამის პასუხად უტიფრად ჩაიცინა და მშვიდად გაემართა ქოხისაკენ, რათა იქიდან გადაბარგებულიყო. პატარძალიც თითქოს აუღელვებლად შეხვდა დათხოვნას, — რაც ტიხონ ილიჩს დაშორდა, კვლავ გულგრილად დუმდა და თვალებში აღარ უცქეროდა მას. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, როცა უკვე წასასვლელად მზად იყო, როდკა პატარძალთან ერთად მივიდა ტიხონ ილიჩთან, რათა პატიე-

ბა ეთხოვა. პატარძალი იდგა კარის ზღურბლთან, გაფითრებული, ტირილისაგან დასივებული ქუთუთოებით და დუმდა: როდკას თავი ჩაექინდრა, ქუდს ჰმუჭნიდა და ისიც ცდილობდა ეტირა, — საძაგლად იმანჭებოდა, ტიხონ ილიჩი კი იჯდა, წარბებს ათამაშებდა და საანგარიშოს აჩხაკუნებდა. მხოლოდ ერთ რამეში გამოიჩინა მოწყალება. ჭაპნის ფული არ დაუქვითა.

ახლა ის უდრეკი იყო. როდკას რომ იშორებდა და საქმეს ძმას აბარებდა, იგი თავს მხნედ და კარგად გრძნობდა: იმედი არა მაქვს მისი, ფუქსავატი კაცი ჩანს, მაგრამ არა უშავს, ჯერ-ჯერობით გამოდგებაო. ვორგოლში დაბრუნებული, შეუსვენებლივ ფუსფუსებდა მთელ ოქტომბრის თვეს. და, თითქოს გაუმართლაო, მთელ ოქტომბერში შესანიშნავი ამინდები დაიჭირა. მაგრამ უეცრად გაავდარდა, — დაიწყო ქარიშხალი, კოკისპირული წვიმები, ხოლო დურნოვკაში სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა.

ოქტომბერში როდკა რკინიგზაში მსახურობდა, პატარძალი კი შინ უსაქმოდ იჯდა; მხოლოდ ხანდახან მუშაობდა თხუთმეტ ან ოც კაპიკად საკარმიდამო ბაღში. უცნაურად იქცეოდა: სახლში დუმდა, ტიროდა, ხოლო ბაღში კი ძალზე მხიარული იყო, კისკისებდა, მღეროდა თხა-დონკასთან, თავქარიან ლამაზ ქალიშვილთან ერთად, ეგვიპტელს რომ ჩამოჰგავდა. თხა ცხოვრობდა ერთ მედაბურ კაცთან, რომელსაც ბაღი ჰქონდა დაქირავებული. პატარძალი, რატომღაც დაუმეგობრდა ამ ქალიშვილს, გამომწვევად უცქეროდა მის ძმას, უტიფარ ბიჭს და თან სიმღერით ანიშნებდა, რომ ვიღაცის სიყვარულით იდაგებოდა. რა ურთიერთობაში იყო მასთან, არავინ იცის, მაგრამ ეს ამბავი კი დიდი უბედურებით დამთავრდა: ყაზანის ღვთისმშობლის დღესასწაულის წინ ქალაქში გამგზავრებამდე მედაბურებმა კარავში „საღამო“ გამართეს, — მოიწვიეს თხა და პატარძალი, მთელ ღამეს ღრეობდნენ, პიტნის თაფლაკვერებს აჭმევდნენ მეგობარ ქალიშვილებს, ასმევდნენ ჩაის, არაყს, ხოლო გამთენიის ხანს, როცა უკვე ფორანი შეაბეს, უეცრად, ხარხარით, მთვრალი პატარძალი მიწაზე დასცეს, ხელები შეუკოჭეს, კაბა აუწიეს, თავზე წამოახურეს და თოკით შეუკრეს.

შეშინებული თხა გაიქცა და სველ შამბნარში დაიმალა, ხოლო როცა მედაბურებმა თავიანთი ფორნით ბაღიდან მოკურცხლეს და თხამ შამბნარიდან თავი გამოყო, დაინახა, რომ წელს ქვემოთ შიშველი პატარძალი ხეზე ეკიდა. მწუხარე, ნისლიანი განთიადი იყო, ბაღში წვიმა ცრიდა, კრიჭაშეკრული თხა ცრეჭლად იღვრებოდა, პატარძალს თოკს ხსნიდა და თან წარამარა იფიცებდა: უწინამც მიწა გამისკდება, სანამ სოფელი ბაღში მომხდარ ამბავს გაიგებდესო... მაგრამ ერთი კვირაც არ გასულა, რომ დურნოვკაში უკვე დაირხა ხმა პატარძლის შერცხვენის შესახებ.

ამ მითქმა-მოთქმის შემოწმება, ცხადია, შეუძლებელი იყო: ხახვით არავის უნახავს, თხას კი ასეთი რამეების მოჩმახვა ძვირად არ უღირდა. მითქმა-მოთქმას კი ბოლო არ უჩანდა; ყველანი მოუთმელად ელოდნენ როდის მოვიდოდა როდკა და როგორ გაუსწორდებოდა ცოლს. თავგზააბნეული ტიხონ ილიჩიც მღელვარებით ელოდა ამ ანგარიშსწორებას. — ბაღში მომხდარი ამბავი მას თავისი მოჯამაგირეებისაგან გაეგო. ხომ შეიძლებოდა ეს ამბავი მკვლელობით დამთავრებულიყო! მაგრამ იგი ისე დასრულდა, რომ კაცმა არ იცის რა უფრო განაცვიფრებდა დურნოვკას, — მკვლელობა თუ საქმის ამგვარი დაბოლოება. მიხეილობის წინაღამეს როდკა „პერანგის გამოსაცვლელად“ დაბრუნდა შინ და მუცლის გვრემას გადაჰყვა! ვორგოლში ეს ამბავი გვიან საღამოს გაიგეს, მაგრამ ტიხონ ილიჩმა მაშინვე ბრძანა ცხენი შეებათ და სიბნელესა და წვიმაში ძმისაკენ გაეშურა. ცხელ გულზე ჩაის ერთი ბოთლი ნაყენი დააყოლა, აღგზნებული, მკვირცხლი თვალები მიაპყრო ძმას და გამოუტყდა:

— ჩემი ბრალია, ძმაო, ჩემი!

კუზმა კარგა ხანს დუმდა. მის ლაპარაკს რომ მოუსმინა, დიდხანს მიმოდიოდა ოთახში, თითებს ათამაშებდა, იფშვნეტდა და სახსრებში ატკაცუნებდა. ბოლოს, სრულიად მოულოდნელად თქვა:

— აბა ერთი იფიქრე: განა არის ვინმე ჩვენს ხალხზე უფრო ულმობელი? ქალაქში ქურდბაცაცას, რომელმაც ფარდულიდან კაპიკის საღირალი კვერი მოიტაცა, ღორმუცელათა

მთელი ბრბო მისდევს და როცა დაეწევა, საპონს აჭმევს. ხანძრის თუ ჩხუბის საყურებლად მთელი ქალაქი გამორბის; მერე როგორ სწყდებათ გული, თუ ხანძარი ან ჩხუბი მალე დამთავრდა. თავს ნუ აკანტურებ: გული სწყდებათ! ვერე როგორ ტკბებიან, როცა ვინმე თავის ცოლს გვემით სიკვდილის პირამდე მიიყვანს, პატარა ბიჭს წკეპლის ცემით სულსა ხდის, ანდა მასხრად იგდებს. ეს ყველაზე სამხიარულო ამბავია.

— მხედველობაში იქონიე, — გაცხარებით მოუჭრა სიტყვა ტიხონ ილიჩმა, — თავხედები ყველგან და ყოველთვის ბევრნი იყვნენ.

— მაშ ეგრე. მაშ შენ თვითონ არ მოიყვანე ისა... რა ჰქვია? ის სულელი?

— მოტია ბატისტვინა? — ჰკითხა ტიხონ ილიჩმა.

— ჰო, ჰო... შენს თავშესაქცევად არ მოიყვანე?

ტიხონ ილიჩმა ჩაიცინა: მოიყვანა. ერთხელ რკინიგზით მოიყვანეს მოტია, — შაქრის კასრში იჯდა. უფროსობა მისი ნაცნობი იყო და—მოიყვანეს. კასრზე კი დაეწერათ: „მოერიდეთ. შუმი სულელია“.

— და ამ სულელებს თავშესაქცევად ჩუკნობას ასწავლიან! — მწარედ განაგრძობდა კუზმა. — საწყალ საპატარძლოებს ჭიშკარს კუპრით უთხვრიან! ღარიბ-ღატაკებს ცოფიან ძაღლებს უსევენ! სახურავიდან ქვებით ძირს აგდებენ მტრედებს და ამით ერთობიან! მტრედების შეჭმა კი, გესმის, დიდი ცოდვაა. თვით სულიწმიდა, გესმის, მტრედად გადაიქცევა ხოლმე!

სამოვარი დიდი ხანია გაცივდა, სანთელი ჩამოიღვენთა, ოთახში ლურჯი კვამლი იკმეოდა, ჯამი სავსე იყო მყრალი, სველი ნამწვებით. ვენტილატორი, — ფანჯრის ზედა კუთხეში დატანებული თუნუქის მილი, — ღია იყო, ხანდახან შივ რაღაც ტრიალებდა და სევდისმომგვრელად წრიპინებდა. „სათემო მმართველობაშიც ასეა“, — ფიქრობდა ტიხონ ილიჩი. მაგრამ იმდენი თამბაქო მოეწიათ, რომ ათი ვენტილატორიც ვერ უშველიდათ. სახურავზე წვიმა შხაპუნობდა, ხოლო კუზმა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში მოუსვენრად დადიოდა და ამბობდა:

— ჰო-ო, რა ეთქმის კაცს, კარგია! აუწერელი სიკეთეა! ისტორიას წაიკითხავ — თვა ყალყზე დაგიდგება: ძმა ძმას არ ინდობს, მძახალი — მძახალს, შვილი — მამას, მუხანათობა და მკვლელობა, მკვლელობა და მუხანათობა... თქმულებები ხომ მთელი სიამოვნებაა: „განურღვია მან მკერდი თეთრი“, „ნაწლავები გადმოაყრევინა“... ილიამ თავის ღვიძლ ქალიშვილს „მარცხენა ფეხზე ფეხი დაადგა, მარჯვენაში ხელი სტაცა და გახლეჩა დაუპირა“... ახლა სიმღერები? სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე: დედინაცვალი — „ავი და ანჩხლი“, მამამთილი — „ბოროტი და შარიანი“, „ჩამომჯდარა ფიცარნაგზე, ქოფაკივით იღრინება“, დედამთილიც ასევე „ბოროტია“, „არ შორდება ღუმელს, და სუყველას უღრენს“, რძლები — უთუოდ „ლაქლაქები და მიზეზიანები“, მაზლები — „ენამწარე მქირდავნი“, ქმარი — „ან სულელი ან ლოთი“, „მამამთილი — შამილო მის ცემას არ თაკილობს, არ აჯერებს ამ ყოფას, ბოლოს ოთხშიც ამოჰყავს“, ხოლო რძალი მამილოს „მოურეცხავს იატაკს, ნარეცხს ურევს შეჭამანდა, დერეფანში ლაფს ლესავს — გამოუცხობს ღვეზელსა“, ქმარს კი ასეთი სიტყვებით მიმართავს: „ადე, ოხერო, ნუ გძინავს, ნარცხი ისხურე პირსაო, ფეხსახვევს იხმარ სახოცად, აგრემც მოიტეხ კინჩხსაო“... ახლა ჩვენი ოხუნჯობა, ტიხონ ილიჩ! განა ამაზე ბინძურსა და უწმაწურ რამეს მოიგონებს კაცი! ახლა ანდაზები „ერთ ჭკვიანს ორი სულელი სჯობიაო“... „ალალმართლობა ქურდობაზე უარესიაო“...

— ესე იგი, შენ რომ გკითხოს კაცმა, მათხოვრული ცხოვრება სჯობს? — დამცინავად შეეკითხა ტიხონ ილიჩი.

კუზმამ მხიარულად მიუგო:

— ჰოო, მეც მანდა ვარ! მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება ჩვენზე შიშველ-ტიტველი ხალხი და არც ისეთი, რომელსაც სიღატაკე ჩვენზე უფრო ათავხედებდეს. ყველაზე მეტად რით მოუწამლავ კაცს გულს? სიღატაკით! „ოხერო! რა ჩაგახეთქო, რაც არა მაქვსო...“ დენისკასი არ იყოს... დენისკა... აი, ის... მგელკაცას ბიჭი რომაა... მეწაღე... ამასწინათ მეუბნება...

— მოიცა. — სიტყვა გააწყვეტინა ტიხონ ილიჩმა, — თვითონ მგელკაცა როგორღა არის?

— დენისკა ამბობს, — შიმშილით კუჭი უხმებაო.

— ურცხვი გლეხკაცია! — დაბეჯითებით თქვა ტიხონ ილიჩმა. — უშენოდაც კარგად ვიცნობ.

— მე იმაზე არც გელაპარაკები, — გაბრაზებით მიუგო კუზმამ. — ჯობს დენისკას ამბავი მოისმინო. ჰოდა, ასე მიამბო: „ზოგჯერ, შიმშილობის წელიწადს, გამოვიდოდით ჩვენ, ქარგლები, ჩორნაია სლობოდაში, იქ კი მეძავი ქალები ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდებოდნენ. მერედა, რა დამშეულები იყვნენ ის ოხრად დასარჩენები! გასამრჯელოდ ნახევარ გირვანქა პურს მისცემდი, და ისიც შენთან ხვევნაში სულ მთლად შეხეთქავდა... სიცილით ვიხოცებოდით!.. გაიგე! — მკაცრად შესძახა კუზმამ და შეჩერდა: — სიცილით ვიხოცებოდით!

— მოიცა ერთი, თუ ღმერთი გწამს, — კვლავ შეაწყვეტინა ტიხონ ილიჩმა, — ორიოდ სიტყვა მაინც მათქმევინე ჩვენ საქმეზე!

კუზმამ ლაპარაკი შეწყვიტა.

— ჰო, თქვი, — უთხრა მან, — რა გაქვს სათქმელი? რა უნდა ჰქნა? არაფერი! ფული უნდა მისცე — მორჩა და გათავდა. აბა იფიქრე: არც საწვავი აქვს, არც სასმელ-საჭმელი, დასამარხავი ფულიც არ აბადია! მერე კი ისევ დაიქირავე. ჩემთან იყოს მზარეულად...

ტიხონ ილიჩი, სანამ ინათებდა, მანამ გაუდგა შინისაკენ გზას. ცივი, ნისლიანი დილა იყო. ჰაერში სველი თივისა და კვამლის სუნი ტრიალებდა. ნისლით შებურვილ სოფელში ხრინწიანად ყიოდნენ მამლები, პარმაღთან ეძინათ ძაღლებს, ეძინა ბებერ ინდაურს, რომელსაც სახლის ახლო ვაშლის ხის ნახევრად შიშველ, შემოდგომის მკვდარი ფოთლებით შეფერადებულ ხმელ ტოტზე მოეკალათნა. მინდორში ქარის მიერ მოდენილი სქელი, რუხი ნისლი ჩამოწოლილიყო და ორ ნაბიჯზეც კი ვერაფერს გაარჩევდა კაცი.

ტიხონ ილიჩს არ ეძინებოდა, მაგრამ დაქანცული იყო და, როგორც ყოველთვის, სწრაფად მიაქანებდა კუდაკრულ წაბლისფერ ფაშატს; ცხენი სირბილით გახვითქულიყო და უფრო გამხდარი, კოხტა და მუქი ჩანდა. ტიხონ ილიჩმა ქარს თავი

მოარიდა, მარჯვენა მხარეს წვიმის წვრილი წვეთებით სულ მთლად შევერცხლილი ხიფთანის ციცი და სველი საყელო აიწია და წამწამებზე დაკიდებულ ცივ წვეთებს მიღმა უყურებდა, რა სქლად ედებოდა ბლანტი შავი მიწა სწრაფად მსრბილ თვლეს, როგორ იდგა მის წინ ტალახის შადრევანი, რომლის შხეფები მაღლა იტყორცნებოდნენ და ჩექმის ყელებზე ეწებებოდნენ, ალმაცერად შესცქეროდა ცხენის ღონიერ ბარძაყს, მის გადაკუსულ, ნისლით დაფარულ ყურებს... ხოლო როცა მან, ტალახით სახეაჭრელებულმა, როგორც იქნა, სახლამდე მიაგელვა ეტლი, პირველი, რაც თვალში ეცა, იყო იაკობის ცხენი, რომელიც საბმურთან იდგა. ტიხონ ილიჩმა სწრაფად შემოახვია სადავე კოფოს, ეტლიდან ჩამოხტა, დუქნის ღია კართან მიირბინა — და შიშნაკრავი შედგა.

— უტვი-ნო! — ამბობდა დახლს იქით მდგარი ნასტასია პეტროვნა, რომელიც, ეტყობა, ტიხონ ილიჩს ბაძავდა, თუმცა ხმა სუსტი და ალერსიანი ჰქონდა. ის თანდათან უფრო იხრებოდა ფულიანი უჯრისაკენ, ჩხრიალა შავ ფულებში ხელს აფათურებდა და, სიბნელეში ხურდას რომ ვერ პოულობდა, კვლავ იმეორებდა: — უტვინო! აბა სად იყიდება ნავთი ამაზე იაფად?

ხურდა რომ ვერ იპოვა, წელში გაიმართა, შეხედა ქუდსა და არმიაკში გამოწყობილ ფეხშიშველა იაკობს, რომელსაც უსწორმასწოროდ შეკრეჭილი, რაღაცნაირი ფერის წვერი ჰქონდა, და დაუმატა:

— ხომ არ მოწამლა იმ ქალმა?

იაკობმა აჩქარებით წაიდუდუნა:

— ეგ ჩვენი საქმე არ არი, პეტროვნა... ჭირსაც წაუღია მისი თავი... ჩვენი საქმეა განზე ვიდგეთ... განზე...

ტიხონ ილიჩს მთელ დღეს ხელები უკანკალებდა, როცა ეს დუდუნი გაახსენდებოდა. ყველა, ყველა ფიქრობს, რომ მოწამლა!

იღბლად, საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა: როდაც დამარხეს, პატარძალი მოთქმით აკილებდა კუბოს, ისე გულამოსკვნით ტიროდა, რომ ბევრს უზრდელობადაც მოეჩვენა,—მოთქმით ტირილი ხომ გრძნობის გამოსახატავად არ ხდება, იგი

წესის აღსრულებას ემსახურებაო, — და ტიხონ ილიჩსაც ცოტად თუ ბევრად დაუმშვიდდა შეშფოთებული სული.

ამასთანავე ათასი სადავიდარაბო საქმე ჰქონდა, მომხმარე კი არავინ იყო. ნასტასია პეტროვნა ცოტას ეხმარებოდა. მოჯამაგირეებად ტიხონ ილიჩს მხოლოდ „დროებითი“ ხალხი ჰყავდა საშემოდგომო აღებამდე. ისინიც წავიდ-წამოვიდნენ. დარჩნენ მარტო წლიურად მომუშავენი, — მზარეული ქალი, მოხუცი დარაჯი, რომელსაც მეტსახელად კოპტონას ეძახდნენ, და ოსკა ბიჭი, „ღვთის გლახა“. მარტო საქონელი რამდენ ზრუნვას მოითხოვდა! ოცი ცხვარი გამოსაზამთრებელი იყო. ბოსელში ემწყვდიათ ექვსი შავი, ნიადაგ მოღუშული და რაღაცით უკმაყოფილო ტახი. ბოსელში ჰყავდათ სამი ძროხა, მოზვერი და დეკეული. ეზოში იყო თერთმეტი ცხენი, ახორზე კი სისვა ულაყი ედგათ — ავი, მძიმე, ვრძელფაფარა, მკერდგამობურცული, — კეთილშობილი ჯიშისა არ იყო, მაგრამ ოთხასიოდე მანეთი კი ღირდა. მამამისს ატესტატი ჰქონდა, ათას ხუთას მანეთად ფასობდა. ყველაფერ ამას თვალყურის დევნება სჭირდებოდა.

ნასტასია პეტროვნა დიდი ხანია აპირებდა ქალაქში ნაცნობებთან სტუმრობას: ბოლოს, როგორც იქნა, მოემზადა და გაემგზავრა. ცოლი რომ გააცილა, ტიხონ ილიჩი უმიზნოდ დაეხეტებოდა მინდორში. ამ დროს შარაგზაზე გამოიარა მხარზე თოფგადაგდებულმა ულიანოვკის საფოსტო განყოფილების უფროსმა სახაროვმა, რომელიც ისე მძვინვარედ ეპყრობოდა გლეხებს. რომ ისინი ამბობდნენ: მიაწვდი წერილს და — ხელფეხი გიკანკალებსო! ტიხონ ილიჩი გზაზე შეხვდა მას. მან წარბი ასწია, შეხედა და გაიფიქრა:

„სულელი ბერიკაცია! ნეტავ რას ზელს ამ ტალახს!“

და მეგობრულად შესძახა:

— სანადიროდ ყოფილხარ, ანტონ მარკიჩ?

ფოსტის მოხელე შედგა. ტიხონ ილიჩი მივიდა და მიესალმა.

— რა ნადირობა, რის ნადირობა! — უპასუხა მოღუშულმა ფოსტის მოხელემ, რომელსაც ყურები და ცხვირის ნესტოები ხშირი რუხი თმით დაჰფარვოდა, წარბები შუბლზე შემორკა-

ლოდა და თვალები ღრმად ჩასცვივნოდა. — ისე გავისეირნე, შემაწუხა ამ ბუასილმა, — თქვა მან და განსაკუთრებით მკაფიოდ გამოთქვა უკანასკნელი სიტყვა.

— მხედველობაში იქონიეთ, — მოულოდნელი სიცხარით შეეხმიანა ტიხონ ილიჩი და გაპარჭყულთითებიანი ხელი გაიშვირა, — მხედველობაში იქონიეთ, სულ დაცარიელდა ჩვენი მხარე! ყველაფერი გაწყვა — ფრინველები, ცხოველები!

— ტყეები ყველგან გაჩეხეს, — თქვა ფოსტის მოხელემ.

— მერედა, როგორ! როგორ გაჩეხეს! პირწმინდად! — მიუგო ტიხონ ილიჩმა.

და მოულოდნელად დასძინა:

— იქუცება! ყველაფერი იქუცება!

თუ რატომ წამოსცდა ეს სიტყვა, ტიხონ ილიჩმა თვითონაც არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა კი, რომ ტყუილ-უბრალოდ არ იყო ნათქვამი. „ყველაფერი იქუცება, — ფიქრობდა ის,— აი, როგორც პირუტყვმა იცის ხანგრძლივი და მძიმე ზამთრის შემდეგ...“ ფოსტის მოხელეს რომ დაემშვიდობა, ტიხონ ილიჩი დიდხანს იდგა შარაგზაზე და უკმაყოფილოდ იყურებოდა გარშემო. ისევ წინწკლავდა, უსიამო სველი ქარი ქროდა. ტალღოვან მინდვრებზე — საშემოდგომო ნათესებზე, ხნულებზე. ნამკალზე და ჭალებზე ბინდი წვებოდა. მოღუშული ცა სულ უფრო და უფრო ეშვებოდა მიწისაკენ. კალისფრად ბრწყინავდნენ წვიმით გადარეცხილი გზები. მოსკოვისაკენ მიმავალ საფოსტო მატარებელს ელოდნენ სადგურზე; იქიდან სამოვრის სუნი მოდიოდა და ეს აღვიძებდა სინანულით აღსავსე წადილს მყუდროებისა, თბილი სუფთა ოთახისა, ოჯახისა...

ღამით კვლავ წვიმდა, ისეთი სიბნელე იყო, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ტიხონ ილიჩს ცუდად ეძინა: სიმწრით აღრჭიალებდა კბილებს. ტანში აჟრჟოლებდა, — საღამოს რომ შარაგზაზე იდგა, მაშინ თუ გაცივდა, — ხიფთანი, რომელიც ეფარა, ძირს ჩამოუცოცდა და ამ დროს ესიზმრა ის, რაც ბავშვობიდანვე ესიზმრებოდა ხოლმე, როცა ღამღამობით ზურგში შესცივდებოდა: ბინდბუნდი, რაღაც ვიწრო შესახვევები, სირბილით მომავალი ბრბო; მძიმე ფორნებითა და შავი

სინიბებით მომქროლავი მეხანძრეები... ერთხელ გამოერკვა, ასანთს გაჰკრა, მაღვიძარა საათს შეხედა,—სამს უჩვენებდა,— ხიფთანი აიღო და, ხელახლა რომ იძინებდა, შიში შეეპარა: ღუქანს გაქურდავენ და ცხენებსაც წაასხამენო...

ხან ეჩვენებოდა, რომ დანკოვოს ფუნდუკში იყო, რომ ღამის წვიმა ალაყაფის კარების საჩიხზე შხაპუნობდა და მის თავზე ხანგამოშვებით წკარუნობდა ზარი, — მოვიდნენ ქურდები, ამ უკუნ სიბნელეში მისი ულაყი მოიყვანეს და, თუ გაიგეს, რომ ის აქ არის, მოკლავენ... ზოგჯერ კვლავ უბრუნდებოდა სინამდვილის შეგრძნება, მაგრამ ეს სინამდვილეც შიშის ზარს სცემდა. მოხუცი დარაჯი დადიოდა ფანჯრებს ქვემოთ პატარა ჩაქუჩით ხელში, მაგრამ ხან ეჩვენებოდა, რომ ის სადღაც შორს, ძალიან შორს იყო, ხან ვითომ ბუიანი ღავღავით გლეჯდა ვიღაცას, გაშმაგებული ყეფით გარბოდა მინდორში, უეცრად კვლავ გამოჩნდებოდა ფანჯრებს ქვეშ და აღვიძებდა, ერთ ადგილას მდგარი, ჯიუტად ყეფდა. მაშინ ტიხონ ილიჩი დააპირებდა შინიდან გამოსულიყო, ენახა, — რა მოხდა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. მაგრამ როგორც კი გაბედავდა და ადგომას დააპირებდა, ბნელ ფანჯრებზე ისე აშხაპუნდებოდა მსხვილი, ალმაცერი წვიმა, რომელსაც ქარი ბნელი, უსასრულო მინდვრებიდან ერეკებოდა, რომ ახლა ყველაზე სანუკვარი ხდებოდა ძილი...

ბოლოს გაიჯახუნა კარმა, შეშოიჭრა ტენიანი სიცივე,—დარაჯმა კოპტონამ წინაოთახში ჩალის კონა შემოაშრიალა. ტიხონ ილიჩმა თვალი გაახილა. დანამული ფანჯრებიდან მქრქალი შუქი იჭრებოდა.

— გააჩაღე, გააჩაღე, ძმავ, — ნამძინარევი, ხრინწიანი ხმით უთხრა ტიხონ ილიჩმა, — მერე საქონელს საქმელი დავუყაროთ და დაიძინე.

ბერიკაცი, რომელიც ღამის განმავლობაში უფრო გამხდარიყო, სიცივისა და დაღლილობისაგან სულ ბალად გალურჯებული, ჩაცვივნული, უსიცოცხლო თვალებით მიაჩერდა. სველი ქუდი ეხურა, ტანთ სველი, მოკლე ხიფთანი ეცვა, ფეხებზე კი წყლითა და ტალახით გაჟღენთილი, დაგლეჯილი ქა-

ლამნები. რაღაც წაიბუზღუნა, ძლივძლივობით ჩაიმუხლა ღუმელთან, შიგ ცივი, სურნელოვანი ძნა შეტენა და კვარით ცეცხლის გაჩაღება დაიწყო.

— ძროხამ ხომ არ მოგაჭამა ენა? — ხრინწიანი ხმით შეუყვირა ტიხონ ილიჩმა ლოგინიდან ჩამოსვლისას. — რა გაბუზღუნებს!

— მთელი ღამე ვეთრიე, ახლა — საქონელს საჭმელი დაუყარე! — ჩაიბუზღუნა ბერიკაცმა, ისე რომ თავი არ აუწევია, გეგონება საკუთარ თავს ელაპარაკებაო.

ტიხონ ილიჩმა ალმაცერად შეხედა.

— ვიცი, სადაც დაეთრეოდი!

ტიხონ ილიჩმა ჩაიცვა, მუცლის ოდნავი გვრემა დაძლია, ოთახის კარი გააღო და ჯანღიანი დილის სუსხით მოცულ წინკარში გავიდა. ირგვლივ ტყვიისფერი ტბორები იდგა, წვიმისაგან ყველა კედელი ჩაქუფრულიყო. ოდნავ ცრიდა; ალბათ სამხრობისას კვლავ დასცხებსო, — გაიფიქრა მან და გაკვირვებით შეხედა ბანჯგვლიან ბუიანს, რომელიც კუთხიდან გამოქანდა და შეეგება: თვალები უბრწყინავს, ენა ცეცხლივით წითელი აქვს, მხურვალე სუნთქვას ფსუტის სუნი სდევს თან... ეს მაშინ, როცა მთელ ღამეს ღარბოდა და ყეფდა!

ბუიანს საყელოში ხელი მოჰკიდა, ტალახში წატყაპუნდა და ყველა კლიტე დაათვალიერა. მერე ბეღლის ქვეშ მიაბა ჯაჭვზე, წინკარში შემობრუნდა და დიდ სამზარეულოში, ქოხში შეიხედა. ქოხში თბილოდა და მყრალი სუნი იდგა; მზარეულ ქალს შიშველ სკამლოგინზე ეძინა, სახეზე წინსაფარი დაეხურა, თეძო გამოეშვირა, მუცლამდე მოღუნულ ფეხებზე ეცვა ძველი თექის ჩექმები, რომლის ძირებს მიწურიატაკზე სიარულისაგან სქლად მოსდებოდა ტალახი; ოსკა ტახტზე იწვა, კურტაკი და ქალამნები ეცვა, თავი ჭუჭყიან, მძიმე ბალიშში ჩაერგო.

„შეაცდინა ეშმაკმა ყრმა! — ზიზღით გაიფიქრა ტიხონ ილიჩმა. — ხედავ, მთელ ღამეს გარყვნილებას ეწეოდა, გამთენიისას კი დუქანში შეძვრება!“

თვალი მოავლო ჩაშავებულ კედლებს, პატარა ფანჯრებს,

ნარცხით სავსე გეჯას, უზარმაზარ, განიერ ღუმელს და მკაცრად შეჰყვირა:

— ჰეი! ბატონო ბოიარებო! სინდისიც კარგი საქონელია!

სანამ მზარეული ღუმელს ახურებდა, ტახებს კარტოფილს უხარშავდა და სამოვარს აჩაღებდა, თავშიშველი ოსკა ცხენებსა და ძროხებს აპურებდა. ტიხონ ილიჩმა თვითონ გაძოალო ბოსლის ჭრიალა კარი და პირველი შეეიდა ამ თბილ, ჭუჭყიან, მყუდრო სადგომში, რომელსაც საჩიხები, ბაგები და საღორეები ჰქონდა შემოვლებული. ბოსელი კოჭებამდე იყო მონეხვილი: ნაკელი, შარდი, წვიმის წყალი ერთმანეთში არეულიყო და სქელი, ყავისფერი ტლაპო წარმოეშვა. ზამთრის მუქ ხავერდოვან ბალნიანი ცხენები საჩიხების ქვეშ დაეხეტებოდნენ. ჭუჭყიანი ნაცრისფერი ცხვრები ერთ ადგილას მიკუნჭულიყვნენ. ბებერი ქურანი ლაფშა განმარტოებით თვლემდა ცომით ფოსვრილ ცარიელ ახორზე. მოღუშული, ჯანღიანი ცა წვიმას ასხურებდა ეზოს. ტახები ჭირვეულად ჭყვიროდნენ საღორეში.

„მოწყენილობაა!“ — გაიფიქრა ტიხონ ილიჩმა და მაშინვე მძვინვარედ დაუღრიალა ბერიკაცს, რომელსაც ძნის კონა მოეჭონდა:

— რაღა ტალახში გამოატარე, რეგვენო!

ბერიკაცმა ძნა ძირს დააგდო, ტიხონ ილიჩს შეხედა და უცებ წყნარად უთხრა:

— რეგვენისა ხმა მესმის.

ტიხონ ილიჩმა სწრაფად მიიხედ-მოიხედა,— გამოვიდა თუ არა ბიჭიო, — და როცა დარწმუნდა, რომ ბიჭი იქ აღარ იყო, სწრაფად და თან თითქოს მშვიდად მივიდა ბერიკაცთან და ისე ჩასცხო კბილებში, რომ მოხუცი შეტორტმანდა. ჩაავლო ქეჩოში ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ალაყაფის კარებისაკენ უბიძგა.

— მომშორდი თავიდან! — შეჰყვირა მან, სულშეგუბებულმა და გაფითრებულმა. — დღეის იქით შენი ფეხი არ იყოს აქ, შე არამზადავ!

ბერიკაცი ალაყაფის კარებიდან გავარდა და ხუთი წუთის შემდეგ ზურგზე ტომარამოკიდებული, ჯოხით ხელში, უკვე

შარაგზაზე შინისაკენ მიაშიჯებდა. ტიხონ ილიჩმა აკანკალებული ხელებით დააპურა ულაყი, ახალი შვრია დაუყარა, რადგან გუშინდელი მხოლოდ გაექექა და დაედორბლა, გრძელი ბაიიჯეთით ძლივს დააღწია თავი ტლაპოსა და ნეხვს და ქოხისაკენ გაემართა.

— მზად არის? — იკითხა კარის შეღებისთანავე.

— მოესწრები! — მკვახედ მიუგო მზარეულმა.

ქოხში თბილი ოხშივარი იდგა, რომელიც თუჯიაში ჩაყრილ კარტოფილს ასდიოდა. მზარეული, ყრმასთან ერთად, სუთით გაშმაგებით ქნიდა კარტოფილს, შიგ ფქვილს ურევდა, და ტიხონ ილიჩმა ამ ხმაურში პასუხი ვერ გაიგონა. კარი ვაიჯახუნა და ჩაის დასალევად წავიდა.

პატარა წინაოთახში შესვლისას ფეხი გაჰკრა ჭუჭყიან მძიმე ჩულს, ზღურბლთან რომ ეგდო, და შემდეგ გაემართა კუთხისაკენ. სადაც იდგა ტაბურეტი მოკალული ტაშტით, რომლის თავზეც მიჭედებული იყო სპილენძის პირსაბანი. ხოლო ჯოხზე კი გათითხნილი ქოქოსის საპნის პატარა ნაჭერი იდო. ტიხონ ილიჩი პირსაბანს ახმაურებდა, იბღვირებოდა, ბრაზით სავსე თვალებს აცეცებდა, წარბებს ათამაშებდა, ნესტოებს ბერავდა და განსაკუთრებულად გარკვევით ამბობდა:

— აი, ესეც შენი მოჯამაგირეები! ერთ სიტყვას ეტყვი, ათს მოგახლიან! ათს ეტყვი — ასს მიიღებ! მეც ვროშავ, რაღა! ზაფხული არ არის, თორემ მაშინ კი ბევრი იქნებით, თქვე ოხრებო! არა უშავს. ზამთარში სათქვლეფს რომ ვერ იშოვი, კარზე მომადგები, ძაღლისშვილო, მო-ხვა-ალ, და-მი-ჩოქებ!

პირსაბნის გვერდით ჯერ კიდევ მიხეილობა დღიდან ეკიდა სახოცი. იგი ისე გაცრეცილიყო, რომ ტიხონ ილიჩმა, შეხედა თუ არა, კბილები გააღრჭიალა.

— ოჰ! — თქვა მან, თვალებზე ხელები აიფარა და თავი გააქნია. — ოჰ, დედაო ღვთისაე!

წინაოთახში ორი კარი იყო. ერთი გადიოდა მარცხნივ, ჩამოსული ხალხის მისაღებ, გრძელ, თითქმის ჩაბნელებულ ოთახში, რომელსაც პატარა ფანჯრები ჰქონდა; იქ იდგა ორი დიდი დივანი, ქვასავით მაგარი, შავმუშამბაგადაკრული, რომელიც სავსე იყო როგორც ცოცხალი, ისე გაჭყლეტილი და

გამოფიტული ბაღლინჯოებით, ხოლო ტიხარზე ეკიდა გაბანჯგვლულქილვაშეაიახი გენერლის სურათი, რომელსაც გარს შემოვლებოდნენ რუსეთ-თურქეთის ომის გმირთა სურათები, ხოლო ქვემოთ წარწერილი იყო: „დიდხანს ემახსოვრებათ ჩვენს შვილებსა და სლავ მოძმეთ დიადი საქმე, თუ ჩვენმა მამებმა, გულადმა მებრძოლებმა, როგორ გაანადგურეს სულეიმან-ფაშა, დაამარცხეს ვერაგი მტერი და გადალახეს თავის შვილებთან ერთად ციცაბო კლდეები, სადამდეც მხოლოდ ნისლი და ფრთოსანი მეფეები თუ აღწევდნენ“. მეორე კარი ბატონიანთ ოთახში გადიოდა. იქ, მარჯვნივ, კარის გვერდით, ბრწყინავდა შუშებიანი ჭურჭლის კარადა, მარცხნივ კი თეთრად ქათქათებდა ღუმელ-საწოლი; ღუმელი ოდესღაც გაბზარულა, მერე თიხით შეულესავთ — და გამოსულა გამხდარი, დასახიჩრებული კაცის მსგავსი რაღაც, ჭირივით რომ სძულდა ტიხონ ილიჩს. ღუმელის თავზე ეკიდა საწოლი ორი კაცისათვის; საწოლს ზემოთ გაკრული იყო მწვანე და აგურისფერი შალისძაფით ნაქსოვი ხალიჩა, რომელზედაც ულვაშებიანი, ყურებაცქვეტილი კატის მსგავსი ვეფხვი იყო გამოსახული. კარის პირდაპირ, კედელთან იდგა სუზანგადაფარებული კომოდი, მასზე ნასტასია პეტროვნას საქორწინო ზარდახში იდო...

მზარეულმა ქალმა კარი გამოაღო და შეჰყვირა: — დუქანში გასწი!

შორეთი ნისლმა მოიცვა, თითქოს კვლავ ბინდი ჩამოწვაო. წვიმა ცრიდა, მაგრამ ქარი გამოიცვალა. ახლა ჩრდილოეთიდან დაჰბერა და აგრილდა. უფრო მხიარულად და მკღერი ხმით, ვიდრე ამ უკანასკნელ ხანს, იკივლა სადგურიდან გამავალმა საბარგო მატარებელმა.

— გამარჯობა, ილიჩ, — უთხრა კურდღლისტუჩა გლეხმა, პარმაღთან ამლაყი ცხენი რომ ეჭირა საბავით, და მანჯურიული ფაფახი მოუხადა.

— გაგიმარჯოს, — მიუგო ტიხონ ილიჩმა, თან თეთრ კბილზე მიაჩერდა, რომელიც გლეხს ორად გაყოფილი ტუჩიდან უელავდა. — რა გინდა?

სწრაფად გაატანა მარილი და ნავთი და სწრაფადვე შემობრუნდა ოთახში.

— პირჯვრის გამოსახვას არ გაცლიან ეს ძაღლები!—ბუზღუნებდა ოთახისაკენ მიმავალი.

სამოვარი, რომელიც ტიხრის ახლოს მაგიდაზე იდგა, ჩუხჩუხებდა, და მაგიდის თავზე დაკიდებულ სარკეს თეთრი ორთქლი მოჰფენოდა. შეორთქლილიყო ფანჯრებიც, აგრეთვე სარკის ქვეშ გაკრული ოლეოგრაფია, — ყვითელ ხიფთანსა და წითელ ტარსიკონის ჩექმებში გამოწყობილი გოლიათი, რუსეთის დროშით ხელში, რომლის იქით კოშკებითა და ქონგურებით მოჩანდა მოსკოვის კრემლი. ამ სურათს ნიჟარის ჩარჩოებში ჩასმული ფოტოგრაფიული სურათები ჰქონდა შემოვლებული. ყველაზე საპატივცემო ადგილას ეკიდა განთქმული მღვდლის სურათი; მღვდელს მუარის ანაფორა ეცვა, თხელი წვერი, შეშუპებული ლოყები და პატარა, გამჭოლავი თვალები ჰქონდა. მისმა შემხედვარე ტიხონ ილიჩმა გულმოდგინედ გადაიწერა პირჯვარი კუთხეში მდგომ ხატთან. მერე სამოვრიდან გამჭვარტლული ჩაიდანი გადმოიღო და დაისხა ჭიქა ჩაი, რომელსაც ორთქლში დამბალი ცოცხის სუნი უდიოდა.

„პირჯვრის გამოსახვას არ გაცლიან. — ფიქრობდა იგი და ტანჯულივით იჭმუხნებოდა. — სული ამომხადეს, დასწყევლოს ღმერთმა!“

თითქოს რაღაც უნდოდა გაეხსენებინა, მოესაზრებინა ან კიდევ დაწოლილიყო და რიგიანად გამოეძინა. სურდა სითბო, სიმშვიდე, სინათლე და სიმყარე აზრისა. ის ადგა, მივიდა ჭურჭლის კარადასთან, რომელიც ჭურჭლიანად შეზანზარდა, თაროდან გადმოიღო ჭნავის არაყი და ბუკუნა ჭიქა, რომელზედაც ეწერა: „სასუმურითა მით ბერთაცა შესუან“...

— ხომ არ გინდა? — ხმამაღლა თქვა მან.

დაასხა, დალია, კიდევ დაასხა, კიდევ დალია. მერე სქელი კრენდელი ჩაატანა და სუფრას მიუჯდა.

ლამბაქიდან ხარბად ხვრეპდა ცხელ ჩაის და ენაზე დადებულ შაქრის ნატეხს წუწნიდა. ჩაის ხვრეპისას დაბნეულად და ეპვის თვალით ალმაცერად გასცქეროდა ტიხარს, ყვითელ

ხიფთანში გამოწყობილ გლეხს, ნიჟარის ჩარჩოიან სურათებს და თვით მუარის ანაფორიან მღვდელსაც.

„აბა ჩვენ, ღორებს, ლერიგიასთან რა ხელი გვაქვს!“ — გაიფიქრა მან და, თითქოს ვიღაცის წინაშე თავს იმართლებსო, უხეშად დაუმატა: — იცხოვრე სოფლად, წყალწყალა წვენი თქვლიფე და თქვლიფე!

როცა მღვდელს უყურებდა, გრძნობდა, რომ ყველაფერი საეჭვოა... მგონი, მღვდლისადმი ეს მოკრძალებაც კი... საეჭვო და უაზროა, კარგად რომ დაუფიქრდეს კაცი... მაგრამ აქ მან მოსკოვის კრემლზე გადაიტანა მზერა.

— აბა როგორ არ უნდა მრცხვენოდეს! — წაიდუდუნა მან, — მოსკოვში ჩემ დღეში არა ვყოფილვარ!

ჰო, არ ყოფილა. რატომ? ტახები არ რთავენ ნებას! ჯერ იყო და მეწვრილმანეობას გადაჰყვა, მერე — ფუნდუკსა და სახამროს. ახლა არის და კვიცი და ტახები არ უშვებენ. მოსკოვი კი არა — შარაგზის გადაღმა რომ არყნარია, იქ წასასვლელად ათ წელს ემზადებოდა და ისიც ამაოდ. მუდამ აპირებდა როგორმე მოეხელთებინა თავისუფალი საღამო, წაეღო თან ხალიჩა, სამოვარი, მჯდარიყო ბალახზე, სიგრილეში, სიმწვანეში — ვერა და ვერ იხელთა დრო... როგორც წყალი თითებს შუა, ისე იპარებიან დღეები, გონს მოსვლაც ვერ მოასწრო — საცაა ორმოცდაათი წლისა გახდება, კიდევ ცოტა — და ყველაფერი დასრულდება, მაგრამ ნუთუ დიდი ხანია მას შემდეგ, რაც პერანგის ამარა დატანტალობდა? თითქოს გუშინ იყო!

უძრავად იცქირებოდნენ სახეები ნიჟარის ჩარჩოებიდან. აგერ იატაკზე (სქლად დაყრილ ჭვავზე) წვანან ორნი — თვით ტიხონ ილიჩი და ახალგაზრდა ვაჭარი როსტოვცევი, — ხელში ნახევარ-ნახევარი ჭიქა შავი ლუდი უჭირავთ... მერედა, როგორი მეგობრები უნდა გამხდარიყვნენ როსტოვცევი და ტიხონ ილიჩი! რა სამახსოვროდ დარჩა ყველიერის ის მოღუშული დღე, როცა სურათი გადაიღეს! დაიცა, რომელ წელს იყო ეს? სად გაქრა როსტოვცევი? ახლა ისიც კი არავინ უწყის, ცოცხალია თუ მკვდარი... აგერ გამწკრივებული და გაჯგიმული დგას სამი მედაბური. თმა წინ სწორად აქვთ ვადმოვარცხნილი, აცვიათ გვერდზე შესაკრავი ხალათები, გრძელი სერ-

თუკები, გაწმენდილი ჩექმები; ესენი არიან ბუჩნევი, ვისტავკინი და ბოგომოლოვი. ვისტავკინს, შუაში რომაა, მკერდის წინ გამოუწვდია ხის თეფშზე დაწყობილი პურმარილი, რომელსაც მამლებამოქარგული ტილო ახურავს, ხოლო ბუჩნევსა და ბოგომოლოვს ხელში ხატები უჭირავთ. სურათი გადაიღეს მტვრიან, ქარიან დღეს, ელევატორის კურთხევისას, როცა ჩამოვიდნენ მღვდელმთავარი და გუბერნატორი, როცა ტიხონ ილიჩი ესოდენ ამაყობდა იმით, რომ იგი მოხვდა იმ საზოგადოების რიცხვში, რომელიც უფროსობას ესალმებოდა. მაგრამ როგორ დარჩა ხსოვნაში ეს დღე? მხოლოდ იმით, რომ ხუთიოდ საათს ელევატორთან იცდიდნენ, რომ ქარი ღრუბელივით თეთრ მტვერს მიაქანებდა, რომ თეთრ შარვალსა და ოქროს მუნდირში გამოწყობილი, ლამპასებით მორთული აწოწილი გუბერნატორი, რომელსაც სამკუთხა ქუდი ეხურა და მიცვალებულს ჩამოჰგავდა, დეპუტაციისაკენ მოდიოდა საოცრად ნელა... რომ ყველას ეშინოდა, როცა მან, საპურმარილოდ მჯდომმა, ლაპარაკი წამოიწყო, რომ ყველა გააოცა მისმა ხელებმა უჩვეულო სიგამხდრითა და სითეთრით, კანმა, რომელიც ვველის ტყავივით სიფრიფანა და პრიალა იყო, ხმარებაში დამდნარმა ბრწყინვალე ბეჭდებმა, გამჭვირვალე, გრძელფრჩხილებიან, ხმელსა და წვრილ თითებზე რომ ეკეთა... ახლა ის გუბერნატორი ცოცხალი აღარ არის, აღარც ვისტავკინი სწერია ცოცხლების სიაში... ხოლო ხუთი თუ ათი წლის შემდეგ ტიხონ ილიჩზეც ასე იტყვიან:

— განსვენებული ტიხონ ილიჩი...

გახურებულმა ღუმელმა უფრო დაათბო და მყუდრო გახადა ოთახი, სარკე დაიწმინდა, მაგრამ ფანჯრებში კი არაფერი ჩანდა, შუშებს მქრქალი ორთქლი გადაჰკვროდათ. — მაშასადამე, ეზოში გრილოდა. უფრო და უფრო გარკვევით მოისმოდა მშიერი ტახების ჭყვიტინი, რომელიც ერთიანმა ძლიერმა ყვირილმა შესცვალა: ეტყობა, ტახებმა მზარეული ქალისა და ოსკას ხმა გაიგონეს. რომელთაც მათთვის სალაფავით სავსე უშველებელი გეჯა მიჰქონდათ. ტიხონ ილიჩს სიკვდილზე ფიქრი არც დაუმთავრებია, ისე ჩააგდო საფერფლეში პაპიროსი, ტყაპუჭი ჩაიცვა და ბოსლისაკენ გაეშურა. გრძე-

ლი, ფართო ნაბიჯებით შეტოპა ნაკელში, ბოსლის კარი თვითონვე გააღო — და დიდხანს არ მოუშორებია ბარბი და ნაღვლიანი თვალი ტახებისათვის, რომლებიც გეჯაში ჩაყრილ ოხშივარადენილ სალაფავს დასცხრომოდნენ.

სიკვდილზე ფიქრს ახლა სხვა ფიქრი ენაცვლებოდა: განსვენებული განსვენებულია, მაგრამ ტიხონ ილიჩი კი ალბათ ყველასათვის სამაგალითო გახდება. ვინ იყო ის? ობოლი, ღატაკი, ბავშვობისას ორ დღეში რომ ერთი ნატეხი პურიც არ ჰქონდა... ახლა?

— შენი ცხოვრების ბიოგრაფია უნდა აწეროს კაცმა, — დამცინავად უთხრა ერთხელ კუზმამ.

დასაცინი, წარმოიდგინეთ, არაფერია. თუკი ღატაკი, ცოტაოდენი წერა-კითხვის მცოდნე ბიჭუნასაგან ტიხონ ილიჩი გამოვიდა და არა ტიშკა, მაშასადამე, მხრებზე თავი ბმია!..

მაგრამ ამ დროს მზარეულმა ქალმა, აგრეთვე დაჟინებით რომ უცქეროდა ტახებს, რომლებიც ერთმანეთს ეხურხლებოდნენ და წინა ფეხებით გეჯაში ძვრებოდნენ, დაასლოკინა და თქვა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ვინძლო რაიმე უბედურება არ შეგვემთხვეს! წუხელ სიზმარში ჩვენს ეზოში საქონელი გამოერეკათ, ცხვარი, ძროხა, ათასნაირი ღორი... სულ შავები!

გულმა რეჩხი უყო. საქონელიც ეს არის! მარტო ამ საქონელში ჩაიხრჩობა კაცი. სამი საათიც არ გავა, — ისევ უნდა აიღო გასაღები, ისევ უზიდო საჭმელი მთელ საქონელს. საერთო ბაგაზე სამი მეწველი ძროხაა, ცალ-ცალკე ბაგებზე კი — წითელი დეკეული და ხარი ბისმარკი: ახლა იმათ დაუყარე თივა. ცხენებსა და ცხვრებს სადილად ბზე უნდათ, ულაყს კი ეშმაკმაც არ უწყის რა! ულაყმა კარის ზედა ლარტყებში გამოყო დრუნჩი, ზედა ტუჩი აწია, ვარდისფერი ღრძილები და თეთრი კბილები გამოაჩინა და ნესტოები ააცმაცუნა... ტიხონ ილიჩმა, თვითონაც რომ არ ელოდა, ისეთი სიშმაგით, უეცრად დაუღრიალა:

— რამ გაგაგიჟა, შე სამგლეევ!

ისევ დაუსველდა ფეხები, გაიყინა — ხორხოშელა თოვლი მოდიოდა — და კვლავ დალია ჭნავის არაყი. შეჭამა ზეთიანი

კარტოფილი, მეავე კიტრები, სოკოსსაწებლიანი შეჭამანდი, ფეტვის ფაფა... წამოწითლდა, თავი დაუძძიმდა.

ტანგაუხდელად, — მხოლოდ ტალახიანი ჩექმები გაიძრო ფეხის ფეხზე გამოკვრით, — ლოგინზე მიწვა. მაგრამ არ ასვენებდა იმის ფიქრი, ეს-ეს არის კვლავ მოვიხდება ადგომაო: ცხენების, ძროხების, ცხვრებისა და ულაყისათვის საღამოს შვრია და ჩალა უნდა დაეყარა... თუმცა, არა. ჯობს ჯერ თივაზე გადაიარონ, მერე კი დაარწყულებს... მაგრამ ერთი თვალი თუ წასდო, უთუოდ დროზე ვეღარ გაიღვიძებს. ტიხონ ილიჩი კომოდისაკენ გადაიხარა, მაღვიძარა საათი აიღო და მომართა. მაღვიძარა გამოცოცხლდა, ატიკტიკდა — და ოთახში სიმშვიდემ დაისადგურა. ფიქრები ერთმანეთში აერია...

მაგრამ სწორედ ამ დროს უეცრად გაისმა უხეში და ხმამაღალი გალობა. ტიხონ ილიჩმა შიშით თვალი გაახილა და პირველად მხოლოდ ერთი რამ გაარჩია: ორი გლეხი შიგ ყურში ჩაჰყვიროდა, წინაოთახიდან კი სიგრილე და სველი ხიფთანის სუნი შემოდიოდა. მერე წამოხტა, დაჯდა და დაინახა, ვინ იყვნენ ეს გლეხები: ერთი მათგანი ბრმა იყო, ჩოფურა; ცხვირი პატარა ჰქონდა, ზედა ტუჩი — გრძელი, თავი — დიდი და მრგვალი. მეორე გლეხი თვით მაკარ ივანოვიჩი გახლდათ!

მაკარ ივანოვიჩი ოდესღაც მაკარკა იყო — ასე ეძახდა ყველა: „მაკარკა მოგზაური". ერთხელ ტიხონ ილიჩის სახამროში შევიდა, — სადღაც მიეხეტებოდა შარაგზით; ქალამნები, არახჩინი და გაქონილი კაბა ეცვა; — ჰოდა, შევიდა. ხელში ეჭირა ჟანგაროთი შეღებილი დიდი ჯოხი, რომლის ზედა ბოლო ჯვარი იყო, ქვედა კი — შუბი, ზურგზე ჩანთა და ჯარისკაცის მათარა ეკიდა; თმა გრძელი და ჟღალი ჰქონდა; სახე — ფართო, საგოზავის ფერი, ნესტოები თოფის ორ ლულას მიუგავდა, ჩატეხილი ცხვირი — უნაგირის კეხს, თვალები კი, როგორც ეს ხშირად აქვთ ამგვარი ცხვირის პატრონებს, ღია ფერისა და გამჭოლავი ჰქონდა. ურცხვი და გამჭრიახი კაცი, პაპიროსს ხარბად ეწაჩებოდა და კვამლს ნესტოებიდან უშვებდა, ლაპარაკობდა უხეშად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ისეთი კილოთი, რომ შეპასუხება არავის ეფიქრა. ტიხონ ილიჩსაც

სწორედ ამიტომ მოეწონა, მოეწონა იმისათვის, რაც ერთი შეხედვითაც თვალში ეცემოდა კაცს: იგი „გაქნილი არამზადა“ იყო.

და ტიხონ ილიჩმაც დაიტოვა ხელქვეითად. მაწანწალის ტანისამოსი გახადა და დაიტოვა. მაგრამ მაკარკა ისეთი ქურდი გამოდგა, რომ ტიხონ ილიჩი იძულებული გახდა მაგრად მიებეგვა და გაეგდო. ერთი წლის შემდეგ კი მაკარკამ მთელს მაზრაში გაითქვა სახელი წინასწარმეტყველებით, რომელიც იმდენად ავის მომასწავებელი იყო, რომ ხალხი ცეცხლსავით ერიდებოდა. მივიდოდა რომელიმე მოსახლის ფანჯარასთან, ნაღვლიანად გააბამდა „მართალთა თანა განუსვენე“-ს, ანდა მიაწოდებდა საკმევლის ნაკუწს, ერთ ბეწო მტვერს — და ის სახლში აუცილებლად უნდა მომკვდარიყო ვინმე.

ახლა მაკარკა თავის წინანდელ სამოსში გამოწყობილი, ჯოხით ხელში, კარის ზღურბლთან იდგა და მღეროდა. ბრმა ხმას აყოლებდა, ლიბრგადაკრულ თვალებს შუბლქვეშ ატრიალებდა, და სახის ამ შეუფერებელი გამომეტყველებით ტიხონ ილიჩმა მაშინვე კატორღიდან გამოქცეულად, საშინელ და ულმობელ მხეცად მიიჩნია იგი. მაგრამ კიდევ უფრო საშინელი ის იყო, რასაც ეს მაწანწალები მღეროდნენ. სახემოღუშული ბრმა წარბებს ათამაშებდა და საზიზღარი დუდღუნა ტენორით გაჰკიოდა. მაკარკა გამჭოლავ თვალებს აელვარებდა და მძვინვარედ ბუბუნებდა. გამოდიოდა რაღაც უზომოდ ხმამაღალი, უხეშად შეწყობილი, ძველი, ძლიერი და მუქარით სავსე გალობა:

და იწყოს მოთქმა ქვეყანამან, დედამან ჩვენმან!—

გაჰკიოდა ბრმა.

და იწ-ყოს მო-ო-თქ-მა! —

შთამაგონებლად იმეორებდა მაკარკა.

წინაშე მაცხოვრისა, წინაშე ხატისა, —

ღაღადებდა ბრმა.

რამეთუ აღიარონ შეცოდებანი თვისნი! —

იმუქრებოდა მაკარკა და ნესტოებს თავხედურად ბერავდა. თავის ბანს ბრმის ტენორს უერთებდა და უდრეკად ამოთქვამდა:

ვერღა ასცდენ განაჩენსა ღვთისასა!
ვერღა ასცდენ ცეცხლსა გეენიასა!

უცებ ბრმასთან ერთად სიმღერა შეწყვიტა, რაღაც ამოიყრანტალა და ჩვეული უტიფარი კილოთი ბრძანა:

— ვაჭარო, კეთილ ინებეთ და თითო ჭიქა მოგვართვით!

პასუხს არ დალოდებია, ზღურბლზე გადააბიჯა, მწოლარე ტიხონ ილიჩს თავს დაადგა და ხელში რაღაც სურათი ჩასჩარა.

ეს იყო უბრალო ამონაჭერი ილუსტრირებული ჟურნალიდან, მაგრამ ტიხონ ილიჩმა შეხედა თუ არა, გულში რაღაც სიცივე იგრძნო. სურათის ქვეშ, რომელზედაც ეხატა ქარიშხლისაგან მოდრეკილი ხეები, ღრუბლებზე გამავალი თეთრი კლაკნილი ხაზი და კაცი, რომელიც ეცემოდა, წარწერილი იყო: „ჟან-პოლ რიხტერი, მოკლული ელვით“.

ტიხონ ილიჩი შეცბა.

მაგრამ იმწუთსავე აუჩქარებლად დაანაკუწა სურათი, მერე ლოგინიდან წამოდგა, ჩექმები ჩაიცვა და უთხრა:

— გირჩევნია ჩემზე სულელი შეაშინო. მე შენ კარგად გიცნობ, ძმობილო! რაც გეკუთვნის, აიღე, და გასწი.

მერე დუქანში წავიდა, ბრმის გვერდით პარმალთან მდგომ მაკარკას ორი გირვანქა კრენდელი და ორი ქაშაყი გამოუტანა და უფრო მკაცრად გაუმეორა:

— გასწი!

— თუთუნი? — ურცხვად ჰკითხა მაკარკამ.

— თუთუნი მეც ცოტაღა დამრჩა, — მიუგო ტიხონ ილიჩმა, — ჩემთან არ გაგივა ეგ ოინები!

და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა:

— მაგ ოინებისათვის დახრჩობა ცოტაა შენთვის, მაკარკა!

მაკარკამ შეხედა ბრმას. რომელიც გაჯგიმული და წარბებშემართული იდგა, და ჰკითხა:

— ღვთის კაცო, შენ როგორღა გგონია? დახრჩობაა საჭირო თუ დახვრეტა?

— დახვრეტა ჯობს, — სერიოზულად უპასუხა ბრმამ, — უფრო მოკლე გზაა.

ბინდდებოდა, ცაზე სქელად გაწოლილი ღრუბლები ლურჯდებოდნენ, ციოდებოდნენ და ზამთრის სუნს გამოსცემდნენ.

ტალახი ბლანტი ხდებოდა. მაკარკა რომ გააცილა, ტიხონ ილიჩმა გათოშილი ფეხები პარმაღზე დაბაკუნა და ოთახში შევიდა. იქ გაუხდელად ჩამოჯდა ფანჯარასთან, სკამზე, პაპიროსი გააბოლა და კვლავ ჩაფიქრდა. გაახსენდა ზაფხული, შფოთი, პატარძალი, ძმა, ცოლი... გაახსენდა ისიც, რომ მუშებისათვის ჯამაგირი არ ჰქონდა მიცემული. ვალის გადახდას აჭიანურებდა ხოლმე. გოგოები და ბიჭები, რომლებიც დღიურ სამუშაოზე იყვნენ მასთან, შემოდგომაზე ყოველ ცისმარე დღეს მის ზღურბლთან იდგნენ და თავიანთ აუწერელ გაჭირვებას შესჩიოდნენ, მერე გაგულისდებოდნენ და ზოგჯერ უტიფარ სიტყვებსაც ჰკადრებდნენ. მაგრამ ტიხონ ილიჩი უდრეკი იყო. ყვიროდა, ღმერთს იფიცებდა: თუგინდ სახლი გაჩხრიკეთ, შაურის მეტს ვერ იპოვითო! — ჯიბეებს გადმოიბრუნებდა, ქისას გახსნიდა, თვალთმაქცური სიშმაგით იფურთხებოდა, ვითომც გაოცებული იყო უნდობლობით, მთხოვნელთა „უსინდისობით"... ეს ჩვეულება ცუდად ეჩვენა ახლა. ულმობლად. ცივად, უცხოსავით ეპყრობოდა ცოლს. უეცრად ამანაც გააცოფა: ღმერთო ჩემო! მან არც კი იცის, რა ადამიანია მისი ცოლი! რით ცხოვრობდა ეს ქალი, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა ამ ხანგრძლივი წლების განმავლობაში, რომლებიც დაუცხრომელ ზრუნვაში გაატარა?

ერთი პაპიროსი გადააგდო და მეორეს მოუკიდა. უჰ, ჭკვიანია ის ობერი მაკარკა! რახან ჭკვიანია, განა არ შეუძლია გამოიცნოს — ვის რა და როდის მოელის? მას, ტიხონ ილიჩს, უთუოდ რაღაც ცუდი ელის. ის ხომ ახალგაზრდა არ არის! რამდენი მისი თანატოლი გაემგზავრა უკვე საიქიოს! სიკვდილსა და სიბერეს კი ვერავინ გაექცევა. ვერც ბავშვები უშველიდნენ. შვილებთანაც ისევე უცხოსავით იქნებოდა, როგორც ყველა ახლობელთან — ცოცხლებთან თუ მკვდრებთან. ქვეყნად იმდენი ხალხია, რამდენიც ცაზე ვარსკვლავი; მაგრამ ისე ხანმოკლეა ცხოვრება. ისე მალე იზრდებიან. ვაჟკაცდებიან და კვდებიან ადამიანები. ისე ცუდად იცნობენ ერთმანეთს და ისე ჩქარა ივიწყებენ რაც თავს გადახდათ. რომ. კარგად თუ დაუფიქრდი, ჭკუაზე შეცდები! აი. მან წეღან თავის თავზე თქვა: საჭიროა ჩემი ცხოვრება ვინმემ აწეროსო...

რა არის ასაწერი? არაფერი. არაფერი, ანუ არ ღირს. მას ხომ თითქმის აღარაფერი ახსოვს ამ ცხოვრებიდან. მაგალითად, სრულიად დაავიწყდა ბავშვობა. ისე კი ხანდახან ეზმანება ზაფხულის რომელიმე დღე, რომელიმე შემთხვევა, რომელიმე თანატოლი... ერთხელ ვილაცის კატას ბალანი შეატრუსა — და ვაწკეპლეს. აჩუქეს მათრახი, რომელსაც ტარზე სასტვენი ჰქონდა მიმაგრებული, — სიხარულით ცას ეწია. ერთხელ მთვრალმა მამამ ალერსიანი, ნაღვლიანი ხმით დაუძახა:

— მოდი ჩემთან, ტიშა, მოდი, ჩემო კარგო!

და მოულოდნელად ჩააფრინდა თმაში...

ახლა რომ ჩხუბისთავი ილია მირონოვიჩი ცოცხალი იყოს, ტიხონ ილიჩი მადლს მოისხამდა და ბერიკაცს ლუკმაპურს არ მოაკლებდა, არც კი შეიმჩნევდა მის ყოფნას. დედის ამბავიც ხომ ასევე იყო, თუ გნებავთ ახლა ჰკითხეთ: დედა გახსოვსთქო? ისიც გიპასუხებთ: მახსოვს ერთი წელში მოკაკული დედაბერი... წივას ამზადებდა, ღუმელს ახურებდა, ჩუმად სვამდა, ბუზღუნებდა... ეს არის და ეს. თითქმის ათ წელს მუშაობდა მატორინთან, მაგრამ ამ ათი წლიდანაც მხოლოდ ერთი-ორი დღე ახსოვს: აპრილის წვიმა ეწინწკლება რკინის ფურცლებს, რომლებსაც გრგვინვითა და ჟღრიალით ისერიან მეზობელ დუქანთან მდგომ ფორანზე... მოღუშული, ყინვიანი შუადღეა, მტრედები გუნდ-გუნდად ხმაურით სხდებიან თოვლზე მეორე მეზობლის დუქნის ახლოს, სადაც იყიდება ფქვილი, ბურღული და ქატო, — არიან ერთ ჩოჩქოლში, ღუღუნებენ, ფრთებს აფარფატებენ, — ის და მისი ძმა კი ზღურბლთან მობზრიალე ჩიკორს ხარის კუდს უტყლაშუნებენ... მაშინ მატორინი ახალგაზრდა იყო, ღონიერი, სახელაჟღაჟა, წმინდად გაპარსული ნიკაპით, ნახევრად შეკრეჭილი წითური ქილვაშებით. ის ახლა გაღარიბდა; მზეზე გახუნებული ხიფთანით და უშველებელი ჩიხაქუდით ბებრული ნაბიჯით დაწანწალებს დუქნიდან დუქანში, ერთი ნაცნობიდან მეორემდე, თამაშობს შაშს, ზის ხოლმე დაევის სახამროში, სვამს ცოტ-ცოტას, შეზარხოშდება და ამბობს:

— ჩვენ პატარა ხალხი ვართ: დავლიეთ, წავისაუზმეთ, ანგარიში გავასწორეთ და — შინისაკენ!

ხოლო როცა ტიხონ ილიჩს ხვდება, ვერა ცნობს და საცოდავად ილიმება:

— ნუთუ შენა ხარ, ტიშა?

თვით ტიხონ ილიჩმა კი ამ შემოდგომაზე პირველი შეხვედრისას თავისი ღვიძლი ძმაც კი ვერ იცნო: „ნუთუ ეს ის კუზმაა, რომელთან ერთად იმდენ წელს დავეხეტებოდი მინდორ-მინდორ და სოფელ-სოფელ?“

— მოხუცებულხარ, ძმავ!

— ჰო, ცოტათი.

— ჯერ ადრეა.

— მე რუსი კაცი ვარ. ჩვენი ბერიკაცები ჭარმაგები არიან!

მესამე პაპიროსს რომ უკიდებდა, ტიხონ ილიჩი ფანჯარაში იყურებოდა და ფიქრობდა:

„ნუთუ სხვა ქვეყნებშიც ასეა?“

არა, ეს შეუძლებელია. ნაცნობები ყოფილან საზღვარგარეთ, — მაგალითად, ვაჭარი რუკავიშნიკოვი, — იქაურ ამბებს მოჰყვნენ... თუმცა რუკავიშნიკოვის გარეშეც შეიძლება მიხვდეს კაცი. აი, თუნდაც გერმანელები და ურიები, საზრიანად და წესიერად იქცევიან, ერთმანეთს იცნობენ, მეგობრობენ, — მხოლოდ სმის დროს კი არა, — ურთიერთს ეხმარებიან; თუ ერთმანეთს დაშორდნენ, მიმოწერა მაინც აქვთ, — დედ-მამის, ნაცნობების სურათებს ოჯახიდან ოჯახს გადასცემენ; ბავშვები უყვართ, ასწავლიან, სეირნობენ ერთად, რეგორც ტოლსწორებს. ისე ესაუბრებიან, — ასეთ ბავშვს, ცხადია, ექნება მოსაგონარი. ჩვენში კი ყველა ერთმანეთს მტრობს, შურიანები არიან, ჭორიკანები, წელიწადში ერთხელ ნახულობენ ერთმანეთს და შლეგებივით დაფაცურდებიან, როცა შემთხვევით ვინმე ესტუმრებათ, აბა ჩქარა ოთახები დავალაგოთო... მერე! სტუმრისათვის ერთი კოვზი მურაბა ენანებათ! ბევრის უხვეწნელად სტუმარი ჭიქა ჩაიზე მეტს ვერ სვამს...

ფანჯარას ვიღაცის სამცხენა ეტლმა ჩაუარა. ტიხონ ილიჩმა ყურადღებით შეათვალიერა. ცხენები გამხდრები არიან, მაგრამ, ეტყობა, მარდები უნდა იყვნენ. ტარანტასი ურიგო არაა. ნეტავ ვის წასაყვანად მოდის? ახლომახლო ასეთი ეტლი

არავის არ ჰყავს. ახლომახლო მემამულეები ისეთი ღატაკნი არიან, რომ სამ დღეში ერთხელ ჭამენ პურს, ხატების უკანასკნელი შეჭედილობაც კი გაყიდეს, ჩამტვრეული შუშის გამოცელისა და სახურავის შეკეთების თავიც არა აქვთ; ფანჯრებს ბალიშით გმანავენ, ხოლო, როგორც კი გაწვიმდება, იატაკზე ვარცლებსა და ვედროებს დგამენ, — დაცხავებული ჭერიდან წყალი მოთქრიალებს... მერე მეწაღე დენისკამ გაიარა. სად მიდის? რა მიაქვს? ნუთუ ჩემოდანი? ოჰ, რა სულელია, ღმერთო, ნუ მიწყენ!

ტიხონ ილიჩმა ფეხები კალოშებში წაჰყო, პარმაღზე გავიდა და როცა ზამთრის პირის დაისის გრილი ჰაერი ღრმად შეისუნთქა, კვლავ შედგა და გრძელ სკამზე ჩამოჯდა... ესეც ოჯახია, რაღა — მგელკაცა და მისი ვაჟი! ტიხონ ილიჩი ფიქრით გაჰყვა იმ გზას, რომელიც ჩემოდნიანმა დენისკამ გაიარა. დაინახა დურნოვკა, თავისი საკარმიდამო, ხრამი, ქოხები, მწუხრი, სინათლე ძმის სახლში, ეზოებშიც სინათლეები... კუზმა ალბათ ზის და კითხულობს. პატარძალი ბნელ, ცივ წინაოთახში ოდნავ ნელთბილ ღუმელთან დგას, ჩელებს ითბობს, უცდის როდის ეტყვიან: „ივახშმე!“ მობერებული, გამშრალი ტუჩები მოუკუმავს და ფიქრობს... რაზე? როდაზე? ყველაფერი სიცრუეა. ვითომ მას მოეწამლოს, სიცრუე! მაგრამ თუ მოწამლა... ღმერთო ჩემო! თუ მოწამლა, — რას უნდა ფიქრობდეს? რამხელა ლოდი აწევს ამ გულჩათხრობილ ქალს!

ფიქრით დურნოვკის სახლის პარმაღიდან გადახედა დურნოვკას, შავ ქოხებს, ხევს იქით ფერდობზე რომ შეფენილიყვნენ, საცეხილებს და საკარმიდამოს უკან ჩამწკრივებულ ტირიფებს... მინდვრებს იქით, მარცხნივ, ცის დასალიერზე სარკინიგზო ჯიხური დგას. შიბინდებისას მას გვერდით ჩაურბენს მატარებელი — ცეცხლოვანი თვალების ჯაჭვი. მერე ქოხებიც ახელენ თვალებს. ღამდება, მყუდროება ისადგურებს — და უსიამო გრძნობა გიწვევა ყოველთვის, როცა პატარძლისა და მგელკაცას ქოხებს შეხედავ, დურნოვკის თითქმის შუაგულში რომ დგანან: მათ სამი ეზო აშორებთ ერთმანეთს: არც ერთში, არც მეორეში არ ანთია სინათლე. მგელკაცას ბავშვები მოდოებივით დაბორიალობენ და მათ სიხარულსა და გაკვირვებას

საზღვარი არა აქვს, როცა რომელიმე ბედნიერ საღამოს ახერხებენ ქოხის განათებას...

— არა. ცოდვაა! — მტკიცედ თქვა ტიხონ ილიჩმა და წამოდგა. — ეს .ულმერთობაა! ცოტათი მაინც უნდა ვუშველო საქმეს, — თქვა სადგურისაკენ მიმავალმა.

ყინავდა, ვაგზლიდან მონადენ სამოვრის ორთქლს წინანდელზე მეტი სურნელი ჰქონდა. იქ უფრო ელვარებდნენ სინათლეები. წკარუნებდნენ ეტლის ზანზალაკები. სამცხენა ეტლიც ასეთი უნდა! სამაგიეროდ გლეხკაც მეეტლეთა ჯაგლაგი ცხენები, მათი პატარა ფორნები ნახევრად დაშლილი, მრუდე, ტალახიანი თვლებით — საცოდავი შესახედავი იყვნენ. ბაღჩის იქით ჭრიალებდა და ჯახუნობდა ვაგზლის კარი. ტიხონ ილიჩმა კარს გვერდი აუარა და ქვის პარმაღზე ავიდა, სადაც შიშინებდა ორვედროიანი სპილენძის სამოვარი, რომლის ცხაური ცეცხლოვანი კბილებივით ელავდა. აქ ტიხონ ილიჩი სწორედ იმას წაწყდა, ვინც უნდოდა. ეს იყო დენისკა.

ფიქრში წასული დენისკა თავჩაღუნული იდგა პარმაღზე, ჰარჯვენა ხელში ეჭირა უბრალო ნაცრისფერი ჩემოდანი, თუნუქის ლურსმნებით მოჭედილი და თოკით შეკრული. დენისკას ძველი, ეტყობა, ძალიან მძიმე, მხრებჩამოჩაჩული, დაბალწელიანი ტყაპუჭი და გაცვეთილი ჩექმები ეცვა და ახალი ჩიხაქუდი ეხურა. ტანმორჩილი იყო, ფეხები ტანთან შედარებით მოკლე ჰქონდა, დაბალწელიან ტყაპუჭსა და გაცვეთილ ჩექმებში კიდევ უფრო მოკლეფეხება ჩანდა.

— დენისი ხარ? — შესძახა ტიხონ ილიჩმა. — აქ რა გინდა, შე შფოთისთაო, შენა?

დენისკამ, რომელსაც არასოდეს არაფერი არ უკვირდა, მშვიდად მიაპყრო შავი, მიბნედილი, ნაღვლიანად დამცინავი, გრძელწამწამებიანი თვალები და ჩიხაქუდი მოიხადა. თმა ჰქონდა თაგვისფერი, უზომოდ სქელი, სახე — მიწისფერი, გაქონილივით. თვალები კი ლამაზი.

— გამარჯობათ, ტიხონ ილიჩ, — უპასუხა მან მკერდი. ქალაქური ტენორით და, როგორც ყოველთვის, თითქოს დაიმორცხვა. — მივდივარ... აი. იქ... ტულაში.

— მერედა, რისთვის, არ მიბრძანებთ?

— ეგება სადმე მოვეწყო სამუშაოდ...

ტიხონ ილიჩმა შეათვალიერა. ხელში ჩემოდანი უჭირავს, ტყაპუჭის ჯიბიდან მრგვლად შეკრულ რაღაც მწვანე და წითელ წიგნებს ამოუყვიათ თავი. ტყაპუჭი...

— რაღაც ტულელი კაცივით ვერა ხარ გამოწყობილი!

დენისკამაც შეათვალიერა თავისი ჩაცმულობა.

— ტყაპუჭზე ამბობ? — მოკრძალებით იკითხა მან. — რა უშავს, ტულაში ფულს დავაგროვებ და ვენდერკას ვიყიდი, — თქვა დენისკამ, რომელმაც ვენგერკა ვენდერკად მონათლა. — ზაფხულში, როგორც იყო, გავიტანე თავი! გაზეთებს ვყიდდი.

ტიხონ ილიჩმა ჩემოდანს დახედა:

— ეს რაღაა?

დენისკამ წამწამები დახარა:

— ჩამადანი ვიყიდე.

— ჰოო, ვენგერკით სიარული ხომ უჩემოდნოდ შეუძლებელია! — დამცინავად თქვა ტიხონ ილიჩმა, — ჯიბეში რა გაქვს?

— რაღაც-რაღაცეებია შეხვეული...

— მაჩვენე, ერთი.

დენისკამ ჩემოდანი პარმაღზე დადგა და ჯიბიდან წიგნები ამოიღო. ტიხონ ილიჩმა გამოართვა და გულისყურით გადათვალიერა. სიმღერათა კრებული „მარუსია“, „მრუში დედაკაცი“, „ქალწული ძალმომრეობის ბრძყალებში“, „მშობლების, აღმზრდელებისა და კეთილისმყოფელთათვის მისალოცი ლექსები“, „პროლეტარ...“

აქ ტიხონ ილიჩს ენა დაება, მაგრამ დენისკამ, რომელიც წიგნს თვალს ადევნებდა, უკარნახა:

— პროლეტარიატის როლი რუსეთში.

ტიხონ ილიჩმა თავი გააქნია.

— ახალი ამბავი! შიმშილით კუჭი გიხმება და ჩემოდნებსა და წიგნებს ყიდულობ. მერე რა წიგნებს! ტყუილად კი არ გეძახიან შფოთისთავს! შენზე ამბობენ, სულ მეფის ლანძღვაშიაო; ფრთხილად, ძმობილო!

— მამული ხომ არ მიყიდია! — ნაღვლიანი ღიმილით მიუგო დენისკამ. — არც მეფეს შევხებივარ. ჩემზე ისე ჭორა-

ობენ, თითქოს მკვდარი ვიყო. მე კი გულშიაც არ გამივლია ეგეთი რამ: დამთხვეული კი არა ვარ!

გაიკრიალა კარის ურდულმა და გამოჩნდა სადგურის დარაჯი — ჭაღარა, გადამდგარი სალდათი, რომელსაც სული ეხუთებოდა და წამდაუწუმ ქსინავდა და ხროტინობდა, და ბუფეტში მომუშავე სქელ-სქელი კაცი, რომელსაც მოჭუტული თვალები და ქონიანი თმები ჰქონდა.

— გზა მოგვეცით, ბატონო ვაჭრებო, ნება გვიბოძეთ სამოვარი წავიღოთ...

დენისკა განზე გადგა და კვლავ ჩემოდანს დასწვდა.

— სადმე აწაპნე, არა? — ჰკითხა ტიხონ ილიჩმა და ჩემოდანზე თვალით ანიშნა; თან ფიქრი განაგრძო იმ საქმეზე, რისთვისაც სადგურზე გამოვიდა.

დენისკამ თავი ჩაღუნა, არაფერი უპასუხა.

— ცარიელია, განა?

დენისკას გაეცინა:

— ცარიელია...

— სამუშაოდან გამოგაგდეს?

— თვითონ წამოველ.

ტიხონ ილიჩმა ამოიოხრა.

— პირწავარდნილი მამაშენი ხარ! — უთხრა მან. — იმანაც ასე იცოდა: სამუშაოდან კინწისკვრით გამოაგდებდნენ და ის კი — თვითონ წამოველო, ამბობდა.

— თვალი დამიდგეს, თუ ვტყუოდე!

— კარგი, ჰო, კარგი... შინ იყავი?

— ორ კვირას დავრჩი.

— მამა ისევ უსაქმოდ დადის?

— ახლა უსაქმოდაა.

— ახლა! — გამოაჯავრა ტიხონ ილიჩმა. — ისედაც ოხერი სოფელია, რევოლუციანერი რაღად უნდა! მგლებს ეტმასნები და ძაღლისკუდა კი ხარ.

„დიდი ვაჟბატონი არც შენა ბრძანდები“, ღიმილით გაიფიქრა დენისკამ, ისე რომ თავი არ აუწევია.

— მაშ მგელკაცა სახლში ზის და თამბაქოს აბოლებს, ხომ?

— თავქარიანია! — დამაჯერებლად თქვა დენისკამ.

ტიხონ ილიჩმა თავში ჩაუკაკუნა.

— ნეტავ არ სულელობდე, ერთი! აბა ვინ ამბობს მამაზე ეგეთ რამეებს?

— მამა კი არა, ბებერი ქოფაკია, — მშვიდად უპასუხა დენისკამ. — მამაა — აჭამე. თვითონ რა, ძღომაზე მაჭმევდა?

მაგრამ ტიხონ ილიჩს ბოლომდე არ მოუსმენია. შესაფერ წუთს ეძებდა საქმიანი ლაპარაკის დასაწყებად. ყურს არ უგდებდა და სიტყვა გააწყვეტინა:

— ტულამდე ბილეთის ფული გაქვს?

— ბილეთი რად მინდა ვითომ? — მიუგო დენისკამ. — შევალ ვაგონში, ღმერთია მოწყალე, და — პირდაპირ სკამქვეშ შევძვრები.

— წიგნებს სადღა იკითხავ? სკამქვეშ ხომ ვერ მოახერხებ წაკითხვას?

დენისკა დაფიქრდა.

— ნეტაი ერთი! — თქვა მან. — ყველაფერს ხომ სკამქვეშ არ გავაკეთებ! საჭირო ოთახში შევალ და, თუგინდ გათენებამდე ვიკითხავ.

ტიხონ ილიჩმა წარბი შეყარა.

— იცი რა გითხრა, — დაიწყო მან. — აი რა: ჯობს ეგეთ რამეებს თავი გაანებო. ბალღი აღარა ხარ, სულელო! გასწი, დურნოვკაში დაბრუნდი, დროა საქმეს მოჰკიდო ხელი. თორემ თქვენისთანების ყურება ზიზღსა ჰგვრის კაცს. აი ჩემთან... კარის მრჩევლები უფრო უკეთ ცხოვრობენ. — თქვა მან, — კარის მრჩევლებში იგი ეზოს ძაღლებს გულისხმობდა. — რაც არი, არი, მოგეხმარები კიდეც... ერთ ხანს. საქონლის გაყიდვაში, იარაღების ხმარებაში... შენც ჭამ და მამაშენსაც არგებ ცოტაოდენს...

„ნეტავ რას უმიზნებს?“ გაიფიქრა დენისკამ.

ტიხონ ილიჩმა კი გაბედა და დაამთავრა:

— ქალის თხოვის დროც არის.

„ჰო-ო!“ — გაიფიქრა დენისკამ და აუჩქარებლად დაიწყო თუთუნის გახვევა.

— რა მოთქმის, — წყნარად, ოდნავ ნაღვლიანად მიუგო მან, ისე რომ წამწამები არ აუწევია. — ყბედობას არ მოვყვები.

ქალის შერთვა შეიძლება. კახპებთან სიარული უფრო უარესია.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ, — დასძინა ტიხონ ილიჩმა. — ოღონდ, ძმობილო მხედველობაში იქონიე, — ქალიც ჭკუით უნდა ითხოვო, შვილები ბლომად მოაშენო.

დენისკამ გადაიხარხარა.

— რას როხროხებ?

— მა როგორა! ჰოვაშენო რა — ქათმები და ღორები ხო არ არიან!

— ღორებზე და ქათმებზე ნაკლები ჭამა როდი უნდათ.

— ვინ ვითხოვო? — ნაღვლიანი ღიმილით ჰკითხა დენისკამ.

— ვინ? ვინ და... ვინც გინდა.

— პატარძალი ხომ არა?

ტიხონ ილიჩი წამოჭარხლდა.

— სულელო! ვითომ პატარძალი რით არის ცუდი! წყნარი ქალია, გამრჯე...

დენისკა ცოტა ხანს დუმდა და ფრჩხილით ჩემოდნის ლურსმანს აწვალებდა. მერე ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ბაიბურშიც არ არისო:

— პატარძლები ბევრი არიან, — სიტყვა გააგრძელა მან, — არ ვიცი რომელზე მეუბნებით... იმაზე ხო არა, თქვენ რო ცხოვრობდით?

მაგრამ ტიხონ ილიჩი უკვე დამშვიდდა.

— ვცხოვრობდი თუ არა, შენი ჭკუის საქმე არ არის, ღორო, — ისე სწრაფად და შთამაგონებლად უპასუხა, რომ დენისკამ მორჩილად წაიდუდუნა:

— არა, ჩემთვის სულერთია... მე ისე... სიტყვამ მოიტანა და...

— ჰოდა, ტყუილუბრალოდ ნუ ლაქლაქებ. კაცად გაგხდი, გესმის? მზითევს გამოვატან... გაიგე?

დენისკა ჩაფიქრდა.

— აგერ ტულაში წავალ... — დაიწყო მან.

— ნახა რაღა მამალმა მარგალიტი! რა ჯანდაბად გინდა ტულა!

— შინ მშიერი ვკვდები...

ტიხონ ილიჩმა გრძელი ხიფთანი შეიხსნა, ტყაპუჭის ჯიბეში ხელი ჩაიყო, — დენისკასათვის ოკკაპიკიანის ჩუქება დააპირა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, — ფულის ფანტვა სისულელეა. თანაც ამ. ყეყეჩს თავი მოაქვს, ჩემი მოსყიდვა უნდათო, — და ისეთი სახე მიიღო, თითქოს რამეს ეძებდა.

— ეჰ, პაპიროსი დამავიწყდა! ჭომე, ერთი, გავახვიო.

დენისკამ ქისა მიაწოდა. პარმაღზე უკვე ფარანი აენთოთ, და მის მკრთალ შუქზე ტიხონ ილიჩმა ხმამაღლა წაიკითხა ქისაზე ოეთრი ძაფით ამოქარგული მსხვილი ასოები:

„მას ვუძღვნი ქისას ვინც მიყვარს გულით იყოს ეს ძღვენი მარადიული“.

— ყოჩაღ! — თქვა მან.

დენისკამ მორცხვად ჩაქინდრა თავი.

— მაშ უკვე გყოლია სატრფო.

— ჯანა ცოტანი დაწანწალებენ ძუკნები! — გულგრილად მიუგო დენისკამ. — ქალის შერთვაზე კი უარს არ ვამბობ. აგერ ხსნილისათვის დავბრუნდები და ღმერთია მოწყალე...

ბაღჩიდან მოგრიალდა სულ მთლად ტალახში ამოსვრილი ფორანი. რომლის კოფოზე გლეხი იჯდა, ხოლო შიგნით კი, ჩალაზე, დიაკვანი გოვოროვი წამოსკუპულიყო.

— წავიდა? — შესძახა შეშფოთებულმა დაიკვანმა და ჩალიდან კალოშიანი ფეხი გამოყო.

წითური თმა სულ მთლად აბურძგვნოდა, ქუდი კეფაზე გადმოცოცებოდა, სახე კი ქარისა და აღელვებისაგან შეფაკლოდა.

—მატარებელი? — ჰკითხა ტიხონ ილიჩმა.—არა, ჯერ არც გამოსულა.

— აჰ! მადლობა ღმერთს! — მხიარულად წამოიძახა დიაკვანმა, თუმცა ფორნიდან მაინც გადმოხტა და თავქუდმოგლეჯილი გაექანა კარებისაკენ.

— მაშ ასე. — თქვა ტიხონ ილიჩმა. — მაშ ხსნილამდე.

ვაგზალში სველი ქურთუკების. სამოვრის, წეკოსა და ნავთის სუნი ტრიალებდა. იმდენი მოეწიათ, რომ კაცს ყელი ჩაეხრინწებოდა; ლამპები ძლივძლივობით ბჟუტავდნენ კვამლში. ბინდბუნდსა და სიცივეში ჭრიალებდა და რახუნობდა კა-

რები, შექუჩულიყვნენ და ყაყანებდნენ გლეხები — ულიანოვ-
კელი მეეტლეები, რომელთაც ხელში მათრახები ეჭირათ; ისი-
ნი ზოგჯერ მთელი კვირეების განმავლობაში ელოდნენ.
მგზავრს. მათ შორის დააბიჯებდა ერთი წარბებაწეული, პუ-
რით მოვაჭრე ებრაელი, რომელსაც უხეში ფეტრის ქუდი
ეხურა და კაპიშონიანი პალტო ეცვა. სალაროს ახლოს გლე-
ხები რომელიღაც ბატონის ჩემოდნებს და მუშამბაგადაკრულ
კალათებს სასწორზე აწყობდნენ; გლეხებს უყვიროდა ტელე-
გრაფისტი, რომელიც სადგურის უფროსის მოადგილის თანა-
მდებობას ასრულებდა; ეს იყო მოკლეფეხება, დიდთავა ჭაბუ-
კი, მოყვითალო თმით, რომელიც კაზაკურად აექოჩრა და ჩი-
ხაქუდს ქვემოდან მარცხნივ, საფეთქელთან უჩანდა. ჭუჭყიან
იატაკზე ბაყაყივით დაწინწკლული პოინტერი იჯდა, ძაგძაგებ-
და და ნაღვლიანად იცქირებოდა.

ტიხონ ილიჩი გლეხებს შორის გაძვრა, ბუფეტის ღახლთან
მიეიდა და ერთ ხანს ბუფეტში მომუშავესთან ილაქლაქა. მერე
შინისკენ გაემართა. დენისკა კვლავ პარმაღთან იდგა.

— იცით რა უნდა მეთხოვა თქვენთვის, ტიხონ ილიჩ. —
უთხრა მან უფრო მეტი სიმორცხვით, ვიდრე სჩვეოდა.

— სხვა რაღა გინდა? — ბრაზით ჰკითხა ტიხონ ილიჩმა, —
ფული? არ მოგცემ.

— არა, რა ფული! წერილი მინდა წაგაკითხოთ.

— წერილი? ვისა სწერ?

— თქვენ. წეღან მინდოდა მომეცა და ვერ გავბედე.

— რის თაობაზე?

— არაფერი... ჩემი ცხოვრება ავწერე...

ტიხონ ილიჩმა დენისკას ფურცლის ნაგლეჯი გამოართვა,
ჯიბეში ჩაიდო, ბლანტ, გაცივებულ ტალახს გაჰყვა და შინის-
კენ წავიდა.

ახლა მას გული ერჩოდა. მუშაობა სურდა, და სიამოვნებით
გაითიქრა. რომ საქონელი დასაპურებელი ჰყავდა. დასანანია,
რომ გაცხარდა და კოპტონა სახლიდან გააგდო; ახლა თვითონ
მოუწევს ღამის თევა. ოსკას იმედი თითქმის არა აქვს. ალბათ
უკვე სძინავს. ან არადა მზარეულ ქალთან ზის და თავის ბა-
ტონს ლანძღავს... ტიხონ ილიჩმა ქოხის განათებულ ფანჯ-

რებს ჩაუარა, წინკარში შეიპარა და კარს დააყურა. კარის იქით გაისმა სიცილი, მერე კი ოსკას ხმა:

— კიდევ ერთს გიამბობ. ცხოვრობდა სოფლად ერთი გლეხი, — ღარიბი, ძალიან ღარიბი, მთელ სოფელში იმაზე უარესად არავინ ცხოვრობდა. ჰოდა, ერთხელ, ჩემო ბატონო, ეს ჩვენი გლეხი სახნავად წავიდა. აეტორღიალა ერთი ჭრელი ხვადი ძაღლი. გლეხი ხნავს, ძაღლი კი დაშლიგინობს მინდორში და რაღაცას ქექამს. თხარა, თხარა და როგორ აღმუ-უვლდა! ეს რა დარდუბალაა? მივარდა გლეხი, იყურება შიგა, იქ კი თურმე თუჯია ყოფილა...

— თუ-უჯია? — შეეკითხა მზარეული ქალი.

— ყური მიგდე. თუჯია თუჯიაა, მაგრამ იმ თუჯიაში ოქრო ეყარა! უთვალავი ოქრო... ჰოდა, გლეხიც გამდიდრდა...

„ეჰ, ყბედები!" — გაიფიქრა ტიხონ ილიჩმა და ხარბად განაგრძო ყურის გდება, აბა რა მოუვა გლეხსო.

— გამდიდრდა გლეხი და ისე მოეწყო, როგორც გინახავს კაი ვაჭარი...

— ჩვენს ჯიქზე ნაკლებ არ გამდიდრდებოდა, — ჩაურთო მზარეულმა.

ტიხონ ილიჩს გაეღიმა: თვითონაც იცოდა, დიდი ხანია რაც ჯიქს ეძახდნენ... კაცს ვერ იპოვი, რომ რამე მეტსახელი არ ერქვას!

ოსკა განაგრძობდა:

— კიდევ უფრო გამდიდრდა... ჰო, ხვადი ძაღლი კი მოკლა. რა ქნას ახლა? სხვა რა ღონეა — ეცოდება ძაღლი, პატივით უნდა დაასაფლაოთ...

გაისმა ხორხოცი. გადაიხარხარა თვით ამბის მომყოლმაც და კიდევ ვიღაცამ — ბებრული ხველებ-ხველებით.

— ნუთუ ეს კოპტონა არის? — გონს მოეგო ტიხონ ილიჩი. — მადლობა ღმერთს. ხომ ვუთხარი სულელს: დაბრუნდები-მეთქი!

— მივიდა გლეხი მღვდელთანა, — განაგრძობდა ოსკა, — მივიდა მღვდელთანა: ასე და ასე, მამაო, ძაღლი მოკვდა, უნდა დავმარხოთო...

მზარეულმა კვლავ ვერ მოითმინა და მხიარულად შესძახა:

— უი, შენ გაქრი, შენა!

— დამაცა დავამთავრო! — შესძახა ოსკამაც და ისევ გადავიდა თხრობით კილოზე — ხან მღვდელს ასახიერებდა, ხან გლეხს:

— ასე და ასე, მამაო, ძაღლი უნდა დავმარხოთო. მღვდელმა ფეხები დაბაკუნა: „როგორ თუ უნდა დამარხოთ? ძაღლი სასაფლაოზე უნდა დამარხოთ? მე შენ საპატიმროში ჩაგალპობ, ბორკილებს დაგადებ!“ — „მამაო, განა ის უბრალო ძაღლი იყო: სიკვდილის წინ ანდერძით ხუთასი მანეთი დაგიტოვათ!“ მღვდელი ზეზე წამოხტა: „სულელო! განა მე შენ იმიტომ გლანძღავ, რომ დამარხვა გინდა? მე იმის თაობაზე გლანძღავ, თუ სად დავმარხოთ. ის ეკლესიის გალავანში უნდა დავასაფლაოთ!“

ტიხონ ილიჩმა ხმამაღლა ჩაახველა და კარი შეაღო. მაგიდასთან მბოლავი ლამპის ახლოს, — შუშის გატეხილი გვერდი ქაღალდით რომ ჰქონდა დაწებებული, — თავჩაღუნული იჯდა მზარეული, რომელსაც სველი თმა სახეზე ჩამოშლოდა. ის ხის სავარცხლით ივარცხნიდა თმას და თმების მიღმა სინათლეზე ათვალიერებდა სავარცხელს. პირში პაპიროსგაჩრილი ოსკა უკან გადახრილიყო, ხარხარებდა და ქალამნებიან ფეხებს მიწაზე ატყაპუნებდა. ღუმელის გვერდით ბინდბუნდში, ჩიბუხი ღვიოდა, ხარხარი მაშინვე შეწყდა, ჩიბუხის მწეველი გაუბედავად წამოდგა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო, და ჯიბეში ჩაიდო... დიახ, კოპტონა იყო! მაგრამ, თითქოს დილით არაფერი მომხდარაო, ტიხონ ილიჩმა მხნედ და მეგობრულად შესძახა:

— ბიჭებო! საქონელი დააპურეთ!..

ბოსელში ფარნით დადიოდნენ, ანათებდნენ გაცივებულ ნეხვს, აქეთ-იქით მიმოფანტულ ჩალას, ბაგებს, ბოძებს; თან დაჰყვებოდათ უზარმაზარი ლანდები; ძილს უფრთხობდნენ საჩიხში ქანდარაზე ჩამომსხდარ ქათმებს; ქათმები აფრინდებოდნენ, ძირს ცვიოდნენ, თავჩაქინდრულნი, ზეზეულა მძინარენი. საითაც მოხვდებოდათ იქით გარბოდნენ. სინათლისაკენ თავმობრუნებული ცხენები დიდრონ, ლურჯ თვა-

ლებს აბრიალებდნენ და რაღაც უცნაურად და დიდებულად გამოიყურებოდნენ. სუნთქვის დროს ოხშივარი ასდიოდათ, თითქოს ყალიონს აბოლებენო. როცა ტიხონ ილიჩი ფარანს ძირს დაუშვებდა და მაღლა აიხედავდა, ოთხკუთხა ეზოს თავზე, მოწმენდილ, უკიდეგანო ცაზე სიხარულით შესცქეროდა კაშკაშა ნაირფერ ვარსკვლავებს, ესმოდა, როგორ შრიალებდა სახურავებზე და როგორ უბერავდა ჭუჭრუტანებიდან სუსხიანი ჩრდილოეთის ქარი... დიდება შენდა, ღმერთო, ზამთარი დადგა!

საქმეს რომ მორჩა და სამოვარი აადუღებინა, ტიხონ ილიჩი ფარნით ხელში შეეიდა ცივ, სუნიან დუქანში, ყველაზე კარგი დამუქუქებული ქაშაყი ამოარჩია; — ჩაის წინ ურიგო არაა მარილიანი საჭმლის მირთმევა! — ქაშაყს რამდენიმე ჭიქა ტკბილ-მწარე, ალისფერი ჭნავის არაყი დააყოლა, ჭიქა ჩაი დაისხა, ჯიბეში დენისკას წერილი მოძებნა და მისი ბატიფეხურის გარჩევას შეუდგა.

„დღესა 40 მანათი ფული ავიღე და მერე ჩემი ბარგიბარხანა შევანგროვე...“

„ორმოცი! — გაიფიქრა ტიხონ ილიჩმა. — შეხე ამ უნიფხ-ვოს!“

„წავედი დღესა სადგურ ტულაში და სწორედ მაშინ გამცარცვეს და ამამაცალეს სუყველაფერი სად წავსულიყავი არ ვიცოდი და გულზე დარდი მომაწვა...“

ამ როშვის კითხვა ძნელი და გულისგამწყალებელი იყო, მაგრამ ასეთ გრძელ საღამოს სხვა რა უნდა ექნა... სამოვარი მოუსვენრად ჩუხჩუხებდა, ლამპა მშვიდად აფრქვევდა შუქს— და საღამოს სიჩუმესა და მყუდროებაში რაღაც ნაღველი იყო. ფანჯრებს ქვემოთ პატარა ჩაქუჩს აკაკუნებდნენ და ყინვიან ჰაერში საცეკვაოს ხმა ისმოდა.

„მერე ვდარდობდი როგორ წავიდე სახლში მამა ძაან ბრაზიანი არის მეთქი...“

„რა სულელია, ღმერთო, შეგცოდე! — გაიფიქრა ტიხონ ილიჩმა. — მგელკაცა ბრაზიანი ყოფილა!“

„წავალ ულრან ტყეში მოვნახავ ყველაზე მაღალ ნაძვს მის

ენწეროს დავგრეხ ყულფში თავს გავუყრი და სამუღამოდ განვისვენებ ახალი შარვლით მაგრამ უჩექნებოთ...“

— ალბათ — უჩექმებოდ, — თქვა ტიხონ ილიჩმა და მოღლილი თვალებიდან ქაღალდი შორს დაიჭირა. — რაც მართალია, მართალია...

წერილი ჭურჭლის სარეცხ ჯამში ჩააგდო, მაგიდას ნიდაყვებით დაეყრდნო და ლამპას შეაცქერდა... უცნაური ხალხი ვართ! ათასნაირი ჭკუისა! კაცი ხან ნამდვილი ძაღლია, ხან კი ნაღვლიანი და შესაბრალისი ხდება, ინაზება, თავის თავს დასტირის... აი დენისკასი ან... თვით ტიხონ ილიჩისა არ იყოს... ფანჯრები გაორთქლილიყვნენ. მკაფიოდ და მარჯვედ გამოსცემდა პატარა ჩაქუჩი რაღაც ზამთრისეულ, კარგ ხმას... ეჰ, შვილები რომ ჰყავდეს! ან კარგი საყვარელი მაინც, ამ გასივებული დედაბრის ნაცვლად, რომელიც ამბებს უყვება თავადის ქალისა და ვიღაც ღვთისმოშიში მონაზვნის პოლიკარპიას შესახებ, ქალაქში პოლუკარპიას რომ ეძახიან, და თავს აბეზრებს! მაგრამ ვაი რომ გვიანაა!..

ტიხონ ილიჩმა პერანგის საყელო შეიხსნა და მწარე ღიმილით მოისვა ხელი კისერზე. ყურებქვეშ ჩაღრმავებულ ადგილებზე... სიბერის პირველი ნიშანი სწორედ ეს ღრმულებია— თავიც რაღაც ცხენისებური ხდება! სხვასაც არა უშავს. თავი დაღუნა, წვერებში ხელი შეიყო... წვერიც ჭაღარა, ხმელი და აბურდული აქვს. არა, ტიხონ ილიჩ, ყველაფერი გათავდა!

სვამდა, ზარხოშდებოდა, კვლავ უფრო მეტად აღრჭიალებდა კბილებს, თვალმოჭუტული, უფრო დაჟინებით შესცქეროდა ლამპის პატრუქს, მშვიდად რომ ენთო... აბა იფიქრეთ: ღვიძლ ძმასთან ვერ წასულა — ტახები არ უშვებენ! კიდეც რომ გაუშვან, ბევრი ვერაფერი სიხარულია. კუზმა შეგონებას დაუწყებს, გვერდით კი ტუჩებმოკუმული და წამწამებდახრილი პატარძალი იდგომება... მარტო ამ დახრილ თვალებს გაექცევა კაცი!

გული უღონდებოდა, თავბრუ ესხმოდა... სად გაუგონია მას ეს სიმღერა?

მოვიდა საღამო სევდის
და მიწვდის ნაღვლიან ხელს,
მოვიდა ტრფიალი ჩემი
და ხელებს ღიმილით მხვევს...

ჰოო, ეს იყო ლებედიანის ფუნდუკში. ისხდნენ ზამთრის საღამოს მემაქმანე ქალიშვილები და მღეროდნენ — ისხდნენ, ქსოვდნენ და თავაუღებლივ, წკრიალა მკერდისმიერი ხმით ამოთქვამდნენ:

მეხვევა, მიკოცნის ტუჩებს
და მემშვიდობება თან...

თავბრუ ესხმოდა, ხან ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ისევ წინ იყო — სიხარულიც, სურვილიც, უზრუნველობაც, ხან კი კვლავ უიმედობა უღონებდა გულს. ზოგჯერ თავს იმხნევებდა:

— ოქროს ანკესით ყოველნაირ თევზს დაიჭერო.

ხანდახან ბოროტად შესცქეროდა ლამპას და ებუზღუნებოდა, ეტყობა, გონებაში ძმა ედგა თვალწინ:

— მასწავლებელი! მქადაგებელი! მოწყალე ფილარეტი... უნიფხვო ეშმაკი!

ჭნავის არაყი სულ მთლად დალია, იმდენი მოსწია, რომ ოთახი ბინდმა მოიცვა... უსწორმასწორო ნაბიჯებით გაჰყვა მოფამფალებულ იატაკს და პიჯაკის ამარა გავიდა წინკარში, შეიგრძნო სუსხი, ჩალისა და ფსუტის სუნი, დაინახა ორი მომწვანო ფერის სინათლე, რომელიც ზღურბლზე გამოკრთა...

— ბუიან! — დაუძახა.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩექმიანი ფეხი ჩაარტყა თავში ბუიანს და შემდეგ ზღურბლზე მოშარდვა დაიწყო.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო მიწაზე, რომელიც ვარსკვლავების შუქზე შავად მოჩანდა. კიაფობდნენ ნაირფერი ვარსკვლავები. ოდნავი სითეთრე დაჰკრავდა შარაგზას, სიბნელეში რომ იკარგებოდა. შორით ისმოდა ყრუ, თითქო მიწიდან ამომავალი ბუბუნი, რომელიც თანდათან უფრო ხმამაღალი ხდებოდა. უცებ ამოხეთქა და არემარე აგუგუნდა. ელექტრონით გაკაშკაშებულ სარკმელთა ჯაჭვით, ქვემოდან ალისფრად გაბრწყინებული, გაწეწილი კვამლის თმებით ჯა-

დოქარივით მიფრინავდა და შარაგზას ჰკვეთდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპრესი.

— დურნოვკას ჩაუარა! — სლოკინით თქვა ტიხონ ილიჩმა და ოთახში შებრუნდა.

პატრუქმომწვარი ლამპის მკრთალი შუქით განათებულ და თამბაქოს სუნით აყროლებულ ოთახში ნამძინარევი მზარეული ქალი შემოვიდა, თან შემოიტანა წვნიანი შეჭამანდით სავსე თუჯია, რომლისთვისაც ქონითა და მჭვარტლით ჩაშავებულ ყურებში ჩაევლო ხელი. ტიხონ ილიჩმა შეუბღვირა და უთხრა:

— ამ წუთში გასწი აქედან!

მზარეული შებრუნდა, კარი ფეხით მიხურა და გაუჩინარდა.

უკვე უნდოდა დაწოლილიყო, მაგრამ კიდევ დიდხანს იჯდა, კბილებს აღრჭიალებდა და მოღუშული, ნამძინარევი თვალებით დასცქეროდა მაგიდას.

II

კუზმა მუდამჟამ ოცნებობდა სწავლასა და შემოქმედებაზე.

ლექსი რა არის! ლექსის წერით იგი მხოლოდ და მხოლოდ „ერთობოდა". მას სურდა მოეთხრო, თუ როგორ იღუპებოდა, გაუგონარი ულმობლობით აესახა თავისი სიღატაკე და ის საშინელი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, რომელიც ამახინჯებდა მას და „უნაყოფო ლეღვის ხედ" აქცევდა.

პირად ცხოვრებას რომ უფიქრდებოდა, იგი კიდეც გმობდა თავის თავს და კიდეც ამართლებდა.

რა ვუყოთ, მისი ისტორია — ესაა ისტორია ყველა რუსი თვითნასწავლი კაცისა. ის დაიბადა ქვეყანაში, სადაც ას მილიონზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. იზრდებოდა ჩორნაია სლობოდაში, სადაც დღესაც კი ბევრი ეცემა სასიკვდილოდ მუშტიკრივში, იზრდებოდა უკიდურეს სიღარიბესა და უმეცრებაში. ასოები და ციფრები მას და ტიხონს მეზობელმა, კალოშების შემკეთებელმა ბელკინმა შეასწავლა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მუდამ უსაქმურად იყო, — აბა

კალოშებისათვის ვისა სცხელოდა სლობოდაში! — ვინმესთვის საფეთქელში წათაქება ყოველთვის სასიამოვნოა და ბევრად სჯობს იმას, რომ იჯდე თავჩაღუნული და ქამარშეხსნილი მიწაყრილზე, აბურძგვნილი ქოჩორი მზისკენ გქონდეს მიშვერილი და ტიტველ ფეხებს შორის მტვერში აფურთხებდე. მატორინის საბაზრო დუქანში ძმებმა წერა-კითხვა ისწავლეს. კუზმას ახლა იტაცებდა წიგნებიც, რომლებსაც აჩუქებდა ხოლმე ბაზრის თავისუფალი მოაზროვნე, უცნაური კაცი, მოხუცი მეგარმონე ბალაშკინი. მაგრამ დუქანში ვის სცალია კითხვისათვის! მატორინი ძალიან ხშირად უყვიროდა: „ყურებს დაგაგლეჯ მაგ შენი გუაკებისათვის, შე ეშმაკო, შენა!“

იქ კუზმამ რაღაც-რაღაცების წერაც დაიწყო. პირველად დაწერა მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ მიემგზავრებოდა ერთი ვაჭარი საშინელი ღვართქაფის დროს, ღამე, მურომის ტყეების გავლით, როგორ მოხვდა ღამის გასათევად ყაჩაღებთან და როგორ გამოსჭრეს ყელი. კუზმამ გულმხურვალედ ასახა ვაჭრის ვედრება სიკვდილის წინ, ფიქრები, მწუხარება თავისი უკეთილმართი და „ასე ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის“ გამო. მაგრამ ბაზრის ხალხმა ულმობლად გადაასხა ცივი წყალი:

— სულელი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! ნაადრევადო! რატომ ადრე არ მოკვდა ის ღიპიანი ეშმაკი! მერედა, როგორღა გაიგე რას ფიქრობდა? მას ხომ ყელი გამოსჭრეს?

მაშინ კუზმა ადგა და დაწერა კოლცოვისებური სასიმღერო ლექსი უხუცეს რაინდზე, რომელმაც თავის ვაჟიშვილს ერთგული ცხენი უანდერძა. — „მე მას დავყავდი ჩემი ყრმობისას!“ აღტაცებით ამბობდა ლექსში რაინდი.

— მაშ ასე! — უთხრეს მას. — ბოლოს და ბოლოს რამდენი წლის იქნებოდა ის ცხენი? ეეჰ, კუზმა, კუზმა! უმჯობესი იქნებოდა უფრო საჭირო რამ შეგეთხზა, — თუგინდ ომზე დაგეწერა რამე...

და კუზმაძაც ბაზრის ხალხის გემოვნებას აუღო ალღო, დაიწყო წერა იმის შესახებ, რაზედაც მაშინ ეს ხალხი ლაპარაკობდა, — რუსეთ-თურქეთის ომზე; წერდა იმაზე, რომ:

წელსა სამოცდაჩვიდმეტსა
ოსმალო ხმალსა ლესავდა,
ურდოს მოუხმო სალაშქროდ,
რუსთა დაპყრობა ეწადა, —

და რომ ოსმალებს

უშნო ფესები ახურავთ,
ცარ-პუშკას ეპარებიან...

შემდეგ დიდი გულისტკივილით აღიარებდა, რაოდენი გონების სიჩლუნგე და უმეცრება იყო ამგვარ შაირებში და რად ღირდა ეს ხეპრული ენა, ეს რუსული სიძულვილი უცხოური ფესების მიმართ!

დუქანი რომ მიატოვეს და ყველაფერი, რაც კი დედის სიკვდილის შემდეგ დარჩათ, გაყიდეს, ძმებმა მეწვრილმანეობას მიჰყვეს ხელი. მშობლიურ ქალაქში ყოფნა ხშირად უხდებოდათ, და კუზმა ისევ მევობრობდა ბალაშკინთან, ხარბად ეწაფებოდა წიგნებს, რომლებსაც ბალაშკინი აძლევდა, ან ურჩევდა წაეკითხა. თუმცა, ბალაშკინთან შილერზე საუბრისას იგი გატაცებით ოცნებობდა ვალად აეღო მისგან „ლივენკა". ტურგენევის „კვამლით" აღფრთოვანებული, ის მაინც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ „ვისაც უჭრის თვისი გონება, უსწავლელადაც გაიტანს თავსა". კოლცოვის საფლავი რომ ნახა, აღტაცებულმა, უწიგნურად დააწერა საფლავის ქვაზე: „ამა ძეგლისა ქვეშე მარხია ცხედარი ვორონეჟელი მედაბურისა და პოეტის: ალექსეი კალცოვისა ხეშწიფის წყალობით დაჯილდოებულისა და ბუნებისაგან უმეცნიერებოდ განათლებულისა..."

ბალაშკინი — ვეებერთელა, ხმელ-ხმელი მოხუცი, ზამთარზაფხულ მომწვანო ხიფთანსა და თბილ ჩიხაქუდს რომ ატარებდა, ფართოსახიანი, წვერგაპარსული და პირმოღრეცილი— თითქმის საშიში იყო თავისი ავი სიტყვებით, ბერიკაცული ბოხი ხმით, რუხ საფეთქლებთან შეეერცხლილი ჯაგარა თმითა და გადმოკარკლული, მწვანედ მოელვარე მარცხენა თვალით, რომელიც იქით ჰქონდა მიბრეცილი, საითაც პირისახე მიღრეცოდა. რომ იცოდეთ როგორ დაიღრიალა ერთხელ.

როცა მოისმინა კუზმას მსჯელობა „უმეცნიერებო განათლების“ შესახებ, როგორ ააელვარა ეს თვალი და შორს გატყორცნა ჯაპიროსი, რომელშიც ჭიჭყინა თევზის კოლოფში ნაყარი წეკო გაეხვია.

— ვირისთავო! რაებს როშავ? გესმის რას ნიშნავს ეს ჩვენი „უმეცნიერებო განათლება“?

კვლავ წამოავლო პაპიროსს ხელი და აღრიალდა:

— ღმერთო ჩემო! პუშკინი მოკლეს, ლერმონტოვი მოკლეს, პისარევი წყალში დაახრჩვეს, რილეევი ჩამოახრჩვეს... დოსტოევსკი დასახვრეტად გაიყვანეს, გოგოლი ჭკუაზე შეშალეს... შევჩენკო? პოლეჟაევი? რას იტყვი, — მთავრობა არის დამნაშავე? როგორიც ყმაა — ისეთი ბატონი ჰყავს, რა ბიჭიც გახლავთ, ისეთი ქუდი ჰხურავს. ოჰ, ნუთუ კიდევ არის ქვეყნად ასეთი მხარე, ასეთი ხალხი, დასწყევლოს ღმერთმა!

კუზმა ერთ ხანს აღელვებით აწვალებდა გრძელკალთიანი სერთუკის ღილებს, ხან შეიკრავდა, ხან გაიხსნიდა; მერე, შემცბარმა, მოღუშული და თან მოღიმარი სახით მიუგო:

— ასეთი ხალხი! „ასეთი“ კი არა, — დიდებული ხალხია, ნება მომეცით შეგნიშნოთ.

— აბა, აბა, ჯილდოებს ნუ არიგებ! — კვლავ შეჰყვირა ბალაშკინმა.

— კარგსაც ეშვრები! ეს მწერლები განა ამ ხალხის შვილნი არ არიან? პლატონ კარატაევი ხომ ამ ხალხის აღიარებული ტიპია!

— რატომ ეროშკას ან ლუკაშკას არ ახსენებ? ჩემო კარგო, ლიტერატურის გადაქექვა არ მოვინდომო, თორემ ვინ რისი ღირსია, კარგად ვიცი! რაღა მაინცდამაინც კარატაევი და არა რაზუვაევი და კოლუპაევი, ბობოლა ღრიანკალი ან მეექთამე მღვდელი, სინდისგარეცხილი დიაკი თუ ვინმე სალტიჩიხა, კარამაზოვი და ობლომოვი, ხლესტაკოვი და ნოზდრევი; ან კიდევ, რაღა შორს მივდიოართ, — შენი არამზადა ძმა?

— პლატონ კარატაევი...

— ჭირსაც წაუღია შენი კარატაევი! მე მასში იდეალს ვერ ეხედავ!

— რუსი მოწამენი, მოღვაწენი, სათნომყოფელნი, სალოსნი, მწვალებელნი?

— რა-ო? კოლიზეები, ჯვაროსნული ლაშქრობები, ლერიგიული ომები, აურაცხელი სექტები? ლუთერი, ბოლოს და ბოლოს? არა, ვერ მოგართვი! ჩემთან ეგეები არ გაგივა!

დიახ, საჭირო იყო მხოლოდ ერთი ოამ — სწავლა. მაგრამ როდის ესწავლა, სად?

მთელი ხუთი წლის განმავლობაში მეწვრილმანეობას ეწეოდა. მერედა, რა დროს? სიცოცხლის ყველაზე საუკეთესო ხანს! ქალაქში ჩამოსვლაც კი უდიდეს ბედნიერებად მიაჩნდა. ისვენებდა, ნაცნობებს ხვდებოდა, ფურნისა და რკინის სახურავების სუნს იყნოსავდა, ტორგოვაიას ქვაფენილზე დადიოდა, სახამრო „ყარსში" ჩაისა და ბულკებს შეექცეოდა და სპარსულ მარშს ისმენდა... დუქნებში იატაკს ჩაიდნით რწყავდნენ, რუდაკოვის კარებთან ცნობილი მწყერი ქვითქვითებდა, ირგვლივ თევზის, კამისა და რომანოვული წეკოს სუნი ტრიალებდა... მიახლოებულ კუზმას ბალაშკინი კეთილად უღიმოდა, თუმც ამ ღიმილით შიშს ჰგვრიდა... მერე კი წყევლა-კრულვას უთვლიდნენ სლავოფილებს, ლანძღვა-გინებით იხსენიებდნენ ბელინსკის, უთავბოლოდ და გაცხარებით უტევდნენ ერთმანეთს ათასნაირი სახელებითა და ციტატებით, ხოლო საბოლოოდ ყველაზე უიმედო დასკვნამდე მიდიოდნენ. „ახლა უკვე ყველაფერი გათავდა, — მთელი ძალით ვტეხთ წელში და აზიისაკენ მივერეკებით!"—დუდუნებდა ბერიკაცი, მერე უცებ ხმას დაუდაბლებდა, მიიხედ-მოიხედავდა და იტყოდა: „გაიგე? ამბობენ, სალტიკოვი კვდებაო. უკანასკნელი! მოწამლესო, ამბობენ..." დილით კი ელოდა ისევ ფორანი, სტეპი, პაპანაქება თუ ტალახი, დაძაბული და საწამებელი კითხვა შარაზე მსრბოლი თვლების რახრახში... დიდხანს გაჰყურებდა სტეპის შორეთს, გულში ტკბილსა და ნაღვლიან ლექსებს მღეროდა, რასაც დროდადრო აწყვეტინებდა ნავაჭრზე ფიქრი ან ტიხონთან წაკინკლავება... აღელვებდა მგზავრობის თანამდევი მტვრისა და კუპრის სუნი, პიტნიანი თაფლაკვერის სურნელება, კატის ტყავების მოშხაშმავი სიმყრალე, ფორნის ყუთიდან რომ ამოდიოდა... ქანცი გაუწყვიტეს ამ წლებმა,—ორ-ორ კვირას პერანგგაუხდელად ყოფნამ, მშრალმა საკვებმა, მოლრეციელი ჩექ-

მებისა და დასისხლიანებული ქუსლების გამო კოჭლობამ, სხვის ქოხსა თუ წინკარში ღამის თევამ!

კუზმამ სასოებით გამოისახა პირჯვარი, როცა ბოლოს და ბოლოს თავი დააღწია ამ სიდუხჭირეს. მაგრამ ლუკმა პური ხომ მაინც უნდა ეშოვნა. თითქმის წელიწადს მსახურობდა ერთ ჩოდართან ელცის მახლობლად, შემდეგ კი ვორონეჟისკენ გაესწია. ვორონეჟში კარგა ხანია გულში ჩავარდნოდა სხვისი ცოლისადმი ტრფიალი და სწორედ ამიტომ გაუწია იქითკენ გულმა. თითქმის ათ წელს იყო მოკალათებული პურის მომარაგების საწყობთან, მაკლერობდა და თან პატარ-პატარა წერილებს ათავსებდა გაზეთებში პურის საკითხზე; გულს ეყოლებდა ტოლსტოის სტატიებსა და შჩედრინის ნაწარმოებებს, ან, უფრო სწორად, სულს იშხამავდა მათი კითხვით. განუშორებლად სდევდა და სტანჯავდა ფიქრი: ვიღუპები, ცხოვრებამ ფუჭად ჩაიარაო.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თიაქრისაგან გარდაიცვალა ბალაშკინი; ცოტა ხნით ადრე კუზმამ იგი უკანასკნელად ნახა. მერედა, რა შეხვედრა იყო!

— წერაა საჭირო, — სახემოღუშვითა და ბრაზით ჩიოდა ერთი, — თორემ მინდვრის ყვავილივით ჭკნები კაცი...

— ჰო, ჰო, — დუდუნებდა მეორე, ნამძინარევივით აპარპალებდა თვალებს, ღრანჭს ძლივს ამოძრაებდა და პაპიროსის გახვევისას წეკო ებნეოდა,—ნათქვამია: ნიადაგ სწავლობდე და ფიქრობდეო... მიიხედ-მოიხედე ირგვლივ, თვალი გადაავლე ჩვენს უბედურებას, სიღატაკეს.

მერე მორცხვად გაიღიმა. პაპიროსი გადადო და მაგიდის უჯრა გამოწია.

— აი,—დუდუნებდა ის და თან დამდნარი ქაღალდებისა და გაზეთების ამონაჭრების დასტას ქექავდა. — აი აქ, ჩემო კარგო, მთელი სიმდიდრეა... ვკითხულობდი, ვჭრიდი, ვიწერდი... როცა მოვკვდები, შენ დაგრჩება; გამოგადგება, — შესანიშნავი მასალაა რუსული ცხოვრების შესახებ. მოიცა, მოიცა, მე შენ ერთ კარგ ამბავს მოგიძებნი...

ქექა, ქექა, მაგრამ ვერ იპოვა. მერე სათვალეს დაუწყო

ძებნა, ჯიბეები გადმოაბრუნა და ხელი ჩაიქნია. ხელი ჩაიქნია და თავი გააკანტურა:

— თუმცა, არა, — არ გაბედო და ჯერ ხელი არ მოჰკიდო. ჯერჯერობით შენ ჭკუასუსტი ხარ, უსწავლელი. ისეთ ქვას უნდა დასწვდე, რომლის აწევასაც შეძლებ. აი იმ თემაზე, ამას წინათ რომ მოგეცი სუხონოსზე, დაწერე რამე? ჯერ არ დაგიწერია? შენცა ხარ, რაღა, ჭკუის კოლოფი! რა თემაა!

— სოფელზე უნდა იყოს რამე, ხალხზე,—თქვა კუზმამ,— თქვენ თვითონ არ ამბობთ: რუსეთი, რუსეთიო...

— განა სუხონოსი ხალხი არ არის, რუსეთი არ არის? სწორედ რომ ისაა, სოფელია, შეუშვი მაგ თავში! მიიხედ-მოიხედე გარშემო: როგორა ფიქრობ, ქალაქია ეს? ყოველ საღამოს ნაბირი დაეხეტება ქუჩებში — ისეთი ბუღი დგას, რომ კაცს ვერ იცნობ... შენ კი ამბობ ქალაქიაო!

სუხონოსი... მრავალ წელს არ შორდებოდა კუზმას გონებას ეს საზიზღარი შესახედაობის, დაბის მცხოვრები ბეოიაცი, რომლის მთელ ავლადიდებას შეადგენდა ბაღლინჯოებისაგან დასვრილი ლეიბი და ჩრჩილისაგან შეჭმული სალოფი — ცოლის დანატოვარი. იგი დაეხეტებოდა, ავადმყოფობდა, შიმშილობდა, თვეში ათ შაურად აფარებდა თავს ვაჭარი ქალის სახლს, „ობჟორნი რიადზე“ რომ ცხოვრობდა და, რომლის აზრით, ამ კაცს თავისუფლად შეეძლო პირადი მდგომარეობის გაუმჯობესება, თუკი თავის მემკვიდრეობას გაყიდდა. მაგრამ ბერიკაცი მას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, — და, რა თქმა უნდა, არა განსვენებულისადმი სათუთი გრძნობების გამო: ეს მემკვიდრეობა აგრძნობინებდა მოხუცს, რომ ის, სხვებისაგან გამორჩევით, რაღაც ქონების პატრონი მაინც იყო. ეს ქონება მას ძალიან ძვირად უღირდა: „აბა სად ნახავ ახლა ასეთ სალოფს!“ იგი სულაც არ იყო სალოფის გაყიდვის წინააღმდეგი, მაგრამ ისე ძვირად აფასებდა, რომ მყიდველები ადგილზე ქვავდებოდნენ... კუზმას კარგად ესმოდა დაბაში მცხოვრებთა ეს ტრაგედია, მაგრამ როცა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ აეწერა იგი, თვითონაც ებმებოდა დაბის მკვიდრთა ამ მძიმე ცხოვრებაში, იგონებდა ბავშვობას, სიჭაბუკეს — და თავს ვეღარ ართმევდა, რის გამოც სუხო-

ნოსი ეკარგებოდა იმ უამრავ სურათებში, რომლებსაც წარმოსახვის უნარი მთლად შეებოჭათ. იგი ფარ-ხმალს ყრიდა, რადგან თრგუნავდა სურვილი — გადმოეცა თავისი სული, გამოეთქვა ყველაფერი, რაც პირად ცხოვრებას უმახინჯებდა, ხოლო ამ ცხოვრებაში ყველაზე დიდ საშინელებად იმას მიიჩნევდა, რომ იგი უბრალო, ჩვეულებრივი იყო და გაურკვეველი სისწრაფით ქუცმაცდებოდა წვრილმანებად...

მას შემდეგ კიდევ ბევრი უნაყოფო წელი გავიდა. ეორონეჟში მაკლერობას ეწეოდა, მერე, როცა შვილოსნობის ხურვებას გადაჰყვა ის ქალი, რომელთანაც ცხოვრობდა, ელცში დაიწყო მაკლერობა, სანთლებით ვაჭრობდა ლიპეცკის დუქანში, კანტორის მოხელედ მუშაობდა კასატკინის მეურნეობაში. ერთ ხანს ტოლსტოის თავდადებული მიმდევარიც იყო: ერთი წლის განმავლობაში არ მოუწევია თამბაქო, არ გაჰკარებია არაყს, არ ჭამდა ხორცს, განუშორებლად თან ჰქონდა „აღსარება", კავკასიაში, დუხობორებთან დასახლებას აპირებდა... მაგრამ ერთხელ დაავალეს კიევში ერთ საქმეზე წასვლა. სექტემბრის მიწურული იყო, ნათელი დღეები იდგა, ყველაფერი სიხარულს, სიმშვენიერეს განაცდევინებდა კაცს: სუფთა ჰაერი, ნელი მზე, მატარებლის სრბოლა, ღია ფანჯრები, ნაირფერი ტყეები, რკინიგზის გასწვრივ რომ ჩანდნენ... უეცრად ნეჟინის სადგურთან კუზმამ ვაგზლის კარებთან შეკუჩული ხალხი დაინახა. ისინი ვიღაცას შემოხვეოდნენ, ყვიროდნენ, ღელავდნენ, დავობდნენ. კუზმას გულმა ბაგაბუგი დაუწყო და ხალხისკენ გაექანა. სწრაფად გაძვრა-გამოძვრა და დაინახა წითელქუდიანი სადგურის უფროსი და რუხმაზარიანი მაღალი ჟანდარმი. ეს უკანასკნელი უჯავრდებოდა სამ ხოხოლს, მორჩილად, მაგრამ ჯიუტად რომ იდგნენ; მათ ეცვათ მოკლე, სქელი მოსასხამები და უხეში ჩექმები, ეხურათ ყავისფერი ფაფახები, რომლებიც ძლივს უჩერდებოდათ შემაძრწუნებელი შესახედაობის მრგვალ თავებზე, შეშუპებული თვალების, დასივებული, გახევებული, დალებილი და ჭრილობებით დაფარული პირისახის ზემოთ, ჟუჟღშემხმარი დოლბანდით ოომ ჰქონდათ შეხვეული. ხოხოლები ცოფიან მგელს დაეკბინა, კიევში, საავადმყოფოში იყვნენ გაგზავნილნი და თითქმის

ყველა დიდ სადგურზე დღედაღამ მშიერ-მწყურვალნი ისხდნენ, კაპიკი ფული არ გააჩნდათ. როცა კუზმამ გაიგო, ხოხოლებს მხოლოდ იმიტომ არ უშვებენ ვაგონში, რომ მატარებელი სასწრაფოაო, უეცრად გაშმაგდა და, თავმოყრილ ხალხში მდგომი ებრაელების მოწონების შეძახილით წაქეზებული, აღრიალდა და ჟანდარმს ფეხები დაუბაკუნა. კუზმა დაიჭირეს და ოქმი შეუდგინეს; მომდევნო მატარებლის ლოდინში ერთი ლაზათიანად გამოტყვრა.

ხოხოლები იყვნენ ჩერნიგოვის გუბერნიიდან, რომელიც კუზმას ფიქრით ერთი მივარდნილი ტყიანი მხარე იყო, თავზე უფერული, ჯანღიანი ცა ეხურა. ეს ადამიანები, რომლებსაც შმაგ მხეცთან ხელჩართული ბრძოლა გადაეტანათ, კუზმას აგონებდნენ ვლადიმირის დროს, გარდასულ, ტყიურ, პატრიარქალურ ცხოვრებას. აურზაურის შემდეგ აკანკალებული ხელით ისხამდა არაყს, ხარბად სვამდა და აღტაცებული ამბობდა: „ეჰ, რა დრო იყო!“ ჟანდარმისა და იმ მოსასხამიანი პირუტყვების ჯავრი სჭირდა. გონებაჩლუნგნი, ველურები, დასწყევლოს ღმერთმა... მაგრამ — რუსეთი, ძველი რუსეთი! ცრემლები მთვრალი სიხარულისა და იმ ძალისა, რომელიც ყოველგვარ სურათს ამახინჯებს და უჩვეულო იერს აძლევს, თვალს უბინდავდნენ კუზმას. „წინააღმდეგობის გაუწევლობა?“ — ახსენდებოდა ზოგჯერ, იღიმებოდა და თავს აქნევდა. მისკენ ზურგშექცევით, საერთო სუფრაზე, სადილობდა ახალგაზრდა, სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილი ოფიცერი; კუზმა ალერსიანი, მაგრამ კადნიერი თვალით შესცქეროდა მის თეთრ კიტელს, ისე მოკლესა და მაღალწელიანს, რომ სურდა მისულიყო და მაგრად ჩამოეჭაჩა. „მივალ კიდეც! — ფიქრობდა.— ხოლო თუ ადგა და დაიყვირა, შიგ დრუნჩში მივცხებ! ესეც შენი წინააღმდეგობის გაუწევლობა“... მერე წავიდა კიევში. საქმეზე ხელი აიღო და, შეზარხოშებული, სამ დღეს დაეხეტებოდა ქალაქში, დნეპრისპირა ფლატეებზე. სოფიის ტაძარში, წირვის დროს, ბევრნი გაკვირვებით ათვალიერებდნენ გამხდარ კაცაპს, რომელიც იაროსლავის სარკოფაგის წინ იდგა. უცნაური შესახედაობისა იყო: წირვა თავდებოდა, ხალხი გამოდიოდა, დარაჯები სანთლებს აქრობდნენ, მას კი კრიჭა შე-

ეკრა, შეჭაღარავებული წვერი მკერდზე ჩამოეშვა, ტანჯვასიამით დაეხუჭა ღრმად ჩაცვივნული თვალები და ისმენდა ტაძრის თავზე დაკიდებული ზარის კეთილხმოვან ბუბუნს... საღამოს კი იგი ლავრაში ნახეს. ერთ ხეიბარ ბიჭს უჯდა გვერდით და ნაღვლიანი ღიმილით შესცქეროდა ლავრის თეთრ კედლებს, მოოქრულ მცირე გუმბათებს, შემოდგომის ცაზე რომ ელავდნენ. ბიჭს ქუდი არ ეხურა, მხარზე ტილოს ჩანთა ჰქონდა გადაგდებული, გამხდარ ტანზე ჭუჭყიანი, დაფლეთილი ტანისამოსი ეცვა, ცალ ხელში ხის ჯამი ეჭირა, რომელშიც კაპიკიანი ეგდო, ხოლო მეორით კი, თითქოს რაღაც სხვისი საგანიაო, ისე ისწორებდა მახინჯ, მუხლს ქვემოთ შიშველ, გამხმარ, გაფშიკებულ, მზისაგან გარუჯულ, ოქროსფერი ბალნით დაფარულ მარჯვენა ფეხს. ირგვლივ არავინ იყო, მაგრამ გაკრეჭილი, მზისა და მტვრისაგან თმახეშეში, უძლური თავი ზანტად უკან გადაეგდო, გაძვალტყავებული ბალღური ფერდები გაეშიშვლებინა, წვინტლიან ცხვირზე დამსხდარ ბუზებს ყურადღებას არ აქცევდა და შეუსვენებლივ გაჰყვიროდა:

შეხედეთ, დედებო,
რა უბედური და ტანჯული ვარ!
ეჰ, ღმერთმა ნუ ქნას, დედებო,
რომ ვინმე ეწამოს ასე!

კუზმა კვერს უკრავდა: „დიახ, დიახ! მართალია!“

კიევში აშკარად დარწმუნდა, რომ კასატკინთან აღარ ედგომებოდა, რომ წინ სიღარიბე და დაგლახაკება ელოდა. ასეც მოხდა. ერთ ხანს კიდევ შეძლო გაჩერება, მაგრამ მეტად სასირცხო და მძიმე ყოფაში ჩავარდა: მუდამ შეზარხოშებული იყო, უსუფთაო, ხმაჩახლეჩილი, სულ მთლად წეკოთი გაჟღენთილი და თავს ძალას ატანდა, როგორმე დაემალა, რომ საქმეში გამოუსადეგარი იყო... შემდგომ კიდევ უფრო დაკნინდა: თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, უკანასკნელ კაპიკებს წირვა გამოუყანა, მთელი ზამთრის განმავლობაში ღამეს ხოდოვის სასტუმროში ათევდა, სადაც მის გარდა რამდენიმე კაცი იყო, ხოლო დღეს დიაცთა ბაზარში, ავდეიჩის სახამ-

როში ჰკლავდა. კუზმას კაპიკების უმრავლესობა მის სულელურ განზრახვას — ლექსების წიგნის გამოცემას მოუნდა, რის შემდეგაც იძულებული შეიქნა ავდეიჩთან მოსიარულე ხალხში ეხეტიალა და წიგნები ნახევარ ფასად მიესაღებინა. ეს კიდევ არაფერი: იგი მასხარად იქცა! ერთხელ ბაზარში ფქვილის დუქნებთან იდგა და შესცქეროდა ერთ მაწანწალას, რომელიც ზღურბლზე გამოსულ ვაჭარ მოზჟუხინის წინაშე იმანჭებოდა. ნამძინარევი და სასაცილო .შესახედაობის ვაჭარი. რომელსაც პირისახე პრიალა სამოვარში არეკვლილ კაცის სახეს მიუგავდა, უფრო მეტ ყურადღებას კატას აქცევდა, რომელიც გაწმენდილ ჩექმას ულოკავდა, ვიდრე მასხარას. მაგრამ მაწანწალა არ ცხრებოდა. გულში მუშტი ჩაიკრა, მხრები აიჩეჩა და ხრინწიანად დაიწყო:

ვინც თვრება სისხამ დილითა,
იგი მუდამჟამ ლხინობსო...

კუზმას დაბერილი თვალები გაუბრწყინდა და უეცრად მოაყოლა:

მაშ გაუმარჯოს მოლხენას,
მაშ გაუმარჯოს ღვინოსო!

ხოლო იქვე გამვლელი დედაბერი, რომელსაც სახე ძულომს მიუგავდა, შეჩერდა, წარბი შეიჭმუხნა, შეაცქერდა, ყავარჯენი ასწია და ბოროტად უთხრა:

— აბა ლოცვას კი არ დაისწავლიდი აგრე კარგად!

ერჩია მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა. მაგრამ სწორედ ამან იხსნა. მას რამდენჯერმე მოუვიდა საშინელი გულის შეტევა — და ერთბაშად დაანება თავი ლოთობას, გადაწყვიტა ეცხოვრა ყველაზე უბრალო, მშრომელი კაცის ცხოვრებით, მაგალითად, იჯარით აეღო ბაღები, ბოსტნები და დაემუშავებინა...

ეს აზრი ახარებდა. „დიახ, დიახ, — ფიქრობდა იგი, — ადრეც უნდა მოვქცეულიყავი ასე!“ მართლაც, უნდა დაესვენა, ეცხოვრა ღარიბად, მაგრამ პატიოსნად. უკვე სიბერე შეეპარა. წვერი სულ მთლად გასჭაღარავებოდა, შუაზე გაყოფილი, ბოლოდახუჭუჭებული თმა შეთხელებოდა და რუხი ფერი

დაჰკრავდა, ფართოყვრიმალებიანი სახე ჩაშავებოდა და კიდევ უფრო გამხდარი უჩანდა...

გაზაფხულზე, ტიხონთან შერიგებამდე რამდენიმე თვით ადრე, კუზმამ ყური მოჰკრა, რომ სოფელ კაზაკოვოში, მის მშობლიურ მაზრაში, ქირავდებოდა ბაღი, და იქითკენ გაეშურა.

მაისის პირველი დღეები იდგა; სიცხის შემდეგ ცივი, წვიმიანი ამინდები დაიჭირა. ქალაქის თავზე შემოდგომის ქუფრი ღრუბლები დაცურავდნენ. ძველ ხიფთანსა და ჩიხაქუდში გამოწყობილი კუზმა გაცვეთილი ჩექმებით მიაბიჯებდა პუშკარნაია სლობოდის გადაღმა ვაგზლისაკენ; თავს აკანტურებდა, პირში პაპიროსი გაეჩარა, რის გამოც პირისახე ეჭმუხნებოდა, ხელები უკან, ხიფთანქვეშ ამოედო და ირონიულად იღიმებოდა: მას ეს-ეს იყო ჩაურბინა ფეხშიშველა ბიჭმა, რომელსაც ხელში გაზეთების დასტა ეჭირა და შეუჩერებლივ ესროლა ჩვეული ფრაზა:

— საყოველთაო გაფიცვა!

— დაგაგვიანდა, ბიჭო, — უთხრა კუზმამ. — უფრო ახალი არაფერი გაქვს?

თვალებბრიალა ბიჭი შედგა.

— ახლები პოლიციელმა წამართვა ვაგზალში, — უპასუხა მან.

— ესეც შენი კონსტიტუცია! — ღვარძლიანად თქვა კუზმამ და გზა განაგრძო; ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა წვიმისაგან ჩაშავებული დამპალი ღობის ძირას, ხეების სველ ტოტებსა და დაფერდებული ქოხმახების ფანჯრებქვეშ, რომლებიც მთის ძირას, ქუჩის ბოლოს ერწყმოდნენ ერთმანეთს. „სასწაულია, სასწაული! — ფიქრობდა ის. — წინათ ასეთ ამინდში დუქნებსა და სახამროებში ვამთქნარებდით, გადალაპარაკებაც კი გვეზარებოდა. ახლა კი მთელი ქალაქი ლაპარაკობს სათათბიროზე, ამბოხებაზე, ხანძარზე, იმაზე, თუ როგორ „მიახალა მკვახე სიტყვა მურომცევმა პრემიერმინისტრს...“ ერთი დრო არავის შერჩება! ქალაქის ბაღში ცხენოსან პოლიციელთა ორკესტრი უკრავს... კაზაკთა მთელი ასეული მოიყვანეს... მესამე დღეს ტორგოვაიაზე ერთი მათგანი, მთვრალი, საჯარო ბიბ-

ლიოთეკის ფანჯარასთან მივიდა, ხვანჯარი გაიხსნა და ბიბ-ლიოთეკის გამგე ქალიშვილს „არითმეტიკის“ ყიდვა შესთა-ვაზა. მოხუცმა მეეტლემ, რომელიც იქვე ახლო იდგა, შეარ-ცხვინა, მაგას რასა შვრებიო; კაზაკმა ხმალი იშიშვლა, ბერი-კაცს მხარი გაუპო და დედის გინებით დაედევნა შიშისაგან გადარეულ გამვლელებს, რომლებიც, თავქუდმოგლეჯილნი, საითაც მოხვდებოდა, იქით გარბოდნენ...

— კატის გამტყავებელო, ღობე-ღობე მძრომელო!—წრი ჰინა ხმები დაადევნეს კუზმას გოგონებმა, რომლებიც სლო-ბოდის პატარა ნაკადულის ქვებზე დახტოდნენ, — ტყავს აძ-რობენ კატებსა, შენ მოგცემენ თათებსა!

— უჰ, თქვე საძაგლებო! — დაუთათხანა ბავშვებს კუზმას წინ მიმავალმა კონდუქტორმა, რომელსაც შესახედავადაც კი ძძიმე მაზარა ეცვა. — ნახეს რაღა თავიანთი ტოლი!

მაგრამ ხმაზეც მიხვდებოდა კაცი, რომ დამტუქსავი სი-ცილს იკავებდა. კონდუქტორს ძველ, ღრმა კალოშებზე ტალა ხი შეხმობოდა, მაზარა მხოლოდ ერთ ღილზე ჰქონდა შეკრუ ლი. ძელური ხიდი, რომელზედაც ის გადიოდა, გვერდზე იყო გადახრილი. უფრო იქით, გაზაფხულის წყლით ჩარეცხილი თხრილების ახლოს, მჭკნარი ტირიფები იზრდებოდა. კუზმამ ნაღვლიანად შეხედა მათ, მოლურჯო და ლეგა ღრუბლებით დაფარულ ჩალის სახურავებსაც, სლობოდის მთაზე რომ მო-ჩანდა, წითურბალნიან ძაღლსაც, რომელიც თხრილში ძვალს ღრღნიდა...

„დიახ, დიახ, — ფიქრობდა მთაზე ამავალი. — ერთი დრო არავის შერჩება!“ მთაზე რომ ავიდა და ცარიელ მწვანე მინ-დვრებს შორის ვაგზლის წითელი საგებობანი დაინახა, კვლავ ვაეღიმა. პარლამენტი, დეპუტატები! გუშინ ბრუნდებოდ: ბალიდან, სადაც ზეიმის გამო ილუმინაცია მოეწყოთ, ისროდ-ნენ რაკეტებს, ხოლო ცხენოსანი პოლიციელები უკრავდნენ „ტორეადორს“ და „მდინარის პირას, ხიდის მახლობლად“, „მატჩიშს“ და „ტროიკას“, თან შუა ცეკვაში შესძახებდნენ ხოლმე: „ეჰ, ლამაზო!“ შინ რომ მოვიდა, თავისი სასტუმროს ალაყაფის კარებზე რეკვა დაიწყო. ჩამოჰკრა მავთულს, კიდევ ჩამოჰკრა, მაგრამ კაცმა-სულიერმა არ გამოაკითხა; არავინ

გამოსულა, ირგვლივ კი სიჩუმე იყო, ბინდდებოდა, ქუჩის ბოლოს, მაღლა, მოჩანდა ცივი მომწვანო ცის დასალიერი, ხოლო თავს ზემოთ ღრუბლები მიცურავდნენ... ბოლოს ვიღაც გამოჩანჩალდა, აკრუსუნდა, გასაღები ააჩხარუნა და წაიბუზღუნა:

— გახედნისას დავკოჭლდი...

— როგორ? — შეეკითხა კუზმა.

— ცხენმა გადმომაგდო, — მიუგო ჭიშკრის გამღებმა და დასძინა: — ახლა ორიღა დამრჩა გასახედნი.

— მოსამართლის ცხენები ხომ არა?

— ჰო, მოსამართლისა.

— აბ იცი, რისთვის ჩამოვიდა სასამართლო?

— დეპუტატის გასასამართლებლად... მდინარის მოწამვლა სდომებია თურმე.

— დეპუტატიო? სულელო, განა დეპუტატები ასეთ რამეს სჩადიან?

— რა ვიცი, ჭირმა წაიღოს მაგათი თავი!..

სლობოდის განაპირას, თიხის ფაცხის წინ იდგა ჭაღალმაღალი ბერიკაცი, რომელსაც რაღაც ჯღანები ეცვა. ხელში კაკლის გრძელი ჯოხი ეჭირა; გამვლელის დანახვისას იგი სწრაფად შეეცადა უფრო მოხუცებულად მოეჩვენებინა თავი, ვინემ მართლა იყო, — ორივე ხელით ჯოხს დაეყრდნო, მხრები ასწია, დაღლილი, ნაღვლიანი სახე მიიღო. მინდვრიდან მონაბერი ტენიანი გრილი ქარი ეწეწავდა ჭაღარა თმას. კუზმას მოაგონდა მამა, ბავშვობა... „რუსეთო, რუსეთო! საით მიექანები?“ — გაახსენდა უცებ გოგოლის შეძახილი. „რუსეთო. რუსეთო!.. ოჰ, ყბედებო, ჯანდაბას თქვენი თავი! ამაზე უკეთესს რას გაიგონებს ყური — „დეპუტატს მდინარის მოწამვლა უნდოდა“... მაგრამ ვინ უნდა დასაჯონ? უბედური ხალხი. უპირველეს ყოვლისა — უბედური ხალხი!..“ და უცებ კუზმას პატარა მომწვანო თვალებზე ცრემლი მოადგა, რაც ამ ბოლო დროს ხშირად ემართებოდა. ამას წინათ დიაცთა ბაზარში ავდეიჩის სახამროში შეიარა. ეზოში შევიდა, კოჭებამდე ლაფი გაიარა და მეორე სართულზე ავიდა ისეთი აყროლებული, დამპალი ხის კიბით, რომ თვით მასაც კი, ადამიანს, რომელსაც

კარგიც ბევრი ენახა და ავიც, გული აერია. დიდი ჯაფით შეაღო მძიმე, ჭუჭყიანი კარი, რომელზედაც პატრონს ქეჩის ნაფლეთები გადაეკრა, ხოლო ჭოჭონაქად თოკზე დაკიდებული აგური გაეკეთებინა; კარი შეაღო თუ არა, მაშინვე დააბრმავა თამბაქოს კვამლმა, ყურთასმენა წაართვა ცალკე დგარზე დაწყობილი ჭურჭლის ხმაურმა, ცალკე აქეთ-იქით მორბენალ მსახურთა ფეხების ბაკუნმა და ცალკე გრამაფონის დუდღუნმა. მერე გავიდა ბოლო ოთახში, სადაც უფრო ცოტა ხალხი იყო, მაგიდას მიუჯდა და ერთი ბოთლი თაფლუჭი მოითხოვა. მის ფეხქვეშ, ტალახითა და ფურთხით მოსვრილ იატაკზე ეყარა გამოსრუტული ლიმონის ქერქები, კვერცხის ნაჭუჭები და პაპიროსის ნამწვები... პირდაპირ, კედელთან იჯდა ტანმაღალი გლეხი, რომელსაც ქალამნები ეცვა, ნეტარებით აღვსილი იღიმებოდა, გაბურძგვნილ თავს აკანტურებდა და დუდღუნა გრამაფონს ყურს უგდებდა; მაგიდაზე არაყიანი ჭურჭელი, პატარა ჭიქა და კრენდელები ეწყო. მაგრამ გლეხი არ სვამდა, მხოლოდ თავს აკანტურებდა, ქალამნებზე იხედებოდა. უცებ კუზმას მზერა რომ იგრძნო, ლხენაჩამდგარი თვალები და ხვეული წითური წვერით დამშვენებული კეთილი სახე მიაპყრო. „შემთხვევით შემოვიარე!“ — მხიარულად, გაოცებით წამოიძახა და თან თავის გასამართლებლად დასძინა: „აქა, ჩემო ბატონო, ჩემი ძმა მუშაობს... ღვიძლი ძმაი...“ კუზმამ თვალის დახამხამებით ცრემლები მოიშორა და კბილები გააღრჭიალა. უჰ, წყეულები, როგორ აწყდებიან სახამროს! შემთხვევით შემოვიარეო! ავდეიჩთან და — შემთხვევით! ეს კიდევ არაფერი: როცა კუზმა ადგა და, მშვიდობითო, უთხრა, გლეხი, რომელსაც გული სიამითა და მადლიერების გრძნობით აღვსებოდა — როგორც სახამროს კეთილმოწყობის წყალობით, ისე იმის გამო, რომ მას ადამიანურად ელაპარაკნენ, — იმწამსვე წამოხტა და საჩქაროდ მიუგო: „ნუ განმირისხდებით...“

წინათ ვაგონში მგზავრები საუბრობდნენ მხოლოდ წვიმებსა თუ გვალვებზე, იმაზე, რომ „პურის ფასებს ღმერთი აწესებს“. ახლა კი ბევრნი გაზეთებს აშრიალებდნენ ხელში, კვლავ მსჯელობდნენ სათათბიროზე, მიწების ჩამორთმევა-

ზე — ვერავინ ამჩნევდა კოკისპირულ წვიმას, სახურავზე რომ ხმაურობდა, თუმცა ისეთი ხალხი მგზავრობდა, რომელიც წინათ შემოდგომამდე სულ წვიმის ნატვრაში იყო: პურით მოვაჭრენი, გლეხები, ხუტორელი მედაბურები. ჩაიარა ფეხმოჭრილმა სალდათმა, რომელსაც სიყვითლე სჭირდა; ნაღვლიანი შავი თვალები ჰქონდა, კოჭლობით მიდიოდა, ხის ფეხს მიაბაკუნებდა, წამდაუწუმ იხდიდა მანჯურიულ ფაფახს და ყოველ გაკითხვაზე მათხოვარივით პირჯვარს იწერდა. ატყდა ხმამაღალი, გულძვირი მითქმა-მოთქმა მთავრობაზე, დურნოვკის მინისტრზე და რაღაც სახაზინო შვრიაზე... დაცინვით მოიხსენიეს ის ამბავი, რითაც ადრე აღტაცებაში მოდიოდნენ. ამბავი შეეხებოდა „ვიტიას“, რომელიც პორტსმუტში იაპონელების დასაშინებლად ბრძანებას იძლეოდა ჩემოდნები მიწაში ჩაეფლოთ... კუზმას პირისპირ მჯდომი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თმა თახვივით გაკრეჭილი ჰქონდა, წამოწითლდა, აღელდა და უცებ ჩაერია ლაპარაკში:

— მაპატიეთ, ბატონებო! აი თქვენ ამბობთ — თავისუფლებაო... აი მე გადასახადის ინსპექტორის საქმის მწარმოებლად ვმუშაობ და დედაქალაქის გაზეთებში წერილებს ვათავსებ... განა ასეთი რამ მას ეხება? თანაც ირწმუნება, მეც თავისუფლების მომხრე ვარო და თახაც, რომ გაიგო ჩვენი სახანძრო საქმის მოუგვარებლობის შესახებ წერილი გამოვაქვეყნე, მომიხმო და მითხრა: კისერს მოგიგრეხ, შე ძაღლისშვილო, თუ კიდევ ასეთი რამე დაგიწერიაო! მითხარით ერთი: თუკი მე უფრო მემარცხენული შეხედულებები მაქვს...

— შეხედულებებიო? — ქონდრის კაცის კრინით შესძახა ახალგაზრდა კაცის გვერდით მჯდომმა სქელსქელმა საჭურისმა, — რომელსაც ბოთლის მაგვარი ჩექმები ეცვა,—მეფქვილე ჩერნიაევმა, ბოროტად რომ უბღვერდა, და, გონს მოსვლაც არ აცალა, ისე შეჰყვირა:

— შეხედულებები? შენა გაქვს შეხედულებები? შენა ხარ მემარცხენე? მე შენ ჯერ კიდევ მაშინ მინახიხარ, უნიფხვო რომ დატანტალობდი! მაწანწალა მამაშენზე ნაკლებ როდი გიხმებოდა კუჭი! იმ შენ ინსპექტორს სულ ფეხებს უნდა უკოცნიდე!

— კონ-სტი-ტუ-უ-ცია, — საჭურისს სიტყვა მოუჭრა და წვრილი ხმით წაიმღერა კუზმამ, წამოდგა, სკამებზე მსხდომთ მუხლებზე გაეხახუნა და ვაგონის კარისაკენ გაემართა.

საჭურისს პატარა, სქელი და საზიზღარი ტერფები ჰქონდა, როგორიც ზოგიერთ შეკუჭნავე დედაბერს აქვს ხოლმე, პირისახეც — დედაკაცური, დიდი, მოყვითალო, ჩამრგვალებული, ტუჩები — თხელი... კარგი შესახედავი იყო პოლოზოვიც — პროგიმნაზიის მასწავლებელი, ჯოხზე დაყრდნობილი, ასე ალერსიანად რომ აქნევდა თავს, საჭურისის ლაპარაკის ყურისგდებისას; ჯმუხი კაცი, რომელსაც ნაცრისფერი ქუდი ეხურა და რუხი საბეჭურიანი პალტო ეცვა, თვალები ნათელი ჰქონდა, ცხვირი—მრგვალი, კოხტა ქერა წვერი მთელ მკერდზე ეფინა... ვაგონის ბაქანზე გასასვლელი კარი რომ გააღო, კუზმას ცივი და სურნელოვანი წვიმიანი ჰაერი ეცა და ეამა. ბაქნის სახურავზე წვიმა შხაპუნობდა, წვრილ ნაკადულებად მოწანწკარობდა, შხეფებად იფანტებოდა. წვიმის ხმაურში ირწეოდნენ და რახრახებდნენ ვაგონები, მათს შესახვედრად მოცურავდნენ ტელეგრაფის მავთულები, ხან მაღლა იწევდნენ და ხან კი დაბლა ეშვებოდნენ; ვაგონის ორსავე მხარეს ჰორბოდნენ თხილის ხასხასა ფოთლებიანი ბუჩქები. უცებ მიწაყრილიდან ჯგუფად ამოცვივდნენ ბავშვები და წკრიალა ხმით ერთხმად შესძახეს რაღაც. კუზმას გული აუჩუყდა, გაეღიმა და სახე წვრილი ნაოჭებით დაეფარა. ხოლო როცა თავი ასწია, მოპირდაპირე ბაქანზე შენიშნა მგზავრი; მგზავრს კეთილი, ტანჯული გლეხის სახე და ჭაღარა წვერი ჰქონდა, ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, დრაფის პალტო ეცვა, წელზე თოკი ერტყა, ზურგზე ტომარა და თუნუქის ჩაიდანი ეკიდა, წვრილ ფეხებზე ქალამნები ეცვა. კუზმამ რახრახსა და ხმაურში გასძახა:

— სალოცავიდან ბრუნდები?

— ვორონეჟიდან, — თავაზიანად, სუსტი ხმით გამოსძახა მგზავრმა.

— იქ სახლ-კარს უბუგავენ მემამულეებს?

— ჰო...

— ძალიან კარგი!

— რაი?

— კარგია-მეთქი! — ხმამაღლა უთხრა კუზმამ.

გულაჩუყებული შემობრუნდა, თვალის დახამხამებით ცრემლები მოიშორა და აკანკალებული ხელით თამბაქოს გახვევა დაიწყო... მაგრამ ფიქრები კვლავ აერია ერთმანეთში. „მგზავრი — ხალხია, განა საეურისი და მასწავლებელი ხალხი არ არის? მონობა ორმოცდახუთი წლის წინათ გადავარდა, — მაშ რატომღა უნდა იტანჯებოდეს ხალხი? კი მაგრამ, ვისი ბრალია? თვით ხალხის!“ და სახე კვლავ მოეღუშა.

მეოთხე სადგურზე მატარებლიდან ჩამოვიდა და საზიდი დაიქირავა. გლეხებმა ჯერ შვიდი მანეთი მოსთხოვეს,—კაზაკოვომდე თორმეტი ვერსი იყო სავალი, — მერე ხუთი მანეთი და ათი შაური. ბოლოს ერთმა უთხრა: თუ გინდა, სამად წაგიყვან, არა და ენას ტყუილად ნუ იღლიო. ძველი დრო არ გეგონოსო... მაგრამ ამ კილოთი ლაპარაკი ვეღარ გააგრძელა და ჩვეული ფრაზა დაუმატა: „რა ვქნათ, საქონლის საკვები ისევ გაძვირდა...“ ჰოდა, მანეთნახევრად წაიყვანა. ტალახი გაუვალი იყო, საზიდი — პატარა, დაფახული, ცხენი — ქანცგამოცლილი და სახედარივით დიდყურა. ნელ-ნელა გასწიეს სადგურის ეზოდან, კოფოზე მჯდომი გლეხი იტანჯებოდა, სადავეები მიეშვა და ყოველნაირად ცდილობდა ცხენს მიშველებოდა. სადგურზე ტრაბახობდა, ისეთი ცხენია — ვერ დააკავებო, და ახლა, ეტყობა, რცხვენოდა. მაგრამ ყველაზე ძნელი ასატანი თვითონ იყო: ახალგაზრდა, უზარმაზარი ტანისა, ჩასუქებული, ქალამნებითა და თეთრი ფეხსახვევებით, ფურჩალშემორტყმული მოკლე ხიფთანით და სწორი, მოყვითალო თმით, რომელზედაც ძველი ჩიხაქუდი ეხურა. უსაკვამურო ქოხისა და კანაფის სუნი სდიოდა; ერთი სიტყვით, ადამის დროინდელ მიწის მხვნელსა ჰგავდა! სახეთეთრი იყო, უწვერულვაშოყელი გასივებოდა, ხმა ჩახრინწოდა.

— რა გქვია შენ? — შეეკითხა კუზმა.

— ახვანასის მეძახდნენ...

„ახვანასის!“ ბრაზით გაიფიქრა კუზმამ.

— ახლა?

— მენშოვს... ნ-ნო, შე ოხერო!

— ავი სენი ხომ არა გჭირს? — ყელზე მიუთითა კუზმამ.

— ავი კი არა, — წაიბუზღუნა მენშოვმა და გვერდზე გაიხედა, — ცივი ბურახი დავლიე და...

— ყლაპვას გიშლის?

— ყლაპვას — არა, არ მიშლის...

— ჰოდა, ტყუილად ნუ ლაქლაქებ, — მკაცრად უთხრა კუზმამ.—ჩქარა დაწექი საავადმყოფოში. ალბათ ცოლი გყავს?

— მყავს...

— აი, ხომ ხედავ? ბავშვები გეყოლება და კარგი რამითაც დაასაჩუქრებ.

— ეგ ხო უთუოდ ეგრე იქნება, — დაეთანხმა მენშოვი.

და, ქანცგაწყვეტილმა, სადავეები ჩაკრა. „ნო-ნო... შენთან ვინ რას გახდება, შე ოხერო, შენა!“ ბოლოს ამ ამაო ჯაფას თავი დაანება და დამშვიდდა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ უცებ ჰკითხა:

— ვაჭარო, მოიწვიეს თუ არა სათათბირო?

— მოიწვიეს.

— მაკაროვზე კი თქვეს, ცოცხალიაო, — მაგრამ ის ალარ უთქვამთ, თუ...

კუზმამ მხრებიც კი აიჩეჩა: ეშმაკმა უწყის რა არის სტეპის მკვიდრთა თავებში! „რამოდენა სიმდიდრეა!“ — ფიქრობდა ის, მუხლებაწეული იჯდა ფორნის მოტიტვლებულ ფსკერზე, ჯვალოგადაფარებულ ჩალაზე და ქუჩას თვალს ავლებდა. რა შავმიწა ნიადაგია! გზაზე ტალახი ლურჯია, ნოყიერი, ხეები, ბალახი და ბოსტნები — მუქი მწვანე... მაგრამ ქოხები თიხისაა, პატარები, წივით დახურული. ქოხებთან წყლის დამსადარი კასრები დგას, რა თქმა უნდა, თავკომბალებითაა სავსე... აგერ, მდიდრულად მოწყობილი ეზო. კალოზე ძველი საცეხველია, ბოსელი, ალაყაფის კარები, ქოხი—ყველაფერი ჩალის ერთ სახურავქვეშაა მოქცეული, ქოხი აგურისაა, ოროთახიანი, ტიხრები ცარცითაა მოხატული. ერთ-ერთ ტიხარზე დახატულია ორკაპა ჯოხი — ნაძვის ხე, მეორეზე — მამლის მსგავსი რაღაც; ფანჯრებსაც ცარცის დაკბილული არშია აქვს შემოვლებული. „შემოქმედება! — ჩაიცინა კუზმამ. — პირველყოფილი ცხოვრება, ღმერთო ჩემო, პირველყოფილი!“ კარებზე

ნახშირით არის გამოსახული ჯვრები, პარმაღთან დიდი საფლავის ქვა დევს, — ეტყობა, პაპას თუ დიდედას მოუმზადებია სიკვდილის წინ... დიახ, ეზო მდიდრულადაა მოწყობილი. მაგრამ გარშემო მუხლამდე ლაფი დგას, პარმაღზე ღორი წევს. ქოხს პატარა ფანჯრები აქვს, მის ერთ ნახევარში, რომელშიც ხალხი ცხოვრობს, მუდამ სიბნელე და სივიწროვეა: ფიცარნაგი, დგიმი, ვეებერთელა ღუმელი, ნარცხით სავსე გეჯა — ყველაფერი ერთ ოთახშია თავმოყრილი... ოჯახი დიდია, წვრილშვილიანი, ხოლო ზამთარში კრავები და ხბორებიც ემატებათ... სინესტისა და მხუთრისაგან ბუღი დგას; ბავშვები სლუკუნებენ, ღრიალებენ, რისთვისაც მათ კინწისკვრით უმასპინძლდებიან; რძლები ერთმანეთს ლანძღავენ: „უი, მეხი დაგაყარე, შე ქვეყნის ნათრევო!“ „ლუკმამც გაგჩხერია ყელში დიდმარხვა დღესა!“ — უსურვებენ ერთმანეთს; ბებერი დედამთილი, ჩაშავებულ, ძარღვიან ხელებს დაიკაპიწებს, წივილ-კივილით მივარდება რძლებს, ლანძღვა-გინებით იჭაჭება და დორბლებსა და წყევლა-კრულვას აფრქვევს ხან ერთსა და ხან მეორეს. ბერიკაციც ავგული და ავადმყოფია, თავისი დარიგებებით გულს უწყალებს ყველას...

მერე ტრიალ მინდორზე გავიდნენ. აქ ბაზარი ეწყობოდა. ზოგან უკვე მოჩანდა კარავთა კალთები, ეყარა საზიდის თვლები და თიხის ჭურჭელი, კვამლი ასდიოდა სახელდახელოდ გაპოხილ ღუმელს, ტრიალებდა მაჭკატის სუნი; ნაცრისფრად მოჩანდა ბოშათა მოჩარდახული ურმები, რომელთა თვლებთან ჯაჭვზე მიბმული ქოფაკები ისხდნენ. უფრო იქით, სახაზინო სამიკიტნოს ახლოს, ქალები და გლეხკაცები შექუჩულიყვნენ და ისმოდა შეძახილები.

— სეირნობს ხალხი, — თქვა ფიქრში წასულმა მენშოვმა.

— რა ესეირნება? — შეეკითხა კუზმა.

— იმედი აქვს...

— რისა?

— რისა და... სახლის ანგელოზისა!

— ი-ი! — დაიძახა ვიღაცამ ხალხის ფეხების ტყაპუნში:

არცა ვხნათ და არც ვთიბოთ,
ქალებს კვერი ვუზიდოთ!

უცებ შექუჩული ხალხის უკან მდგომმა გლეხმა ხელები გაშალა. იგი საშინაოდ იყო გამოწყობილი და ყველაფერი სუფთა და გამძლე ეცვა — ქალამნებიც, ფეხსახვევებიც, ხამის ახალი ზოლიანი ძიქვაც, სქელი რუხი მაუდის კალთებდანაჭებული მოკლე ხიფთანიც. მან მსუბუქად და მარჯვედ დააატყააუნა ფეხი, ხელები აიქნია და გამყივანი ხმით დაიძახა: „აბა, განი, ვაჭარს ვაყურებინოთ!“ ფართო წრეში შეიჭრა, ძიქვა დამთხვეულივით აათახთახა და ტანმაღალ ჭაბუკთან მივიდა, რომელსაც ჩიხაქუდი გვერდზე მოეგდო, ჩექმებს იძრობდა და თან ჩითის პერანგზე გადაცმულ შავ ხიფთანს იხდიდა. ჭაბუკს სახე მოღუშვოდა, გაფითრებოდა და გაოფლიანებოდა.

— შვილო! სანუკვარო!—ღრიანცელსა და ფეხების ტყაპატყუპში მოთქვამდა ხელებ-გაწვდილი დედაბერი, რომელსაც შინნაქსოვი შალის ზოლიანი კაბა ეცვა. — ქრისტე ღმერთი შოგაგებს სამაგიეროს! სანუკვარო, ღმერთი მოგაგებს... სასიკვდილევ!

შვილმა უცებ თავი უკან გადასწია, ხელები დამუშტა, კბილები დაკრიჭა და მძვინვარე სახითა და ფეხის ბაკუნით შეჰყვირა:

— აბა, აბა, დედაბერო, ნუ დამჩხავი...

— დედაბერმა კი, რაც ებადა, ყველაფერი გაყიდა და შვილს მოახმარა. — ამბობდა მენშოვი და დიდი ჯაფით მიათრევდა ცხენს ტრიალ მინდორზე. —ჭკუას კარგავს მისთვის, — ხომ იცი ქვრივების ამბავი, — ის კი ყოველ ცისმარე დღეს მთვრალი მოდის და ბეგვავს... ახია მაგაზე.

— როგორ თუ ახია? — ჰკითხა კუზმამ...

— როგორ და ისე... ნუ ექომაგები...

ერთ ქოხთან გრძელ სკაბზე ტანმაღალი გლეხი იჯდა — საფლავიდან ამოღებულსა ჰგავდა: გაძვალტყავებულ ფეხებზე თექის ჩექმები ეცვა, უსიცოცხლო, დიდი ხელები სწორად დაეწყო წვეტიან მუხლებზე, გაცვეთილ ძიქვაზე. ქუდი ბერიკაცულად ჩამოეფხატა. თვალებში ტანჯვა და მუდარა აღბეჭდოდა, სანთელივით ჩამოღვენთილი სახე დაღრეჯოდა, ჩანაცრებული ტუჩები ღია დარჩენოდა...

— ეს ფიტულაა, — თქვა მენშოემა და ავადმყოფზე მიუთითა. — მეორე წელია მუცლის გვრემა კლავს.

— ფიტულა? ეს რა — მეტსახელია?

— ჰო, ენგრე ეძახიან...

— სისულელეა! — თქვა კუზმამ და პირი მოარიდა გოგონას, რომელიც მეორე ქოხთან იჯდა: ის უკან გადახრილიყო, ხელში თავსაბურიანი ბავშვი ეჭირა და დაჟინებით ათვალიერებდა მგზავრებს; ენა გამოეყო, შავ პურს ასველებდა და ბავშვს საწოვარას უმზადებდა... ხოლო განაპირა კალოზე ქარი ტირიფებს აშრიალებდა და უსახელოებო საფრთხობელას არხევდა. სტეპის მახლობელი კალო ხომ ისედაც ყოველთვის უღიმღამო და მოსაწყენია. მერე კიდევ ეს საფრთხობელა, შემოდგომის ღრუბლები, რომლებიც ყველაფერს მოლურჯო იერს აძლევს; მინდვრიდან მონაბერი ქარიც სისინებს და კუდს უჩეჩავს ქათმებს, რომლებიც თათაბოთი და ვარდკანაფათი დაფარულ კალოზე დაბორიალობენ, საცეხვლის ახლოს.

ცის დასალიერზე ლურჯად მოჩანდა მუხნარით დაფარული ორი დიდი ხევი, რომელსაც პორტოჩკი ერქვა. სწორედ ამ ადგილას მოუსწრო კუზმას სეტყვანარევმა კოკისპირულმა წვიმამ და კაზაკოვომდე აღარც გადაუღია. სოფლის ბოლოში მენშოვი ცხენს მიაჩაქჩაქებდა, ხოლო კუზმა თვალდახუჭული იჯდა, თავზე სველი ჯვალო წაეფარებინა. სუსხისაგან ხელები უფიჩხდებოდა, ხიფთანის საყელოში წურწურით ჩასდიოდა ყინულივით ცივი წყალი, წვიმაში დამძიმებულ ჯვალოს შმორის სუნი ასდიოდა, თავზე ჭახაჭუხით სცვიოდა სეტყვა, ტალახის ნაფლეთები, თვლებქვეშ შხუოდა წყალი, სადღაც კიკინებდნენ კრავები... ბოლოს ჰაერი ისე შეიხუთა, რომ კუზმამ თავზე წაფარებული ჯვალო მოიძრო და უკან გადაისროლა. წვიმა გადაღებას აპირებდა, საღამოვდებოდა, ფორნის გვერდით, ამწვანებულ საძოვარზე, ქოხებისაკენ მოილალებოდა ცხვრის ფარა. შავი, წვრილფეხება ცხვარი ფარას ჩამორჩენოდა და მას მოერეკებოდა თავზე სველკაბაწაფარებული, ფეხშიშველი დედაკაცი, რომელსაც ტიტველი კანჭები მოუჩანდა. დასავლეთით, სოფლის ბოლოს, ცა იკარებდა, აღმოსავლეთით ლეგა ღრუბელზე, პურის ყანის თავზე, ორი იისფერი

რკალი აღმართულიყო. მინდვრებიდან სველი ბალახის სურნელება მოდიოდა, სახლებიდან კი — სითბო.

— საუ არის ბატონიანთ სახლი? — გასძახა კუზმამ თეთრ პერანგსა და შალის წითელ კაბაში გამოწყობილ მხრებგანიერ დედაკაცს.

დედაკაცი ქოხის ქვის ზღურბლთან იდგა, ხელი მტირალი გოგონასათვის ჩაეჭიდა. გოგონა ყურისწამღებად გაჰკიოდა.

— სახლი? — გაიმეორა ქალმა. — ვისი?

— ბატონიანთი.

— ვისი? ვერ გავიგონე... უი, ხმა ჩაიწყვიტე, შე არგასაზრდელო! — შეჰყვირა დედაკაცმა და ისე მაგრად მოქაჩა ხელში გოგონას, რომ ეს უკანასკნელი გადაყირავდა.

ახლა მეორე ეზოში იკითხეს. გაიარეს ფართო ქუჩა, გაუხვიეს მარცხნივ, მერე მარჯვნივ, ჩაუარეს ძველ საკარმიდამოში მდგარ კარფანჯარააჭედილ სახლს და ციცაბო დაღმართით მდინარეზე გადებული ხიდისაკენ დაეშვნენ. მენშოვს პირისახიდან, თმიდან, ხიფთანიდან წვიმის წვეთები ჩამოსდიოდა. გალუმპული, სქელი პირისახითა და მსხვილი ბობრი წამწამებით კიდევ უფრო ყეყეჩი ჩანდა. იგი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა წინ, — ვინ იცის, სად. კუზმამაც გაიხედა. გაღმა, დამრეც მინდორზე, მოჩანდა კაზაკოვების დაბურული ბაღი, ვრცელი ეზო; იგი დაფარული იყო ქვის გალავნის ნანგრევებითა და შენობებით, რომელთა დარღვევას აღარაფერი უკლდა. შუა ეზოში, სამ გამხმარ ნაძვს იქით, იდგა მოყავრული სახლი, რომელსაც სინგურისფერი სახურავი ჰქონდა. ქვემოთ, ხიდთან, გლეხკაცები შექუჩულიყვნენ. წინ, წვიმისაგან ჩამორეცხილ აღმართზე, ტალახში, დიდი ჯაფით მოიკვლევდა გზას ეტლი, რომელშიც სამი გამხდარი სატვირთო ცხენი ება. ჩამოფლეთილი, მაგრამ ლამაზი შესახედაობის მოჯამაგირე, რომელსაც ფერმკრთალი პირისახე, წითური წვერი და ჭკვიანი თვალები ჰქონდა, ეტლის წინ იდგა, სადავეებს ეწეოდა, იჭაჭებოდა და ყვიროდა: „ნ-ნო! ნ-ნო-ო!“ გლეხები კი ღრიანცელით და სტვენით ეხმაურებოდნენ: „თფრუ! თფრუ!“ ტანჯვით იწვდიდა ხელებს ეტლში მჯდომი შაოსანი ქალი, რომელსაც გრძელი წამწამებიდან კურცხლები

ხცვიოდა. ტანჯვა ეხატებოდა ფირუზისფერ თვალებში სქელ-სქელ, წითურულვაშიან კაცსაც, ქალს გვერდით რომ უჯდა; მარჯვენა ხელზე, რომლითაც რევოლვერი ჩაებღუჯა, ნიშნობის ბეჭედი უბრწყინავდა, მარცხენას კი სულ იქნევდა. ეტყობოდა, ძალიან სცხელოდა ირმის ბეწვის ტყაპუჭში და მაუდის ჩიხაქუდში, რომელიც კეფაზე მოგდებოდა. ხოლო მათ პირისპირ სკამზე მსხდომი ფერმკრთალი ბავშვები — ბიჭი და გოგო — თავშალში გახვეულნი, უწყინარი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდნენ.

— ეს მიშკა სივერსკია, — ხმამაღლა, ხრინწიანი ხმით თქვა მენშოვმა, რომელმაც სამცხენას გვერდი აუქცია და ბავშვებს გულგრილად გადახედა. — გუშინ სახლ-კარი გადაუბუგეს... ახია მაგაზე...

ბატონ კაზაკოვების საქმეს განაგებდა მამასახლისი, ყოფილი კავალერისტი სალდათი, ერთი ბრგე, ჯმუხი კაცი. სწორედ მისთვის უნდა მიემართათ სამოახლოში, როგორც მიასწავლა კუზმას ერთმა გლეხმა, მოცელილი, სველი მწვანე ბალახით დატვირთული ფორანი რომ შეჰყავდა ეზოში. მამასახლისს იმ დღეს უბედური დილა გასთენებოდა — ბავშვი მოჰკვდომოდა, რის გამოც კუზმას გულთბილად ვერ შეხვდა. როცა მან მენშოვი ჭიშკართან მიატოვა და სამოახლოს მიადგა, ამ დროს მის დარბაისელ, ნამტირალევ ცოლს ბაღიდან მოჰყავდა ჭრელი დედალი, რომელიც ქალის იღლიაში გაყურსულიყო. ძველი პარმაღის სვეტებს შუა მდგომმა კაცმა, მაღალყელიანი ჩექმები და ჩითის გვერდზე შესაკრავი ხალათი რომ ეცვა, დედაკაცის დანახვისას შესძახა:

— აგაფია, სა მიგყამს ეგ ქათამი?

— დასაკლავად, — დინჯად მიუგო დაღვრემილმა ქალმა.

— მოიტა მე დავკლა.

და ახალგაზრდა კაცი საყინულისაკენ გაემართა, ისე რომ ხულაც არ მორიდებია წვიმას, რომლის გადმოფრქვევასაც კვლავ იწყებდა მოღუშული ცა. საყინულის კარი გააღო და ზღურბლთან აყუდებული ნაჯახი გამოიტანა; ერთი წუთის შემდეგ თავგაგდებინებულმა, კისერგასისხლიანებულმა ქათამმა ბალახზე ხტუნვა დაიწყო, მერე წაიფორხილა, დატრიალდა,

ფრთები ააფათქუნა და ირგვლივ ბუმბული და სისხლის შხეფები მიმოფანტა. ახალგაზრდა კაცმა ნაჯახი გვერდზე მიაგდო და ბაღისკენ გასწია, მამასახლისის ცოლმა კი ქათამი დაიჭირა და კუზმასთან მივიდა:

— რა გინდა?

— ბაღის თაობაზე მოველ, — უთხრა კუზმამ.

— ფედორ ივანიჩს დაუცადე.

— სად არის?

— ახლა დაბრუნდება მინდვრიდან.

კუზმა სამოახლოს ღია ფანჯარასთან იდგა და ელოდა. მან სამოახლოში შეიხედა. ბინდში გაარჩია ღუმელი, ფიცარნაგი, მაგიდა, ფანჯრის ახლოს გრძელ სკამზე — კუბო, ან უფრო სწორად — ვარცლი, რომელშიც დიდთავა, სახეგალურჯებული ბავშვი ესვენა... მაგიდას უჯდა სქელ-სქელი ბრმა გოგო, რომელიც ციცხვით ხაპავდა პურჩაფშვნილ რძეს. ბუზები, როგორც ფუტკრები სკაში, ისე დაბზუოდნენ თავზე, მკვდრის სახეზე დაღოღავდნენ და მერე რძეში ცვიოდნენ, მაგრამ ბრმა გამოთაყვანებულივით იჯდა, ლიბრგადაკრული თვალები ბინდისთვის მიეშტერებინა და ჭამდა და ჭამდა. შეძრწუნებულმა კუზმამ პირი იბრუნა. მძაფრი, ცივი ქარი ქროდა და ღრუბლები თანდათან ბნელით ფარავდა მიდამოს. შუა ეზოში აღმართული იყო ორი ბოძი, რომლებზედაც კადონი გაეკრათ. კადონზე ხატივით ეკიდა თუჯის დიდი დაფა: ეტყობა, დარაჯებს ღამით ეშინოდათ და რეკავდნენ. ეზოში ეყარნენ გამხიარი მწევრები. მათ შორის დარბოდა შვიდი-რვა წლის ბიჭუნა, ურიკით დაატარებდა დიდ შავ ჩიხაქუდიან ბობრთმაა-ბურძგვნილ ძამიკოს—და ურიკა ყურისწამღებად ჭრიალებდა. მოღუშული და ვეებერთელა სახლი ასეთ ბინდბუნდში ალბათ ძალიან მოწყენილი იყო. „სინათლე მაინც აანთონ!" — გაიფიქრა კუზმამ. საშინლად დაიქანცა, და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ქალაქიდან ერთი წლის წინათ წამოსულიყო...

საღამო და ღამე ბაღში გაატარა. მინდვრიდან დაბრუნებულმა მამასახლისმა გაჯავრებით თქვა: ბაღი დიდი ხანია იჯარითაა გაცემული, ხოლო როცა კუზმამ სთხოვა ღამე გამათევინეო, თავხედურად გაიკვირვა: „რა ჭკვიანი ხარ!—შესძა-

ხა მან.—კაი ფუნდუკი გიშოვნია! შენისთანები ბევრნი დაეხეტებიან აქ...“ მაგრამ მოწყალება გაიღო და ბაღში, აბანოში გაათევინა ღამე. კუზმამ მენშოვს ანგარიში გაუსწორა და სახლის გვერდით ცაცხვების ხეივნით ჭიშკრისაკენ გასწია. რკინის ბადეებიანი, ჩაბნელებული ღია ფანჯრებიდან, ისმოდა როიალის ხმამაღალი ჟღერა, რომელსაც ფარავდა მშვენიერი ხმა, რაღაცნაირი ვოკალიზმებით, რომლებიც არც ამ საღამოს შეჰფეროდნენ და არც ამ კარ-მიდამოს. დამრეცი ხეივნის ტალახიან ქვიშაზე, რომლის ბოლოს, როგორც ქვეყნის დასასრულს, მკრქალად მოჩანდა მოღრუბლული ცა, კუზმასაკენ აუჩქარებლად მოდიოდა წითურწვერა გლეხკაცი, ვედროთი ხელში, უქუდოდ, ქამარშეხსნილი, მძიმე ჩექმებით.

— შეხე, შეხე! — დაცინვით ამბობდა აგი, ვოკალიზმებს რომ ყურს უგდებდა.—შეხე, რა უდარდელად მღერის!

— ვინ მღერის? — ჰკითხა კუზმამ.

გლეხკაცმა თავი ასწია და შედგა.

— ვინა და ბატონიშვილი, ამბობენ მეშვიდე წელია ეგლეაო! — მხიარულად და ენამოჩლექით თქვა მან.

— ეგ რომელი, ქათამს რომ თავი გააგდებინა?

— ა-არა, მეორე... ეს კიდევ არაფერი! სხვა დროს რომ შემოსძახებს:„დღეს შენა ხარ, ხვალ კი მე“, — უბედურება მაშინღა ნახე!

— ალბათ სწავლობს, არა?

— კაი სწავლაა, მე და ჩემმა ღმერთმა!

ეს ყველაფერი აგდებულად, სხვათა შორის, სვენებსვენებით კი უამბო, მაგრამ ისეთი ღვარძლიანი დაცინვითა და ენამოჩლექით უყვებოდა, რომ კუზმამ გულისყურით შეათვალიერა შემხვედრი. სულელს ჰგავდა. სწორი, წინ მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა, პირისახე — პატარა, უბრალო, ძველრუსული, სუზდალური. უზარმაზარი ჩექმები ეცვა, ტანი გამხდარი და გაძვალტყავებული ჰქონდა, ქუთუოლები — დაბერილი, თვალები — ქორულებრ გამომზირალნი. თვალებს დახრიდა — შუმი სულელი იყო, ასწევდა — ცოტა შეგეშინდებოდა კიდეც.

— ბაღში ზიხარ? — შეეკითხა კუზმა.

— ჰო. მა სად ვიქნები?

— რა გქვია?

— მე? აკიმი... შენ ვინა ხარ?

— მე ბაღის იჯარით აღება მინდოდა.

— ჰოო... უყურე შენა! — აკიმმა დაცინვით გააკანტურა თავი და გზას გაუყვა.

ქარი თანდათან უფრო მძაფრად ქროდა და ხასხასა მწვანე ხეებიდან შხეფებს ყრიდა. ბაღის ბოლოს, საღღაც ყრუ გრუხუნი ისმოდა, მტრედისფერი ციაგი აცისკროვნებდა ხეივანს და ირგვლივ ისმოდა ბულბულების გალობა. სრულიად გაუგებარი იყო, როგორ ახერხებდნენ ისინი ამგვარ მიყრუებულ არემარეში ესტვინათ ასე მონდომებით, ასე ტკბილად და ძლიერად. გაფანტულიყვნენ ტყვიისფერი ღრუბლებით ჩამომძიმებულ ცაში, ქარისაგან დრეკად ხეებში, ხშირ სველ ბუჩქებში. მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარი იყო, როგორ ატარებდნენ ღამეს ასეთ ქარში დარაჯები, როგორ ეძინათ სველ ჩალაზე დამპალი კარვის ქვეშ!

ისინი სამნი იყვნენ, სამნივე სნეულნი. ერთი მათგანი, ახალგაზრდა, ყოფილი ხაბაზი, ამჟამად მაწანწალა, ციებ-ცხელებას უჩიოდა; მეორე, მიტროფანი, ისიც მაწანწალა, ჭლექიანი იყო, თუმცა თვითონ კი ამბობდა, არა მიშავს, ოღონდ ეგ არი ფერდებში მაციებსო; აკიმს „ქათმის სიბრმავე“ ჰქონდა— სიგამხდრის გამო შებინდებისას ცუდად ხედავდა. კუზმას ჰისვლისას ხაბაზი, ფერმკრთალი სახის ალერსიანი კაცი, ქოხის გვერდით ჩაცუცქულიყო; ბამბის ბლუზა ეცვა, გამხდარი, სუსტი ხელები დაეკაპიწებინა და ხის ჯამში ფეტვის ბურღულს რეცხავდა. ჭლექიანი მიტროფანი, ტანდაბალი, მხრებგანიერი და შავგვრემანი კაცი, რომელსაც სულმთლად სველი, დაძონძილი ტანისამოსი და ცხენის ძველი ფლოქვებივით გაცვეთილი ჯღანები ეცვა, ხაბაზის გვერდით იდგა და მხრებაწეული, თაფლისფერი, ელვარე, გაფართოებული და უტყვი თვალებით უყურებდა მის მუშაობას. აკიმს ძირგავარდნილი ვედრო მოეტანა და კარვის წინ მიწურ ღუმელში ცეცხლს აჩაღებდა. ის კარავში შედიოდა, ჩალის მშრალ ღეროებს არჩევდა და კვლავ თუჯიის ქვეშ მხრჩოლავ კოცონს უბრუნდე-

ბოდა, სულ რაღაცას ბუტბუტებდა, ქსინავდა, ამხანაგების მიერ მასხრად აგდებისას კადნიერად იღიმებოდა, გულში დასცინოდა მათ და დროდადრო სხარტი, ავი სიტყვით აბიაბრუებდა. ხოლო კუზმა თვალს ხუჭავდა და ხან ლაპარაკს უგდებდა ყურს, ხან კი ბულბულთა სტვენას. ის კარვის ახლოს სკამზე იჯდა, თავზე გაყინული შხეფები ეფრქვეოდა. ამ დროს კი ხეივანში, დაბინდული, ნელი ციაგით ანათრთოლი და მგრგვინავი გუმბათის ქვეშ დანავარდობდა ნოტიო ქარი. შიმშილი და თუთუნი უწყლავდა გულს. ეტყობოდა, ხალიფაფის დამზადებას ვერ ეღირსებოდა, თავში გასჯდომოდა ფიქრი, რომ შეიძლება მასაც ისეთივე მხეცური ცხოვრება რგებოდა წილად, როგორიც ამ დარაჯებს ხვდათ... და აღიზიანებდა მძაფრი ქარი, შორეული, ერთფეროვანი გრუხუნი, ბულბულთა სტვენა, ენაჩლექია აკიმის დინჯი, თავხედური და ღვარძლიანი ლაპარაკი, მისი წრიპინა ხმა.

— აკიმუშკა, ქამარი მაინც გეყიდა ერთი, — თვალთმაქცური ალალმართლობით ეუბნებოდა ხაბაზი, მასხრად იგდებდა და თან კუზმასაკენ იყურებოდა, ერთი შენც მოუსმინე აკიმის ლაპარაკსო.

— დამაცა,— დაცინვით უპასუხებდა აკიმი და თან გრძელი კოვზით ადუღებულ ქვაბს ქაფავდა. — აგერ, ბატონთან ზაფხული გავატაროთ და ნახე, თუ ჭრიჭინა ჩექმები არ გიყიდო.

— „ჭლიჭინა ჩექმები!“ არცა გთხოვ.

— ჯღანები მაინც არ გეცვას!

და აკიმმა დიდი მონდომებით გაუსინჯა გემო ფაფას.

შემცბარმა ხაბაზმა ამოიოხრა.

— ეეჰ, სად უნდა ვატაროთ ჩექმები!

— გეყოთ ახლა,— თქვა კუზმამ,—უმჯობესია ისა სთქვათ, როგორ გაგაქვთ თავი. ნუთუ ყოველდღე ხალიფაფას სჭამთ?

— შენ რა — თევზი და შაშხი ხომ არ მოგინდა? — კოვზის ლოკვით ჰკითხა აკიმმა, ისე რომ მისკენ არც მიბრუნებულა. — ისე, არა უჭირს რა: ჭიქა არაყი, სამიოდ გირვანქა კაი ლოქო, ერთი ნაჭერი შაშხი, ხილის ჩაი... ხოლო ამას ხალიფაფა კი არა ჰქვია, — თხელი ფაფა.

— წვნიან შეჯამანდს არ აკეთებთ ხოლმე?

— წვნიანი შეჯამანდიც გვქონდა, ძმავ, და მერე როგორი! ქოფაკისათვის რომ შეგესხა, ბალანი ყალყზე დაუდგებოდა!

კუზმამ თავი გააქნია:

— შენ ალბათ ავადმყოფობისაგან ხარ ეგრე ავი! გემკურნალა ცოტაოდენი...

აკიმს არაფერი უპასუხია. ცეცხლი უკვე ქრებოდა, თუჯიის ქვეშ წითლად ღვიოდა დახორხლილი ნაკვერჩხლები; ბაღი თანდათან ბნელდებოდა. ქარის ყოველ დაქროლვაზე აკიმს პერანგი უფრიალებდა, და მტრედისფერი ციაგი მკრთალად ანათებდა იქ მსხდომთა პირისახეებს. მიტროფანი კუზმას გვერდით იჯდა, ჯოხზე დაყრდნობილი; ხაბაზი ჯირკზე ჩამომჯდარიყო ცაცხვის ძირას. კუზმას უკანასკნელი ნათქვამი რომ გაიგონა, ხაბაზმა დინჯი სახე მიიღო.

— მე კი მგონია, — მორჩილად და ნაღვლიანად თქვა ჰან, — ღვთის გარდა ვერავინ უშველის. თუ ღმერთმა კაცს ჯანი არ მისცა, ვერავითარი ექიმები ვერ უშველიან. აგერ აკიმი მართალს ამბობს: სიკვდილი თუ არ მოგადგა კარს, არ მოკვდებიო.

— ექიმები! — კვერი დაუკრა აკიმმა, რომელიც ნაკვერჩხლებს დასცქეროდა, და განსაკუთრებით ღვარძლიანად წარმოთქვა სიტყვა: ექიმები!.. — ექიმები, ძმავ, თავის ჯიბეს ისქელებენ. წელები უნდა გამოაყრევინო იმ ექიმებს ეგეთი საქმისთვისა!

— ყველა ექიმი როდი ისქელებს ჯიბეს, — უთხრა კუზმამ.

— მე ყველა არ მინახავს.

— ჰოდა, ნუღარ როშავ, რახან არ გინახავს, — მკაცრად უთხრა მიტროფანმა.

მაგრამ აქ მიტროფანს უეცრად გაუქრა დამცინავი სიმშვიდე. ქორული თვალები გადმოკარკლა, წამოხტა და გაშმაგებით შეჰყვირა:

— რაო? მე ნუ ვროშავ? ყოფილხარ შენ საავადმყოფოში? ყოფილხარ? მე კი ვიყავი! შვიდი დღე ვიჯექი, — ბევრ ბულკებს მაძლევდა ის შენი ექიმი? ბევრს?

— შე სულელო, — სიტყვა გააწყვეტინა მიტროფანმა, —

ბულკებს ყველას კი არ ურიგებენ: ეგ-ავადმყოფობას გააჩნია.

— ა! ავადმყოფობას გააჩნია! ავადმყოფობამ გაწყვიტოს ეგენი, ფაშვზე გახეთქოს! — შეჰყვირა აკიმმა, ირგვლივ გაშმაგებით მიმოიხედა, „თხელ ფაფაში“ კოვზი ჩაახეთქა და კარავში შევიდა.

იქ ქსინვით ლამპა აანთო, და კარავში მყუდროებამ დაისადგურა. მერე სადღაც სახურავიდან კოვზები ჩამოიღო, მაგიდაზე დაყარა და შესძახა: „ძოიტანეთ, რაღა, ხალიფაფა!“ ხაბაზი წამოდგა და თუჯიის მოსატანად წავიდა. კუზმას გაუარა და უთხრა: — „მობრძანდით“. მაგრამ კუზმამ მარტო პური სთხოვა, მარილი მოაყარა და ლოღნით ისევ თავის სკამს მიაშურა. სულმთლად ჩამობნელდა. მტრედისფერი შუქი უფრო და უფრო ფართოდ, სწრაფად და მკაფიოდ ანათებდა მოშრიალე ხეებს, თითქოს ქარი არხევსო, და ყოველ ციაგზე გაფითრებული ფოთლები ერთ წამს, როგორც დღისით, ისე ჩანდნენ, მერე კი უკუნ სიბნელეში ინთქმებოდნენ. ბულბულები მიყუჩდნენ, — ხმატკბილად და ძალუმად სტვენდა მხოლოდ ერთი — ზედ კარვის თავზე რომ იჯდა. „არც კი უკითხავთ ვინა ვარ, სადაური ვარ, — ფიქრობდა კუზმა. — რა ხალხია, დასწყევლოს ღმერთმა! — და ხუმრობით გასძახა კარავში:

— აკიმ! შენ არც კი მკითხე, ვინა ვარ, სადაური ვარ!

— აბა რაში მჭირდები? — მიუგო აკიმმა.

— მე ამას სხვა რამეს ვეკითხები, — მოისმა ხაბაზის ხმა, — შენი ფიქრით, რამდენ მიწას მოგვცემს სათათბირო-მეთქი. როგორ ფიქრობ, აკიმუშკა? ა?

— მე უწიგნური კაცი ვარ, — უთხრა აკიმმა. — შენ ნეხვიდან უფრო კარგად ხედავ.

ხაბაზი, ეტყობა, ისევ დაიბნა: წუთით დუმილი ჩამოვარდა.

— ჩვენ ძმაზე ლაპარაკობს, — წამოიწყო მიტროფანმა. — ერთხელ ვუამბე, რომ როსტოვში საწყალი ხალხი, ანუ პროლეტარიატი ზამთრობით ნეხვს აფარებს თავს...

— გავა ქალაქიდან, — მხიარულად აჰყვა აკიმი, — ჰოდა, პირდაპირ ნეხვში დურთავს თავს! ღორზე ნაკლებ როდი ჩაეფლობა შიგ, ჰოდა, სადარდებელიც ცოტა აქვს.

— სულელო! რას ყრანტალებ! ერთი სიღარიბემ მოგიწროს, — ვნახოთ, თუ არ ჩაეფლობი!

აკიმმა კოვზი დაუშვა და ზანტად შეხედა. მერე უცებ გაცხარდა, ქორული თვალები დააჭყიტა და გაშმაგებით შეჰყვირა:

— რაო! სიღარიბე! საათობით მოგინდა მუშაობა?

— მაშ როგორ გგონია? — შმაგადვე შეჰყვირა მიტროფანმა, ნესტოები დაუშვა და ელვარე თვალებით აკიმს შეაშტერდა. — აბაზად ოც საათს უნდა იმუშაო?

— რა-ო?! შენ კი საათში მანეთი გინდა? — ხარბი ხარ, შე ფაშვგასახეთქო!

მაგრამ ჩხუბი ისევე სწრაფად ჩაქრა, როგორც გაჩაღდა. ერთი წუთის შემდეგ მიტროფანი ცხელ ხალიფაფას სულს უბერავდა და უკვე წყნარად ლაპარაკობდა:

— თვითონ კი არ არის ხარბი! ეს ბრუტიანი ეშმაკი კაპიკის გულისთვის თავს გასწირავს. არა გჯერათ — სამ შაურად ცოლი გაყიდა! ღმერთმანი, არა ვხუმრობ. იქ ჩვენთან, ლიპეცკში, ერთი ბერიკაცია, პანკოვს ეძახიან, წინათ ისიც მებაღეობას ეწეოდა, ჰოდა, ახლა ისვენებს და ძალიან უყვარს ეს საქმე...

— მაშ აკიმიც ლიპეცკელია? — იკითხა კუზმამ.

— სოფელ სტუდენკიდანა ვარ, — გულგრილად თქვა აკიმმა, თითქოს მასზე არც ლაპარაკობენო.

— ძმასთან ერთად ცხოვრობს, — დაადასტურა მიტროფანმა. — მიწა და ეზო ზიარი აქვთ, მაგრამ მაინც სულელად მიაჩნიათ და ცოლიც, რასაკვირველია, გაექცა; მერედა, რაზე გაექცა? — სწორედ იმ საქმეზე: პანკოვს მოურიგდა, სამი შაური მომეცი და ცოლთან ჩემს მაგივრად შეგიშვებო, — ჰოდა, შეუშვა.

აკიმი კოვზს მაგიდაზე აკაკუნებდა, ლამპას შესცქეროდა და დუმდა. ის უკვე გაძღა, ხელ-პირი შეიწმინდა და ახლა რაღაცას ფიქრობდა.

— როშვა ხვნაზე ადვილია, ძმაო, — თქვა ბოლოს. — მერე რა, რომ შევუშვი: ქალი ხომ ისევ ის დარჩა?

უცებ სმენად იქცა, გაიღრიჭა, წარბი ასწია; მისი სუზდა-

ლური პირისახე რაღაც ნაღველნარევმა მხიარულებამ მოიცვა და გახევებული ნაოჭებით დაეფარა.

— უნდა გადმოიღო თოფი, ესროლო და სული გააფრთხობინო! — განსაკუთრებული წრიპინა ხმითა და ენამოჩლექით თქვა მან.

— ვიზე ამბობ მაგას? — შეეკითხა კუზმა.

— ბულბულზე...

კუზმამ კბილები გააღრჭიალა, ჩაფიქრდა და თქვა:

— მუდრეგი გლეხი ხარ. მხეცი.

— ...-ში მეცი, — მიუგო აკიმმა, დაასლოკინა და წამოდგა:

— ლასა შვლებით, ტყუილად წვავთ ჩალას?

მიტროფანმა პაპიროსის გახვევა დაიწყო, ხაბაზი კოვზების ალაგებას შეუდგა, აკიმკა მაგიდის ქვეშ გაძვრა, ლამპას ზურგი შეაქცია, სამჯერ აჩქარებით გადაიწერა პირჯვარი, კარვის ბნელ კუთხეში ჩაიჩოქა, აბურძგვნილი თავი გააქნია, მაღლა ასწია და ჩურჩულით დაიწყო ლოცვა. მისი დიდი ლანდი რაღაც ყავრის ყუთებს დაეცა და გადატყდა. მან კვლავ აჩქარებით გამოისახა პირჯვარი და ისევ სწრაფად ჩაიჩოქა — და კუზმამ უკვე ზიზღით შეხედა მას. აგერ აკიმი ლოცულობს. აბა ერთი გაბედე და ჰკითხე, გწამს თუ არა ღმერთი-თქო! ქორულ თვალებს გადმოკარკლავს! თათარი ვინმე ხომ არა გგონივარო!

ასე ეგონა ერთი წლის წინათ. წამოვიდა ქალაქიდან და, ვინ იცის, იქნებ ვეღარც დაბრუნებულიყო. სველი ჩიხაქუდი ამძიმებდა, ჭუჭყიან ჩექმებში მოკრუნჩხული ფეხები გასცივებოდა და სტეხდა. მთელი დღის მანძილზე პირისახე ქარისაგან დასუსხვოდა და ეწვოდა. სკამიდან წამოდგა და ნოტიო პირქარში მინდორში გასასვლელი ჭიშკრისაკენ გასწია, სადაც დიდი ხნის გაუქმებული ეკლესია იყო. ჯერ ტალახს კარვიდან გამონაკრთომი სხივები ეცემოდა, მაგრამ როგორც კი კუზმა ქოხს ოდნავ გაშორდა, აკიმმა ლამპას სული შეუბერა, შუქი გაქრა და უცებ დაღამდა. მტრედისფერი ციაგი უფრო თამამად და მოულოდნელად გამობრწყინდა და მთელი ცა, ბაღის მთელი სიღრმე გაანათა, თვით განმარტოებული ნაძვებიც კი, სადაც აბანო იდგა, მერე კი უცებ გაქრა და ისე ჩამობნელდა, რომ კუზმას თავბრუ დაესხა. და ისევ სადღაც დაბლიდან მო-

ისმა შორეული გრუხუნი. კუზმა ცოტა ხანს შედგა და ჭიშკარში მკრთალი შუქის გამოკრთომისთანავე გავიდა გზაზე, რომელიც მიწაყრილის გასწვრივ, მოშრიალე ძველი ცაცხვებისა და ნეკერჩხლების გვერდით მიემართებოდა, და ნელ-ნელა დაიწყო წინ და უკან სიარული. ჩიხაქუდსა და ხელებზე კვლავ დაესხურა წვიმა. და კვლავ განირღვა სიბნელე, აციმციმდნენ წვიმის წვეთები, და მოტიტვლებულ მინდორზე, მტრედისფერ შუქზე გამოჩნდა სველი წვრილკისერა ცხენი. მოტიტვლებულ მინდორს იქით იისფერ ფონზე გამოკრთა ხასხასა მწვანე შვრიის ყანა, ცხენმა თავი ასწია — და კუზმას შიში შეეპარა. ის ჭიშკრისკენ შებრუნდა. როცა ხელის ფათურით ნაძენარში მდგარ აბანომდე მიაღწია, ისეთი სიძლიერით დასცხო წვიმამ, რომ კუზმას თავში გაუელვა საშინელმა აზრმა, რაც საშვობისას ხშირად მოსვლია: ვაითუ დავიხრჩოო. ასანთი გაჰკრა, ფანჯარასთან ტახტი შენიშნა, ხიფთანი დაკეცა და სასთუმალზე დადო. სიბნელეში ავიდა ტახტზე, ღრმად ამოიხვნეშა და ზედ გაიშლართა, გულღმა დაწვა, ბერიკაცებმა რომ იციან, და მოღლილი თვალები დახუჭა. ღმერთო ჩემო, რა სულელური და მძიმე მგზავრობაა! ან რა უნდოდა აქ? ახლა ბატონიანთ სახლშიც ბნელა, და ციაგნი ჩუმად ირეკლებიან სარკეებში... კარავში, კოკისპირულ წვიმაში, სძინავს აკიმს... ამ აბანოში, ვინ იცის, რაზდენჯერ უნახავთ ეშმაკები: ეშმაკი მაინც თუ სწამს აკიმს, როგორც საჭიროა? არა. ისე კი გულდაჯერებით ჰყვება, როგორ შევიდა ერთხელ მისი აწ განსვენებული პაპა, — მაინცდამაინც პაპა და თანაც აწ განსვენებული, — საცეხველში ბზის გამოსატანად, ხოლო ეშმაკი იჯდა თავისთვის ცხენის შესაბმელზე, ფეხი ფეხზე გადაედო, ძაღლივით ბანჯგვლიანი იყო... კუზმამ ცალი ფეხი მოხარა, შუბლზე ხელი შემოიდო და ოხვრითა და ვაი-ვაგლახით დაიწყო თვლემა...

ზაფხული სამუშაოს ძებნაში გაატარა. ბაღების იჯარით აღებაზე ოცნება სულელური აღმოჩნდა. ქალაქს დაბრუნებულმა, აწონ-დაწონა თავისი მდგომარეობა და შეეცადა ნოქრად ან კანტორის მოხელედ მოწყობილიყო; მერე ყველა სამუშაოზე თანახმა იყო, ოღონდ კი ლუკმა პური ეშოვნა. მაგრამ ძებნამ,

გარჯამ, თხოვნამ — ყველაფერმა ფუჭად ჩაუარა. ქალაქში კარგა ხანია გავარდნოდა უცნაური კაცის სახელი. ლოთობისა და უსაქმობის გამო იგი ყველას სასაცილო შეიქნა. მისმა ცხოვრებამ ჯერ გააოცა ქალაქელები, მერე კი დააეჭვა. მართლაცდა, ვის უნახავს, რომ მისი ხნოვანობის მედაბური სხვის კარზე ცხოვრობდეს, მეარღნესავით ღარიბი და უცოლო იყოს: მთელ მის ქონებას სკივრი და მძიმე ძველი ქოლგა შეადგენს! და კუზმამ სარკეში ყურება დაიწყო: ვინა დგას ბოლოს და ბოლოს მის წინაშე? ღამეს სასტუმროში ათევს, ჩამოსულ თუ წამსვლელ ხალხთან ერთად, დილით ბაზარში, ტრაქტირებში დაჩანჩალებს, რომ იქ ყური ვოჰკრას, სად რა სამუშაოს შოვნა შეიძლება; ნასადილევს სძინავს, მერე ფანჯარასთან ზის და კითხულობს, გაპყურებს მტვრიან თეთრ ქუჩას და სიცხისაგან გამტრედისფრებულ ცას.... ვისთვის ან რისთვის ცხოვრობს ქვეყნად შიმშილისაგან და მკაცრ ფიქრთაგან გამხდარი და უკვე გაპაღარავებული ეს მედაბური, რომელიც თავს ანარქისტად ასაღებს და იმის განმარტება კი არ შეუძლია, თუ რას ნიშნავს ანარქისტი? ზის, კითხულობს; ამოიოხრებს, ოთახში გაივლ-გამოივლის; ჩაცუცქდება, სკივრს გააღებს; წესიერად დააწყობს გაცვეთილ წიგნებსა და ხელნაწერებს, ორ-სამ გახუნებულ, გვერდზე შესაკრავ ხალათს, ძველ გრძელკალთიან სერთუკს, ჟილეტს, გაცრეცილ მეტრიკულ მოწმობას... მერე რაღა უნდა ქნას?

ზაფხულსაც ბოლო არ უჩანდა, ახლა ქალაქში პაპანაქება სიცხე იდგა. ფუნდუკის კუთხის სახლი მზეზე იწვოდა. კუზმას ღამღამობით სული ეხუთებოდა და თავში სისხლი აწვებოდა, ღია ფანჯრებიდან შემოსული ყოველი ხმა აღვიძებდა. ხოლო სათივეში რწყილები, მამლის ყივილი და ნეხვის სიმყრალე არ აძინებდა. მთელ ზაფხულს ოცნებობდა კუზმა ვორონეჟში წასვლაზე. სხვა არაფერი არ უნდოდა, ოღონდ ჩასულიყო და შემდეგი მატარებლის გამოსვლამდე ეხეტიალა ვორონეჟის ქუჩებში, ენახა ნაცნობი ალვის ხეები, ის ცისფერი სახლი, ქალაქგარეთ რომ იდგა... მერე რისთვის? ათი, თხუთმეტი მანეთი დაეხარჯა და შემდეგ სანთელი ან ბულკი ვეღარ ეყიდა? სირცხვილიცაა ბერიკაციისათვის, სასიყვარულო

მოგონებებს აჰყვეს. რაც შეეხება კლაშას, ნუთუ იგი მისი ქალიშვილია? ნახა: ფანჯარასთან იჯდა, მაქმანს ქსოვდა, ლაშაზი და დინჯი სახე ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ დედას ჰგავდა...

შემოდგომის დამდეგს კუზმა დარწმუნდა, რომ ისღა დარჩენოდა — წმიდა ადგილებისათვის, რომელიმე მონასტრისათვის მიეშურებინა, ანდა ყელში სამართებელი გამოესვა. შემოდგომა იწყებოდა. ბაზარში უკვე ვაშლისა და ქლიავის სუნი ტრიალებდა. ჩამოიყვანეს გიმნაზიელები. მზე ახლა შჩეპნაია პლოშჩადის გადაღმა ჩადიოდა: საღამოს ჭიშკრიდან რომ ეამოხვიდოდით, გზაჯვარედინის გადავლისას თვალს მოგჭრიდათ მისი შუქი: მარცხნივ მთელი ქუჩა, რომელიც შორს მოედანს ერთვოდა, ჩამავალი მზის სევდიან სხივებში ჩანთქმულიყო. ღობის იქითა ბაღები მტვერსა და აბლაბუდას დაეფარა. აი, თქვენსკენ მოდის პოლოზოვი, ლაბადა წამოუსხამს, შლიაპის ნაცვლად კი ჩიხაქუდი დაუხურავს. ქალაქის ბაღში ეაცის ჭაჭანება არ არის. დახურულია მუსიკოსების ესტრადა, ფარდული, რომელშიც ზაფხულში კუმისსა და ლიმონათს ჰყიდდნენ, დახურულია ფიცრული ბუფეტიც. ერთხელ ამ ესტრადასთან მჯდომარე კუზმა ისე დანაღვლიანდა, რომ თავის მოკვლაც კი გაივლო გულში. მზე ჩადიოდა, ირგვლივ მოწითალო შუქი იღვრებოდა, ხეივანში ცვიოდნენ პაწაწინა, ვარდისფერი ფოთლები, ქროდა ცივი ქარი. ტაძარში მწუხრის ლოცვად უხმობდნენ, და შაბათის ეს ზომიერი, ხმირი სამაზრო რეკვა გულს უწყალებდა. უცებ ესტრადის ქვეშ გაისმა ხველება და კრუსუნი... „ეს მოტკაა", — გაიფიქრა კუზმამ. მართლაც, კიბის ქვეშიდან მოტკა ბატისტვინა გამოძვრა. ეცვა მოწითალო სალდათური ჩექმები და გიმნაზიელის ძალიან გრძელი, ფქვილში ამოგანგლული მუნდირი, — ეტყობა ბაზარში გაემასხრებინათ, — ეხურა ჭილის ქუდი, რომელზეც მრავალჯერ გადაევლო თვლებს. ნაბახუსევმა, თვალი არც კი გაუხელია, ისე ფურთხებითა და ბანცალ-ბანცალით ჩაუარა. ცრემლმორეული კუზმა თვითონ შეეხმიანა:

— მოტია! მოდი, ვილაპარაკოთ, გავაბოლოთ...

მოტია მობრუნდა, სკამზე დაჯდა და ნამძინარევი თვალებითა და წარბების თამაშით დაიწყო თამბაქოს გახვევა, მაგ-

რამ, ეტყობა, კარგად ვერ მიმხვდარიყო, ვინ იჯდა მის გვერდით, ვინ შესჩიოდა თავის ბედზე...

ხოლო მეორე დღეს იმავე მოტიამ მოუტანა კუზმას ტიხონის ბარათი.

სექტემბრის დამლევს კუზმა დურნოვკაში გადავიდა.

III

დიდი ხნის წინათ, როცა ილია მირონოვიჩი ორიოდე წელს დურნოვკაში ცხოვრობდა, კუზმა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, და ხსოვნაში დარჩა მხოლოდ მუქმწვანე, სურნელოვანი კანაფის ნათესები, რომლებშიც მთელი დურნოვკა ჩაფლულიყო, და კიდევ ზაფხულის ერთი ბნელი ღამე: სოფელში არავის არ ეწოთო სინათლე. ილიას ქოხს ჩაუარა თეთრპერანგა „ცხრა ქალიშვილმა, ცხრა დედაკაცმა და მეათე ქვრივმა ქალმა“, სუყველანი ფეხშიშველნი იყვნენ, თავდაუხურავნი, ხელში ეჭირათ ცოცხები, კეტები, ფიწლები, და იყო ყურისწამღები რაკუნი, ღუმელის კარებისა და ტაფების ჟღარუნი, რასაც ველური გუნდური სიმღერა ფარავდა; ქვრივი კავს მიათრევდა, მის გვერდით მიმავალ ქალიშვილს ხატი ეჭირა, სხვები კი რაკუნითა და ჟღარუნით მიდიოდნენ, და როცა ქვრივი ხმადაბლა გამოთქვამდა:

ჰოი, ძროხის სნებავ,
განვედ ჩვენი სოფლიდან! —

გუნდი, თითქოს მოთქვამსო, გაბმით მოსძახოდა:

ჩვენ ვიგერიებთ მას —

და ნაღვლიანად, მკვეთრი ყელისმიერი ხმით განაგრძობდა:

საკმევლითა და ჯვრით...

დურნოვკის ველებს ახლა შრომის ელფერი დაჰკრავდა. ვორგოლიდან კუზმა მხიარული და ოდნავ შეზარხოშებული ბრუნდებოდა, — ტიხონ ილიჩმა ამ დღეს გულუხვობა გამოიჩინა, სადილობისას ნაყენით გაუმასპინძლდა, — და სიამით შესცქეროდა მურა ფერის გამომშრალ ხნულებს, ირგვლივ

რომ გადაშლილიყვნენ. მზე თითქმის ისევე აცხუნებდა, როგორც ზაფხულში, ჰაერი გამჭვირვალე იყო, ცა — მტრედისფერი; ყოველივე ეს ახარებდა და დიდი ხნის სიმშვიდეს ჰპირდებოდა კუზმას. კავით იმდენი რუხი აბზინდა მოეთხარათ, რომ ურმებით ეზიდებოდნენ. საკარმიდამოს ბოლოს ხნულში იდგა ჯიდაოზე ბირკებმიკრული ცხენი და აბზინდათი პირამდე დატვირთული ფორანი, ხოლო იქვე ახლოს იწვა იაკობი, ფეხშიშველი, მოკლე დამტვრიანებული ძიქვითა და გრძელი ხამის პერანგით, ფერდით რუხ ქოფაკს დასწოლოდა და ყურებში ხელი ჩაეჭიდა. ქოფაკი იღრინებოდა და უბღვერდა.

— ხო არ იკბინება? — გასძახა კუზმამ.

— ისეთი ავია, რომა მეტი არ იქნება! — აჩქარებით მიუგო იაკობმა და გვერდზე მოქცეული წვერი ასწია. — დრუნჩში ჩააფრინდება ხოლმე ცხენებს...

კუზმას ეამა და გადაიხარხარა. აი, გლეხიც ამას ჰქვია, სტეპიც ასეთი უნდა!

გზა ფერდობს ჩასდევდა და ჰორიზონტი თანდათან ვიწროვდებოდა. წინ მწვანედ მოჩანდა საცეხვლის ახალი თუნუქის სახურავი, გეგონებოდა დაბურულ, დაბალ ბაღში ჩანთქმულიო. ბაღის ბოლოს, მოპირდაპირე ფერდობზე, გრძლად ჩამწკრივებულიყვნენ თიხის აგურებისაგან აშენებული, ჩალისსახურავიანი ქოხები. მარჯვნივ, ხნულებს იქით, გაჭიმულიყო დიდი ხევი, რომელიც საკარმიდამოსა და სოფლის გამყოფ ხევს ერთვოდა. იქ, სადაც ხევები ერთდებოდნენ, კონცხზე იდგა ორი ფრთებგაშვერილი ქარის წისქვილი; მათ შემორტყმოდა რამდენიმე ქოხი, რომლებიც, ეკუთვნოდათ უაზნოებს — კონცხელებს, როგორც ოსკამ თქვა; იქვე ტრიალ მინდორზე თეთრად მოჩანდა ცარცით შეფეთქილი სკოლის შენობა.

— ჰა, სწავლობენ ბიჭები? — ჰკითხა კუზმამ.

— სწავლობენ, მაშა! — მიუგო ოსკამ. — ისეთი მარჯვე ბიჭია, რომ ასწავლის!

— ვინ? მასწავლებელი?

— ჰო, რა, მასწავლებელი. ისე ასწაელა იმათ ძმასა, ისე,

რომა — რა გითხრა! სალდათია. გემზე არ იბრძვის, მაგრამ, ყველაფერი კი დამში აქვს მოყვანილი! ერთხელ მე და ტიხონ ილიჩმა შევიარეთ. ერთბაშად წამოხტნენ და დაიყვირეს: „დღეგრძელობას გისურვებთ!“ ასე სალდათებსაც კი არ შეუძლიათ!

და კუზმას კვლავ გაეცინა.

როცა კალოს ჩაუარეს, გატკეპნილ გზას გაჰყვნენ, პატარა ბაღი უკან ჩამოიტოვეს და მარცხნივ, გადამხმარ, მზის ოქროს სხივებით მოფენილ გრძელ ეზოში შეუხვიეს, გულიც კი აუჩქროლდა: აი, როგორც იქნა, შინაა. როცა პარმაღზე ფეხი შედგა და ზღურბლს გადააბიჯა, კუზმამ თაყვანი სცა ფერგადასულ ხატს, წინაოთახის კუთხეში რომ ესვენა.

სახლის წინ, დურნოვკისაკენ ზურგშექცევით, იდგა ბელლები, რომლებიც ფართო ხევს გადაჰყურებდნენ. სახლის პარმაღიდან ოდნავ მარცხნივ მოჩანდა დურნოვკა, ხოლო მარჯვნივ — კონცხის ნაწილი: ქარის წისქვილი და სკოლა. ოთახები პატარა და ცარიელი იყო. კაბინეტში ეყარა ჭვავი, სადარბაზო და სასტუმრო ოთახში იდგა რამდენიმე ძირგაცვეთილი სკამი. სასტუმრო ოთახის ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდა. მთელ შემოდგომას კუზმას იქ ეძინა ერთ მონგრეულ დივანზე და ფანჯრებს არ ხურავდა. იატაკს არასდროს არ ხეხავდნენ ცარცით: მზარეული ქალის მაგივრად პირველ ხანებში ჰყავდა ერთი ქვრივი უაზნო — ახალგაზრდა დურნოვოს ყოფილი საყვარელი, რომელსაც შინ შვილებისათვის უნდა მიეხედა და თავისთვის, კუზმასა და მისი მუშისათვის სახელდახელოდ რამე საჭმელი მოემზადებინა. დილით კუზმა თვითონ დგამდა სამოვარს, მერე ზალაში ფანჯარასთან იჯდა და ვაშლიან ჩაის სვამდა. დილის სიცივეში, ხევს გაღმა, სქელი კვამლი ამოდიოდა სახლების სახურავებიდან. ბაღში საამო სურნელი ტრიალებდა. ხოლო შუადღისას მაღლით მზე დასცქეროდა სოფელს. გარეთ ცხელოდა, ბაღში წითლად ღუოდნენ ნეკერჩხლები და ცაცხვები, რომლებსაც ნელ-ნელა სცვიოდათ ნაირფერი ფოთლები. მზით გამთბარ მტრედებს მთელ დღეს ეძინათ სამზარეულოს დამრეც, ახალი ჩალის სახურავზე, ყვითლად რომ მოჩანდა ლურჯად მოკამკამე ცაში. ნასადილევს

მოჯამაგირე გლეხი ისვენებდა, უაზნო ქალი. სახლში მიდიოდა, ხოლო კუზმა აქეთ-იქით დაეხეტებოდა. მიდიოდა კალოზე, შეჰხაროდა მზეს, გატკეპნილ გზას, გადამხმარ შამბნარს, წაბლისფერ ვარდკაჭაჭას სასიამოვნო, ნაგვიანევ ფერს და ჰაერში ნელა მფრენ ბალღოჯის ბუსუსებს. ობობას ქსელებით დაფარული თვალუწვდენი ხნულები აბრეშუმისფრად ბრწყინავდნენ მზის სხივებზე. ბოსტანში გამხმარ ბირკებზე მწკრივად ისხდნენ ჩიტბატონები. კალოზე, სამარისებურ სიჩუმეში, მზისგულზე დაუღალავად სისინებდნენ კუტკალიები... კალოდან კუზმა მიწაყრილზე გადაძვრებოდა და ბაღის გავლით, ნაძვნარით, თაეის კარ-მიდამოში ბრუნდებოდა. ბაღში ემუსაიფებოდა მედაბურებს, ბაღის დამქირავებლებს, პატარძალსა და თხას, რომლებიც ძირნაყარ ხილს კრეფდნენ, შედიოდა მათთან ერთად ჭინჭარში, სადაც ყველაზე მწიფე ხილი ეყარა. ზოგჯერ სოფელში დაეხეტებოდა, სკოლაში შეივლიდა...

სალდათ მასწავლებელს, რომელსაც დაბადებიდან ჭკუა არ დაჰყოლოდა, სამუშაოზე სულ მთლად აებნა თავგზა. შესახედავად ჩვეულებრივი გლეხი იყო, მაგრამ ისეთი უჩვეულო ლაპარაკი იცოდა და ისეთ სისულელეს წამოროშავდა ხოლმე, რომ მსმენელი ხელებსღა გაასავსავებდა. სახეზე მუდამ ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა, მოწყალედ შესცქეროდა თანამოსაუბრეს, თვალებს ჭუტავდა და ყოველ კითხვაზე მოგვიანებით უპასუხებდა.

— რა გქვია შენ? — ჰკითხა სკოლაში პირველად შესულმა კუზმამ.

სალდათმა თვალები მოჭუტა, დაფიქრდა.

— სახელი რომ არა, ნერბი და ვერძი ერთი იქნებოდა,— თქვა ბოლოს აუჩქარებლად. — მაგრამ ახლა მეც გკითხავთ: ადამი სახელია თუ არა?

— სახელია.

— კარგი. მერე რამდენი ხალხი დაიხოცა, მაგალითად, იმ დროიდან მოყოლებული?

— არ ვიცი,— უთხრა კუზმამ. — კი მაგრამ, რად გინდა ეგ?

— რათა და იმათა, რომა ამას ჩვენს დღეში ვერ გავიგებთ! აი, მაგალითად, მე სალდათი ვარ, ცხენის ექიმბაში. ამას

წინათ ბაზარში მივდიოდი. ვხედავ — ქოთაოშეყრილი ცხენი დგას. მაშინვე მოვახსენე უბნის ბოქაულს: ასე და ასეა საქმე, თქვენო მაღალკეთილშობილებავ-მეთქი. შეგიძლია თუ არ-ეს ცხენი ფრთით დაკლაო? დიდი სიამოვნებით-მეთქი.

— რა ფრთით? — ჰკითხა კუზმამ.

— ბატის ფრთით. ავდექი, ფრთას წვერი წავუთალე, მთა-ვარ ძარღვში ჩავასე და ფრთაში ცოტა სული ჩავბერე,—მორ-ჩა და გათავდა. თითქოს უბრალო ამბავია, მაგრამ აბა მოდი და მოიფიქრე!

სალდათმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და შუბლზე თითი დაიკაკუნა.

— ამას მიხვედრა უნდა!

კუზმამ მხრები აიჩეჩა და დადუმდა. როცა უაზნო ქალს ჩაუარა, მისი ვაჟის — სენკასაგან გაიგო, რას ეძახდნენ სალ-დათს. პარმენი რქმეოდა.

— რა გაქვთ გაკვეთილად ხვალისათვის? — დაუმატა კუზ-მამ და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა სენკას ცეცხლის-ფერი ქოჩორი, ცოცხალი, მომწვანო თვალები, ჩოფურა სახე, ჩია ტანი და ჭუჭყისა და ქარისაგან დამსკდარი ხელ-ფეხი.

— ამოცანები, ლექსები, — თქვა სენკამ, მარჯვენა ხელი უკან აწეულ ფეხში იტაცა და ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო.

— რა ამოცანები?

— ბატების დათვლაზე. მოფრინავდა ბატების გუნდი...

— ჰო, ვიცი, — უთხრა კუზმამ. — კიდევ?

— კიდევ თაგვების...

— ეგენიც უნდა დათვალოთ?

— ჰო. მოდიოდა ექვსი თაგვი და მოჰქონდათ ექვსი გრო-ში, — სხაპასხუპით მიაყარა სენკამ; თან ალმაცერად უყურებ-და კუზმას ვერცხლის საათის ძეწკვს.—თითო თაგვი ძლივძლი-ვობით მოათრევდა ორ გროშსა... რამდენი ყოფილა სულ...

— ჩინებულია. ლექსები რომელია?

სენკამ ფეხს ხელი უშვა.

— ლექსები — „ვინ არის?“

— დაისწავლე?

— დავისწავლე...

— აბა, თქვი...

და სენკა კიდევ უფრო ჩქარა აბუტბუტდა. მოიხსენია ცხედარი, რომელიც მოჰყვებოდა ნევის ზემო ტყეებს, სადაც იყო მხოლოდ:

ნაძვი, ფიჭვი და ჭროღა ხავსი...

— ჭროღა კი არა — ჭაღარა, — უთხრა კუზმამ.

— ჰო, ჭაღარა, — დაეთანხმა სენკა.

— ის მხედარი ვინღაა?

სენკა დაფიქრდა.

— ვინა და — კუდიანი, — თქვა მან.

— კარგი. წადი, დედაშენს უთხარი, საფეთქლებთან მაინც შეგაკრიჭოს თმა, თორემ მასწავლებელი რომ დაგაგლეჯს, ის უფრო უარესია.

— ყურს ხომ მაინც მიპონის,— უდარდელად თქვა სენკამ, კვლავ წაივლო ხელი ფეხში და ბინდორში ხტუნვა-ხტუნვით გასწია.

კონცხი და დურნოვკა, როგორც ეს მეზობელ სოფლებს სჩვეოდათ, მუდმივ მტრობასა და სიძულვილში ცხოვრობდნენ. კონცხელები ყაჩაღებად და მაწანწალებად თვლიდნენ დურნოვკის მცხოვრებთ, ხოლო დურნოვკელები — კონცხის მკვიდრთ.

დურნოვკა „საბატონო“ იყო. კონცხზე კი უაზნონი სახლობდნენ. მტრობასა და შუღლს მხოლოდ უაზნო ქალი განდგომოდა. იგი მომცრო ტანის, გამხდარი, ფაქიზი, მკვირცხლი, თავაზიანი, ხათნო და დაკვირვებული ქალი იყო. საკუთარი ოჯახიანით იცნობდა როგორც კონცხის, ისე დურნოვკის მცხოვრებთა ოჯახებს. პირველი აუწყებდა ხოლმე თავისი კარ-მიდამოს მცხოვრებთ, რაც სოფელში მოხდებოდა, თუნდ უმნიშვნელო რამ ყოფილიყო. თუმცა მისი ცხოვრების ავ-კარგიც იცოდა ხალხმა. იგი არასოდეს არ უმალავდა ვინმეს თავის ამბავს, მშვიდად, უბრალოდ ჰყვებოდა ქმარზე, დურნოვოზე.

— რას იზამ, — ამბობდა ნელი ოხვრით. — საშინელი სიღატაკე იყო, პური ახალ მოსავალზეც არ გვყოფნიდა. ჩემ კაცს, მართალი გითხრა, ვუყვარდი, მაგრამ მოდი და ნუ დამორჩილდები! სამი ურემი ჭვავი მისცა ბატონმა ჩემი გულის-

თვის. რა ვქნათ-მეთქი, — ჩემ კაცსა ვკითხე. გასაგებია, მიდიო, — მითხრა. წავიდა ჭვავის მოსატანად. საწყაოს საწყაოზე ეზიდებოდა და თან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა...

უაზნო ქალი დღისით თავაუღებლივ მუშაობდა, ღამით კემსავდა, კერავდა, რკინიგზაზე ფარებს იპარავდა. ერთხელ, გვიან საღამოს, კუზმა ტიხონ ილიჩისკენ გაემგზავრა, ფერდობი აიარა და შიშისზარი დაეცა: ბნელით მოცული ხნულების თავზე, დაისის მბჟუტავ შუქზე იზრდებოდა და პირდაპირ ჭისკენ მოემართებოდა რაღაც შავი, უზარმაზარი...

— ვინ არის? — ამოილუღლუღა და სადავეები მოსწია.

— უი! — შიშით აღმოხდა იმასაც, რაც ასე სწრაფად იზრდებოდა ცაზე და ერთბაშად გაიფანტა.

კუზმა გონს მოვიდა — და სიბნელეში მაშინვე იცნო უაზნო ქალი. თურმე ის მორბოდა ფეხშიშველი, მსუბუქი ნაბიჯით, წელში მოხრილიყო, ზურგზე გაედო ორი საუნიანი ფარი, ზამთარში რომ რკინიგზის გასწვრივ ამაგრებენ ნამქერისაგან მის დასაცავად. ქალი წელში გაიმართა და სიცილით წაიდუდუნა:

— ღმერთმანი, ძალიან შემაშინეთ. მოვრბივარ ღამეში — ვკანკალებ, მაშ რა ვქნა? მთელი სოფელი ამ ფარებით ანთებს ცეცხლს, მხოლოდ ამით გაგვაქვს ზამთარში თავი...

სამაგიეროდ სრულიად არ მიგიზიდავდათ მოჯამაგირე ყულაბა. ვერაფერზე ვერ დაელაპარაკებოდა კაცი, ძალიან სიტყვაძვირი იყო. როგორც დურნოვკელთა უმრავლესობა, ისიც მუდამ ძველ, უბრალო გამონათქვამებს იმეორებდა, ამტკიცებდა იმას, რაც უხსოვარი დროიდანვე ცნობილი იყო. როცა ავდარი დგებოდა, ის ცას ახედავდა და იტყოდა:

— ავდარი დგება. ახლა წვიმა მისწრებაა ჯეჯილისათვის.

ანეულის აოშვის დროს შენიშნავდა:

— არ გადახნავ — პურსა ვერა ჭამ, ბერიკაცებს უთქვამთ.

თავის დროზე ჯარში მსახურობდა. იყო კავკასიაში, მაგრამ სალდათობას არავითარი კვალი არ დაუჩნევია მისთვის. ვერაფერს ვერ მოგიყვებოდათ კავკასიაზე, გარდა იმისა, რომ იქ უამრავი მთებია, რომ მიწიდან ამოდის საშინლად ცხელი და საოცარი წყლები: „ცხვრის ხორცს ჩააგდებ — წუთში

მოიხარშება, მაგრამ, თუ დრიზე არ ამოიღე — ისევ უმი გახდება...“ და სულაც არ ამაყობდა იმით, რომ ქვეყანა ენახა; ეზიზღებოდა კიდეც ბევრის მნახველი ხალხი: ისინი ხომ იძულებით ან სიღარიბის გამო „დაწანწალებენ“. არავის ნათქვამს არ უჯერებდა — „ყველანი ცრუპენტელები არიან!“ — მაგრამ საფიცრად სწამდა, რომ ამას წინათ სოფელ ბასოვოს ბოლოს, შებინდებისას, მოგორავდა ფორნის თვალი — ჯადოქარი; ერთმა გლეხმა ჭკუა იხმარა, ადგა და ეს თვალი დაიჭირა, შიგ ქამარი გაუყარა და შეკრა.

— მერე რა მოხდა? — ეკითხებოდა კუზმი.

— რა? — მიუგებდა ყულაბა. — გამოიღვიძა ჯადოქარმა დილაადრიან და ხედავს — ქამარი პირში და უკანალში აქვს გაყრილი და მუცელზე შეკრული...

— მერე, ვერ გაიხსნა?

— ალბათ ჯვარედინად იყო განასკვული.

— არა გრცხვენია, ეგეთი სისულელე რომ გჯერა?

— მე რათ უნდა მრცხვენოდეს? ხალხი ცრუობს და მეც ტყუილს ვამბობ.

მისი სიმღერის მოსმენა კი უყვარდა კუზმას. ზიხარ სიბნელეში ღია ფანჯარასთან, არც ერთ ქოხში არ არის სინათლე. ხევს გაღმა მკრთალად მოჩანს სოფელი, ისეთი სიჩუმეა, რომ ისმის როგორ ცვივიან სახლის კუთხეში პანტა ვაშლები, ხოლო იგი პატარა ჩაქუჩით ხელში მიდი-მოდის ეზოში და თავისთვის წუნარი, ნაღვლიანი ფალცეტით მღერის: „დადუმდი, ხმატკბილო ბულბულო“... გათენებამდე სახლ-კარს ყარაულობდა, დღისით ეძინა, — თითქმის უსაქმოდ იყო. დურნოვკის საქმეები ტიხონ ილიჩმა წელს ადრიანად მოაგვარა, საქონლიდან მხოლოდ ცხენი და ძროხა დაიტოვა.

ნათელი დღეები ცივმა, მოღუშულმა, დაყმედილმა დღეებმა შეცვალა. გაშიშვლებულ ბაღში ჩიტბატონები და წიწკანები სტვენდნენ, ნაძვებში ხიოდნენ მარწუხები, მოფრინდნენ მედუდუკეები, გულწითელები და კიდევ რომელიღაც ნამცეცა. ზოზინა ჩიტები, გუნდგუნდად ერთი ადგილიდან მეორეზე რომ დაფრინავდნენ კალოზე, რომლის დაფერდებული ნაპირები უკვე ხასხასა ჯეჯილს დაეფარა; ხანდახან ასეთი მდუ-

მარე მსუბუქი ჩიტი მარტოდმარტო იჯდა მინდორში ბალახის ღეროზე... დურნოვკის განაპირა ბოსტნებში იღებდნენ ნარჩენ კარტოფილს. ადრე ღამდებოდა და საკარმიდამოში ამბობდნენ: „რა გვიან ჩაივლის ხოლმე მანქანა!“—თუმცა მატარებლის განრიგი ოდნავაც არ შეცვლილა... კუზმა ფანჯარასთან იჯდა და მთელ დღეს გაზეთების კითხვაში ატარებდა; მან ჩაიწერა თავისი საგაზაფხულო მოგზაურობა კაზაკოვოში, აკიმთან საუბარი, ძველ ანგარიშწარმოების დავთარში აკეთებდა შენიშვნებს იმაზე, რაც სოფელში ნახა და გაიგონა... ყველაზე მეტად მგელკაცას ამბავი იზიდავდა.

მგელკაცა სოფელში ყველაზე ღარიბი და უსაქმური გლეხი იყო. არსად არ მუშაობდა, მიწას იჯარით აძლევდა და ამით ირჩენდა თავს. შინ შიმშილი და სიცივე კლავდა, ის კი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ როგორმე თამბაქო ეშოვა. სოფლის ყოველ თავყრილობას ესწრებოდა, არც ერთი ქორწილი, ნათლობა თუ დაკრძალვა არ გამორჩებოდა. არც მაღარიჩს იხდიდნენ ხოლმე უმისოდ: ის აკვარახჩინებდა არა მარტო სოფლის, არამედ მეზობლების საქმეებსაც—ყიდვა-გაყიდვა იქნებოდა ეს თუ გაცვლა-გამოცვლა. მგელკაცას გარეგნობა ამართლებდა მის მეტსახელს: რუხი იყო, გამხდარი, საშუალო ტანისა, მხრებჩამოშვებული; მოკლე, დაგლეჯილი, გაზინთული ქურქი და დაკონკილი თექის ჩექმები ეცვა, ქუდზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ქოხში იჯდა, ამ ქუდს არასოდეს არ იხდიდა, ჩიბუხს პირიდან არ იშორებდა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს რაღაცას ელოდებაო. მაგრამ მას, როგორც თვითონ ფიქრობდა, ბედი არა სწყალობდა. ვერა და ვერ იშოვა თავისი შესაფერი საქმე! ჩხირკედელაობას ხომ არ დაიწყებდა... და ყველა, რა თქმა უნდა, ცდილობდა მის გაბიაბრუებას...

— ენას ძვალი არა აქვს და სიტყვას ბაყიო, — ამბობდა მგელკაცა. — შენ ჯერ საქმე გამომინახე და მერე ილაყბე.

მიწა საკმაო ჰქონდა — სამი დესეტინა. მაგრამ გადასახადი ათ სულზე შეაწერეს. ახლა კი მგელკაცამ მიწაზე ხელი ჩაიქნია: „გინდა თუ არა, უნდა იჯარით უნდა მისცე მიწა. მიწას მოვლა-პატრონობა უნდა. ეს კი, აბა, რა წესია!“ თვითონ მხოლოდ ნახევარ ყანა პურს თესავდა და იმასაც მომკამდე ჰყიდ-

და,—თანაც „სულ მუქთად“. დაბეჯითებით ამბობდა: დააცა ერთი, ნახე რა დადგებაო. „მართლაც, ჯობს დავაცადოთ...“— ბუტბუტებდა იაკობი, გვერდზე იხედებოდა და ბოროტად ციცინოდა. ნაღვლიანი, ზიზღნარევი ღიმილი დასთამაშებდა მგელკაცასაც.

— ჯობს! — ბუზღუნებდა ის. — შენ რა გიშავს, სალაყბოდ გცალია: ქალი გაათხოვე, ბიჭი დააქორწინე. ერთი ჩემ სახლსაც გადახედე, სულ ბავშვებით არის სავსე... ჩემები არიან, სხვისი ხომ არა. თხას ვინახავ მათთვის, გოჭს ვასუქებ... იმათაც უნდათ ჭამა-სმა.

— იცი, რა გითხრა, თხა აქ არაფერ შუაშია,—შეესიტყვებოდა ხოლმე აღელვებული იაკობი.—ჩვენ, გესმის, სულ არაყზე და ჩიბუხზე მიგვდის სული და ეგ არი...

და ტყუილუბრალოდ რომ არ წაჩხუბებოდა მეზობელს, სწრაფად გაეცლებოდა. მგელკაცა თვალს გააყოლებდა და მშვიდად, საქმიანად შენიშნავდა:

— ლოთი, ჩემო ძმაო, როცა იქნება, გამოფხიზლდება, სულელს კი არაფერი ეშველება.

ძმასთან გაყრის შემდეგ მგელკაცა დიდხანს დაეხეტებოდა ბინიდან ბინაზე, ხან ქალაქში მოჯამაგირეობდა. და ხან სოფლის მემამულეებთან. ერთ ხანს სამყურასაც ბერტყავდა. მგელკაცას სწორედ აქ გაუღიმა ბედმა. საამისოდ შექმნილ არტელს ისიც შეეკედლა. სამყურა ბლომად იყო; ფუთში ოთხი აბაზი უნდა აეღოთ, ხვავი კი ორ ფუთზე მეტი გამოდიოდა. გამობერტყეს. მგელკაცა საბეგველს უდგა. რაც მეტი დარჩა, ადგა და თვითონ შეისყიდა. გაკეთდა კაცი: იმავე შემოდგომაზე აგურის ქოხი აიშენა. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა: თურმე ქოხს გათბობა სჭირვებია. რით უნდა გაეთბო, საკითხავია? საჭმელსასმელიც არ ჰქონდათ. იძულებული შეიქნა სახურავი დაეწვა. იდგა ქოხი უსახურავოდ მთელ წელიწადს, სულ გაშავდა. საკვამლე მილისაგან კი ცალუღი გააკეთა. თუმცა ცხენი ჯერ არა ჰყავდა, მაგრამ როდისმე ხომ უნდა ჰყოლოდა... და მგელკაცამ ხელი ჩაიქნია: გადაწყვიტა ეს ქოხი გაეყიდა და აეშენებინა თიხის ქოხი, რომელიც უფრო იაფი დაუჯდებოდა. ის ფიქრობდა: ქოხში ათი ათასი აგური მაინც იქნება, ათასი ცალი ექვსი მა-

ნეთი თუ არა, ხუთი მაინც ღირს. ესე იგი, სულ ხუთ თუმანზე მეტს იჭერსო... მაგრამ აგური სამი ათას ხუთასი ცალი აღმოჩნდა, კოჭებში კი ხუთი მანეთი კი არ მისცეს, არამედ ორი და ათი შაური... დაღონებული დაეძებდა თავისთვის ახალ ქოხს, მთელ წელიწადს ევაჭრებოდა იმათ, ვისგან სახლის ყიდვაც ხელს არ აძლევდა. იგი შეურიგდა დღევანდელ ქოხში ცხოვრებას მხოლოდ იმ იმედით, რომ მომავალში მაგარი, დიდი და თბილი ქოხი ექნებოდა.

— რაც მართალია, მართალია, ამ ქოხში მე ვერ გავძლებ! — დაასკვნა ერთხელ.

იაკობმა ყურადღებით შეათვალიერა იგი და ქუდი გაიქნია.

— მაშ ასე. ესე იგი ხომალდების შემოსვლას ელოდები?

— შემოვლენ კიდეც, — ორაზროვნად მიუგო მგელკაცამ.

— კარგი ერთი, სისულელეს თავი გაანებე, — უთხრა იაკობმა, — სადმე მოეწყვე, გესმის, და მაგრად ჩაეჭიდე სამუშაო ადგილს...

მაგრამ კეთილმოწყობილ მყუდრო კარმიდამოზე, წესრიგზე და რაიმე რიგიან შესაფერ სამუშაოზე ფიქრი სიცოცხლეს უწამლავდა მგელკაცას. სამუშაო მალე ბეზრდებოდა.

— მუშაობა თაფლის ჭამა როდია, — ამბობდნენ მეზობლები.

— თაფლის ჭამა მაშინ იქნება, თუ თადარიგიანი ბატონი შეგხვდა!

ამის გამგონე მგელკაცა უცებ გამოცოცხლდებოდა, ჩამქრალ ჩიბუხს პირიდან გამოიღებდა და მოჰყვებოდა საყვარელ ამბავს — რა ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა ორ წელიწადს ერთ მღვდელს ელცის მახლობლად, როცა ჯერ კიდევ უცოლო იყო.

ახლაც რომ მივიდე, სულ კალთებს დამაგლეჯს, დარჩი, დარჩი! ოღონდ ერთი ვუთხრა: ბერიკაცო, შენთან სამუშაოდ მოვედი-მეთქი.

— მერე წადი, რაღას უყურებ?..

— წადი! როგორ წავიდე, როცა შინ ამდენი ბღარები მისხედან! სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, — ნათქვამია. მე კი ასეთ ყოფაში ვარ ჩავარდნილი...

ასეთ ყოფაში იყო მგელკაცა წელსაც. მთელი ზამთარი ურვაში გაატარა, უცეცხლოდ, სიცივეში, შიმშილში. დიდმარხვის დღეებში როგორც იყო მოეწყო რუსანოვთან, ტულის ახლოს: თავის სოფელში უკვე აღარ აჰყავდათ სამუშაოდ. მაგრამ ერთი თვეც არ გასულა, რომ რუსანოვების მამულიც ჭირივით შესძულდა.

— ეჰ, ჩემო კარგო! — უთხრა ერთხელ მოურავმა. — გიცნობ, რა კაციცა ხარ: შენ სულ გაქცევაზე გიჭირავს თვალი. ძაღლის შვილებო, ფულს წინასწარ იღებთ და მერე კი გაპარვასა ცდილობთ.

— ეგეთ რამეს მხოლოდ მაწანწალა თუ იკადრებს, თორემ ჩვენისთანა ხალხი კი არა, — სიტყვა მოუჭრა მგელკაცამ.

მაგრამ მოურავი გადაკრულ სიტყვას ვერ მიუხვდა. საჭირო იყო უფრო გაბედული ნაბიჯის გადადგმა. ერთხელ მგელკაცას საღამოსთვის ბზის მოზიდვა დაავალეს. კალოზე წავიდა და ფორანზე ჩალის დადება დაიწყო. მოვიდა მოურავი:

— განა მე გასაგები ენით არ გითხარი, ბზე დაუდე-მეთქი?

— ახლა ბზის დადების დრო არ არის, — დაბეჯითებით მიუგო მგელკაცამ.

— ვითომ რათაო?

— თადარიგიანი ბატონები საქონელს ბზეს შუადღისას უყრიან, საღამოს კი არა.

— შენ რა — მასწავლებელი გამომიხვედი?

— საქონელი არ მინდა დავხოცო და მასწავლებლობაც ეგ არი.

— მერე ჩალა მიგაქვს?

— უნდა იცოდე, რა დროს რა უნდა.

— ეხლავე თავი დაანებე ჩალის დადებას!

მგელკაცა გაფითრდა.

— არა, საქმეს მე თავს არ დავანებებ, არ შეიძლება საქმეს თავი დავანებო.

— ფიწალი მამე, ძაღლო, და გასწი, ცოდვაში არ გამრიო!

— მე ძაღლი კი არა, ქრისტიანი ვარ. აგერ, მივიტან და წავალ. სულ წავალ.

— წახვალ, მაშ! წახვალ და მალე ისევ მოეთრევი თემში.

მგელკაცა ფორნიდან ჩამოხტა და ფიწალი ჩალაზე მიაგდო:

— ᲛᲔ მოვეთრევი?

— დიახ, შენ!

— იცი რა, ჩემო ძმაო, სათრევად შენ თვითონ არ გაგიხდეს საქმე! შენი ამბავიც ვიცით. არც შენ გადაგისვამს თავზე ხელს ბატონი...

მოურავს მსუქანი ლოყები აუჭარხლდა, თვალები გადმოეკარკლა:

— რაო?! მაშ ასე! თავზე ხელს არ გადამისვამს? რახან ეგრეა, თქვი — რისთვის?

— მე რა უნდა ვთქვა, — წაიდუდუნა მგელკაცამ და იგრძნო, რომ შიშისაგან მუხლები მოეკვეთა.

— არა ძმაო, ბევრს ნუ მიედ-მოედები, — თქვი!

— მაშ ფქვილი სად გაქრა? — შესძახა უცებ მგელკაცამ.

— ფქვილი? რა ფქვილი? რომელი ფქვილი?

— რომელი და შენ რომ აწაპნე წისქვილში...

უეცრად მოურავი ყელში ჩააფრინდა მგელკაცას — და წამით ორივენი გაირინდნენ.

— რასა შვრები, ყელში ᲛᲘᲭᲔᲠ? — წყნარად ჰკითხა მგელკაცამ. — გინდა დამახრჩო?

და უცებ მძვინვარედ აღრიალდა:

— დასცხე, დასცხე, სანამ გული ცხელია!

გაიბრძოლა, ხელიდან დაუსხლტა და ფიწალს ეცა.

— ᲑᲘᲭᲔᲑᲝ! — დაიყვირა მოურავმა, თუმცა ირგვლივ არავინ იყო. — მამასახლისს დაუძახეთ! გესმით: ფიწალზე უნდოდა წამოვეგე ამ ძაღლისშვილს!

— ნუ მოძვრები, თორემ ცხვირს მოგამტვრევ, — უთხრა მგელკაცამ და ფიწალი შემართა. — ძველი დრო არ გეგონოს!

მაგრამ ამ დროს მოურავმა ერთი მოუქნია — და მგელკაცა ჩალაზე გადაყირავდა...

მგელკაცა მთელ ზაფხულს კვლავ შინ იჯდა და წყალობას ელოდა. მთელი შემოდგომის განმავლობაში კარდაკარ დაწანწალებდა და იმედოვნებდა, რომ შეეკედლებოდა ისეთ ვინმეს, რომელიც სამყურას დამუშავებას ეწეოდა... ერთხელ სოფლის ბოლოს ცეცხლი გაუჩნდა ჩალის ზვინს. მგელკაცა პირველი მივიდა ხანძრის ადგილას; ყვირილით ხმა ჩაუხჩა,

წამწამები შეეტრუსა, თავით ფეხებამდე გაიწუწა; ყველას თავ-თავის საქმეს მიუჩენდა: წყლის მზიდავებსაც, იმათაც, ვინც ფიწლებით უზარმაზარ მეწამულ ალში ცვიოდნენ და შემდეგ ცეცხლმოდებული ქუდებით აქეთ-იქით გარბოდნენ, იმათაც, ვინც ტყუილუბრალოდ დაბორიალობდნენ სიცხეში, ტკაცატკუცში, წყლის სხმაში, ღრიანცელში, ქოხების ახლოს დაყრილ ხატებსა, კასრებსა, სართავ ჯარებსა, ჩულოებსა, მოქვითინე დედაკაცებსა და გარუჯულ, შავფოთოლგაცვენილ ტირიფებს შორის... ერთხელ, ოქტომბერში, კოკისპირული წვიმებისა და სუსხიანი ქარბუქის შემდეგ გუბურა გაიყინა, მოყინული გორაკიდან მეზობლის ტახი დაცურდა, ყინული ჩაამტვრია და იხრჩობოდა. მგელკაცამ პირველმა იშვირა ფეხი და წყალში გადახტა მის გადასარჩენად... თუმცა ტახი მაინც დაიხრჩო, მაგრამ ამ ამბავმა უფლება მისცა მგელკაცას გუბურიდან სამოახლოში შეერბინა და არაყი, თამბაქო და საუზმე მოეთხოვა. ჯერ სულმთლად გალურჯებული იყო, კბილებს აკაწკაწებდა, გაცრეცილ ტუჩებს ძლივს ამოძრავებდა და ყულაბას ტანისამოსს იცვამდა. მერე მოსულიერდა, შეზარხოშდა, ტრაბახი დაიწყო და კვლავ მოჰყვა, თუ რა ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა მღვდელს და რა მარჯვედ გაათხოვა შარშან თავისი ქალიშვილი. ის უჯდა მაგიდას, ხარბად ილუკმებოდა, ლორის ნაჭრებს სანსლავდა და კმაყოფილებით ჰყვებოდა:

— კარგი. ჰოდა, მატრიუშკამ და იმ ეგორკამ სიტყვა მისცეს ერთმანეთსა... მისცეს, მისცეს, რაღა უნდა ქნა! ფანჯარასთან ვზივარ და ვხედავ, ეგორკა აუვლის და ჩაუვლის ჩვენ ქოხსა... ჩემ გოგოს კიდევა სუ ფანჯრისკენ გაურბის თვალი... მეთქი უკვე გადაუწყვეტიათ საქმე. დედაკაცს ვეუბნები: შენ ემანდ საქონელს აჭამე რამე, მე კი თავყრილობაზე მეძახიან-მეთქი. ქოხს უკან ჩალაში დავიმალე, ვზივარ და ვუცდი. პირველი თოვლიც სწორედ მაშინ მოვიდა. ვხედავ—ისევ შემოიპარა ეგორკა... ისიც იქ გაჩნდა. ჯერ მარანს ამოეფარნენ, მერე კი იქვე მდგომ ახალ, დაცარიელებულ ქოხს მიაშურეს. დავუცადე ცოტა ხანსა...

— რამოდენა ამბავია! — თქვა კუზმამ და უგუნებოდ ჩაიცინა.

მაგრამ მგელკაცას ეგონა ჩემი ჭკუითა და ეშმაკობით მოხიბლული კუზმა მაქებსო და ამბის მოყოლა განაგრძო, ისე რომ ხან უწევდა ხმას და ხან უდაბლებდა:

— მეთქი მოვიცდი, რა მოხდება. მოვიცადე ცოტა ხანსა და მათკენ გავწიე... შევვარდი და ზედ კარის ზღურბლთან მივატანე! შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდათ. ეგორკა იმწამსვე მოშორდა ჩემ გოგოსა და მიწაზე გაიშხლართა. მატრიუშკა იხვივით გაინაბა და არც ის წამომდგარა... მცემე ახლაო, ეგორკამ მითხრა. მეთქი შენი ცემა რათ მინდა... ხიფთანი წავართვი, ფინჯაკიც და საცვლების ამარა გავუშვი... ახლა გასწი, საითაც გენებოს-მეთქი... მე კი შინისაკენ წავედი. ვხედავ, უკან მომდევს: თოვლიც თეთრია, ისიც თეთრი, მომდევს და ქშინავს... სად ეშმაკებში წავიდე? ჩემი მატრიონა მიკოლაევნა კი, როგორც კი ქოხიდან გამოველ, მინდორში გაიქცა! ბასოვოს ბოლოს ერთი მეზობელი ქალი ჩააფრინდა სახელოში და ჩემთან მოიყვანა. ცოტა დავასვენე და ვუთხარი: მეთქი, ღარიბები ვართ თუ არა? გაჩუმდა. დედაშენი გონჯია თუ ჭკვიანია-მეთქი. ხმა არ ამოუღია. „ქალო, როგორ მოგვჭერი თავი, ჰა? შენ ბუშებით უნდა ამივსო სახლი და მე კი თვალები ვაპარპალო?“ მოვსცხე და მრვსცხე, — ერთი კაი მათრახი მქონდა... მოკლეთ წელი სულ დავუღუდუდე! ეგორკა კი სკამზე იჯდა და ღრიალებდა. იმასაც მოვდექი და ტყავი გავაძრე....

— რა ჰქენი, დააქორწინე? — ჰკითხა კუზმამ.

— მაშ! — წამოიძახა მგელკაცამ და, რომ შეატყო ღვინო თანდათან მეკიდებაო, თეფშზე დარჩენილ ლორის ნაჭრებს ხელი წამოუსვა და ძიქვის ჯიბეებში ჩაიტენა. — მერედა, როგორი ქორწილი გადავიხადე! მე, ჩემო ძმაო, ხარჯის გაწევაზე უკან არ დავიხევ...

„ამბის მოყოლაც ამასა ჰქვია!“ — დიდხანს ფიქრობდა კუზმა ამ საღამოს შემდეგ. ამინდი ცუდდებოდა. წერის სურვილი არ ჰქონდა, ნაღველი თანდათან ეუფლებოდა. მხოლოდ ისღა ჰგვრიდა სიამეს, როცა მასთან სათხოვნელად მოდიოდა ვინმე. ბასოვოდან რამდენჯერმე მოვიდა ფორნით თავტიტველა. ეს იყო სულ მთლად გამელოტებული კაცი, რომელსაც უზარმაზარი ქუდი ეხურა; ნათლიმამას მისთვის ლავიწი ჩაემ-

ტვრია და ახლა კუზმას სთხოვდა საჩივარი დამაწერინეო. კონცხიდან მოვიდა ქვრივი ბოთლიკა, რომელსაც ვაჟიშვილისთვის წერილი უნდა გაეგზავნა; ტანსაცმელშემოფლეთილი, წვიმას სულმთლად დაესველებინა და გაეთოშა. თვალცრემლიანმა დაიწყო კარნახი.

— ქალაქი სერპუხოვი, სათავადაზნაურო აბანო, ჟელტუხინების სახლი.

და ატირდა.

— მერე? — შეეკითხა წარბშეჭმუხნილი კუზმა და პენსნედან ბერიკაცულად გამოხედა ბოთლიკას.—დავწერე. მერე?

— მერე? — ჩურჩულით ჰკითხა ბოთლიკამ და ცრემლების ულაპვით განაგრძო:

— მერე, ჩემო გვრიტო, უფრო გარკვევით დაწერე... ესე იგი მიხალ ნაზარიჩ ხლუსოვს... საკუთარ ხელში...

და განაგრძო. ალაგ-ალაგ ხან ჩერდებოდა, ხან კი შეუსვენებლივ განაგრძობდა:

— ჩვენ საყვარელ და ძვირფას შვილს მიშას, რატომ დაგვიგვიწყე, მიშა, თქვენგან არაფერი ისმის... თავათაც გეცოდინება, რომ ნაქირავებ ქოხში ვართ... ეხლა კი გაგდებას გვიპირობენ, აბა ახლა სად წავიდეთ... ჩვენო ძვირფასო მიშა, გთხოვთ ღვთის გულისათვის რაც შეიძლება ჩქარა ჩამოხვიდეთ სახლში...

და ცრემლების ულაპვითა და ჩურჩულით კვლავ განაგრძო:

— ჩვენ თქვენთან ერთად მიწურ ქოხს მაინც გავაკეთებთ და ჩვენი კუთხე გვექნება...

ქარბუქი და სუსხიანი კოკისპირული წვიმები, დღეები, რომლებიც მწუხრს წააგავდნენ, აკაციის გაყვითლებული ფოთლებით მოფენილი ატალახებული კარ-მიდამო, თვალუწვდენი ხნულები და საშემოდგომო ნათესები დურნოვკის გარშემო და მათ თავზე დაუსრულებლად მსრბოლი ღრუბლები ჭირივით აძულებდნენ კაცს ამ დაწყეველილ მხარეს, სადაც რვა თვეს ქარბუქია, ხოლო ოთხ თვეს წვიმა, სადაც ხალხი იძულებულია მოსასაქმებლად ბოსელში ან ალუბლის ბაღში იაროს. როცა ცუდი ამინდები დაიჭირა, კუზმას სხვა გზა არა ჰქონდა,—სასტუმრო ოთახის კარ-ფანჯრები აჭედა და სადარ-

ბაზო ოთახში გადავიდა, რათა ზამთარში ღამე იქ გაეთია, ესადილა, თამბაქო მოეწია, მბჟუტავი ლამპის შუქზე გაეტარებინა მთელი საღამო, კუთხიდან კუთხეში ევლო, ჩიხაქუდში და ხიფთანში გამოწყობილს, ძლივს რომ იფარავდნენ ცივი ქარისაგან, რომელიც ღრიჭოებიდან უბერავდა. ზოგჯერ აღმოჩნდებოდა, რომ ნავთის მომარაგება დავიწყებოდათ, და კუზმა ბინდბუნდში უსინათლოდ იჯდა, ხოლო დაღამებისას ნამწვს მოუკიდებდა ხოლმე მხოლოდ იმისათვის, რომ შექცეოდა კარტოფილის წვნიან შეჭამანდსა და ბურღულის თბილ ფაფას, რომელსაც მდუმარე, სახემოღუშული პატარძალი მოართმევდა.

„სად წავიდე?“—ფიქრობდა ხანდახან.

კარის მეზობელი სამი ჰყავდა: მოხუცი ქალბატონი შახოვა, რომელიც თავად-აზნაურობის წინამძღოლსაც კი უზრდელად თვლიდა და სახლში არ უშვებდა; სამსახურიდან გადამდგარი ჟანდარმი ზაკრჟევსკი, რომელიც თითქოს ბუასილს გაეავებინა, კარის ზღურბლამდეც კი არ უშვებდა ვინმეს; და, ბოლოს, წვრილი აზნაური ბასოვი, რომელსაც ცოლად მდაბიო ქალი შეერთო, ქოხში ცხოვრობდა და მხოლოდ უღელი და საქონელი ეკერა პირზე. ერთხელ კუზმას ესტუმრა მამა პეტრე,— მოძღვარი კოლოდეზისა, რომლის სამრევლოშიც შედიოდა დურნოვკა, — მაგრამ ნაცნობობის გაბმა არც ერთმა ისურვა და არც მეორემ. კუზმა მოძღვარს მხოლოდ ჩაით გაუმასპინძლდა; მაგიდაზე სამოვრის დანახვისას მღვდელი შეცბა და გადაიხარხარა: „სამოვარი? ჩინებულია! თქვენ, როგორც ვატყობ, გულუხვი მასპინძელი არ უნდა იყოთ!“ ხარხარი სულაც არ შეჰფეროდა მას: გეგონებოდათ ამ ტანმაღალი, გამხდარი კაცის მაგივრად, რომელსაც ფართო ბეჭები, ხშირი შავი თმა და დაუდგრომელი თვალები აქვს, ვიღაც სხვა ხარხარებდა.

კუზმა ძმასთანაც იშვიათად დადიოდა. ის კი მხოლოდ მაშინ ინახულებდა ხოლმე, როცა რამე ააღელვებდა. მარტოობამ ისე წარუკვეთა სასო, რომ ხანდახან კუზმა თავს ეშმაკის კუნძულზე გარიყულ დრეიფუსად თვლიდა. ზოგჯერ მგელკაცასაც ედრებოდა. ისიც ხომ ისეთივე ღარიბი და სუსტი ნებისყოფის კაცი იყო, როგორიც მგელკაცა, ისიც ხომ მასავით ელოდა მუშაობისათვის საჭირო რაღაც ბედნიერ დღეებს!

პირველად რომ მოთოვა, მგელკაცა სადღაც წავიდა და ერთ კვირას აღარ გამოჩენილა. სახემოღუშული დაბრუნდა შინ.

— ისევ რუსანოვთან იყავი? — ჰკითხეს მეზობლებმა.

— ჰო. — უპასუხა მგელკაცამ.

— რაზე?

— ჩვენთან იმუშავეო, მითხრეს.

— ჰოო. მერე უარი უთხარი?

— იმათზე სულელი არც ვყოფილვარ და არცროდის ვიქნები!

და მგელკაცა ქუდმოუხდელი დიდხანს იჯდა სკამზე. ბინდბუნდში მისი ქოხის დანახვისას დარდი შემოგაწვებოდა გულზე. ბინდბუნდში თოვლიან ფართო ხევს გაღმა მწუხრისფრად მოჩანდა დურნოვკა, საცეხვლებითა და ტირიფებით დაფარული ეზოებით. ღამდებოდა, ქოხებში სინათლეს ანთებდნენ, და იფიქრებდით, რომ იქ სიმშვიდე და მყუდროებაა. უღიმღამოდ გამოიყურებოდა მხოლოდ მგელკაცას ჩაბნელებული ქოხი. ის იყო ყრუ და უსიცოცხლო. კუზმამ უკვე იცოდა: მგელკაცას ქოხის ჩაბნელებულ სანახევროდ ღია წინკარში თუ შეხვედი, მხეცის ბუნაგის მისასვლელთან გეგონება თავი — ირგვლივ თოვლის სუნი ტრიალებს, დაცხრილული სახურავიდან მოჩანს მოღუშული ცა, ქარი აშრიალებს წივასა და ფიჩხს, ნივნივებზე უხეიროდ რომ ყრია; ხელის ფათურით მონახავ დაფერდებულ კედელს, კარს შეაღებ, დაგხვდება სიცივე, სიბნელე და ამ სიბნელეში ოდნავ მოკიაფე შეჭირხლული ფანჯარა... არავინ ჩანს, მაგრამ ხვდები: სახლის პატრონი გრძელ სკამზე ჩამომჯდარა; ჩიბუხი უღვივის; დიასახლისი, — წუნარი, მდუმარე, ცოტა მოსულელო დედაკაცი, — ნელ-ნელა არწევს ჭრიჭინა აკვანს, რომელშიც ფერმკრთალი, შიმშილისაგან თვალებგამოყვლეპილი რახიტიანი ყრმა წევს. ბავშვები ნელთბილ ღუმელზე ამძვრალან და ჩურჩულით რაღაცას უყვებიან ერთმანეთს. ტახტქვეშ დაყრილ, დამპალ ჩალაზე ფათურობენ თხა და გოჭი, — დიდი მეგობრები. წელში ვერ გამართულხარ — ვაითუ თავი ჭერს მივარ-

ტყაო. მობრუნებისაც გეშინია: ზღურბლიდან მოპირდაპირ კედლამდე ხუთიოდ ნაბიჯია.

— ვინ არი? — გაისმის სიბნელეში ჩუმი ხმა.

— მე.

— კუზმა ილიჩი ხომ არა?

— დიახ.

მგელკაცა გვერდზე ჩაიწევა და სკამზე ადგილს ათავისუფლებს. კუზმა ჯდება და პაპიროსს უკიდებს. ნელ-ნელა იწყება საუბარი. მგელკაცა სიბნელეს დაუბეჩავებია, გამოუფიტავს, დარდით აუვსია და სისუსტეს უჩივის, დროდადრო ხმა უკანკალებს...

გრძელი, თოვლიანი ზამთარი დადგა.

დაბინდული მოლურჯო ცის ქვეშ გადაჭიმული ქათქათა მინდვრები ახლა უფრო ვრცელი, უკიდეგანო და უკაცური შეიქნენ. ახალ ნათოვარზე მკაფიოდ მოჩანდნენ ქოხები, საბძლები, ტირიფები, საცეხვლები. მერე ქარბუქი ატყდა და მიდამო ისე ჩაჩუმქრა, რომ სოფელი ჩრდილოეთის მიყრუებულ ადგილს დაემსგავსა; გადანამქრულ ქოხებს მხოლოდ კარ-ფანჯრები მოუჩანდათ, რომლებიც ძლივძლივობით იცქირებოდნენ ჩამოფხატული თეთრი ბოხოხებიდან. ქარბუქის შემდეგ მოლიპულ რუხ მინდვრებს სუსხიანმა ქარებმა წამოუქროლეს და ხევში მიუსაფრად დარჩენილ მუხის ჩირგვებს უკანასკნელი ფოთლებიც შემოაძარცვეს; კურდღლის ნაფეხურებით დასერილ გაუვალ ნამქერში ყელამდე ეფლობოდა მდაბალი აზნაური ტარას მილიაევი, სიყრმიდანვე ნადირობას გადაყოლილი კაცი; ყინულის ლოდებად გადაქცეულიყვნენ წყალსაზიდი კასრები, ყინულჭრილების ირგვლივ ყინულის ლიპი ბორცვაკები აღმართულიყვნენ, ნამქერებზე გზები გაიკვალა — და დაიწყო ზამთრის სამუშაო დღეები. სოფელში გავრცელდა სახადი ყვავილი, ქუნთრუშა და ციებ-ცხელება... ყინულჭრილების ირგვლივ, საიდანაც მთელი დურნოვკა იღებდა სასმელ წყალს, მყრალი, დახავსებული გუბურის თავზე, მთელი დღის განმავლობაში წელში მოხრილნი იდგნენ სველქალამნებიანი, თავშალწაკრული დიდთავა დედაკაცები, რომლებსაც კაბის კალთები აეკეცათ და სისვი კანჭები უჩან-

დათ. ისინი ნაცრიანი თუჯის ქვაბებიდან იღებდნენ თავიანთ რუხ ხამის პერანგებს, მამაკაცის ხამის ძიქვებს, ბავშვის დასვრილ არტახებს, წყალში ავლებდნენ მათ, ჯანდრავდნენ და თან ერთმანეთს გასძახოდნენ: „ორთქლით ხელები დამეთუთქაო, მატიუტინების დედაკაცი ციებ-ცხელებით კვდებაო, იაკობის რძალს ყელათმა სჭირსო... სამ საათზე უკვე ბინდდებოდა, ნამქერების გასწვრივ, ქოხის სახურავებზე, ბანჯგვლიანი ძაღლები ისხდნენ. ძე-ხორციელმა არ იცოდა, რას ჭამდნენ ეს ძაღლები, თუმცა მაინც ცოცხლობდნენ და ავებიც კი იყვნენ.

საკარმიდამოში გლეხები ადრე იღვიძებდნენ. რიჟრაჟზე, როცა ქოხებში სინათლეს ანთებდნენ, ღუმელს უკეთებდნენ და საჩეხიდან ზანტად ამოდიოდა რძისფერი კვამლის ბოლქვები, შეჭირხლულფანჯრებიან ფლიგელში ისე ციოდა, როგორც დერეფანში, კუზმას აღვიძებდა კარის ხმაური და გათოშილი, თოვლიანი ჩალის შრიალი, რომელსაც ყულაბა მარხილით ეზიდებოდა. ისმოდა მისი ჩუმი, ხრინწიანი ხმა — ხმა დილაადრიან გაღვიძებული და შემცივნული ადამიანისა. პატარძალი სამოვრის მილს აჩხარუნებდა და ყულაბას რაღაცაზე მკაცრად ეჩურჩულებოდა. ქალს სამოახლოში კი არ ეძინა, სადაც აბანოს ჭიები ხელ-ფეხს უწყალოდ კბენდნენ, არამედ — წინაოთახში, და მთელ სოფელს სჯეროდა, რომ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. სოფლელებმა კარგად იცოდნენ, რა გადახდა მას შემოდგომაზე. მდუმარე პატარძალი მონაზონზე მკაცრი და მოღუშული იყო. მაგრამ განა ეს საქმეს შველოდა? კუზმამ უკვე იცოდა უაზნო ქალისაგან, რას ლაპარაკობდნენ სოფელში და გაღვიძებისთანავე ზიზღით იგონებდა ამ ამბავს და სირცხვილით იწვოდა. მუშტს ურტყამდა კედელს და ამით აგებინებდა, რომ სამოვარს უცდიდა; კრუსუნით მოუკიდებდა ხოლმე პაპიროსს და გულს მოეშვებოდა. ტყაპუჭგადაფარებული იწვა, სითბოს ვერ შორდებოდა, პაპიროსს აბოლებდა და ფიქრობდა: „სინდისგარეცხილი ხალხი! მე ხომ მისი თანატოლი ქალიშვილი მყავს...“ ახალგაზრდა ქალს რომ მეზობელ ოთახში ეძინა, ეს მხოლოდ ნაზ, მამობრივ გრძნობას აღუძრავდა: დღისით პატარძალი დინჯი და სიტყვაძვირი იყო, ხოლო როცა ეძინა, მარტოდმარტო დარჩენილი და დაღონებული ბავშვის

სახე ჰქონდა. მაგრამ განა სოფელს შეეძლო ერწმუნა ეს ნაზი მამობრივი გრძნობა? ტიხონ ილიჩსაც კი არ სწამდა: რაღაც უცნაურად ჩაიცინებდა ხოლმე ხანდახან. ის თავის დღეში მიუნდობელი და ავადმყოფურად ეჭვიანი იყო და ახლა ხომ სულ მთლად გამოთაყვანდა: რაც არ უნდა გეთქვათ, მუდამ ერთსა და იმავეს გიპასუხებდათ.

— გაიგე, ტიხონ ილიჩ? ზაკრევსკი კატარით კვდებაო: ორიოლში წაუყვანიათ.

— ჭორია. ვიცით, რა კატარიც სჭირს!

— რა ვიცი, ფერშალმა კი მითხრა და...

— ჰოდა, დადექ და იმას უსმინე...

— გაზეთი მინდა გამოვიწერო, — ეტყვით მას. — ერთი თუმანი მომეცი, გეთაყვა, ჯამაგირზე ჩაგასესხებ.

— ჰმ! ნეტავი ერთი ჭორებით არ იტენიდეთ თავსა! თანაც, მართალი გითხრა, სულ ორი თუ სამი შაური მაქვს ჯიბეში...

შემოვა წამწამებდახრილი პატარძალი:

— ტიხონ ილიჩ, ფქვილი სულ ცოტაღა დაგვრჩა...

— რაო, ცოტაო? ოჰ, ცრუობ, დედაკაცო!

და წარბს შეხრის. ტიხონ ილიჩი ირწმუნება, რომ ფქვილი კიდევ სამ დღეს მაინც უნდა ჰყოფნოდათ, თან ხან კუზმას გადახედავს და ხან პატარძალს. ერთხელ სიცილით ესეც კი ჰკითხა:

— ხომ თბილად გძინავთ ერთად?

პატარძალი აილეწა, თავი ჩაღუნა და ოთახიდან გავიდა, ხოლო კუზმას სირცხვილისა და ბრაზისაგან თითები გაუცივდა.

— გრცხვენოდეს, ტიხონ ილიჩ, — ჩაიბუზღუნა მან და ფანჯრისკენ მიტრიალდა, — და საკუთრივ იმის შემდეგ, რაც შენ გამიმხილე...

— მაშ რად გაწითლდა? — ბოროტი ღიმილით ჰკითხა შემცბარმა ტიხონ ილიჩმა.

დილდილობით ყველაზე უსიამოვნო იყო პირის დაბანა. წინაოთახში გათოშილიყო ჩალა, პირსაბანში შუშის ნატეხებივით ცურავდა ყინულის ნაჭრები. ზოგჯერ კუზმა მხოლოდ ხელს დაიბანდა და ისე მიუჯდებოდა ჩაის; ნამძინარევი სულ მთლად ბერიკაცსა ჰგავდა. მთელი შემოდგომის მანძილზე უსუფთაო-

ბისა და სიცივისაგან ჩამოხმა და გაჭაღარავდა. გამხდარ ხელებზე კანი გაუთხელდა, აუპრიალდა და წვრილ-წვრილი ლურჯი ლაქებით დაეფარა.

მოღუშული დილა იყო. დამჯდარ მონაცრისფერო თოვლზე სოფელიც რუხად მოჩანდა. საბძლების სახურავებქვეშ ნაცრისფერი გაყინული ხრალებივით ეკიდა სარეცხი. ქოხის წინ აქცევდნენ ნარცხს, ყრიდნენ ნაცარს — და ეს ადგილი მუდამ მოყინული იყო. ქოხებსა და საბძლებს შორის ქუჩაზე სკოლისაკენ მიეშურებოდნენ ტანსაცმელჩამოფლეთილი ბიჭუნები. ისინი ნამქერებზე არბოდნენ და მერე იქიდან ქალამნებით დაცურდებოდნენ ხოლმე; თვითეულ მათგანს მიჰქონდა ტილოს პარკი, რომელშიც გრიფელის დაფა და პური ედო. მათკენ მხრეულითა და ორი გოვზაკით მოიკაკვებოდა შავგვრემანი, ავადმყოფი ბერიკაცი თუჯია, რომელსაც ღორისტყავშემოკერებული, გაქვავებული უშნო თექის ჩექმები და მარტოოდენ არმიაკი ეცვა; ბექიდან ბექზე ჭყამპალ-ჭყამპალით მოგორავდა ვიღაცის ჩალით თავდაცული წყლის კასრი; მოდიოდნენ დედაკაცები, რომლებიც ხან მარილს სესხულობდნენ ერთმანეთისაგან, ხან ბურღულს, ხან ერთ ჯამ ფქვილს კვერის თუ ფაფის გასაკეთებლად. კალო დაცარიელებულიყო, — მხოლოდ იაკობის საცეხვლის კარიდან გამოდიოდა კვამლი: იაკობი მდიდარ გლეხებს ბაძავდა და პურს ზამთრობით ცეხვავდა. ხოლო კალოებს გადაღმა, ეზოს განაპირა შიშველ ტირიფნარს იქით, უფერული ცის ქვეშ გადაჭიმულიყო მონაცრისფრო თოვლიანი მინდორი, ტალღოვანი მოლიპული უდაბნო.

ხანდახან კუზმა სასაუზმოდ ყულაბასთან დადიოდა სამოახლოში და ცხელ-ცხელ კარტოფილს ან წინა დღის მჟავე კომბოსტოს შეჭამანდს მიირთმევდა. ის იგონებდა ქალაქს, სადაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა, და უკვირდა, რომ ახლა სულაც არ მიუწევდა იქითკენ გული. ტიხონისათვის ქალაქში ცხოვრება სანუკვარი ოცნება იყო, მას თვალის დასანახად ეჯავრებოდა სოფელი. კუზმა კი მხოლოდ და მხოლოდ ცდილობდა შეეძულებინა იგი. ის ახლა უფრო მეტი შიშით ადევნებდა თვალს თავის ყოფას: დურნოვკაში მთლად გაველურდა, — ბიჭს იშვიათად იბანდა, ხიფთანს მთელი დღის განმავ-

ლობაში არ იხდიდა, ყულაბასთან ერთად ზიარი ჯამიდან ჭამდა. მაგრამ ყველაფერზე უარესი ის იყო, რომ, თუმცა მას ეშინოდა იმ ყოფისა, რომელშიც იგი დღეობით კი არა, საათობით ბერდებოდა, მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, რომ ეს ყოფა მაინც სიამოვნებდა, რომ ის თითქოს სწორედ იმ გზას დაუბრუნდა, რომელიც დაბადებიდანვე ეწერა: ტყუილად როდი იყო დურნოვკის მკვიდრთა სისხლისა!

ნასაუზმევს ზოგჯერ კარ-მიდამოში ან სოფელში სეირნობდა. ეწვეოდა იაკობის კალოს, მგელკაცას ან ყულაბას, რომლის დედაბერი მარტოდმარტო ცხოვრობდა, კუდიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი, იყო ტანმაღალი და საშინლად გამხდარი, სიკვდილივით კბილებდაკრეჭილი, ლაპარაკობდა უხეშად და მკაცრად, მამაკაცივით ეწეოდა ჩიბუხს: ღუმელს დაანთებდა, ტახტზე ჩამოჯდებოდა და აბოლებდა, თან მძიმე შავქალამნიან წვრილსა და გრძელ ფეხს აქანავებდა. დიდმარხვის დღეებში კუზმა სულ ორჯერ თუ გაემგზავრებოდა სახლიდან — ფოსტაში შეივლიდა და ძმას ინახულებდა. მგზავრობა უმძიმდა: კუზმა ისე გაიყინებოდა ხოლმე, ვეღარც კი გრძნობდა, ჰქონდა თუ არა ტანი. ცხვრის ტყაპუჭი ისე დიდხანს ემსახურა, რომ სულ გაიქუცა. მინდორში კი ქარი ბობოქრობდა. დურნოვკაში ნიადაგ ჯდომის შემდეგ ზამთრის სუსხიანი ჰაერის სუნთქვით ვერა ძღებოდა. სოფლის ხანგრძლივად ჭვრეტის შემდეგ განაცვიფრებდა მონაცრისფრო თოვლიანი სივრცე; ლურჯად მოლივლივე შორეული თვალუწვდენი და ლამაზი ჩანდა, გეგონებოდა დახატულიაო. ცხენი ფრუტუნებდა და მარდად მიაპობდა სუსხიან ქარს, დაჭედილ ფლოქვებზე შეყინული თოვლი დროდადრო სძვრებოდა და ხმაურით ხვდებოდა მარხილს. ყულაბა, რომელსაც ლოყა მოჰყინოდა და ჩალურჯებოდა, მხნედ დასჭყივლებდა ხოლმე, გაქანებული მარხილის კოფოდან ისკუპებდა და მერე გვერდულად შეახტებოდა. მაგრამ ქარი ძვალსა და რბილში ატანდა, თოვლწაყრილ ჩალაში ჩადგმული ფეხები სტეხდა და უბლიკდებოდა, შუბლი და ღაწვები სწიწკნიდა... ულიანოვკის დაბალ საფოსტო კანტორაში კი ისეთი მოწყენილობა სუფევდა, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ მიყრუებულ სახაზი-

ნო ადგილებში. იდგა ობისა და ლუქის სუნი, ტანსაცმელჩამოფლეთილი ფოსტალიონი ხმაურით ურტყამდა შტემპელს, პირქუში სახაროვი, იმაზე გაბრაზებული, რომ კუზმამ ვეღარ მოიფიქრა ხუთი ქათამი ან ერთი ფუთი ფქვილი გამოეგზავნა, გლეხებს უყვიროდა. ტიხონ ილიჩის სახლს რომ მიუახლოვდებოდა, კუზმას აღელვებდა ორთქლმავლის კვამლის სუნი, რაც იმას აგონებდა, რომ ქვეყნად არის ქალაქები, ხალხი, გაზეთები, ახალი ამბები. ძმასთან ლაპარაკი, დასვენება და გათბობა, ცხადია, სასიამოვნო იქნებოდა მისთვის, მაგრამ საუბარს ვერა და ვერ მოაბამდნენ ხოლმე თავს. ძმას წამდაუწუმ ეძახდნენ დუქანში, სამეურნეო საქმეზე, და თვითონაც სულ მეურნეობაზე, გლეხების მატყუარობაზე, უნამუსობასა და ავკაცობაზე ლაპარაკობდა და თან დასძენდა, რომ აუცილებელი იყო რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან მამული. ნასტასია პეტროვნა დაბეჩავდა. მას, ეტყობა, ძალიან ეშინოდა ქმრისა: უალაგო ალავას ეჩრებოდა საუბარში, უდროო დროს აქებდა ქმარს, — მის გამჭრიახობას, თადარიგიანობას, რომ ის მარტო განაგებდა სამეურნეო საქმეს და ყველაფერს.

— ყველაფერზე მიუწვდება ხელი, ყველაფერზე! — ამბობდა ის, ტიხონ ილიჩი კი უხეშად აწყვეტინებდა სიტყვას. ასეთი საუბრიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ კუზმას უკვე შინისაკენ, კარ-მიდამოსაკენ მიუწევდა გული. „ჭკუაზე შეცდა, რაღა, ჭკუაზე შეცდა!“ დუდუნებდა შინ მიმავალი კუზმა, როცა იგონებდა, თუ რა კუშტი, ავი გამოხედვა ჰქონდა ტიხონს, რა გულჩათხრობილი და ეჭვიანი იყო და როგორ გულისგამწყალებლად იმეორებდა ერთსა და იმავეს. ხან ყულაბას შეუძახებდა ხოლმე და ხან ცხენს, — ჩქარობდა სახლში დაემალა თავისი ნაღველიც და ძველი, გათოშილი ტანისამოსიც...

შობის დღეებში კუზმას ხშირი სტუმარი იყო ბასოვოელი ივანუშკა. ეს გახლდათ ხანშიშესულობის გამო გამოთავყვანებული ძველი ყაიდის გლეხკაცი, ოდესღაც დათვის ღონით სახელგანთქმული; ჩასკვნილი იყო, წელში მოკაკული, გაბურძგვნილი წაბლისფერთმიანი თავი მუდამ ჩაქინდრული ჰქონდა. ხოლო ფეხის წვერები ერთმანეთისაკენ მოქცეოდა და ისე

დაიარებოდა. ოთხმოცდათორმეტ წელს შავმა ჭირმა ერთიანად ამოწყვიტა ივანუშკას დიდი ოჯახი. მხოლოდ სალდათი შვილი გადარჩა, რომელიც ახლა დარაჯად მუშაობდა რკინიგზაზე, დურნოვკის შორიახლო. ივანუშკას საწუთრო შვილის სახლშიც შეეძლო გაელია, მაგრამ ამას აქეთ-იქით ხეტიალი და მათხოვრობა ამჯობინა. ეზოში დაბაჯბაჯებდა, მარცხენა ხელში ჯოხი და ქუდი ეჭირა, ხოლო მარჯვენაში კი პირმოხსნილი, თოვლით გადაპენტილი ჩანთა. ნაგაზები რატომღაც არ უყეფდნენ. ის შედიოდა სახლში და დუდუნებდა: „აქა მშვიდობა", — და კედელთან იატაკზე დაჯდებოდა. კუზმა წიგნს გადადებდა და ისე გაკვირვებით და გაუბედავად უცქეროდა პენსნეს ზემოდან, გეგონებოდა მის წინ სტეპის რომელიმე მხეცი ყოფილიყოს, რომლის ოთახში ყოფნა გასაოცარი იყო. მსუბუქი ნაბიჯით გამოვიდოდა წამწამებდახრილი მდუმარე პატარძალი, რომელსაც სახეზე მკრთალი, ალერსიანი ღიმილი დასთამაშებდა, ივანუშკას მოხარშული კარტოფილით სავსე ჯამსა, მარილისაგან განაცრისფერებულ პურის ნატეხს გაუწოდებდა და წირთხლთან გაჩერდებოდა. პატარძალს ქალამნები ეცვა, განიერი მხრები ჩამკვრივებოდა და ლამაზი, ფერწასული პირისახე ისეთი გლეხურად უბრალო და ძველებური ჰქონდა, რომ ალბათ სხვა რამეს ვერც უწოდებდა ივანუშკას, თუ არა ბაბუას. პატარძალი ღიმილით, — იგი მხოლოდ ივანუშკას უღიმოდა, — ხმადაბლა ეუბნებოდა:

— მიირთვი, მიირთვი, ბაბუა.

ხოლო ის თავს არ სწევდა, მის ალერსს მარტოოდენ ხმითაც ხვდებოდა, პასუხად ჩუმად კრუსუნებდა და ზოგჯერ წაიდუდუნებდა: „ღმერთმა გაგახაროს, შვილო", თათის მაგვარი ხელით ფართოდ და უხეიროდ გამოისახავდა პირჯვარს და ხარბად შეექცეოდა საჭმელს. არაადამიანურად ხშირი, სქელი თმიდან წურწურით ჩამოსდიოდა გამდნარი თოვლი, ქალამნებიდან ჩამონადენი წყალი იატაკს ასველებდა. ჭუჭყიან ხამის პერანგზე გადაცმულ გაცვეთილ ყავისფერ ხიფთანზე გაკვამლული ქოხის სუნი უდიოდა. ხანგრძლივი მუშაობით დაკოჟრილი ხელებით, დაკვანჩხული თითებით ძლივძლივობით ეჭირა კარტოფილი.

— არა გცივა, მარტო ხიფთანი რომ გაცვია? — ხმამაღლა ეკითხებოდა კუზმა.

— რა სთქვი? — ყრუ კრუსუნით მიუგებდა ივანუშკა და თმით დაფარულ ყურს მიაპყრობდა.

— ხომ არა გცივა?

ივანუშკა დაფიქრდებოდა.

— რათ უნდა მციოდეს? — სვენებ-სვენებით უპასუხებდა იგი. — სულაც არა მცივა... წინათ უფრო ჰყინამდა ხოლმე.

— თავი ასწიე და თმა გაისწორე!

ივანუშკა ნელა გააქნევდა თავს.

— ვეღარა ვწევ, ძმავ... მიწისკენ მეხრება...

და მკრთალი ღიმილით ცდილობდა აეწია საზარელი, გაბურძგნილი პირისახე, პატარა, მოპუტული თვალები.

გამაძღარი, ხვნეშოდა. პირჯვარს იწერდა, მუხლებზე დაცვივნულ ნამცეცებს კრეფდა და ჭამდა; მერე ირგვლივ ხელებს მოაფათურებდა — ჩანთას, ჯოხსა და ქუდს ეძებდა და, როცა იპოვიდა და დამშვიდდებოდა, იწყებდა დინჯ საუბარს. მას შეეძლო მთელ დღეს უსიტყვოდ მჯდარიყო, მაგრამ კუზმა და პატარძალი ეკითხებოდნენ, და ისიც, თითქოს სიზმარშიაო, საიდანღაც, შორიდან, უპასუხებდა. ჰყვებოდა თავისი ძველი, მოუხეშავი ენით, რომ მეფე, როგორც ამბობენ, სულ ოქროსგანაა ნაჭედი, რომ მეფე სხვა თევზს ვერა ჭამს. „გარნა მარილოვანისა“, რომ ელია წინასწარმეტყველმა განარღვია ცა და დაეცა ქვეყანასა ზედა, „რამეთუ იყო ტანითა მძიმე“; რომ ივანე ნათლისმცემელი ცხვარივით ბალახაბურძგნილი დაბადა; რომ ელია მონათვლისას ნათლულს თავში არგანს ჩაჰკრავდა ხოლმე, რათა „ჰკუაზე მოსულიყო“; რომ ყველა ცხენი წელიწადში ერთხელ, ფლორისა და ლავრის დღეს. ცდილობს კაცი მოკლას; ჰყვებოდა, რომ წინათ ჭვავის ყანა ისეთი იყო, რომ შიგ ძლოკვიც ვერ გაძვრებოდა, რომ ყოველდღე თითო კაცი ორ დესეტინასა მკიდა; რომ მისი ლაფშა ცხენი ისეთი ღონიერი და საშიში იყო, რომ „ჯაჭვზე აბავდნენ“. რომ ერთხელ, სამოციოდე წლის წინათ, მას, ივანუშკას. ისეთი უღელი მოპარეს, როგორსაც ორ მანეთადაც ვერ გაჰყიდდა... ივანუშკას მტკიცედ სწამდა, რომ მისი ოჯახი შავი ჭირისაგან კი

არ ამოწყდა, არამედ იმის გამო, რომ ხანძრის შემდეგ მაშინვე ახალ ქოხში გადავიდნენ და იქ დაიძინეს, ისე როგორ ჯერ მაძლისთვის ღამე არ გაუთევინებიათ, რომ თავისი ვაჟითურთ შემთხვევით გადარჩა: საცეხველში ეძინათ... საღამო ხანს ივანუშკა წამოდგებოდა და მიდიოდა, არც ამინდს დაგიდევდათ და არც სახლის პატრონის რჩევას, რომ დილამდე დარჩენილიყო... ერთხელ გაცივდა და ამ გაცივებას გადაჰყვა კიდეც: ნათლიღების წინ შვილის ჯიხურში დალია სული. შვილმა ურჩია, ეზიარეო. ივანუშკა არ დათანხმდა: უთხრა, რომ ვინც ეზიარება — კვდება, ხოლო მას მტკიცედ გადაეწყვიტა, სიკვდილს „არ დანებებოდა". ის მთელი დღეები უგონოდ იწვა; მაგრამ ბოდვის დროსაც კი სთხოვა რძალს: „სიკვდილმა თუ კარზე დააკაკუნოს, ჩემზე უთხარი, შინ არ არის-თქო". ერთ ღამეს გონს მოვიდა, ძალ-ღონე მოიკრიბა, ღუმელიდან ჩამოფორთხდა და კანდელით გასხივოსნებული ხატის წინ დაიჩოქა. ის მძიმედ ოხრავდა, დიდხანს დუდუნებდა და იმეორებდა: „მამაო ღმერთო, მომიტევე შეცოდებანი ჩემნი"... მერე ჩაფიქრდა და, იატაკზე დამხობილი, დიდხანს დუმდა. უცებ წამოდგა და მტკიცედ თქვა: „არა, არ დავნებდები!" მაგრამ დილით დაინახა, რომ რძალი ღვეზელებს ხელავდა და ღუმელს ახურებდა...

— ჩემი ქელეხისათვის ხომ არ ამზადებ?—აკანკალებული ხმით ჰკითხა მან.

რძალს არაფერი უპასუხნია. კვლავ მოიკრიბა ძალ-ღონე, ისევ ჩამოფორთხდა ღუმელიდან და დერეფანში გავიდა: ჰო, მართლაც, კედელთან აყუდებული იყო უზარმაზარი ლილისფერი კუბო თეთრი რვაწახნაგიანი ჯვრებით! მაშინ კი მოაგონდა, თუ რა დაემართა ოცდაათი წლის წინათ მის მეზობელ ბერიკაცს, ლუკიანს: ლუკიანი ლოგინად ჩავარდა. მასაც უყიდეს კუბო — კარგი, ძვირფასი კუბო, — ქალაქიდან ჩამოიტანეს ფქვილი, არაყი, დამარილებული ფარგა; მაგრამ უეცრად ლუკიანი მომჯობინდა. სად უნდა წაეღოთ კუბო? რით აენაზღაურებინათ ხარჯები? ლუკიანს ბარე ხუთ წელს წყევლიდნენ ამისათვის, საყვედურებით ართმევდნენ სულს... ივანუშკას მოაგონდა ეს ამბავი, მორჩილად ჩაჰკიდა თავი და ქოხში

წაჩანჩალდა. ღამით კი, გულაღმა უგონოდ მწოლარემ, მთრთოლვარე, საცოდავი ხმით სიმღერა წამოიწყო, მერე ხმას თანდათან უკლო, უეცრად მუხლები აუკანკალდა, ალუღლუღდა, ოხვრას გულიც ამოაყოლა და, ღია ტუჩებზე დუჟმორეული, გაშეშდა...

ივანუშკას გამო კუზმა თითქმის ერთ თვეს იყო ლოგინად ჩავარდნილი. ნათლიღება დილას ამბობდნენ, გაფრენილი ჩიტი იყინება ჰაერშიო, კუზმას კი თექის ჩექმებიც არ ჰქონდა. მაინც წავიდა მიცვალებულის სანახავად. გოლიათურ მკერდს ქვემოთ ხამის პერანგზე დაწყობილი და გაშეშებული ხელები, რომლებიც მთელი ოთხმოცი წლის მძიმე ველურ შრომას დაეკოჟრა და დაესახიჩრებინა, ისეთი უხეში და საზარელი ჩანდნენ, რომ კუზმამ სწრაფად მოარიდა მზერა. ხოლო ივანუშკას თმასა და მხეცურ უსიცოცხლო პირისახეს თვალიც კი ვერ შეავლო და სწრაფად წააფარა თეთრი კოლენკორი. კუზმამ არაყი გადაჰკრა და ერთ ხანს გავარვარებულ ღუმელთან დაჯდა, ეგებ გავთბეო... ჯიხურში თბილოდა და ირგვლივ რაღაც სადღესასწაულო სისუფთავე იყო. კოლენკორწაფარებული კუბოს თავთან ოქროსფრად ციმციმებდა ფერგადასული ხატზე მიკრული თაფლის სანთელი, მოჩანდა ნაირფერი მკვეთრი საღებავებით შესრულებული საბაზრო ნახატი — იოსების გაყიდვა ძმებისაგან. გულთბილი სალდათის ცოლი სატაცით ხელმარჯვედ სწევდა და ღუმელში დგამდა ფუთიან ქვაბებს, მხიარულად ლაპარაკობდა სახაზინო შეშაზე და დიდი თხოვნითა სთხოვდა კუზმას, სოფლიდან ქმრის დაბრუნებამდე დარჩითო. მაგრამ კუზმას აციებდა, სახე უხურდა არაყისაგან, გათოშილ სხეულში საწამლავად რომ ჩაღვროდა, თვალები უმიზეზოდ ეცრემლებოდა... კუზმა არც კი გამთბარა, ისე გაემგზავრა გადათეთრებული ტალღოვანი მინდვრებით ტიხონ ილიჩისაკენ. გათოშილი, ბალანაქოჩრილი თეთრი ლაფშა მიჰქროდა, ელენთა უბუყბუყებდა და ნესტოებიდან ნაცრისფერ ორთქლს აფრქვევდა; ხისტ თოვლზე ჭრიალებდნენ მარხილიხ კაეები; ყვითლად ანათებდა დაბლა დაწეული, სუსხით მოცული მზე; პირისახეში ჩრდილოეთიდან მონაბერი სუსხიანი, სულისშემხუთველი ქარი სცემდა; სარყეები სქელი ჭირხლით

დაფარულიყვნენ. მოზრდილი ყანის ჩიტები გუნდ-გუნდად ჩაუქროლებდნენ ხოლმე ლაფშას, მბზინვარე გზაზე გაიფანტებოდნენ. გაყინულ ნაკელს აკენკავდნენ, აფრინდებოდნენ და კვლავ იფანტებოდნენ. კუზმა დამძიმებული წამწამებიდან გასცქეროდა მათ, გრძნობდა, რომ მისი ჭაღარაწვერულვაშიანი გახევებული პირისახე საშობაო ნიღაბს დამსგავსებოდა... მზე ჩადიოდა. ნარინჯისფრად მოციალე თოვლის ტალღებს სიფითრე შეჰპარვოდათ. მათი ქედებისა და ნაკბილების ჩრდილები ცისფრად ისახებოდნენ... უეცრად კუზმამ ცხენი შემოაბრუნა და უკან, შინისაკენ გააჭენა. მზე ჩავიდა, ნაცრისფერ, შეჭირხლულფანჯრებიან, ბინდით მოცულ სახლში სინათლე ბჟუტავდა, კაცის ჭაჭანება არ იყო და ციოდა. გულწითელა ჩიტი, რომელიც ბაღში გამავალ ფანჯარასთან დაკიდებულ გალიაში იყო, ცოცხალი აღარ დახვდა; მას ფეხები მაღლა აეშვირა, ბუმბული აბურძგნოდა და წითელი ჩინჩახვი გაბერეოდა.

— გათავდა! — თქვა კუზმამ და გულწითელას გადასაგდებად გავიდა.

ყინვიან თოვლში ჩაფლულმა ღურნოვკამ, რომელიც სტეპის ზამთრის ამ ნაღვლიან საღამოს ესოდენ შორეული იყო ქვეყნიერებისათვის, ძრწოლვა მოჰგვარა კუზმას. გათავდა! გახურებული თავი დამძიმებია, გონება დაბინდული აქვს, ახლა ის დაწვება და ადგომას ვეღარასოდეს შეძლებს... თოვლზე ქალამნების ჭრაჭუნით, ვედროთი ხელში, პარმაღს უახლოვდებოდა პატარძალი.

— ავად გავხდი, დუნიუშკა! — მიეალერსა კუზმა იმ იმედით, რომ მისგან ალერსიან სიტყვას გაიგონებდა.

მაგრამ პატარძალმა გულგრილად, ცივად მიუგო:

— სამოვარი ხომ არ დავდგა?

ისიც კი არ ჰკითხა, რით გახდა ავად. არც ივანუშკას ამბავი უკითხავს... კუზმა ბნელ ოთახში შემობრუნდა და, სულმთლად აკანკალებული, შეშინებული იმის ფიქრით, თუ სად უნდა წასულიყო, რომ რამე დასჭირვებოდა, დივანზე დაწვა... ერთმანეთში აირივნენ საღამოები და ღამეები, ღამეები და დღეები, და მათი სათვალავი დაეკარგა...

პირველ ღამეს, ასე სამ საათზე, გამოეღვიძა და კედელს მუშტი წაუშინა, რათა წყალი მოეთხოვა: სტანჯავდა წყურვილი და იმის ფიქრი — გადააგდეს თუ არა გულწითელა. მაგრამ ბრახუნზე ხმა არავინ გასცა. პატარძალი სამოახლოში გასულიყო დასაძინებლად. კუზმას გაახსენდა და იგრძნო, რომ ავად იყო და ვეღარ მორჩებოდა; გულზე ისეთი ნაღველი შემოაწვა, თითქოს აკლდამაში გაღვიძებოდეს. ესე იგი, წინაოთახში, სადაც თოვლის, ჩალისა და ცალუღების სუნი ტრიალებს, არავინ არის! მაშასადამე, ის, უმწეო ავადმყოფი, მარტოდმარტოა ამ ბნელ, გაყინულ სახლში, სადაც ზამთრის უსასრულო ღამეში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში მკრთალად მოჩანან ნაცრისფერი ფანჯრები და ჰკიდია გალია, რომელიც უკვე საჭირო აღარაა!

— უფალო, მიხსენ და შემიწყალე, უფალო, მომხედე, — წაიჩურჩულა მან, წამოიწია და აკანკალებული ხელებით ჯიბეების ჩხრეკა დაიწყო.

ასანთი უნდოდა გაეკრა. მაგრამ ეს იყო ჩურჩული ციებცხელებიანი კაცისა; ალმოდებულ თავში ჩაქუჩივით ურტყამდა რაღაც, ხელ-ფეხი ეყინებოდა... ჩამოვიდა კლაშა, მისი ღვიძლი, საყვარელი ქალიშვილი, უცებ შემოაღო კარი, თავქვეშ ბალიში ამოუდო, დივანის გვერდით სკამზე ჩამოჯდა... იგი ქალბატონურად იყო გამოწყობილი, — ხავერდის ქურქი ემოსა, თეთრი ბეწვის ქუდი ეხურა და თეთრი ბეწვისავე ხელთათმანები ეცვა, — ხელებზე საამო სურნელი ასდიოდა, თვალები უბრწყინავდა, ლოყები ყინვისაგან ასწითლებოდა... „ახ, რა კარგად გაირკვა ყველაფერი!“ — ჩურჩულებდა ვიღაც, ოღონდ ცუდი ის იყო, რომ კლაშამ სინათლე არ აანთო, რომ იგი მას კი არ სწვევია, არამედ ივანუშკას დაკრძალვაზე ჩამოვიდა... რომ უეცრად კლაშამ ბოხი ხმით დაამღერა გიტარაზე: „ჰაზ-ბულატო მამაცო, ღარიბული ქოხი გაქვს“...

ავადმყოფობის პირველ დღეებში, როცა ნაღველი გულს უკლავდა, კუზმას ხან გულწითელა ეზმანებოდა, ხან კლაშა, ხან ვორონეჟი, მაგრამ თვით ბოდვის დროსაც კი არ ავიწყდებოდა ვინმესთვის ეთქვა, რომ ერთ რამეში მაინც გამოეჩინათ სიბრალული — კოლოდეზიში არ დაემარხათ. მაგრამ, ოჰ,

ღმერთო ჩემო, რომელ ჭკუათმყოფს ექნება იმედი, რომ დურნოვკაში შემბრალე კაცს ნახავს! ერთხელ გონს მოვიდა; დილა იყო, ღუმელს ანთებდნენ; ყულაბასა და პატარძლის უბრალო, მიეიდი ბმა ისე ულმობლად, უცხოდ და უცნაურად ეჩვენა, როგორც ულმობლად, უცხოდ და უცნაურად ეჩვენება ხოლმე ავადმყოფს ჯანსაღი კაცის ყოველდღიური ცხოვრება. მას უნდოდა დაეძახა, ეთხოვა, სამოვარი დადგითო, მაგრამ უცებ დამუნჯდა: გაიგონა ყულაბას ბრაზიანი ჩურჩული, რომელიც ცხადია, მას, ავადმყოფს ეხებოდა, და პატარძლის ნაწყვეტ-ნაწყვეტი პასუხი:

— წავიდეს, ერთი! მოკვდება და — დამარხავენ...

მერე ფანჯრებში აკაციების გაშიშვლებული ტოტებიდან მიმწუხრის მზემ შემოანათა. ოთახში თაბბაქოს ლუოჯი კვამლი იდგა. ლოგინთან ჩამომჯდარიყო მოხუცი ფერშალი, რომელსაც წამლებისა და სუსხიანი ჰაერის სუნი შემოეტანა და ულვაშიდან ყინულის ლოლუებს იშრობდა. მაგიდაზე სამოვარი დუღდა, იქვე მდგარი ტიხონ ილიჩი, მაღალი ტანის, ჭაღარა, კუშტი კაცი, სურნელოვან ჩაის ხარშავდა. ფერშალი თავის ძროხებზე, ფქვილისა და კარაქის ფასებზე ლაპარაკობდა, ხოლო ტიხონ ილიჩი უყვებოდა, თუ რა შესანიშნავად, მდიდრულად დაასაფლავეს ნასტასია პეტროვნა, რა მოხარული იყო. რომ როგორც იქნა, დურნოვკას მყიდველი გამოუჩნდა. კუზმა ხვდებოდა, რომ ტიხონ ილიჩი ახლახან მოსულიყო ქალაქიდან. რომ ნასტასია პეტროვნა სადგურისაკენ მიმავალ გზაზე გარდაცვლილიყო უეცრად; ხვდებოდა, რომ ტიხონ ილიჩს დასაფლავება მეტად ძვირი დასჯდომოდა, რომ ვას უკვე აეღო დურნოვკის ღირებულების ნაწილი — და სრულიად გულგრილად უყურებდა ამ ამბავს...

ერთხელ ძალიან გვიან გაეღვიძა. მხოლოდ სისუსტეს გრძნობდა. სამოვარს მოუჯდა. ღრუბლიანი, თბილი დღე იყო, ბევრი ჩამოთოვა. ფანჯრის ძირას მგელკაცამ გაიარა და ქალამნებით პატარ-პატარა ჯვრებით დასერილი ნაფეხურები დატოვა. აქეთ-იქიდან ნაგაზები მოსდევდნენ და ტანისამოსის ჩამოფლეთილ კალთებს ყნოსავდნენ. იგი სადავით მიათრევდა სიბერისა და სიგამხდრისაგან დაუშნოებულ, ცალუღის ხახუ-

ნით მხრებგახეხილ, ზურგგადაღლეტილ მაღალ თაფლა ცხენს, რომელსაც გაქუცული და ჭუჭყიანი კუდი ჰქონდა. ცხენი სამ ფეხზე მიკვანჭალობდა და მუხლს ქვემოთ მოტეხილ მეოთხე ფეხს მიათრევდა. და კუზმას გაახსენდა, რომ სამი დღის წინ იყო ტიხონ ილიჩი და თქვა: მგელკაცას ვუბრძანე ბებერი ცხენი დაეკლა და ნაგაზები დაენაყრებიაო, რომ მგელკაცა ზოგჯერ წინათაც შვრებოდა ასე: მკვდარ ან უვარგის საქონელს ყიდულობდა და ატყავებდა. როგორც ტიხონ ილიჩმა თქვა, ამას წინათ მგელკაცას საშინელი რამ გადახდა თავს: როცა ერთი ფაშატის დასაკლავად ემზადებოდა, დაავიწყდა მისთვის ფეხები შეეკოჭა, მხოლოდ დრუნჩი შეუკრა და გვერდზე მოუქცია; როგორც კი მგელკაცამ პირჯვარი გამოისახა და ცხენს ლავიწის გვერდით ძარღვში წვრილი დანა გაუყარა, ფაშატი აკიხვინდა, ჩაყვითლებული კბილები დაკრიჭა და მკვლელს გამოეკიდა; შავი სისხლით რწყავდა თოვლს და დიდხანს. ადამიანივით დასდევდა მგელკაცას. დაეწეოდა კიდეც, მაგრამ, „ღვთის მადლით, თოვლი ღრმა იყო“... კუზმა ისე შეაძრწუნა ამ ამბავმა, რომ ახლა, როცა ფანჯარაში გაიხედა, მუხლები მოეკვეთა. ცხელი ჩაის ყლაპვა დაიწყო და ცოტაოდენ გამოკეთდა. თამბაქო მოსწია, ერთ ხანს იჯდა... ბოლოს წამოდგა, წინაოთახში გავიდა და ყინულჩამომდნარი ფანჯრიდან გაშიშვლებულ, გაქუცულ ბაღს შეხედა: ბაღში, თოვლის თეთრი საბნით დაფარულ მინდორზე, წითლად მოჩანდა გაძვალტყავებული, კისერწაგრძელებული და ოავგადაღლეტილი დაკლული ცხენი; ძაღლები დაკუზულიყვნენ, ხორცში თათები ჩაეჭიდათ და ხარბად სჯიჯგნიდნენ შიგანს; ორი რუხი ყვავი გვერდულად. ხტუნვა-ხტუნვით მიიწევდა თავისაკენ; როცა ძაღლები ღრენით მისცვივდებოდნენ, მაღლა აფრინდებოდნენ. შემდეგ კი კვლავ ეშვებოდნენ ძირს, სპეტაკ თოვლზე. „ივანუშკა, მგელკაცა, ყვავები... — გაიფიქრა კუზმამ.—უფალო, მიხსენ და შემიწყალე, განმაშორე ამ ადგილს!“

სიძაბუნე კარგა ხანს გაჰყვა კუზმას. ნაღველნარევი სიხარულით ავსებდა გაზაფხულზე ფიქრი, სურდა რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა დურნოვკას. ხედავდა, რომ ზამთარს ბოლო არ უჩანდა; მაგრამ თოვლი უკვე იწყებდა დნობას. თებერ-

ვლის პირველი კვირა ბნელი, ნისლიანი იყო. ნისლი ფარავდა მინდვრებს, შთანთქავდა თოვლს. სოფელი შავად მოჩანდა, ტალახიან ნამქერებს შორის წყალი იდგა; ერთხელ სოფელში უბნის ბოქაულმა ჩამოიარა, თავით ფეხამდე ჩონჩორიკში იყო ამოსვრილი. ყიოდნენ მამლები, ვენტილატორიდან გაზაფხულის ამაღელვებელი ტენიანი ჰაერი იქრებოდა... კვლავ უნდოდა ეცოცხლა—ეცოცხლა, დალოდებოდა გაზაფხულს, გადასულიყო ქალაქში საცხოვრებლად, შერიგებოდა ბედს, ხელი მოეკიდა რაიმე საქმისათვის, თუნდაც ამით მარტოოდენ ლუკმაპური ეშოვნა... ცხადია, ძმასთან სურდა ეცხოვრა, — როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის. ძმამ ხომ უკვე შესთავაზა ავადმყოფ კუზმას — ვორგოლში დავსახლდეთო.

— სად უნდა გაგიშვა, — უთხრა მან ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ. — აგერ პირველი მარტიდან დუქანსა და ეზოს გადავაბარებ ვინმეს, — ჰოდა, წავიდეთ, ძამიკო, ქალაქში, გავშორდეთ ამ ყაჩაღებს!

მართლაც რომ ყაჩაღები იყვნენ. მოვიდა უაზნო ქალი და მოჰყვა მგელკაცას ამბავს, ამას წინათ რომ გადახდა თავს. დენისკა დაბრუნდა ტულიდან, უსაქმოდ დაეხეტებოდა სოფელში და ყბედობდა, რომ ცოლის შერთვას აპირებდა, რომ ფული ჰქონდა და სულ მალე იმაზე მდიდარი კაცი არ იქნებოდა. მისი მონაჩმახი სოფლელებს ჯერ არ სწამდათ, მერე კი დენისკას გადაკრული სიტყვებით მიხვდნენ, როგორც უნდა ყოფილიყო საქმე და დაიჯერეს. მგელკაცაც დარწმუნდა და ცდილობდა შვილის გული მოეგო. მაგრამ ცხენის გატყავებაში რომ ტიხონ ილიჩისაგან მანეთიანი მიიღო და ტყავში ათი შაური მისცეს, მგელკაცა გაამაყდა და დროსტარებას მიჰყო ხელი: ორ დღეს სვამდა, ჩიბუხი დაკარგა და ღუმელზე მიეგდო. თავი სტკიოდა, თამბაქოს გასახვევი ქაღალდიც კი არ ჰქონდა. ადგა და პაპიროსისათვის დენისკას მიერ ჭერზე გაკრული გაზეთებისა და სხვადასხვა სურათების ჩამოხევა დაიწყო. ის, ცხადია, ჩუმჩუმად აკეთებდა ამ საქმეს, მაგრამ დენისკამ ერთხელ მაინც წაასწრო და აყვირდა. მგელკაცა ნაბახუსევი იყო და ისიც აყვირდა. მაშინ დენისკამ ღუმელიდან ჩამოათრია იგი და ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა. სწო-

რედ ამ დროს მეზობლებიც შემოცვივდნენ... ეს კი, მაგრამ ტიხონ ილიჩიც ყაჩაღი ხომ არ არის, სულელურად რომ დაუ-ყენია პატარძალი ერთ-ერთ ასეთ ყაჩაღზე დააქორწინოსო! — ფიქრობდა კუზმა.

როცა კუზმამ პირველად მოჰკრა ყური ამ ქორწინების ამ-ბავს, მტკიცედ გადაწყვიტა, ჩაეშალა ეს საქმე. რა საშინელე-ბაა, რა უაზრობაა! მერე, როცა ავადმყოფობისას გონს მოდი-ოდა ხოლმე, მას კიდეც ახარებდა ეს უაზრობა. მხოლოდ ის აკვირვებდა და ანცვიფრებდა, რომ მას, ავადმყოფს, ასე გულ-გრილად ექცეოდა პატარძალი. „მხეცი, ველური! — ფიქრობ-და ის და, ქორწილის ამბავს რომ იგონებდა, ბრაზით დასძენ-და: ძალიან კარგი! ახია მაგაზე!“ ახლა კი, ავადმყოფობის შემ-დეგ, სიმტკიცე და ბრაზი მთლად გაუქრა. ერთხელ მან პა-ტარძალს ტიხონ ილიჩის განზრახვაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ქალმა მშვიდად უპასუხა:

— რა გაეწყობა, მე და ტიხონ ილიჩმა უკვე ვისაუბრეთ ამ საქმეზე. ღმერთმა კარგად ამყოფოს, კარგი იმას მოუფიქ-რებია.

— კარგი? — გაოცდა კუზმა.

პატარძალმა შეხედა და თავი გააქნია:

— ვითომ რით არის ცუდი? უცნაური ხართ, ღმერთმანი, კუზმა ილიჩ! ფულს მპირდება, ქორწილის ხარჯებს თვითონ კისრულობს... ვინმე ქვრივს როდი მირიგებს. სულ ახალგაზრ-და კაცს უნდა გამატანოს, უმწიკვლოს!.. გახრწნილს და ლოთს კი არა...

— არამედ უქნარას, მოჩხუბარს, ყეყეჩს, — დაუმატა კუზმამ.

პატარძალმა თვალები დახარა, ერთ ხანს დუმდა, მერე ამოიოხრა, შებრუნდა და კარისკენ გაემართა.

— როგორც გინდათ, — უთხრა აკანკალებული ხმით, — თქვენი ნებაა... გადაათქმევინეთ სიტყვა... როგორც გენებოთ.

კუზმამ თვალები დაჭყიტა და შეჰყვირა:

— მოიცა, ჭკუაზე შეშლილხარ! განა მე შენთვის ცუდი მსურს?

პატარძალი მოტრიალდა და გაჩერდა.

— განა ცუდი არა გსურთ? — გაცხარებით და უკმეხად უთხრა მან, წამოწითლდა და თვალები შეანათა. — როგორ ფიქრობთ, სად უნდა წავიდე? მთელი ჩემი სიცოცხლე სხვის კარზე ვეგდო? სხვისი მონარჩენი პური ვღრღნა? კარდაკარ ვიწანწალო? თუ ქვრივი ბერიკაცი ვეძებო? მეყო ამდენი ცრემლის ყლაპვა!

და ხმა ჩაუწყდა. ატირდა და ოთახიდან გავიდა. საღამოს კუზმამ დაარწმუნა ის, რომ ფიქრადაც არ მოსვლია ამ საქმის ჩაშლა; პატარძალმა, როგორც იქნა, დაიჯერა და ალერსიანად და მორცხვად გაუღიმა.

— მაშ, გმადლობთ, — უთხრა მან ისეთივე ტკბილი ხმით, როგორითაც ელაპარაკებოდა ივანუშკას.

მაგრამ ახლაც აუციმციმდა თვალებზე ცრემლი და კუზმამ კვლავ გაასავსავა ხელები

— რაღა გატირებს? — შეეკითხა ის.

და პატარძალმა წყნარად უპასუხა:

— ვინ იცის, იქნებ დენისკასთანაც ვერ გავიხარო...

ყულაბამ ფოსტიდან თითქმის თვენახევრის გაზეთები მოიტანა. ბნელი, ნისლიანი დღეები იდგა. ფანჯარასთან მჯდარი კუზმა დილიდან საღამომდე კითხულობდა. კითხვა დაამთავრა და, ახალი „ტერორისტული აქტებითა“ და სიკვდილით დასჯით შეშფოთებული, გახევდა. თეთრი ხორხოშელა ალმაცერად ეცემოდა შავად გამომზირალ ღატაკ სოფელს, ატალახებულ ოღროჩოღრო გზებს, ცხენის სკორეს, ყინულსა და წყალს; მწუხრის ნისლში ინთქმებოდნენ მინდვრები...

— ავდოტია! — დაიძახა კუზმამ და ზეზე წამოდგა. — ყულაბას უთხარი ცხენი მარხილში შეაბას!

ტიხონ ილიჩი შინ იყო. ეს შავგვრემანი, თეთრწვერა, წარბშეკმუხნილი, დიდი და ღონიერი კაცი ჩითის პერანგის ამარა უჯდა სამოვარს და ჩაის აყენებდა.

— ა! ძამიკო! — ალერსიანად შესძახა მან, ისე რომ წარბი არ გაუხსნია. — დაუბრუნდი ამ ქვეყანას? ფრთხილად, ადრე ხომ არ არის?

— ძალიან მომეწყინა, ძმავ, — მიუგო კუზმამ და ერთმანეთი გადაკოცნეს.

— ჰოდა, რახან მოგეწყინა, მოდი ერთი გავთბეთ და ვისაუბროთ...

გამოკითხეს ერთმანეთს ამბავი, დუმილით დალიეს ჩაი: შემდეგ კი გააბოლეს.

— ძალიან გამხდარხარ, ძამიკო! — უთხრა ტიხონ ილიჩმა. პაპიროსი მოქაჩა და წარბებს ქვემოდან გახედა კუზმას.

— გახდები, აბა რა მოგივა! — წყნარად უპასუხა კუზმამ. — გაზეთებს არ კითხულობ?

ტიხონ ილიჩმა ჩაიცინა.

— ჭორებს? არა, დამიფაროს ღმერთმა!

— რომ იცოდე, რამდენი დაუსჯიათ სიკვდილით!

— სიკვდილით დაუსჯიათ? ახია მაგათზე... შენ არ გაგიგია ელცის მახლობლად რა მოხდა? ძმების, ბიკოვების, ხუტორში?... ხომ გახსოვს, რა აყალმაყალი იყო?... ისხდნენ ეს ბიკოვები, როგორც ჩვენ ვზივართ, საღამო ხანს, და შაშს თამაშობდნენ... უცებ, — რა არის? პარმაღზე გაისმა ბაკუნი და ყვირილი: „გააღეთ!“ ჰოდა, ჩემო ძმაო, ამ ბიკოვებმა თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრეს, რომ შემოვარდა მათი მოჯამაგირე, მგელკაცას მაგვარი გლეხუჯა, და მას შემოჰყვა ორი თავზეხელაღებული კაცი, ნაციხარი, რა, მოკლედ რომ ვთქვა... სუყველას ძალაყინები ეჭირათ ხელში. მოუღერეს ძალაყინები და დაუყვირეს: „ხელები მაღლა, თქვენი...“ ბიკოვებს ხომ შიშისაგან სული კინაღამ გასძვრათ, წამოხტნენ და აყვირდნენ: „რა მოხდა?“ გლეხუჯა კი თავისას გაიძახის: ხელები მაღლა და ხელები მაღლაო!

და ტიხონ ილიჩს სახე მოეღუშა, გაეღიმა და ჩაფიქრდა.

— დაამთავრე, რაღა, — უთხრა კუზმამ.

— დასამთავრებელი არაფერია... რა თქმა უნდა, ხელები აწიეს და ჰკითხეს: „რა გინდათ?“ — „ლორი მოგვეცი! გასაღები სადა გაქვს?“ — „ძაღლის შვილო! ნუთუ არ იცი? ემანდ წირთხლზე ჰკიდია, ლურსმანზე...“

— ხელებაწეულმა უთხრა ეგა? — ციტყვა გააწყვეტინა კუზმამ.

— ხელებაწეულმა, მაშ... მაგათ აჩვენებენ ეხლა, ხელების

აწევინება როგორ უნდა! ცხადია, ჩამოახრჩობენ. ისინი უკვე ციხეში არიან, მშვიდობის მაძიებლები...

— ლორისათვის ჩამოახრჩობენ?

— არა, დოლისათვის, ღმერთო შეგცოდე, — ბრაზნარევი ხუმრობით მიუგო ტიხონ ილიჩმა, — გეყო, მე და ჩემმა ღმერთმა, ჯიუტობა, ბალაშკინად ნუ მოგაქვს თავი! დროა დაეხსნ...

კუზმამ ჭაღარა წვერზე მოისვა ხელი. მისი ტანჯული გამხდარი სახე, ნაღვლიანი თვალები, ირიბად აწეული მარცხენა წარბი სარკეში ჩანდნენ; კუზმამ შეხედა თავის თავს და წყნარად დაეთანხმა:

— ჯიუტობას? მართლაც რომ დროა... კარგა ხანია დროა...

და ტიხონ ილიჩმა საქმეზე გადაიტანა საუბარი. ეტყობა, წელან, ამბის მოყოლისას, მხოლოდ იმიტომ ჩაფიქრდა, რომ სიკვდილით დასჯაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რაღაც გაახსენდა.

— აი მე უკვე ვუთხარი დენისკას, რომ რაც შეიძლება ჩქარა მორჩეს ამ ამბავს, — მტკიცედ, დაბეჯითებით და მკაცრად თქვა მან და ჩაიღანში ჩაი ჩაყარა. — გთხოვ, ჩემო ძამიკო, შენც ჩაერიო ამ ამბავში. მე, გესმის, მეუხერხულება. მერე კი აქ გადმოდი. ბატონკაცურად ვიცხოვრებთ! რახან ყველაფრის დანგრევა გადაწყვიტეთ, იქ ტყუილუბრალოდ ჯდომა აბა რას გარგებს, ორმაგი ხარჯია და მეტი არაფერი. გადმოდი, საქმეში ერთად ჩავებათ. ზურგიდან მძიმე ტვირთს გადავიგდებთ, ღვთის მადლით, ქალაქამდე როგორმე მივაღწევთ და მარცვლეულის ჩაბარებას მივყოფთ ხელს. ამ ხევში ვერ გაიხარებს კაცი. ფეხებიდან ჩამოვიბერტყოთ მისი მიწა და თუნდ ეშმაკნიც დაჰპატრონებიან ჩვენს შემდგომ. აქ ხომ არ დავიღუპებით! მხედველობაში იქონიე, რომ ჩემგან შორს ვერ წახვალ, — უთხრა მან, წარბები შეხარა, ხელები გაიწვდინა და დამუშტა. — ჩემთვის ღუმელზე წოლა ჯერ კიდევ ადრეა! ეშმაკს რქებს მოვატეხ!

კუზმა უსმენდა და თითქმის შიშით უყურებდა მის გაშტერებულ, შეშლილ თვალებს, მოღრეცილ ტუჩებს, რომლებითაც ველურის მსგავსად მარცვლავდა სიტყვებს, — უსმენდა და დუმდა. მერე ჰკითხა:

— ძმაო, მითხარი, ღვთის გულისათვის, რას გამოელი ამ ქორწილიდან? არ მესმის, ღმერთია მოწამე, არ მესმის. შენი დენისკა ხომ თვალის დასანახავადაც კი მეჯავრება. ეს ახალი ტიპი, ახალი რუსეთი, ყველა დახარჩენს უკან ჩამოიტოვებს. იმას ნუ უყურებ, რომ მორიდებული, სენტიმენტალურია და თავი სულელად მოაქვს, — ი'ეთი უტიფარი პირუტყვია! ჩემზე ჰყვება, თითქოს პატარძალთან ვცხოვრობდე...

— მეტისმეტი იცი ხოლმე, მეტისმეტი, — სიტყვა გააწყვეტინა სახემოღუშულმა ტიხონ ილიჩმა. — შენ თვითონ გაიძახი: უბედური ხალხი, უბედური ხალხი! ახლა კი პირუტყვად გამოგყავს!

— დიახ, გავიძახი და კვლავაც ვიტყვი! — გაცხარებით მიუგო კუზმამ. — მაგრამ ჭკუაზე აღარ ვარ კაცი! არაფერი აღარ მეამის: არ ვიცი, უბედურია თუ... ყური მიგდე: შეი ბომ გძულს დენისკა! ორივეს გძულთ ერთნანეთი! ის შენზე სხვას არაფერს ამბობს, თუ არა იმას, რომ ყაჩაღია და ხალხს ქეჩოზე წამოაჯდაო. შენ კიდევ მას ლანძღავ, ყაჩაღს ეძახი! ის ახლა თავზედურად ტრაბახობს, ჩემსე დიდი კაცი არავინაა...

— ვიცი, ვიცი! — კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა ტიხონ ილიჩმა.

— პატარძალზე კი იცი რას ამბობს? — განაგრძო კუზმამ, ისე რომ ყურიც არ უთხოვებია, — პატარძალს, გეაზმის, ნაზი, თეთრი სახე აქვს, ხოლო ის ჰირუტყვი იცი რას ამბობს? სულ შორენკეციკვით არ ქათქათებს ეს ოხერიო! ბოლოს და ბოლოს, შეისმინე: დენისკა სოფლად არ იცხოვრებს, იმ მაწანწალას, რომ დაბა, მაინც ვერ გააჩერებ სოფელში. აბა რა მეურნეა, რა მეოჯახე კაცია? გუშინ მოდიოდა გზაზე და უხამსი ხმით მღეროდა: „ძმაშვენიერი ხარ, ვით ანდელოსი, და ვით დემანი ცბიერი, ავი...“

— ვიცი! — წამოიძახა ტიხონ ილიჩმა. — არ იცხოვრებს სოფლად. არაფრით არ იცხოვრებს! მაგრამ მეურნე არ არისო, რომ ამბობ, მე და შენ ხომ კარგი მეურნეები ვართ! მახ! ოვს, ერთხელ საქმეზე გელაპარაკებოდი, სახამროში, — აბა მოიგონე? — შენ კი მწყარის ქვითქვითს უგდებდი ყურს... მერე, მერე?

— რა მერე? ან მწყერი რაზე ახსენე? — ჰკითხა კუზმამ.

ტიხონ ილიჩმა თითები მაგიდაზე დააკაკუნა და მკაცრად, დამარცვლით უთხრა:

— მხედველობაში იქონიე: წყალი რომ დანაყო, მაინც წყალი იქნება. ჩემი სიტყვა სიტყვაა. რახან ვთქვი — გავაკეთებ. ჩემი ცოდვის მოსანანიებლად სანთელს კი არ დავანთებ, არამედ კეთილ საქმეს მოვიმოქმედებ. შეიძლება სულ მცირედი მოწყალება გავიღო, მაგრამ ღმერთი იმ მცირედსაც დამიმახსოვრებს.

კუზმა ზეზე წამოხტა.

— ღმერთი, ღმერთი! — გამყივანი ხმით შესძახა მან. — სად არის ღმერთი! რა ღმერთი უნდა ჰყავდეს დენისკას, აკიმკას, მენშოვს, მგელკაცას, შენ, მე?

— მოიცა, — მკაცრად უთხრა ტიხონ ილიჩმა. — რომელ აკიმკაზე ამბობ?

— მე რომ ვიწექი და სულს ვღაფავდი, — განაგრძო კუზმამ, ისე რომ ყურიც არ უთხოვებია, — განა მასზე ბევრსა ვფიქრობდი? მხოლოდ ერთსა ვფიქრობდი: მისი არაფერი ვიცი და არც ფიქრი შემიძლია! — შესძახა კუზმამ. — უსწავლელი ვარ!

ტანჯვით აღსავსე თვალები მიმოავლო ოთახს, გაიარ-გამოიარა, პიჯაკის ღილი გაიხსნა, ისევ შეიკრა და ბოლოს ტიხონ ილიჩს პირდაპირ შედგა.

— გახსოვდეს, ძმაე. — უთხრა მან და ღაწვები შეეფაკლა. — გახსოვდეს: ჩვენ ჩვენი დრო უკვე მოვჭამეთ და ვერავითარი სანთლები ვეღარ გვიხსნიან. გესმის?

აღელვებულმა, სიტყვები ვეღარ გამოძებნა და გაჩუმდა. მაგრამ ტიხონ ილიჩს ახლა სხვა აზრი უტრიალებდა თავში და უცებ დაეთანხმა:

— მართალია. არაფერში არ უქნია ღმერთს დურნოვკის ხალხი! აბა იფიქრე...

და, ახალი ფიქრით გატაცებული, გამოცოცხლდა:

— აბა იფიქრე: მთელი ათასი წელია ხნავენ; რომელი ათასი! მეტიც! მაგრამ რიგიანი ხვნა არც ერთმა არ იცის! ერთადერთ საქმეს ადგანან და ისიც არ იციან, როგორ გააკეთონ! არ იციან, როდის გავიდნენ მინდვრად სამუშაოდ! როდის და-

ბესონ, როდის მომკან! „რაც სხვაა, ჩვენც ისა ვართ“, — სულ ამას გაიძახიან, გაიგე? მკაცრად შეჰყვირა მან და წარბები შეხარა, — როგორც ოდესღაც კუზმა უყვიროდა. — „რაც სხვაა, ჩვენც ისა ვართ!“ პურის გამოცხობა არც ერთმა დედაკაცმა არ იცის. პურს ზედა ქერქი მუდამ სძვრება, ქერქქვეშ კი მჟავე წყალი რჩება!

კუზმა გაოგნდა.

— „ჭკუაზე შეცდა!“ — გაიფიქრა მან და უაზროდ გაადევნა თვალი ძმას, რომელიც ლამპას ანთებდა.

ტიხონ ილიჩმა კი გონს მოსვლა არ აცალა და განაგრძო:

— ხალხი! ავყიები, ზარმაცები, მატყუარები, თანაც ისეთი ურცხვნი, რომ ორ კაცსაც ვერ ნახავ, ერთმანეთს ენდობოდეს! გესმის, — შეჰყვირა და არც კი დაუნახავს, რომ ანთებული პატრუქი ფირფილებდა და ბოლი თითქმის ჭერამდე აღწევდა, — ჩვენ კი არა, ერთმანეთსაც არ ენდობიან! ყველა ასეთია, ყველა! — დაიყვირა ტირილნარევი ხმით და ტკაცანით დაახურა შუშა ლამპას.

არემარეს სილურჯე შეეპარა. ტბორები და ნამქერები სპეტაკი ფიფქებით იფარებოდნენ. კუზმა ფანჯარაში იყურებოდა და დუმდა. საუბარი ისე მოულოდნელად შეიცვალა, რომ კუზმას სიფიცხემაც კი გაუარა. არ იცოდა, რა ეთქვა, ვერ ბედავდა ძმისთვის შმაგ თვალებში შეეხედა, და მან თამბაქოს გახვევა დაიწყო.

„ჭკუაზე შეცდა, — ფიქრობდა იმედდაკარგული. — ჯანდაბამდე გზა ჰქონია, არ დავეძებ!“

ტიხონ ილიჩმაც გააბოლა პაპიროსი და დამშვიდდა. დაჯდა, ლამპის ალს დაუწყო ყურება და აბუზღუნდა:

— შენ კი დენისკაო — გაიძახი... გაიგე, მაწანწალა მაკარ ივანოვიჩს რა უქნია? თავის ამფსონთან ერთად გზაში ვილაც დედაკაცი დაუჭერია, კლუჩის საყარაულო ჯიხურში შეუთრევიათ და ოთხ დღეს მიდიოდნენ თურმე... რიგრიგობით... ახლა კი ციხეში ზის...

— ტიხონ ილიჩ, — ალერსიანად უთხრა კუზმამ, — რაებს ბოშავ? რად გინდა ეგეები? მგონი შეუძლოდა ხარ. ჯერ

ერთს ამბობ, მერე მეორე რამეზე გადახტები, ერთ წუთში ერთს ამტკიცებ, მეორე წუთში — მეორეს... ბევრს ხომ არა სვამ ხოლმე?

ტიხონ ილიჩი გაჩუმდა. მხოლოდ ხელი ჩაიქნია და სინათლისაკენ მიპყრობილ თვალებში ცრემლები აუკიაფდა.

— სვამ? — წყნარად გაუმეორა კუზმამ...

— ვსვამ, — წყნარადვე უპასუხა ტიხონ ილიჩმა. — დავლევ, მა რა იქნება! ხომ არ გგონია იოლი იყო ჩემთვის იმ დასაბმელ ქოფაკთან მთელი სიცოცხლის გატარება, თანაც ბებერთან? მე არავინ მებრალებოდა, ძამიკო... მაინცდამაინც არც მე ვებრალებოდი ვინმეს! შენ გგონია მე არ ვიცი როგორ ვეზიზღები ხალხს? შენ გგონია ძიწასთან არ გამასწორებდნენ, რომ როგორც საჭიროა, ისე ეგრძნოთ საბარკული, რომ მათ რევოლუციაში ბედი სწყალობდეთ? ცოტა ხანს მოიცა, ნახე რა მოხდეს! ჩვენ მათ სისხლი გავუშრეთ!

— ლორისათვის უნდა ჩამოახრჩონ?

— ჩამოახრჩონ კი არა! — განაწამები სახით მიუგო ტიხონ ილიჩმა. — ენაზე მომადგა და მეცა ვთქვი...

— კი მაგრამ, ხომ ჩამოახრჩობენ!

— ეგ უკვე ჩვენი საქმე არ არის. მათ ღვთის წინაშე უნდა აგონ პასუხი.

წარბები შეყარა, ჩაფიქრდა და თვალი დახუჭა.

— ახ! — მშმუნვარედ თქვა მან და ღრმად ამოიოხრა. — ახ, ჩემო საყვარელო ძმაო! ჩვენ მალე, სულ მალე წარვდგებით ღვთის სამსჯავროს წინაშე! საღამოობით ვკითხულობ კურთხევანს, ცრემლსა ვღვრი და ვქვითინებ. მიკვირს და გამკვირვებია: ვის შეეძლო მოეგონებინა ასეთი ტკბილი სიტყვები! მოიცა, მოიცა...

და ის სწრაფად წამოდგა, სარკის უკანა მხრიდან სქელი, მაგარ ყდაში ჩასმული სასულიერო წიგნი გადმოიღო, ხელის კანკალით გაიკეთა სათვალე და ცრემლნარევი ხმით, თითქოს ეშინია არ შემაწყვეტინონო, დაიწყო კითხვა:

— ვჰგოდებ და ვიგლოვ მე, რაჟამს გულის-ხმა-ვჰყო სიკუდილი, და ვიხილო საფლავსა შინა მდებარე შუენიერე-

ბაჟ ჩუენი, ხატად ღუთისა დაბადებული, შეურაცხად, უპატიოდ და უსახუროდ...

— ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე წარმავალი, და ცხოვრება ესე უმედგრეს აჩრდილისა და სიზმარისა, რამეთუ ცუდად ჰშფოთებს ყოველი მიწით-შობილი, ვითარცა ჰსთქუა წიგნმან: რამეთუ ოდეს ყოველი სოფელი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკჳდროთ, სადა იგი ყოველნი ერთბაშად დაემკჳდრებიან, მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლახაკნი...

— მდიდარნი და გლახაკნი! — სევდიანი აღტაცებით გაიმეორა ტიხონ ილიჩმა და თავი გააქნია. — ფუჭად ჩამიარა ცხოვრებამ, ძამიკო! ერთი მუნჯი მზარეული მყავდა, გესმის, იმ სულელს ერთი უცხოური თავშალი ვაჩუქე, მ ა ს კ ი ს უ ლ უ კ უ ღ მ ა ე ხ უ რ ა თ ა ვ ზ ე დ ა ი ს ე გ ა ც ვ ი თ ა... გესმის? უჭკუობისა და სიხარბის გამო. სამუშაო დღეებში წაღმა სატარებლად მენანებაო, — დღესასწაულს დავუცდიო, — ხოლო დღესასწაული რომ დადგა, თავშლისაგან ნაფლეთებიღა შერჩა... მ ე ც ა ს ე შ ე მ რ ჩ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა ხ ე ლ შ ი. ჭეშმარიტად ასე!

დურნოვკისაკენ მიმავალი კუზმა მარტოოდენ ერთ რამეს გრძნობდა — ყრუ გულისტკივილს. ამ გულისტკივილში, ამ ნაღველში გაატარა მან უკანასკნელი დღეები დურნოვკაში.

ამ დღეებში ზოდიოდა და მოდიოდა თოვლი. მგელკაცას სახლშიც სწორედ თოვლსღა ელოდნენ, რათა ქორწილისათვის გზა გამოკეთებულიყო.

თორმეტ თებერვალს, საღამო ხანს, ცივი შემოსასვლელია ბინდბუნდში ხმადაბლა საუბრობდნენ. ღუმელთან იდგა პატარძალი; შავკოპლებიანი ყვითელი თავშალი ეხურა და ქალამნებზე იცქირებოდა. კარებთან მოკლეფეხება დენისკა იდგა, უქუდოდ, მძიმე, მხრებჩამოვარდნილი ტყაპუჭით. მასაც თავი ჩაექინდრა და ხელში ნალებიან, მაღალყელიან ფეხსაცმელს ატრიალებდა. ფეხსაცმელი პატარძლისა იყო, დენისკას შეეკეთებინა და გასამრჯელოდ შაურს მოითხოვდა.

— მე არა მაქვს, — ეუბნებოდა პატარძალი. — კუზმა ილიჩს კი ალბათ სძინავს. ხვალამდე მოიცადე.

— მე მოცდა არ შემიძლია, — წაიდუდუნა ფიქრში წასულმა დენისკამ; თან ფრჩხილით ნალს კირტნიდა.

— მაშ რა ვქნა?

დენისკა დაფიქრდა, ამოიოხრა, სქელთმიანი თავი გააკანტურა და მაღლა ასწია.

— ტყუილუბრალოდ რას ვლაქლაქობთ, — გამბედაობა მოიკრიბა და ხმამაღლა, მტკიცედ თქვა მან, ისე რომ პატარძლისათვის არ შეუხედავს. — გელაპარაკა ტიხონ ილიჩი?

— მელაპარაკა, — უპასუხა პატარძალმა. — თავიც კი მოვაბეზრა.

— მაშ წავალ და მამაჩემს მოვიყვან. სულ ერთია, კუზმა ილიჩი მაინც უნდა ადგეს ჩაის დასალევად...

პატარძალი დაფიქრდა.

— შენი ნებაა...

დენისკამ ფეხსაცმელი რაფაზე დადო და ფული აღარ უხსენებია, ისე წავიდა. ხოლო ნახევარი საათის შემდეგ კართან თოვლიანი ქალამნების ბერტყვის ხმა გაისმა: დენისკა დაბრუნდა და მამამისი მოიყვანა. მგელკაცას ხიფთანზე რატომღაც წითელი ქამარი ერტყა. კუზმამ გამოაკითხა მათ. დენისკა და მგელკაცა დიდხანს იწერდნენ პირჯვარს ბნელ კუთხეში, მერე თაეები გააქნიეს და მაღლა ასწიეს.

— მძახალი ხარ თუ რაცა ხარ, კეთილი კაცი კი ხარ! — ლინჯად, თამამად და საქმიანად დაიწყო მგელკაცამ. — შენ შვილად მიჩნეული ქალი უნდა გაათხოვო, მე კი ვაჟი უნდა დავაქორწინო. ჩვენც რომ კეთილად შეეთანხმდეთ და ესენიც ბედნიერნი იყვნენ, მოდი ერთმანეთში მოვილაპარაკოთ.

და თავაზიანად, მდაბლად დაუკრა თავი.

კუზმამ უსიამოდ ღიმილი შეიკავა და ბრძანა პატარძლისათვის დაეძახნათ.

— გაიქეცი, მოძებნე, — თითქოს ეკლესიაშიაო, ჩურჩულით უბრძანა მგელკაცამ დენისკას.

— მე აქა ვარ, — თქვა კარსუკან მდგარმა პატარძალმა, ღუმელს მოშორდა და მგელკაცას მიესალმა.

ჩამოვარდა დუმილი. იატაკზე მდგარი მოთუხთუხე სამოვრის ცხაური სიბნელეში წითლად ღვიოდა. სახეები არ ჩანდა.

— აბა, შვილო, რას აპირებ, გადაწყვიტე, — ღიმილით უთხრა კუზმამ.

პატარძალი დაფიქრდა.

— ბიჭზე აუკი არ მეთქვის...

— შენ რას იტყვი, დენის?

ერთხანს დენისკაც დუმდა.

— რა უნდა ვთქვა, როდისმე ხომ უნდა ვითხოვო ქალი... ღმერთია მოწყალე, რა ვიცი.

და მძახლებმა მიულოცეს ერთმანეთს საქმის დაწყება. სამოვარი სამოახლოში გაიტანეს. უაზნო ქალმა, რომელსაც ყველაზე ადრე შეეტყო ახალი ამბავი და კონცხიდან აქეთ გამოქცეულიყო, სამოახლოში ლამპა აანთო, ყულაბა არაყისა და მზესუმზირას მოსატანად გაგზავნა, საცოლო და საქმრო ხატის წინ დასვა, ჩაი დაუსხა, თვითონ მგელკაცას მოუჯდა და, რათა უხერხულობა დაერღვია, გამყივანი ხმით წამოიწყო სიმღერა; თან დენისკას მიწისფერ პირისახესა და გრძელ წამწამებს გადახედავდა ხოლმე:

მახსოეს, ერთხელ ჩვენს ბაღში,
ზურმუხტისფერ ვენახში,
სეირნობდა ვაჟკაცი —
კოხტა, თვალის წარმტაცი...

მეორე დღეს სუყველა, ვისაც მგელკაცა ამ ქეიფის ამბავს უყვებოდა, სიცილით ურჩევდა: „რაღაცით მაინც უნდა შეუწყო ხელი ახალგაზრდებს!“ ყულაბამაც ასე უთხრა: ჯველები ახალ ცხოვრებას დაადგნენ და შენც საქმეში უნდა შეეშველოო. მგელკაცა ხმაამოღებლივ წავიდა სახლში და პატარძალს, რომელიც წინაოთახში აუთოებდა, ორი თუჯია და ერთი გორგალი შავი ძაფი მოუტანა.

— აჰა, ჩემო რძალო, — დარცხვენით უთხრა მან, — დედამთილმა გამოგიგზავნა. ეგებ რამეში გამოგადგეს... რა ვქნა, არაფერი არ გვაბადია, მქონდეს რამე, ტყავში გავძვრებოდი და მოგცემდი...

პატარძალმა თავი დაუკრა და მადლობა შესწირა. ინ

აუთოებდა ფარდას, რომელიც ტიხონ ილიჩმა „ლეჩაქის სანაცვლოდ“ გამოუგზავნა; თვალები დანამვოდა და დასწითლებოდა. მგელკაცას უნდოდა ენუგეშებინა, ეთქვა, არც მე ვარ „დალხინებულიო“, მაგრამ ენა აღარ მოუტრიალდა, ამოიოხრა, თუჯიები რაფაზე დადო და გავიდა.

— ძაფი თუჯიაში ჩავდე, — წაიდუდუნა მან.

— გმადლობთ, ბატონო, — კიდევ ერთხელ უთხრა პატარძალმა ისე ალერსიანად და გულთბილად, როგორც მხოლოდ ივანუშკას ელაპარაკებოდა, მაგრამ მგელკაცა გავიდა თუ არა, სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა და წაიმღერა: „მახსოვს ერთხელ ჩვენს ბაღში“...

კუზმამ ზალის კარებიდან თავი გამოყო და პენსნეს ქვემოდან გახედა. ქალი გაჩუმდა.

— ყური მიგდე, — უთხრა კუზმამ. — ხომ არ დავანებოთ თავი ამ ამბავს?

— ახლა გვიანია, — ხმადაბლა მიუგო მან. — სირცხვილს მაინც ვერ წავუვალთ... განა ყველამ არ იცის, ვისი ფულით უნდა ვიქეიფოთ? ხარჯიც თითქმის უკვე გაწეულია...

კუზმამ მხრები აიჩეჩა. მართლაც, ტიხონ ილიჩმა ფარდასთან ერთად ოცდახუთი მანეთი, ერთი ტომარა საუკეთესო თეთრი ფქვილი, ბურღული და ერთი მშვენ ღორი გამოგზავნა... მაგრამ ამ დაკლულ ღორს ხომ არ უნდა გადაჰყვნენ თან!

— ოხ, — თქვა კუზმამ. — დამტანჯეთ და ეგ არი! „სირცხვილი, ხარჯი“... განა ღორი უფრო ძვირია შენზე?

— ძვირია თუ იაფი, — მკვდარს სასაფლაოდან აღარ აბრუნებენ, — უბრალოდ და მტკიცედ უპასუხა პატარძალმა, ამოიოხრა და გაუთოებული, თბილი ფარდა ფაქიზად დაკეცა. — ხომ არ ისადილებთ?

პატარძალს სახე დაუმშვიდდა. „რაც არი, არი, — ამასთან მაინც ვერაფერს გახდება კაცი!“ — გაიფიქრა კუზმამ და უთხრა:

— როგორც გინდა, როგორც გინდა...

ნასადილევს პაპიროსს აბოლებდა და ფანჯარაში იყურებოდა. ღამდებოდა. კუზმამ იცოდა, რომ სამოახლოში უკვე გამოეცხოთ ქვავის კვერი. მოსახარშად ამზადებდნენ ორ ქვაბ

საქონლის თავ-ფეხს, ერთ ქვაბ ვერმიშელს, ერთ ქვაბ წვნიან შეჭამანდს, ერთ ქვაბ ფაფას — სუყველას ხორცით. და მგელკაცა ბეღელსა და ფარდულს შუა აღძართულ თოვლის ბორცვზე ფუსფუსებდა. ბორცვზე მოლურჯო ბინდბუნდში, მარჯნისფრად აალებულიყო ჩალა, რომელიც დაკლულ ღორზე დაეყარათ. ალს ირგვლივ შემოსხდომოდნენ და საკბილოს ელოდებოდნენ ნაგაზები, რომლებსაც თეთრი დრუნჩები და მოვარდისფრო აბრეშუმის მსგავსი გულები ჰქონდათ. მგელკაცა თოვლში ეფლობოდა, დარბოდა, ცეცხლს ასწორებდა, ნაგაზებს ჯოხს უღერებდა. ზუბუნის კალთები გაეშალა, აეწია და ქამარში ჩაეტანიებინა, ხოლო მარჯვენა ხელით, რომელშიც პრილა დანა ეჭირა, წამდაუწუმ მოიგდებდა ხოლმე ქუდს კეფაზე. მგელკაცას აქეთ-იქიდან სწრაფად ეცემოდა კაშკაშა ალი, და ის თოვლზე დიდ მოცეკვავე ჩრდილს ტოვებდა, — ჩრდილს წარმართისას. შემდეგ ბეღლის გვერდით, სოფლის ბილიკზე, უაზნო ქალმა გაირბინა და თოვლის ბორცვს მიეფარა, — მომღერალი ქალებისთვის უნდა დაეძახა და თან შინაბერასათვის ეთხოვა ნაძვის ხე, რომელიც სარდაფში იყო შენახული და საქორწილო ნადიმზე გამართავდნენ ხოლმე. ხოლო როცა კუზმამ თმა დაივარცხნა, ნიდაყვებდაგლეჯილი პიჯაკის ნაცვლად მამაპაპური გრძელკალთიანი სერთუკი ჩაიცვა, გამოეწყო და ფანტელებით გადათეთრებულ პარმაღზე გამოვიდა, სამოახლოში, ოდნავ განათებულ ფანჯრებთან, შავად ეოჩანდნენ ოთახში შეეუჩული ქალიშვილები, ჭაბუკები და ბიჭუნები, იყო ერთი ყაყანი, მითქმა-მოთქმა, უკრავდნენ ერთბაშად სამ გარმონზე და თანაც სხვადასხვა რამეებს. წელში მოხრილი კუზმა თითების ფშვნეტითა და ტკაცატკუცით ბრბომდე მივიდა, ძლივძლივობით გაძვრა ხალხში, თავი დახარა და ჩაბნელებულ დერეფანში შეაბიჯა. დერეფანშიც ვერ ეტეოდა ხალხი. ბიჭუნები ფეხებში ებლანდებოდნენ დიდებს, მათ ქეჩოში ჩაავლებდნენ ხოლმე ხელს და გარეთ აგდებდნენ, მაგრამ შემდეგ მაინც მოძვრებოდნენ...

— გამატარეთ, თუ ღმერთი გწამთ! — თქვა კარებთან ეომწყვდეულმა კუზმამ.

კიდევ უფრო შეავიწროვეს — და ვიღაცამ ღონივრად გამოსწია კარი. ორთქლში გახვეულმა, ზღურბლს გადააბიჯა და წირთხლთან გაჩერდა. აქ უფრო სუფთა ხალხს მოეყარა თავი: ფერადთავშლიან ქალიშვილებს, ახალთახალ ტანისამოსში გამოწყობილ ჭაბუკებს. ირგვლივ ფართლეულის, ქურქების, ნავთის, წეკოსა და წიწვის სუნი ტრიალებდა. მაგიდაზე იდგა ყუმაშის ნაჭრებით მორთული პატარა ძწვანე ხე, რომელსაც ტოტები თუნუქის მბჟუტავი ლამპისკენ ჰქონდა დახრილი. მაგიდის გარშემო, სველ, ყინულჩამომდნარ ფანჯრებს ქვეშ, ჩაშავებულ, ნესტიან კედლებთან ისხდნენ მორთულ-მოკაზმული მომღერალი ქალები, რომელთაც პირისახე ფერუმარილით მოეთხუპნათ, თვალები უბრწყინავდათ, თავზე აბრეშუმისა და შალის თავშლები ეხურათ და თმაში, საფეთქლებთან, იხვის კუდის ფერადი ნაკრტენები გაერჭოთ. სწორედ მაშინ, როცა კუზმა შემოვიდა, შინაბერამ, კოქლმა ქალიშვილმა, რომელსაც შავგვრემანი, ბოროტი და ჭკვიანი პირისახე, შავი გამჭოლავი თვალები და გაყრილი წარბები ჰქონდა, უხეში, ძლიერი ხმით წამოიწყო ძველებური საქორწილო სიმღერა:

ერთ მშვენიერსა საღამოს,
შეღამებისა ხანსაო,
ქორწილი გადაუხდია
ჩვენს ავდოტია ქალსაო...

ქალიშვილებმა ერთბაშად, ხმაშეუწყობლად გაიმეორეს მისი უკანასკნელი სიტყვები — და ყველანი პატარძლისაკენ მიბრუნდნენ. ქალი, წესისამებრ, ღუმელთან იჯდა — მოურთველი, თავზე თალხი თავშალი ეხურა, და ამ სიმღერისათვის გოდებით უნდა ეპასუხა: „ჩემო მშობელო მამილო, ჩემო მშობელო დედაო, გათხოვილს ბედი დამჩაგრავს, თვალიცა დამიდგებაო". მაგრამ პატარძალი დუმდა; ქალიშვილებმა სიმღერა დაამთავრეს და უკმაყოფილოდ გადახედეს. მერე ერთმანეთს გადაუჩურჩულეს, წარბი შეკრეს და ნელა, გაბმით წამოიწყეს „ობლის სიმღერა":

გახურდი, ჩემო აბანოვ,
ზარო, უმატე ხმასაო!

და კუზმას მაგრად მოკუმული ტუჩები აუთრთოლდა, თავსა და წვივებში ერუანტელმა დაუარა, ყვრიმალებში რაღაც სასიამოვნო ტეხა იგრძნო, თვალები ცრემლით აევსო და დაებინდა. პატარძალი შალში გაეხვია, აქვითინდა, აცახცახდა.

— კმარა, გოგოებო! — გადასძახა ვიღაცამ.

მაგრამ ქალიშვილებს არ ესმოდათ:

დარეკე, ზარო, დარეკე,
მამილო გამიღვიძეო...

მკვნესარე პატარძალმა თავი ხელებში ჩარგო და მუხლებამდე ჩაქინდრა; ცრემლი ახრჩობდა... ბოლოს, აკანკალებული, ბარბაცით გაიყვანეს ქოხის ცივ ნაწილში, რათა საქორწილო ტანსაცმელში გამოეწყოთ.

მერე კი პატარძალი კუზმამ დალოცა. სიძე იაკობის შვილ ვასკასთან ერთად მოვიდა. სიძემ მისი ჩექმები ჩაიცვა; სიძეს თმა შეეკრიჭა, მაქმანიან საყელოშემოვლებული, გაპარსული კისერი ასწითლებოდა. პირი საპნით დაებანა და გაახალგაზრდავებულიყო, საკმაოდ კარგადაც გამოიყურებოდა. მან იცოდა ეს და დარბაისლურად, დინჯად ხრიდა შავ წამწამებს. ვასკამ, მეჯვარემ, რომელსაც წითელი პერანგი და გაღეღილი რომანოვული ქურთუკი ეცვა, შემოსვლისას დამკვრელებს შეუბღვირა:

— გეყოთ ამდენი ჭყვიტინი! — უკმეხად უთხრა მან და შემდეგ დაუმატა, რაც წესისამებრ უნდა ეთქვა: — მორჩით, მორჩით.

მომღერლებმა ერთხმად უპასუხეს:

— ქოხის შენება სამებით არი, ოთხ კუთხეს აწევს სახლი და კარი. ყოველ კუთხეში მანეთი დადე, შუა ოთახშიც — მანეთიანი, გვერდზე მოუდგი ჩარექიანი.

ვასკამ ჯიბიდან ნახევარშტოფიანი ამოიღო და მაგიდაზე დადგა. ქალიშვილებმა აიღეს და წამოიშალნენ. ახლა ოთახი კიდევ უფრო გაიჭედა ხალხით. კვლავ გაიღო კარი, ისევ შემოიჭრა ორთქლი და სიცივე — ხალხი მისწი-მოსწია და შემოაბიჯა უაზნო ქალმა, რომელსაც ხელში თითბრის პატარა ხატი ეჭირა; მას შემოჰყვა ცისფერ კაბაში გამოწყობილი

პატარძალი. ყველანი განცვიფრდნენ — ისეთი ფერმკრთალი, მშვიდი და ლამაზი იყო იგი. ვასკამ შუბლში სილა გააწნა მხრებგანიერ, დიდთავა ბიჭუნას, რომელსაც ტაქსაძაღლივით მრუდე ფეხები ჰქონდა, და შუა ქოხში ჩალაზე ვიღაცის ძველი ქურთუკი გაშალა. მასზე დადგნენ ნეფე-დედოფალი. თავჩაქინდრულმა კუზმამ უაზნო ქალს ხატი გამოართვა — და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ცნობისმოყვარე დიდთავა ბიჭის ქსინვაც კი ისმოდა. ნეფე-დედოფალი ერთბაშად დაეცნენ მუხლებზე კუზმას ფერხთა წინაშე. წამოდგნენ და ისევ დაეცნენ. კუზმამ დედოფალს შეხედა. მათი თვალები წამით შეხვდნენ ერთმანეთს და შიშით აღივსნენ. კუზმა გაფითრდა და შიშით გაიფიქრა: „ახლა ხატს იატაკზე დავანარცხებ...“ მაგრამ ჩისმა ხელებმა, რომლებშიც ხატი ეჭირა, ჰაერში უნებურად გამოსახეს ჯვარი; პატარძალი ხატს ემთხვია და მერე ტუჩებით დაეკონა მის ხელს. კუზმამ ხატი ვიღაცას შეაჩეჩა, პატარძლის თავი მამობრივი გულისტკივილითა და სინაზით ჩაიკრა, ახალ სურნელოვან თავშალზე აკოცა და ატირდა. მერე თვალები ცრემლით დაებურა, შებრუნდა, ხალხი მისწი-მოსწია და დერეფანში შეაბიჯა. თოვლიანი ქარი მოხვდა პირისახეში. თოვლით დაფარული ზღრუბლი სიბნელეში თეთრად მოჩანდა, სახურავი ხმაურობდა, ხოლო ზღურბლის გადაღმა მძვინვარებდა პირქუში ქარბუქი, და მინამქრული ფანჯრებიდან გამონაკრთომი შუქი კვამლის სვეტებივით ისახებოდა...

ქარბუქი დილითაც არ ჩამდგარა. ნაცრისფერ კორიანტელში შთანთქმულიყო დურნოვკა და კონცხის წისქვილი. ხან ინათებდა, ხან კი ისევ მწუხრი წვებოდა. ბაღი გადათეთრებულიყო. მისი ბუბუნი ბანს აძლევდა ქარის ბუბუნს, რომელშიც თითქოს შორეული ზარების რეკვა ისმოდა. ნამქერთა წვეტიან ქუდებს ნისლი ჰბურავდა. პარმაღიდან, სადაც თოვლში ამოგანგლული ნაგაზები თვლემდნენ და ქარბუქის სუსხში სამოახლოს საკვამლე მილიდან მოდენილ თბილსა და საამო სუნს იყნოსავდნენ, კუზმა ძლივძლივობით არჩევდა გლეხების, ცხენებისა და მარხილების ნისლით მოცულ ლანდებს, ზანზალაკების წკარუნს. ნეფის მარხილში ორი ცხენი შეაბეს, დე-

დოფლისაში კი — ერთი. მარხილზე გადააფარეს ყაზანური ქეჩა, რომელსაც გარშემო შავი ნაყში ჰქონდა შემოვლებული. მარხილში ჩამსხდომ მამაკაცებს ფერადი ქამრები ერტყათ. ქალებს დაბამბული ქურქები ჩაეცვათ, თავშლები მოეხურათ, ფრთხილი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მიდიოდნენ მარხილისაკენ და პრანჭვით ამბობდნენ: „უი, ქა, როგორა ბნელა!..“ დედოფალს ქურქიცა და ცისფერი კაბაც აუკეცეს და თავზე წამოახურეს, — მხოლოდ თეთრი კაბით დასვეს მარხილზე, რომ ტანსაცმელი არ დასჭუჭნოდა. ქალალდის ყვავილების გვირგვინით შემკული თავი თავშლებით ჰქონდა შეფუთნილი. ცრემლის ღვრას იმდენად დაესუსტებინა, რომ, თითქოს სიზმარშიაო, ისე ხედავდა ქარბუქში მოსიარულე ლანდებს, ესმოდა ქარბუქის ხმაური, ლაპარაკი, ზანზალაკების წკარუნი. ცხენები ყურებს კუსავდნენ და დრუნჩებს თოვლიან ქარს არიდებდნენ. ქარი ლაპარაკსა და შეძახილებს შორს ფანტავდა, მარხილში მსხდომთ თვალს უვსებდა, წვერ-ულვაშსა და ქუდებს უთეთრებდა, და ისინი დიდი გაჭირვებით ცნობდნენ ერთმანეთს ნისლსა და ბინდში.

— უჰ! შენი რჯული კი გაწყდეს! — წაიბურდღუნა ვასკამ, სადავეები აიღო და ნეფეს მიუჯდა.

მან უხეშად და გულგრილად შესძახა ქარში:

— ბატონო ბოიარებო, გზა დაულოცეთ ნეფე-დედოფალს!

ვიღაცა შეეხმიანა:

— ღმერთმა მშვიდობით ატაროს...

აწკარუნდნენ ზანზალაკები; აჭრიალდნენ მარხილის კავები, ნამქერები გაარღვიეს, კორიანტელი დააყენეს და თოვლის ნაფრქვევები, ცხენების ფაფარი და კუდები გვერდზე გასტყორცნეს...

ამ დროს კი სოფელში, ეკლესიის სადარაჯო ჯიხურში, მღვდლის მომლოდინე ხალხი ხელ-ფეხს ითბობდა და მხუთრით იწამლებოდა. ეკლესიაშიც მხუთრის სუნი იდგა, — ქარბუქის, დაბალი თაღებისა და აჭედილი სარკმელების გამო აქაც სულისშემხუთველი ჰაერი, სიცივე და ბინდი იყო. ანთებული სანთლები ეჭირათ მხოლოდ ნეფე-დედოფალს და ბეჭებგანიერ, სათვალიან, შავ-შავ მღვდელს, რომელიც სანთელნა-

ღვენთ წიგნს ჩასჩერებოდა და სხაპასხუპით კითხულობდა იატაკზე ტბორები იდგა — ჩექმებიან და ქალამნებიან ხალხს ბევრი თოვლი შემოეტანა, — კარები წამდაუწუმ იღებოდა და ზურგში ქარი სცემდათ. მღვდელი მკაცრად გახედავდა ხოლმე ხან კარებს და ხან ნეფე-დედოფალს, რომლებიც დაძაბულნი იდგნენ და მზად იყვნენ ყოველივე მისი ნათქვამი აღესრულებინათ, მათს მორჩილ, თვინიერ პირისახეებს, ქვემოდან სანთლის ოქროსფერი სხივები რომ ანათებდათ. ჩვეულებისამებრ, მღვდელი თითქოს გრძნობამორევით გამოთქვამდა ზოგიერთ სიტყვას, გულშიჩამწვდომი ვედრებით გამოჰყოფდა მათ, მაგრამ, სრულიადაც არ ფიქრობდა არც ამ სიტყვებზე და არც იმათზე, ვის მიმართაც იყო ეს სიტყვები თქმული.

— უფალო უხრწნელო და ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, — სხაპასხუპით ამბობდა იგი და ხან აუწევდა ხმას, ხან კი დაუდაბლებდა. — რომელმან მხურვალედ მოყუარული შენი აბრაამი აკურთხე, და განახუენ საშო სარრასი... რომელმან ისააკს მიანიჭე რებეკა... რომელმან იაკობის და რაქაელის შეერთებასა მოჰხედე... და მომადლე მონათა ამათ შენთა...

— სახელი? — მკაცრი ჩურჩულით, სახის გამომეტყველების შეუცვლელად, მიმართა მან მედავითნეს. და როცა პასუხად შეესმა: „დენისი, ავდოტია...“ — კვლავ გრძნობამორევით განაგრძო:

— მოჰმადლე მონათა ამათ შენთა დენისს და ევდოკიას მშვდობითი ცხოვრება, დღეთა სიგრძე, სიბრძნე... და ღირსჰყვენ ესენი ხილუად შვილთა და შვილის-შვილთა... და მოეც ამათ ზეგარდმო ცვარი ცისაგან... განამრავლენ სახლნი ამათნი პურისაგან, ღვინისა და ზეთისა... აღამაღლენ ესენი, ვითარცა ნაძუნი ლიბანისანი... —

მაგრამ ირგვლივ მყოფთ კიდეც რომ ეგდოთ ყური და მიმხვდარიყვნენ მის ნათქვამს, სულერთია, მგელკაცას სახელი უფრო ეხსომებოდათ, ვინემ აბრაამი და ისააკი, დენისკაზე უფრო იფიქრებდნენ, ვინემ ლიბანის ნაძვზე. ხოლო თვით დენისკას, მოკლეფეხებას, ნათხოვარ ჩექმებსა და ნათხოვარ

ტყაპუჭში გამოწყობილს, ეჩოთირებოდა გარინდულ თავზე წამოდგმული ნეფის გვირგვინი — სპილენძის უზარმაზარი გვირგვინი, რომელსაც წვეროზე ჯვარი ეკეთა და ყურებამდე ჩამოფხატოდა. პატარძალსაც, რომელიც გვირგვინში უფრო მეტად ლამაზი და გაფითრებული ჩანდა, ხელი უთრთოდა, და ცისფერი კაბის ფურჩალაზე სანთელი ეღვენთებოდა...

მწუხრში ქარბუქი კიდევ უფრო შემზარავი იყო. შინისკენ მიმავალნი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიაქროლებდნენ ცხენებს. წინა მარხილზე მდგარი წითურ ვანკას ცოლი, რომელსაც ცხვირ-პირში კორიანტელი სცემდა და ხმას უხშობდა, ჯადოქარივით ცეკვავდა, ცხვირსახოცს იქნევდა და მგლური ყმუილით მოსძახოდა:

თეთრი მტრედი მოფრინავდა —
ოქროს ნისკარტიანი!

მოსკოვი,
1909-1910

ლიკა

I

გაზაფხულის ის დღეები ჩემი პირველი ხეტიალისა, ჩემი ჭაბუკური კრძალულების უკანასკნელი დღეები იყო.

პირველ დღეს ორიოლში ჯერ კიდევ ისეთივემ გავიღვიძე, როგორიც ვიყავ გზაში, — მარტოსულმა, თავისუფალმა, მშვიდმა, სასტუმროსა და ქალაქს უჩვევმა, — და ქალაქისათვის უჩვეულო ყამს — ალიონისას; მეორე დღეს კი უფრო გვიან — როგორც ყველამ. ვიცვამდი გულმოდგინედ, ჩავყურებდი სარკეს... გუშინ რედაქციაში უკვე უხერხულობას მგვრიდა ბოშასავით გარუჯული, ქარისაგან აქერცლილი, გამხდარი სახე, მოუვლელი თმები. თავი წესრიგში უნდა მომეყვანა, მით უმეტეს რომ ჩემი საქმეები მოულოდნელად უკეთ წარიმართა: რედაქციაში არა მარტო თანამშრომლობა, ავანსიც შემომთავაზეს, რომელიც ავიღე კიდეც, — ყურებამდე გავწითლდი, მაგრამ მაინც ავიღე... და აი, გავემართე მთავარი ქუჩით, შევედი თამბაქოს მაღაზიაში, სადაც ერთი კოლოფი კარგი პაპიროსი ვიყიდე, შემდეგ საპარიკმახეროში, რომლიდანაც მოხდენილად შეკრეჭილი, სუნამოდაპკურებული თმითა და ისეთი მამაკაცური სიხალისით გამოვედი, როგორითაც ყოველთვის გამოდიხარ ხოლმე საპარიკმახეროდან. დაუყოვნებ-

ლივ მინდოდა ისევ რედაქციაში წავსულიყავ, კვლავ განმეცადა იმ ახალ შთაბეჭდილებათა ზეიმურობა, რითაც გუშინ ასე უხვად დამაჯილდოვა ბედმა. მაგრამ მაშინვე იქ წასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო: „ოჰო, ისევ მოვიდა? მერედა ისიც დილით?!“ — მე ქალაქში გავიარე. ჯერ გუშინდელივით ქვევით ბოლოხოვსკაიას გავყევი, იქიდან სადგურისაკენ მიმავალ გრძელ სავაჭრო ქუჩას — მოსკოვსკაიას დავადექი. მივაბიჯებდი, ვიდრე მან რომელიღაც მტვრიანი, ტრიუმფალური ჭიშკრის შემდეგ, უკაცრიელი და უბადრუკი სახე არ მიიღო. ამ ქუჩიდან კიდევ უფრო უბადრუკ პუშკარნაია სლობოდაში შევუხვიე, მერე კვლავ მოსკოვსკაიაზე დავბრუნდი. როცა მოსკოვსკაიადან ორლიკზე დავეშვი, გამველელთა ფეხქვეშ მოძაგძაგე, მოკრიალე ხის ხიდი გადავიარე და დაწესებულებებთან გავედი, ყველა ეკლესიაში დაკრეს ზარებმა და ბულვარის გასწვრივ, ამ ზართა გუგუნის საპირისპიროდ, ჩამოიარა ეტლში მჯდომმა მღვდელმთავარმა, რომელსაც კინკლავით, მაგრამ მწყობრადმავალი ორი ვეება ყორანა ცხენი მიაქროლებდა; მღვდელმთავარი მოწყალედ აქნევდა ხელს და ყველა შემხვედრს მარჯვნივ და მარცხნივ პირჯვარს სახავდა.

რედაქცია კვლავ ხალხით იყო სავსე, ირგვლივ საქმიანი ფუსფუსი იდგა, თავის დიდ მაგიდასთან მხნედ მუშაობდა პატარა ავილოვა, რომელმაც ერთი კი ალერსით გამიღიმა და თავი ისევ მაგიდაზე დახარა. საუზმე წინანდელივით ხანგრძლივი და მხიარული გამოდგა. ნასაუზმევს ვისმენდი როგორი მგზნებარებით უკრავდა ლიკა როიალზე, მერე მასთან და ობოლენსკაიასთან ერთად ბაღში საქანელაზე ვქანაობდი. ჩაის შემდეგ ავილოვამ სახლი დამათვალიერებინა: ყველგან დამატარებდა; საწოლ ოთახში კედელზე პორტრეტი შევნიშნე, — ჩარჩოდან უკმაყოფილოდ იმზირებოდა ვიღაც ფართომხრებჩამოფხავებული, ხშირთმიანი, სათვალებიანი მამაკაცი. „ჩემი განსვენებული ქმარი“, — გაკვრით თქვა ავილოვამ და, ცოტა არ იყოს, შევკრთი, ისე გამაოცა სიცოცხლით სავსე, ეშხიანი ქალის და ამ ჭლიქიანი ჩამაკაცის რაღაც ერთად დაკავშირების შეუსაბამობამ.

შემდეგ ავილოვა კვლავ სამუშაოს მიუჯდა. ლიკა გამოე-

წყო, „აბა, ჩემო პატარებო, უნდა გავფრინდე!“ — გვითხრა მისთვის დამახასიათებელი იმ მეტყველებით, რომლის ზოგი თავისებურება უკვე შევნიშნე და მის მაგიერ უხერხულობას ვგრძნობადი. ის სადღაც წავიდა, მე კი ობოლენსკაიას გავყევი საქმეებზე. ობოლენსკაიამ შემომთავაზა კარაჩევსკაიაზე წავ-ყოლოდი. მითხრა, იქ თეთრეულის მკერავთან უნდა შევია-როო და მე სიამოვნება მომგვარა იმ სიახლოვემ, რაიც მან უეცრად ამ ინტიმური წინადადებით დაამყარა ჩვენს შორის. ქალაქშიც ამავე განწყობით მივყეებოდი გვერდით, ვუსმენდი მის დახვეწილ ხმას; მკერავთან განსაკუთრებული სიამოვნე-ბისმომგვრელი მოთმინებით ვიდექი და ველოდებოდი, ვიდ-რე ის მოლაპარაკებას და ბჭობას დაასრულებდა. როცა ისევ კარაჩევსკაიაზე გამოვედით, უკვე საღამოვდებოდა. „გიყვარო ტურგენევი?“ — მკითხა მან. მე პასუხი შეეაყოვნე, ამ კითხ-ვას მუდამ იმ ვარაუდით მაძლევდნენ, რომ ტურგენევი მეყ-ვარებოდა, რადგან სოფლად დავიბადე და იქ გავიზარდე. „სულ ერთია, ეს მაინც დაგაინტერესებთ, — თქვა ობოლენ-სკაიამ, — აქ შორიახლო ერთი კარმიდამოა, რომელიც თით-ქოსდა „აზნაურთა ბუდეშია“ აღწერილი. გინდათ დაათვალიე-როთ?“ — და ჩვენ წავედით სადღაც ქალაქის განაპირას, ბა-ღებში ჩაფლულ მივარდნილ ქუჩაზე, სადაც ორლიკის ზემოთ, ფლატეს თავზე, აპრილის ადრეული სიმწვანით შემოსილ ძველ ბაღში ნაცრისფრად ჩანდა დიდი ხნის მიტოვებული სახ-ლი, რომლის ნახევრად ჩამონგრეულ საკვამურებში, უკვე ჭკებს დაებუდებინათ: ჩვენ შევჩერდით, სახლს დაბალი ღო-ბიდან, ჯერ კიდევ შეუფოთლავი, დაისის მოწმენდილი ცით მოზარნიშებული ბაღიდან გავხედეთ... ლიზა, ლავრეცკი, ლე-მი... და მე გაგიქებით მომინდა სიყვარული.

საღამოს ყველანი ქალაქის ბაღში, საზაფხულო თეატრში ვიყავით, — თითქმის ბნელოდა, მე ლიკას გვერდით ვიჯექი და მასთან ერთად ვტკბებოდი მთელი იმ დაუოკებელი სისუ-ლელით, რაც ორკესტრსა და სცენაზე — რაღაც ქვემოდან განათებულ მოედანზე ხდებოდა, სადაც მუსიკის საცეკვაო გრიალს აყოლილი, ეშხიანი ქალაქელი ქალები და მეფის გვარდიელნი იატაკზე ფეხებს აბაკუნებდნენ და კალის ცარი-

ელ ყულაბებს აყღარუნებდნენ. წარმოდგენის შემდეგ იქვე, ბაღში ვივახშმეთ. მე ქალებთან ერთად ფართო და ხალხმრავალ აივანზე ერთ ბოთლ ჩაცივებულ ღვინოს ვუჯექი. მათთან წამდაუწუმ მოდიოდნენ ნაცნობები, მეც მაცნობდნენ მოსულებს, რომელთაგან ყველა დიდი თავაზით მეპყრობოდა ერთის გარდა. მან ოდნავ დამიკრა თავი და ამის ბეტად არავითარი ყურადღება არ მოუქცევია. ეს გახლდათ ძალზე მაღალი, მჭრქალი შავგვრემანი სახის, შავთვალებიანი, უსიცოცხლო გამომეტყველების ოფიცერი, ქილვაშები ნახევრად მოეშვა, ეცვა კარგად შეკერილი მუხლებქვემოთ დაშვებული სერთუკი და ვიწრო შარვალი. მან შემდეგში თავისი სრული უყურადღებობით დიდი სულიერი ტანჯვა მომაყენა. ლიკა ბევრს ლაპარაკობდა და იცინოდა, აჩენდა თავის საუცხოო კბილებს, რადგან იცოდა, რომ ყველას ხიბლავდა. მე კი აღარ შემეძლო მშვიდად მეცქირა მათთვის, სისხლი გამეყინა, როცა ოფიცერმა წასვლისას მისი ხელი თავის დიდ ხელში შეაყოვნა...

ჩემი გამგზავრების დღეს პირველად იქექა ცაზე. მახსოვს ეს ჰექა-ქუხილი, მსუბუქი ეტლი, რომელიც ავილოვასთან ერთად სადგურზე მიმაქროლებდა, ეტლითა და ამ ქალის სიახლოვით მონიჭებული სიამაყის განცდა, პირველი განშორების უცნაური გრძნობა ჩემს მიერვე გამოგონილ სიყვარულთან, რომლისაც უკვე სავსებით მჯეროდა, გრძნობა, რომელმაც სხვა ყოველივე ბინდში გახვია, — გრძნობა რაღაც ბედნიერი მონაპოვრისა, რაც ორიოლში თითქოსდა ჩემი წილხვედრი გახდა. სადგურის ბაქანზე განცვიფრებაში მოვედი, როცა ვიხილე რა ტანსრული, რა ჩამსხვილებული იყო მთელი ის ნარჩევი, საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი, რომელიც აქ მატარებლის მოლოდინში გროვდებოდა. როგორი მდაბიური შესახედაობა ჰქონდათ სამღვდელო პირთ, — მიუხედავად თავიანთი ბრწყინვალე საეკლესიო ფორთულობისა. — ხელში ჯვრებითა და საცეცხლურებით ყველაზე წინ რომ იდგნენ. იმ წამს, როცა სადგურზე დიდი მთავრის მატარებელი შემოგრიალდა და ყველას თვალი მოსჭრა იქიდან გამოვარდნილმა ღია წითელი გიგანტის მეწამულმა დოლომანმა, ყველაფერი როგორღაც აირ-დაირია, აიბნა — მეტი აღარაფერი მახსოვს,

გარდა პანაშვიდის პირქუში, ზვიადი მსვლელობისა. შემდეგ გაპოხილი ფოლადის გოლიათურმა ორთქლმავალმა კუთბის ბაირაღებში ძლევამოსილად დაიბუხუნა და უკან სიგრძეზე ნელ-ნელა, ფოლადის თეთრზოლად დაიწია მისი დგუშის ნიდაყვმა, წინ გაცურდა ოქროსფერი არწივებით მომზირალი ვაგონების ლურჯად მოლაპლაპე კედლები... მე ვუცქეროდი მათ ქვეშ სულ უფრო სწრაფად მოძრავ სხმულ ბორბლებს, მუხრუჭებსა და რესორებს, — და ვხედავდი მხოლოდ ერთს: იმას, რომ ყოველივე ეს დაფარული იყო თეთრი, სქელი მტვრით, სამხრეთის, ყირიმის გრძელი გზის ჯადოქრული მტვრით. მატარებელი გრუხუნით ეფარებოდა თვალს და თავის დიდებულ-სამგლოვიარო რბოლას განაგრძობდა რუსეთის მკერდზე, სადღაც იქით, მისი სათავისაკენ, მე კი მთელი არსებით ამ ზღაპრულ ყირიმს, ლეგენდარული პუშკინის მომხიბვლელ გურზუფის დღეებს ვეკუთვნოდი.

ჩემი უბრალო, სამაზრო მატარებელი ძორეულ გვერდითა ბაქანზე მიცდიდა და გახარებული ვიყავი იმით, რომ მასში განმარტოება და მოსვენება მელოდა. მატარებლის გასვლამდე ავილოვას ფეხი არ მოუცვლია, მთელი ამ ხნის განმავლობაში მხიარულად ჭიკჭიკებდა, ამბობდა, ვიმედოვნებ კვლავ ორიოლში გიხილავთო, ღიმილით მაგრძნობინებდა, რა მშვენივრად ამჩნევდა იმ სასეირო მწუხარებას, რითაც ორიოლში დავსნეულდი. მესამე ზარზე მხურვალედ დავეკონე მის ხელს, თვით ბაგეებით შეეხო ჩემს ლოყას, მე ვაგონს შევახტი, მატარებელი შექანდა და დაიძრა, მე ფანჯარასთან ვიდექი და ვხედავდი, როგორ მშორდებოდა ბაქანზე მდგომი ავილოვა ხელის მსუბუქი ქნევით...

გზაში ამის შემდეგ ყველაფერი გულს მიჩქროლებდა: ეს პატარა მატარებელიც, ხანდახან რომ ძლივს მიღოღავდა, ხან კი უეცრად დამთხვეულივით რყევას და რახრახს იწყებდა, უკაცური დიდი და მცირე სადგურები, სადაც კაცმა არ იცოდა, ჩვენი ძატარებელი რისთვის იდგა დაუსრულებლად, და ყოველივე უკვე მშობლიური და ნაცნობი, რაც ხელახლა მერტყმოდა გარს: ფანჯრების ახლო, დამრეც ბორცვებად მიმავალი მინდვრები; ჯერ კიდევ შიშველი და ამიტომ განსაკუთ-

რებით ულაზათო, არყის შეუმოსავი წარაფები, ჩუმად რომ ელოდნენ გაზაფხულს, უფერული ჰორიზონტები... საღამოც ასევე უფერული და გაზაფხულის შესაფერად გრილი იყო თავისი მკრთალი, ჩამოხურული ცით.

II

ორიოლიდან ერთი ოცნება მიმყვებოდა: როგორმე განმეგრძო — და, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ჩქარა, — ის, რაც ორიოლში დაიწყო, მაგრამ ოაც უფრო ვშორდებოდი ორიოლს, ფანჯრიდან მინდვრებისა და აპრილის ხანგრძლივი მზისჩასვლის შემყურე სულ უფრო ხშირად ვეთიშებოდი ამაზე ფიქრს. აი, ვაგონში უკვე სრული ბინდია, ბინდია გარეთაც, ახლახან თოვლგადაცლილი, გახუნებული ნეშოთი მოფარდაგებულ, ამ მუხის შიშველ, დაკორძილ მეჩხერ ტყეშიც, მატარებლის მარცხნივ რომ გაშლილა. მე ფეხზე ვდგავარ, ხელში ჩანთა მიჭირავს, მღელვარება მემატება: აგერ სუბოტინის ტყე, მის იქით სადგური პისარევოა. მატარებელი გამაფრთხილებლად და მწუხარედ გაჰკივის საღღაც სიცარიელეში. მე ვაგონის გასასვლელისაკენ მოვიჩქარი: რაღაცნაირი პირველქმნილი სინესტე და სიგრილე იგრძნობა, ცრის, სადგურის წინ მარტო დგას ერთი საბარგო ვაგონი. მატარებელი გვერდს უქცევს ვაგონს, მე გაჩერებამდე ვხტები; შემდეგ ბაქანზე მივქრი, გავიარე გლეხებისაგან გაქელილი, სუსტად განათებული, უსაზღვროდ ნაღვლიანი სადგური და ჩაბნელებულ გასასვლელში გავედი. გასასვლელის წინ, მრგვალ ეზოში, ზამთრის შემდეგ უნიათოდ მომზირალი, ატალახებული ბაღჩაა, ბინდში ძლივს ჩანს სოფლელი მეეტლის დალეული ცხენი. ეს მეეტლე, მთელი კვირეები რომ ამაოდ ელის ბგზავრს, თავქუდმოგლეჯით მომვარდა, აღფრთოვანებით ეთანხმება ჩემს ყოველ სიტყვას, მზადაა თუნდაც ქვეყნის დასალიერში გამაქროლოს, მზადაა ყველაფერზე, რასაც მოვისურვებ — „იქნებ გულს არ დამაკლოთ!“ და ერთ წუთში უკვე მორჩილად მივჯაყჯაყებ მისი მომცრო ფორნით: ჯერ უდაბურ და ბინდით მოცულ სოფელში, შემდეგ უფრო დ-

უფრო მშვიდად მივიწევ ბნელ, მდუმარე, მთელ სამყაროს გამოთიშულ ველებში, შავი მიწის ტევრში, რომლის იქით უსასრულო სივრციდან ჩრდილო-დასავლეთით პატარა ღრუბლების ქვეშ რაღაც მომწვანო გამოკრთის. წინიდან ღამეული მინდვრის სუსტი, აპრილის საწვიმარი ნიავი უბერავს. სადღაც შორს — თითქოს ქარში ადგილს ინაცვლებსო, — ფრთხიალებს მწყერი. დაბალ, რუსულ ცაზე წვრილ-წვრილნი ვარსკვლავნი კრთიან... კვლავ მწყერი, გაზაფხული, მიწა და ჩემი უწინდელი უსიხარულო ახალგაზრდობა! გზა საშინლად გრძელია; ათი ვერსის გავლა რუს გლეხთან მინდვრად პატარა მანძილი როდია. მეეტლე ხმას არ იღებს, გამოუცნობი დუმილით შეპყრობილი. ტანზე ქოხისა და თავისი გაცვეთილი მშრალი ცხვრის ტყავის ჯუბაჩის სუნი ასდის, თხოვნაზე, რომ აუჩქაროს, დუმს, მაგრამ როგორც კი გრძელი შელმართი დაიწყება, წინარიდან ხტება და ხელში თოკის სადავეებით აუჩქარებლად მიაბიჯებს თავისი ღოღიალა ფაშატის გვერდით, ზურგს მაქცევს... ვასილევსკოეში შესვლისას მეგონა შუაღამე იყო: არსად სინათლე, არსად სიცოცხლის ნატამალი. თვალი სიბნელეს შეეჩვია და მკაფიოდ გამოჩნდა თვითეული ქოხი, სოფელში შემავალ შარაზე ქოხების წინ მდგარი თვითეული შიშველი ტირიფი. შემდეგ ხედავ და გრძნობ, როგორ ეშვები აპრილის სინესტით გაჟღენთილ დაბლობში. ხედავ და გრძნობ მარცხნივ მდინარეზე გადებულ ხიდს, მარჯვნივ, ზევით კი ცივად მომზირალ, შავად ალანდულ კარმიდამოსკენ მიმავალ გზას! კვლავ მძაფრი გრძნობები მეუფლება: რა საოცრად ნაცნობია ყველაფერი და ამასთან როგორ ახლებურად გამოიყურება — ამ თავისი გაზაფხულის სოფლური სიბნელით, უბადრუკობით, გულცივობით! მეეტლე სულ დადუმდა. როცა მთაზე მიმაჩაქჩაქებდა, უცებ იქ, ბაღჩის ფიჭვებს შორის გამოჩნდა ფანჯარაში აკიაფებული სინათლე. მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ სძინავთ! სიხარული, მოუთმენლობა—და ბავშვური სირცხვილი მეუფლება, როცა დასასრულს ფორანი პარმაღის ახლო ჩერდება, და უნდა გადმოხვიდე, გააღო წინა ოთახის კარები, შეაბიჯო შიგ, ნახო, ღიმილით როგორ გათვალიერებენ...

მეორე დღეს ვასილევსკოედან ნახნავებსა და ანეულებზე ცხენით მივდიოდი დილის წყნარ და კამკამა წვიმაში, რომელიც ხან გადაიღებდა, ხან ისევ ცრიდა. გლეხები ხნავდნენ და თესავდნენ. ფეხიშველა მხვნელი რხევით მიჰყვებოდა კავს და თეთრ, დაბრეცილ ტერფებს ინაცვლებდა რბილ კვალში, რომელიც ძალზე დაჭინთულ, მოხრილ ცხენს გაჰყავდა. კვალში, კავს უკან, ლურჯი ჭილყვავი ონავრობდა, — მიწიდან წამდაუწუმ იტაცებდა შინდისფერ ჭიას, ჭილყვავს დიდი, თანაბარი ნაბიჯებით მოჰყვებოდა მხარზე სათესგადაკიდებული, უქუდო მოხუცი, რომელიც კეთილშობილური სიუხვით ფართოდ შლიდა მარჯვენა ხელს და მოზომილი ნახევარწრეებით მარცვლებს აყრიდა მიწას.

ბატურინში ისეთი სიყვარულითა და სიხარულით შემხვდნენ, რომ გული საგულეს აღარ მქონდა. ყველაზე უფრო დის სიხარულმა განმაცვიფრა, — არ მოველოდი მის ამგვარ დაუფარავ სიყვარულსა და სიხარულს, რითაც ფანჯარაში გამოიხედა და იმწამსვე ჩემთან პარმაღზე მოვარდა. თვითონაც რა მომხიბლავი იყო თავისი სიფაქიზით, ახალგაზრდობით, როგორი უბიწო, როგორი უმანკო ჩანდა ახალთახალ კაბაში, ამ დღეს, რომ ჩემი გულისათვის ჩაეცვა პირველად. აღტაცებაში მომიყვანა სახლმაც — თავისი ძველებური, მომხიბვლელი სიკუშტით. ჩემი ოთახი ისე დამხვდა, თითქოს ახლახან გამოვსულიყავ იქიდან: ყველაფერი თავის ადგილზე იდგა, რკინის შანდალში ჩადებული, ნახევრად დამწვარი ქონის სანთელიც კი, რომელიც ზამთარში ჩემი გამგზავრების დღეს საწერ მაგიდაზე დარჩა. შევედი, ირგვლივ მიმოვიხედე: კუთხეში შავი ხატები, ზევით ფერადი (ბროწეულისფერი და ლილისფერი) მინებით გაწყობილი, ძველებური ფანჯრების იქით ხეები და აქაიქ გამტრედისფერებული ცა, საიდანაც ახლადათქვირებულ ტოტებსა და როკებზე თქორი ეცემა, — ოთახში ცოტაოდენი ბინდი, ხალვათობა, სიღრმე... მუქი, გლუვი, ხის ჭერი, ასეთივე მუქი და უხორკლო ძელებით ნაგები კედლები... გლუვი და მეტად მრგვალი მუხის საწოლის თავკიდურები...

III

ორიოლში ხელახლა წასასვლელად საქმიანი საბაბი გამოჩნდა: ბანკში პროცენტები უნდა შემეტანა. წავედი კიდეც. მხოლოდ ფულის ერთი ნაწილი გადავიხადე, დანარჩენი კი გავფლანგე. ეს სახუმარო საქმე არ იყო, მაგრამ ჩემს თავზე რაღაც ხდებოდა, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძ ვაძლევდი. მე ყოველთვის გამოუცნობი, ანგარიშმიუცემელი, საალალბედო გამბედაობით ვიქცეოდი. ორიოლში მიმავალმა სამგზავრო მატარებელზე დავიგვიანე და მაშინვე საბარგო მატარებლის ორთქლმავალზე მოვიკალათე. მახლოვს, მაღალი რკინის საფეხურებით ტლანქ, ბინძურ რაღაცაში შევედი, ვდგავარ და ვიცქირები. მემანქანეებს უსაშველოდ გაზინთული და რკინასავით ელვარე რაღაც აცვიათ, გაზინთული და ელვარეა მათი სახეებიც, ზანგის საოცარი თვალებიც, თითქოსდა განგებ მსახიობივით შეთხუპნული ქუთუთოებიც. ახალგაზრდა რკინის ნიჩაბს ყურისწამღებად ახრიგინებს იატაკზე დახვავებულ ქვანახშირში, ხმაურით აგდებს ღუმელის საფარს და იქიდან ჯოჯოხეთურად ამოვარდნილ წითელ ალს ერთბაშად ახშობს ნიჩბიდან გადაყრილი ქვანახშირის სიშავით, უფროსი თითებს იწმენდს საშინლად გაზეთილ ჩვარზე, განზე ისვრის მას, შემდეგ რაღაცას ეწევა და ატრიალებს... ისმის ყურისწამღები სტვენა, საიდანღაც თვალისმომჭრელი ორთქლი მოქშუის და გარს გეხვევა, გაყრუებს მოულოდნელად აგუგუნებული რაღაც და ნელ-ნელ გეწევა წინ... რა საშინლად ისმის შემდეგ ეს გუგუნი, როგორ უფრო და უფრო იზრდება ჩვენი ძალა, სიმარდე, როგორ ირხევა, ბრუნავს, ხტის ირგვლივ ყოველივე! იყინება, უჩვეულოდ ქვავდება დრო, ბორცვებზე შეუნელებლად ბორგავს გახურებული, დრაკონის დოღი — და რა ჩქარა ილევა ყოველი გადასარბენი! მის შემდეგ კი, ყოველ სულის მოთქმაზე ღამისა და სადგურების უშფოთველ სიმყუდროვეში, ტყის ღამეული ჰაერის სუნი ტრიალებს და ახლომახლო ბუჩქებიდან ბულბულის დამატკბობელი, სანეტარო გალობა იღვრება... ორიოლში შეუსაბამოდ გამოვეწყვე მოხდენილ ვიწრო ჩექმებში, უსახელო თხელ ხიფთანში,

გვერდზე შესაკრავ აბრეშუმის წითელ პერანგსა და შავ, წითელძირიან აზნაურის ქუდში, ვიყიდე საუკეთესო სამხედრო უნაგირი, რომელმაც ძალიან მომხიბლა თავისი ჭრაჭუნა, სურნელოვანი ტყავით და ღამით სახლში მიმავალს სიხარულით არ მძინებია, რომ იგი ჩემს გვერდით იდო. კვლავ პისარევოში მივდიოდი, მინდოდა ცხენიც შემეძინა — იქ, სოფელში სწორედ ამ დროს ცხენების ბაზრობა იყო: ბაზრობაზე ჩემსავით უსახელოებო ხიფთანებითა და აზნაურის ქუდებით მორთულ, ბაზრობათა ხშირ სტუმარს, რამდენიმე ჩემს თანატოლთაგანს დავუმეგობრდი და მათი დახმარებით ახალგაზრდა, ჯიშიანი ფაშატი ვიყიდე (თუმცა ბოშა გულდაგულ მაძალებდა თავის გახვითქულ ბებერ დონურ იაბოს — „ბატონო, იყიდე, მიშა, იცოდე, არ წააგებ!") — ზაფხული ამის შემდეგ ნამდვილ დღესასწაულად მექცა — ზედიზედ სამი დღე ისედაც არ ვყოფილვარ ბატურინში, მუდამ ჩემს ახალ მეგობრებთან ვიყავი სტუმრად, მაგრამ როცა ის ორიოლიდან დაბრუნდა, ქალაქში ვიკარგებოდი ხოლმე: როგორც კი მისგან მოკლე ბარათი მივიღე: „დავბრუნდი, ველი პაემანს", ამ ბარათის სულელური გონებამახვილობით ჭოყენებული უსიამოვნებისა და იმის მიუხედავად, რომ უკვე საღამო იყო და ღრუბლებიც დაიძრა, ცხენი მაშინვე სადგურზე გავაჭენე. ვაგონში კი მთვრალივით მახარებდა მატარებლის სწრაფი სვლა, რაც უფრო სწრაფად მეჩვენებოდა უკვე აბობოქრებული ჭექა-ქუხილისა და იმის გამო. რომ ვაგონის დაგადუგი მეხის ბდგვინვას, სახურავზე დაშვებული კოკისპირული წვიმის ხმაურს უერთდებოდა, და ყოველივე ამას თან სდევდა ლურჯი ალი, წამდაუწუმ რომ ანათებდა ფანჯრების შავ მინებს, რომლებზეც თქრიალით დიოდა აქაფებული წვიმის წყალი და სიგრილე მოჰქონდა.

თითქოსდა სხვა არაფერი არსებობდა ხალისიანი შეხვედრებით სიამტკბილობის გარდა. მაგრამ აი, — ეს მოხდა უკვე ზაფხულის მიწურულს, ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც დასა და მამასთან ერთად ქალაქის ახლო, მდინარე ისტის ფლატეებიან ნაპირთან მდებარე მამულში ცხოვრობდა, და ლიკასთან ნამყოფი იყო, თავისი დაბადების აღსანიშნავ სადილზე საკმაოდ ბევრი ხალხი მოიწვია. მის წასაყვანად თვი-

თონ მოვიდა, ლიკა მასთან ერთად მიდიოდა პატარა შარაბანით, მე კი ცხენით მივდევდი უკან. სიამეს მგვრიდა ველების მშრალი, მზიანი სივრცეები, გაშლილი, თითქოსდა ქვიშიანი ყანები თვალუწვდენელ მანძილზე ძნებს დაეფარა, გული რაღაც თავდავიწყებასა და ცუღლუტობისკენ მეწეოდა. ცხენს უღმერთოდ ვაფიცხებდი და ვაოკებდი, შემდეგ სადავეს ვუშვებდი, ისიც მთელი სისწრაფით აბტებოდა ძნებს და მჭრელი ნალებით გლეჯდა მათ ჩერგილებს. დღეობა საღამომდე გაგრძელდა, დაქონქილ აივანზე, საღამო შეუმჩნევლად შეერწყო ღამეს, ლამპებს, ღვინოს, სიმღერებსა და გიტარას. მე ლიკას გვერდით ვიჯექი და მოურიდებლად მეჭირა მისი ხელი, ისიც არ მეწინააღმდეგებოდა. ღამით მაგიდიდან შეთანხმებულებივით წამოვდექით, აივნიდან ჩამოვედით და ბაღის სიბნელეს შევერიეთ. იგი შეჩერდა, ხეს ზურგით მიეყრდნო და ხელები გამომიწოდა, — მე ვერ ვხედავდი, მაგრამ ზუსტად გამოვიცანი მათი მოძრაობა... ამის შემდეგ ბაღში სწრაფად ინაცრისფერა, ეზო-მიდამოში ყვინჩილების ხრინწიანი, რაღაც უნიათო, ნეტარი ყივილი გაისმა, ერთ წუთში კი მთელი ბაღი გაანათა მდინარისპირა დაბლობის იქით, ყვითელი მინდვრების თავზე გამოჩენილმა ოქროსფერმა აღმოსავლეთმა... შემდეგ ჩვენ დაბლობის ზემოთ, ფლატეზე ვიდექით, ის ვარდისფრად აელვარებულ ცის ტატნობს შეპყურებდა, ჩაიკოვსკის „დილას“ მღეროდა და მე უკვე ველარ მამჩნევდა. როცა მაღალ ბგერაზე ხმამ უღალატა, ბატისტის კაკბისფერი ქვედატანის მოხდენილი ფურჩალები აიკაპიწა და სახლისაკენ გაიქცა, მე დაბნეული შევდექი, ფიქრის თავი არ მქონდა, იმის ძალაც არ შემწევდა უბრალოდ ფეხზე ვმდგარიყავ, ფლატეს ფერდზე, ხმელ ბალახში მდგარ ბებერ არყის ხესთან მიველ და მის ქვეშ დავწექი. უკვე გათენებულიყო. მზე ამოვიდა და, როგორც ყოველთვის ზაფხულის მიწურულს, დარიანობისას, ერთბაშად ჩამოდგა ნათელი, ცხელი დილა. მე თავი მივადე არყის ფესვებს და იმწამსვე ჩამეძინა, მაგრამ მზე უფრო და უფრო აჭერდა, — მალე ისეთ პაპანაქებასა და ელვარებაში გამეღვიძა, რომ ავდექი და ბარბაცით წავედი ჩრდილის მოსაძებნად. ჯერ ისევ ეძინა მძაფრი, თვა-

ლისმომჭრელი სინათლით გარშემორტყმულ სახლს. მხოლოდ მოხუცი მასპინძელი ამდგარიყო. მისი კაბინეტის ღია ფანჯრიდან, რომლის ქვეშ ხელმიშვებული იასამნის ხშირი ბუჩქნარი ჩანდა, ისმოდა ხველა, რომელშიც დილის პირველი ჩიბუხით და ნაღებიანი, მაგარი ჩაით მიღებული ბებრული კმაყოფილება გამოსჭვიოდა. ჩემი ნაბიჯებისა და მზით გაბრწყინებულ იასამნიდან ჩემივე მიზეზით ზღვად აშლილი ბეღურების ხმაურზე გარეთ გამოიხედა, თან თურქული მოხატული აბრეშუმის ხალათი მიიფარა მკერდზე, დასიებული თვალებითა და ვეება ჰაღარა წვერით — საშინლად მომზირალი სახე გამოაჩინა და არაჩვეულებრივი გულკეთილობით გაიღიმა. მე დამნაშავესავით მივესალმე, დილის მყუდროებითა და სიმარტოვით, შიგ მოფარფატე პეპლებიო, ლურჯი შპალერით, სავარძლებითა და პატარა დივნებით ნამდვილად მომხიბლავი სასტუმრო ოთახის ღია კარებში შევედი, ერთ-ერთ მოგრეხილ, მოუხერხებელ დივანზე წამოვწექი და კვლავ ღრმა ძილს მივეცი თავი. მაგრამ უცებ, — თითქოსდა ჩაძინებისთანავე, თუმცა დიდხანს მეძინა, — ვიღაც მომიახლოვდა და სიცილით ლაპარაკი დაიწყო, თან თმებს მიწეწდა. თვალი გავახილე — ჩემს წინ ახალგაზრდა მასპინძლები იდგნენ: და და ძმა, ორივე შავტუხა, თვალებბრიალა, აღმოსავლურად ლამაზნი, ძმა ყვითელი აბრეშუმის პერანგში, და კი ასეთივე ზედატანში გამოწყობილი. მე ზეზე წამოვხტი. ისინი გულთბილად ლაპარაკობდნენ, რომ უკვე ადგომისა და საუზმის დროა, რომ ის გაემგზავრა და მარტო კი არა, კუზმინის თანხლებით, ამასთან პატარა წერილიც გადმომცეს. მაშინვე მომაგონდა კუზმინის დაუდეგარი, თავხედური, რაღაცნაირად ჭრელი, თაფლისფერი თვალები, წერილი გამოვართვი, ძველებურ „სამოახლოში“ წავედი, — იქ ტაბურეტზე დადგმულ გეჯასთან მორჩილად მელოდა ვიღაც შოსანი მოხუცი ქალი, რომელსაც გამხდარ, ლაქებით დაფარულ ხელში წყლით სავსე დოქი ეჭირა, — ზეზეურად წავიკითხე: „ჩემს ნახვას მეტად ნუღარ ეცდებით“ — და პირის ბანა დაიწყე. წყალი ყინულივით ცივი და ფუცხუნა იყო, — „აქ ხომ ჭის, წყაროს წყალია“,—თქვა მოხუცმა და ძალზე გრძელი სელის პირსახოცი მომაწოდა. მე

სწრაფად გავიარე წინა ოთახი, კარტუზი და მათრახი ავიღე, სიცხისაგან გახურებული ეზო გადავირბინე და პირდაპირ საჯინიბოში შევვარდი... სიბნელიდან წყნარად და მწუხარედ შემომჭიხვინა ცხენმა, რომელიც უნაგირმოუხდელი დარჩენილიყო და ახლა ფერდებჩავარდნილი ცარიელი ბაგის გვერდით იდგა. მე სადავეს ვეცი, ჯერ კიდევ გაუნელებელი, რაღაც გიჟური აღტყინებით უნაგირს მოვახტი და ეზოდან გავიჭერი. როცა კარ-მიდამოს გავცდი, მსწრაფლ მინდორში გადავუხვიე, უგზო-უკვლოდ გავქანდი შრიალა ნაყანევზე, ცხენი პირველივე ძნების ზვინთან შევაყენე, უნაგირიდან ჩამოვიჭერ და იქვე ჩავჯექი. ცხენი ქშინავდა, ძნებს პირს ავლებდა თავ-თავებში, საიდანაც თითქოსდა მინისებური მარცვლები ცვიოდა, და თავისკენ ეწეოდა. ნამჯასა და ძნებში კუტკალიები დახტოდნენ და პაწაწინა საათებივით წიკწიკებდნენ, ირგვლივ ქვიშიანი უდაბნოსავით გაშლილიყო ნათელი ველები, ჩემს გულისყურამდე კი აღარაფერი აღწევდა, თავში ერთი აზრი მიტრიალებდა: იგი ან დამიბრუნებს თავისთავს, ამ ღამეს, ამ დილას, ბატისტის ფურჩალებს, ხმელ ბალახში გამკრთალი მისი ფეხები რომ აშრიალებდა, არადა ჩვენი სიცოცხლე არ იქნება!

ამ გიჟური აზრებით შეპყრობილმა და მათში სულელურად დაჯერებულმა ცხენი ქალაქისკენ გავაჭენე!

IV

ამის შემდეგ დიდხანს დავრჩი ქალაქში. მთელი დღეები ვიჯექი ლიკასთან პატარა, მტვრიან ბაღში, რომელიც მისი ქვრივი მამის შუაგულ ეზოში გაეშენებინათ, — მამა (უდარდელი, ლიბერალი ექიმი) ლიკას არაფერში არ ზღუდავდა. იმ წუთიდან, როცა ისტიდან ცხენი მოვაჭენე და ჩემი სახის დანახვისას ლიკამ ორთავე ხელი მკერდზე მიიდო, უკვე აღარ შეიძლებოდა იმის გარკვევა, ვისი სიყვარული უფრო ძლიერი, ბედნიერი, ანგარიშმიუცემელი გახდა — ჩემი, თუ მისი (მისი სიყვარულიც უცებ და საიდანღაც გაჩენილი). ბოლოს, ერთმანეთისთვის რომ თუნდაც ცოტა დასვენების საშუალება მიგ-

ვეცა, გადავწყვიტეთ დროებით განვშორებულიყავით. ეს აუ-ცილებელიც იყო, მით უფრო, რომ აზნაურთა სასტუმროში ნისიად ვცხოვრობდი და ყელამდე ვალებში ჩავეფალი. ამას გარდა წვიმებიც დაიწყო. მე განშორებას ყოველნაირად ვა-ჭიანურებდი, ბოლოს ძალა მოვიკრიბე და თავსხმაში გავე-მართე სახლისკენ. სახლში პირველად სულ მეძინა, ჩუმად დავბორიალობდი ოთახიდან ოთახში, არაფერს ვაკეთებდი, არაფერზე ვფიქრობდი. შემდეგ ფიქრები მომეძალა: რა ხდება ჩემს თავს, რით დამთავრდება ყოველივე? ერთხელ ჩემი ძმა ნიკოლოზი მოვიდა, ოთახში კარტუზის მოუხდელად დაჯდა და მითხრა:

— ამრიგად, ჩემო კარგო, შენი რომანტიკული ცხოვრება სვეკეთილად გრძელდება. ყველაფერი ძველებურადაა: „მივ-ყავარ ეშმაკს ცხრა მთას იქით", მაგრამ რა არის ამ ცხრა მთას იქით, ღმერთმა უწყის, მე ხომ ყველაფერი ვიცი, ბევრი რამ მსმენია, დანარჩენს თვითონ ვხვდები — ეს ამბები ყველა ერთი ყაიდისაა. ისიც ვიცი, რომ შენ ახლა ჯანსაღი განსჯის თავი არა გაქვს, მაგრამ მაინც: რას აპირებ შემდეგისთვის?

მე ხუმრობაშერევით ვუპასუხე:

— ყველას ჰყავს თაკისი ეშმაკი, მაგრამ საით მიერეკება ან რისთვის, რასაკვირველია, კაცმა არ იცის. ეს საღვთო წე-რილშიც კია ნათქვამი: „გასწი, ჰაბუკო, სიყმაწვილეში საი-თაც მიგიწევს გული შენი და საითაც იყურებიან თვალნი შენნი!"

ჩემი ძმა გაჩუმდა. იგი იატაკს დაჰყურებდა. გეგონებოდა შემოდგომის უსიცოცხლო ბაღში წვიმის ხმაურს აყურადებ-სო, შემდეგ ნაღვლიანად თქვა:

— მაშ, გასწი, გასწი...

მე დღენიადაგ ვეკითხებოდი თავს: რა ვქნა? ნათელი იყო, სახელდობრ, რა მექნა, მაგრამ რაც უფრო დაეინებით ვცდი-ლობდი საკუთარი თავის დარწმუნებას, რომ ხვალვე უნდა დამეწერა გაბედული, გამოსათხოვარი წერილი, — ეს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, ჩვენ ჯერ არც ისე დაახლოებულნი ვიყავით, — მით უფრო მიპყრობდა მისდამი სინაზე, მადლი-ერების გრძნობით მავსებდა მისი სიყვარული, უფრო აღტა-

ცებაში მოვყავდი მას, მისი თვალების მშვენიერებას, სახეს, სიცილს, ხმას... რამდენიმე დღის შემდეგ კი მწუხრისას, ეზოში მოულოდნელად გამოჩნდა თავიდან ფეხებამდე გალუმპული ცხენოსანი შიკრიკი, რომელმაც სველი დეპეშა მომიტანა; „მეტის მოთმენა არ შემიძლია, გელოდები“. განთიადამდე არ დამაძინა იმ თავბრუდამხვევმა აზრმა, რომ რამდენიმე საათში დავინახავდი ლიკას, გავიგონებდი მის ხმას...

ამგვარად, მთელი შემოდგომა ხან სახლში ვიყავი, ხან ქალაქში. გავყიდე უნაგირი, ცხენი, ქალაქში უკვე აზნაურთა სასტუმროს ნაცვლად შჩეპინის მოედანზე, ნიკულინას ფუნდუკში ვცხოვრობდი. ქალაქს-აბლა სრულებით არ ჰქონდა ის იერი, როგორიც ყრმობის წლებიდან დამამახსოვრდა. ყველაფერი უბრალოდ და ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, — მხოლოდ ხანდახან, უსპენსკის ქუჩაზე ბაღისა და გიმნაზიის გვერდით ჩავლისას, გონებაში რაღაც თითქოსდა სულის მაბლობელი, ოდესღაც განცდილი რამ კრთებოდა. უკვე დიდი ხანია ჩვეულებრივ ვეწევი, დავდივარ საპარიკმახეროში, სადაც ერთ დროს ასეთი ბავშვური მორჩილებით ვიჯექ და შუბლქვემოდან გავცქეროდი მაკრატლის შეუწყვეტელ კრაჭაკრუჭზე როგორ ცვიოდა ძირს ჩემი აბრეშუმივით რბილი თმა. ჩვენ სასადილო ოთახში დილიდან საღამომდე თითქმის ყოველთვის მარტოდმარტო ვისხედით თურქულ დივანზე: ექიმი დილითვე ტოვებდა სახლს, ლიკას გიმნაზიელი ძმა სასწავლებელში მიეშურებოდა, ნასაუზმევს ექიმი წაიძინებდა ხოლმე და ისევ სადმე მიდიოდა, გიმნაზიელი კი დაუდეგარი თამაშით, თავის წითელ ვოლჩოკთან სირბილით ერთობოდა, რომელიც ვითომდა ცოფდებოდა, ყეფდა და ენაგადმოგდებული არბი-ჩამორბოდა მეორე სართულის ხის კიბეზე. ერთ ხანს ამ ერთფეროვანმა ჯდომამ და, შესაძლებელია, ჩემმა გადაჭარბებულმა, უცვლელმა მგრძნობიარობამ თავი მოაწყინა ლიკას — ის საბაბს პოულობდა სახლს გასცლოდა, მეგობრებთან და ნაცნობებთან წასულიყო. მე კი დივანზე ვიჯექი და ვუსმენდი გიმნაზიელის ყვირილს, ხარხარს, ფეხების ბაკუნს, გააფთრებული ვოლჩოკის თეატრალურ ყეფას, ნახევრად ფარდაჩამოფარებულ ფანჯრებიდან მოწმენდილ ცას ცრემლმო-

რეული გავყურებდი და პაპიროსს პაპიროსზე ვეწეოდი... შემდეგ ლიკას კვლავ რაღაც დაემართა: წინანდებურად სახლში დაიბუდა, ისეთი ალერსიანი და გულკეთილი გახდა, რომ მისი ვეღარაფერი გავიგე. „რას იზამ, ჩემო კარგო, ჩანს ამგვარი ბედი მქონია!“ — მითხრა ერთხელ, სახე სიხარულით დაუნაოჭდა დ ატირდა. ეს მოხდა ნასაუზმევს, როცა სახლში ყველა ფეხის წვერებზე დადიოდა, რომ ექიმისთვის მოსვენება დაეცლიათ. „მე მხოლოდ და მხოლოდ მამა მეცოდება, მასზე ძვირფასი ქვეყნად არავინ გამაჩნია!“ — თქვა ლიკამ და, როგორც ყოველთვის, მამისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამაკვირვა. სწორედ ამ დროს, თითქოსდა განგებ, გიმნაზიელმა მოირბინა და დაბნეულად წაიბუტბუტა, რომ ექიმი მიხმობდა. ლიკა გაფითრდა. მე ხელზე ვაკოცე მას და გაბედულად მივაშურე მამამისს.

ექიმი ჩინებულად გამოძინებული და პირდაბანილი კაცის საამური სიხალისით შემხვდა, იგი ღიღინებდა და პაპიროსს ეწეოდა.

— ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, — მომმართა მან და შემომთავაზა მეც მომეწია, — დიდი ხანია თქვენთან მოლაპარაკება მინდოდა, — ალბათ იცით, რის შესახებ. კარგად მოგეხსენებათ, რომ მე განუსჯელი კაცი ვარ, მაგრამ ქალიშვილის ბედნიერება ჩემთვის დიდ რამეს ნიშნავს. სულით და გულით მებრალებით თქვენც, და ამიტომ ვილაპარაკოთ პირუთვნელად, როგორც მამაკაცებს შეეფერება. შეიძლება ეს ძალზე უცნაურიც კი იყოს, მაგრამ მე ხომ სრულებით არ გიცნობთ თქვენ, მითხარით, ვინა ხართ? — ღიმილით მკითხა მან.

მე წითელ-ყვითელმა ფერმა გადამკრა, ყოველნაირად ვცდილობდი პასუხი დამეყოვნებინა. ვინა ვარ? მინდოდა გოეთესავით ამაყად მეპასუხა (მაშინ სულ ახალი წაკითხული მქონდა ეკერმანი): „მე შეცნობილი საკუთარი არა მაქვს თავი. მაღალმა ღმერთმა დამიფაროს თვითშეცნობისგან“. მორიდებით კი ვუპასუხე:

— თქვენ იცით, რომ მე ვწერ... განვაგრძობ წერას, ჩემს თავზე მუშაობას...

და მოულოდნელად დავუმატე:

— შესაძლოა, მოვემზადო და უნივერსიტეტში შევიდე...

— უნივერსიტეტი, ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავი რამაა, — მომიგო ექიმმა, — მაგრამ საიმისოდ მომზადება ხუმრობა როდია. მერედა სახელდობრ რისთვის უნდა მოემზადოთ? მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი, სამსახურებრივი მოღვაწეობისათვის?

კვლავ ეშმაკი შემოიძვრა თავში — ისევ გოეთე: „მე ყოველთვის ამა ქვეყნის აუტანელი ცვალებადობის გრძნობით ვცხოვრობ... პოლიტიკა არასდროს არ შეიძლება პოეზიის საქმე იყოს...“

— საზოგადოებრიობა პოეტის საქმეს არ შეადგენს, — ვუპასუხე მე.

— მაშ, თქვენის აზრით, ვთქვათ, ნეკრასოვი პოეტი არაა? მაგრამ თქვენ თუნდაც ოდნავ მაინც ადევნებთ თვალყურს მიმდინარე საზოგადოებრივ ცხოვრებას, იცით, რით სულდგმულობს და რა აღელვებს დღესდღეობით ყველა პატიოსან და კულტურულ რუსს?

მე დავფიქრდი და წარმოვიდგინე ის, რაც ვიცოდი: ყველა ლაპარაკობს რეაქციაზე, საერობო უფროსებზე, იმის შესახებ, რომ „ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა დიდი რეფორმების ეპოქის ყველა კეთილი წამოწყებიდან“... რომ ტოლსტოი მოუწოდებს „მყუდრო სავანისკენ“... რომ ჩვენ ჭეშმარიტად ჩეხოვისებურ „ბინდში“ ვცხოვრობთ... გამახსენდა ტოლსტოველების მიერ გავრცელებული მარკოს ავრელიუსის პატარა წიგნი: „ფრონტონმა მასწავლა მე, რა გულქვაა არისტოკრატებად წოდებულ ადამიანთა სული...“ გამახსენდა დაღვრემილი მოხუცი ხოხოლი, რომელთანაც გაზაფხულზე დნეპრზე მივცურავდი; ვიღაც სექტანტი, სულ რომ თავის ყაიდაზე ჩაჭჩიჩინებდა პავლე მოციქულის სიტყვებს: „რომელმან ჰქმნა ქრისტეს თანა, რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით, და დაჰსუა მარჯუენით მისა ზეცათა შინა, უზესთაეს ყოველთა მთავრობათა, და ხელმწიფებათა, და ძალთა, და უფლებათა, და ყოველისავე სახელისა, რომელი სახელ-დებულ-არს არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა მას, რამეთუ არა

არს ბრძოლა ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის-მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთოისათა...“ მე ვიგრძენი ჩემი უკვე დიდი ხნის გატაცება ტოლსტოველობით, რომელიც ყველას ათავისუფლებდა ყოველგვარი საზოგადოებრივი ბორკილისაგან, ამასთან ერთად ჩემთვისაც საძულველ „სოფლის-მპყრობელთა ბნელისა ამის საწუთოისათას“ წინააღმდეგ ილაშქრებდა და ტოლსტოველობის ქადაგად დავვარდი.

— მაშ, თქვენის აზრით ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურებისაგან ხსნის ერთადერთი გზა ამ აბადაღებულ უმოქმედობასა და წინაღუდგომლობაშია? — გადაჭარბებული გულგრილობით მკითხა ექიმმა.

მე სწრაფად ვუპასუხე, რომ „მხოლოდ სრულიად განსაკუთრებული“ მოქმედებისა და წინააღმდეგობის მომხრე ვარ. ჩემი ტოლსტოველობა ჩამოყალიბდა იმ ძლიერ, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობათაგან, რომლებიც პიერ ბეზუხოვმა და ანატოლი კურაკინმა, „ხოლსტომერის“ თავადმა სერპუხოვსკიმ და ივან ილიჩმა შთამაგონა, მოსკოვის აღწერის შესახებ დაწერილ სტატიაში ნაჩვენებმა ქალაქის ჭუჭყისა და სიღატაკისა საშინელმა სურათებმა — „მაშ, რა ვქნათ“ და „განა ბევრი მიწა სჭირდება ადამიანს“, ბუნებაში, ხალხში ცხოვრების პოეტურმა ოცნებებმა, რომლებმაც „კაზაკები“ შემაქმნევინა და მალოროსიაში მიღებულმა ჩემმა საკუთარმა შთაბეჭდილებებმა გამიღვიძა: რა ბედნიერებაა — ჩამოიფერთხო მთელი ჩვენი ცოდვილი ცხოვრების ფერფლი და იგი სადმე ტრამალის ხუტორში, დნეპრის ნაპირას აგებულ თეთრ ქოხში პატიოსანი, შრომითი ცხოვრებით შეცვალო! ექიმს ამ ქოხის გარდა ყოველივე ამიდან ზოგი რამ ვუთხარი. იგი მისმენდა, როგორც ჩანდა, ყურადღებით, მაგრამ რაღაც მეტისმეტი შემწყნარებლობით. მას ძილმორეული თვალები წუთით ჩაუმუქდა და მთქნარების შემოტევით შეკრული ყბები აუტოკდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, მხოლოდ ცხვირში დაამთქნარა და თქვა:

— დიახ, დიახ, მე თქვენ გისმენთ... ესე იგი, პირადად თქვენთვის, ასე ვთქვათ, „ამა ქვეყნის“ არავითარ სიამეს არ

ეძებთ? მაგრამ ხომ არის აგრეთვე პირადის გარდა სხვა რამეც. მე, მაგალითად, დიდად არ მაღფრთოვანებს ხალხი, სამწუხაროდ, კარგად ვიცნობ მას და მაინცდამაინც არა მწამს, რომ ის ყოველგვარი სიბრძნის საწყისი და წყაროა და რომ მე ვალდებული ვარ მასთან ერთად სამ ვეშაპზე დავამკვიდრო დედამიწა, მაგრამ მაინც, ნუთუ არაფრითა ვართ დავალებული მისგან და არაფერი გვმართებს მისი? თუმცაღა თავს ნებას არ ვაძლევ ამ მხრივ ჭკუა დაგარიგოთ. მე, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მოხარული ვარ, რომ ვისაუბრეთ. ახლა კი დავუბრუნდები იმას, საიდანაც დავიწყე. გეტყვით მოკლედ და, მაპატიეთ, ფრიად მტკიცედ. როგორი გრძნობებიც არ უნდა არსებობდეს თქვენსა და ჩემს ქალიშვილს შორის და განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, წინდაწინ გეუბნებით: ის, რა თქმა უნდა, სავსებით თავისუფალია, მაგრამ თუ მოისურვებს, მაგალითად, რაიმე მყარი კავშირი გაბას თქვენთან და ამაზე, ასე ვთქვათ, ჩემს ლოცვა-კურთხევას მოითხოვს, ცივ უარს მიიღებს. თქვენდამი ძალზე სიმპათიურად ვარ განწყობილი. კისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს, მაგრამ ეს ასეა. რატომ? გიპასუხებთ სავსებით ობივატელურად: არ მინდა უბედურებაში, გასაჭირში, უსასოო მდგომარეობაში გნახოთ ერთიცა და მეორეც. შემდეგ, ნება მიბოძეთ სრული გულახდილობით ვილაპარაკო: რა გაქვთ თქვენ საერთო? გლიკერია მშვენიერი გოგონაა და, რაღა დასამალია, საკმაოდ ცვალებადი ხასიათისა, — დღეს ეს იტაცებს, ხვალ სხვა, — ოცნებობს, რასაკვირველია, არა ტოლსტოის მყუდრო სავანეზე, — აბა, ერთი დააკვირდით, როგორ იცვამს მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოყრუებულ ადგილას ვცხოვრობთ. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ იგი უზნეოა, უბრალოდ ვფიქრობ, რომ, როგორც იტყვიან, სრულებით არაა თქვენი შესაფერისი...

ლიკა კიბის ქვევით მელოდა, მან შემკითხველი და ავისმომლოდინე თვალები მომაპყრო. მე აჩქარებით გადავეცი ექიმის უკანასკნელი სიტყვები. ლიკამ თავი დახარა.

— ჰო, მის ნებას არასოდეს არ გადავალ, — თქვა მან.

V

ნიკულინას ფუნდუკში ცხოვრებისას გარეთ ხანდახან გამოვყოფდი თავს და უმიზნოდ დავეხეტებოდი შჩეპინის მოედანზე, შემდეგ მონასტრის უკან გაშლილ ცარიელ მინდვრებში, სადაც ძველი კედლებით შემოზღუდული ვეება სასაფლაო იყო. იქ მხოლოდ ქარი დაჰქროდა — ირგვლივ სევდა და დუმილი, ჯვრებისა და საფლავების ქვათა, მივიწყებულთა და ზიტოვებულთა საუკუნო ძილი, რაიმეზე შექმნილი ბუნდოვანი, ყოველივესგან ძოწყვეტილი აზრის მაგვარი რაღაც ამაოება სუფევდა. სასაფლაოს ჭიშკარზე გამოსახული იყო განხმული სამარხებით მთლად გადათხრილი უსაზღვრო ნაცრისფერი დაბლობი, რომელზეც ცერად დაშვებული საფლავის ქვები, მათ ქვემოდან წამომართული კბილებდაკრეჭილი, ნეკნებშიშველი ჩონჩხები და ღია-მწვანე სუდარებში გახვეული უხსოვარი დროის ბერ-მონაზვნები ჩანდა; დაბლობს ვეება ანგელოზი დასტრიალებდა თავს, მას მუხლებში მოეხარა ქალწულური შიშველი ფეხები, გრძელი, ცარცისფერი ტერფები უკან აესროლა, ზოლ-ზოლად მიაფრიალებდა თავის მქრქალ-ლურჯ სამოსს და ბაგეებთან მიტანილ საყვირს ახმიანებდა... ფუნდუკში მაზრის დამახასიათებელი შემოდგომის მყუდროება მეფობდა, აქაც სიცარიელე იყო — სოფლიდან ჩამოსულთაგან თითქმის არავინ ჩანდა. მე ვბრუნდებოდი, შევდიოდი ეზოში — საჩიხიდან მამაკაცის ჩექმებში ფეხწადგმულ მზარეულ ქალს მამალი გამოჰყავდა: „აი, სახლში მიმყავს, — ამბობდა და თან რაღაცაზე ეცინებოდა, — სიბერემ მთლად გამოაჩერჩეტა, დაე. დღეიდან ჩემთან დაიდოს ბინა...“ ავდიოდი ფართო ქვის პარმაღზე, გავივლიდი ბნელ დერეფანს, შემდეგ ტახტებიან თბილ სამზარეულოს და ოთახებში გავდიოდი, — აქ დიასახლისის საწოლი ოთახის გარდა იყო სხვა ოთახიც, სადაც ორი დიდი დივანი იდგა, — იშვიათად მოსულ მედაბურთა და სამღვდელო პირთა სარეცელი, უფრო ხშირად კი მარტო ჩემი. სიჩუმეა, სიჩუმეში საწოლ ოთახში დიასახლისის მაღვიძარას მწყობრი წიკწიკი ისმის... „გაისეირნეთ?“ — ალერსით, ნაზი, შემწყნარებელი ღიმილით მეკითხება დიასახ-

ლისი იქიდან გამოსვლისას. რა მომხიბვლელი, ჰარმონიული ხმაა! იგი ჩასუქებული, მრგვალი პირისახის ქალი გახლდათ. ხანდახან არ შემეძლო მშვიდად მეცქირა მისთვის, განსაკუთრებით საღამოობით, როცა ობანოდან მთლად სახეაღაჟღაჟებული ბრუნდებოდა, ჯერ კიდევ შეუმშრალი, მუქი თმებითა და მოჟუჟუნე, მიბნედილი თვალების კრთომით. თეთრ საღამურ ზედატანში ლაღად, ნებიერად იჯდა სავარძელში, დიდხანს სვამდა ჩაის და თავის სუფთა სხეულს განასვენებდა. მისი საყვარელი, აბრეშუმივით რბილბეწვიანი, თვალებგიზგიზა თეთრი კატა კი მის ოდნავ გაშლილ ფაშფაშა მუხლებზე კრუტუნებდა. გარედან რაკუნი ისმოდა: მზარეული მაგარ, მჭიდროდ შეკრულ დარაბებს კეტავდა ქუჩიდან და ფანჯრის გვერდებზე გაკეთებულ ხვრელებში ხმაურით ჰყოფდა დამუხლული ურდულის თავტაბიკებს, რაც რაღაც ძველ, საშიშ დროს აგონებდა კაცს. ნიკულინა დგებოდა, თავტაბიკების ბოლოებში რკინის სოლებს უყრიდა, მერე ისევ ჩაის უჯდებოდა და ოთახში უფრო მეტი სიმყუდროვე ისადგურებდა... ამ დროს უცნაური გრძნობები და აზრები მეუფლებოდა: მივატოვებ ყველაფერს და სამუდამოდ დავსახლდები აქ, ამ ფუნდუკში, ვიძინებ მის თბილ საწოლ ოთახში, მაღვიძარას რიტმულ წიკწიკში! ერთი დივანის თავზე სურათი ეკიდა: საოცრად მწვანე, ერთიან კედლად აღმართული ტყე, იქვე ძელური, ძელურის გვერდით კი — თვინიერად მოხრილი ბერიკაცი, რომელსაც ასევე თვინიერი, მშვიდი, დამცხრალი წაბლისფერი დათვის თავზე ხელი დაედო; მეორის ზემოთ ჩანდა კუბოში ჩაწოლილი, მედიდური, თეთრი პირისახის, შავსერთუკიანი მოხუცის — ნიკულინის გარდაცვლილი ქმრის ფოტოგრაფიული პორტრეტი, რაც სრულიად შეუსაბამო იყო იმათთვის, ვინც იქ უნდა წოლილიყო ან მჯდარიყო. სამზარეულოდან შემოდგომის ხანგრძლივ საღამოსთან ხმაშეწყობილი, ხშირი კაკუნი და გაბმული სიმღერა ისმოდა: „ეკლესიასთან იდგა კარეტა, იყო ქორწილი შინ და გარეთა...“ ეს გარეუბნის დღიურად მომუშავე მედაბური ქალები მღეროდნენ და ბასრი საკეპავი დანებით საზამთროდ ახალი კომბოსტოს მაგარ თავებს ჭრიდნენ. ყოველივე ამაში — მედაბურთა სიმღერაში,

ბათ მწყობრ კაკუნში, ძველ ნათხაპნ სურათში, თვით მიცვალებულშიც კი, რომლის სიცოცხლე თითქოსდა ისევ გრძელდებოდა ფუნდუკის ამ უაზროდ ბედნიერ ცხოვრებაში — რაღაც ტკბილი და მწარე ნაღველი იყო...

VI

ნოემბერში სახლს მივაშურე. გამოშშვიდობებისას დავთქვით ორიოლში შევხვედრილიყავით: ლიკა პირველ დეკემბერს წავიდოდა იქ, მე კი, უხერხულობა რომ არ შექმნილიყო, ერთი კვირით გვიან. მაგრამ პირველი დეკემბრის ცივ, მთვარიან ღამეს პისარევოში გავვარდი, რომ სწორედ იმ მატარებელში ჩავმჯდარიყავ, რომლითაც იგი ქალაქიდან უნდა გამოსულიყო. ო, როგორ ვხედავ, რარიგ ვგრძნობ ამ ზღაპრულ, განსაცვიფრებელ ღამეს! აი, გზაზე ვარ ბატურინსა და ვასილევსკოეს შუა, ტრიალ, თოვლით დაფარულ ველში. ცხენები მიქრიან, ხელნაში შებმული, გეგონება ერთ ადგილზე იხრება რკალადო, სწრაფი ჩორთით მიიწევს წინ, გვერდითა მწყობრად მიანავარდებს გავას, მაღლა ისვრის თეთრად მოქათქათე ნალებით დაჭედილ ფეხებს და თოვლის კორიანტელს აყენებს ჰაერში... იგი დროდადრო გზას სცდება. ზღართანს ადენს ღრმა თოვლში, იკლაკნება ჩამოვარდნილ ღვედებთან ერთად, ჩქარობს, ფაფხურობს, შემდეგ კვლავ ჯიუტად დგება და ისევ მიქრის, თავგამეტებით ეწევა საბმურს... ყველაფერი მიქრის, მიიჩქარის და ამასთან, თითქოს დგას და გველოდება: შორით, მთვარის შუქზე უძრავად ჩანს და ვერცხლისფერი ედება თოვლის ახორკლილ, მოყინულ ზედაპირს, თეთრად იფერება ყინვით ფერგამკრთალი, ძირს გადმოხრილი უძრავი მთვარე, ფართოდ, მისტიურ-ნაღვლიანად რომ შემოჭდობია მოციაგე, მუქი ბეჭედი. მაგრამ ყველაზე უმოძრაო მე ვარ, ამ რბოლასა და უძრაობაში გაშეშებული, გარკვეულ დრომდე მისი მორჩილი, მოლოდინით გარინდებული და ამასთან რომელიღაც მოგონებაში მშვიდად მომზირალი: სწორედ ასეთი ღამე და ასეთივე გზაა ვასილევსკოეში, მხოლოდ ეს ჩემი პირველი ზამთარია ბატურინში და

მე ჯერ კიდევ უბიწო, უცოდველი, გახარებული ვარ — ახალგაზრდობის პირველი დღეების სიხარულით, ვასილევსკოედან წამოღებული ამ ძველთაძველი ტომების, მათი სტანსების, ეპისტოლეთა, ელეგიათა და ბალადების სამყაროში პირველი პოეტური გატაცებებით:

მიჰქრიან, ირგვლივ სიმარტოვეა,
სვეტლანას თვალებში სტეპი...

„სადაა ახლა ეს ყოველივე!“ — ვფიქრობ და განცვიფრებული სულ რაღაცის მოლოდინში ვარ. „მიქრიან, ირგვლივ სიმარტოვეა“, — ვამბობ ჩემთვის ამ რბოლასთან ხმაშეწყობით (მოძრაობის რიტმში, ჩემზე რომ მუდამ ასეთი მომჯადოებელი ძალა აქვს) და თავი დათვის ქურქსა და მაგარი ტყავის თავმოსართავში აღჭურვილ ძველ, გულად, სადღაც მიმქროლავ მგზავრად მეჩვენება, სინამდვილეს მხოლოდ კოფოზე მდგომი, ჯუბაჩის ზემოთ არმიაკმოცმული, დათოვლილი მეეტლე, და კოფოს ქვეშ ჩემს გათოშილ ფეხებზე დაყრილი, გაყინული, აშმორებული, თოვლის ნამქერით დაფარული შვრიის ნამჯა მაგონებს... ვასილევსკოეს იქით დალმართში დაქანებისას შუალა ცხენი დაეცა და ხელნა გატეხა, — სანამ მეეტლე ხელნას გადააბამდა, მე ჩემი დამემართა, რადგან მატარებელზე ვიგვიანებდი, როგორც კი მიველ, უკანასკნელი ფულით ვიყიდე პირველი კლასის ბილეთი, — ის პირველი კლასით მგზავრობდა, — და ბაქანზე გავიჭერი. მახსოვს სუსხიანი ორთქლით შებურული მთვარის შუქი, რომელშიც ბაქანის ფარნებისა და სატელეგრაფოს ყვითელი სინათლე ირეოდა. მატარებელი უკვე ახლოვდებოდა, მე დაბინდულ, თოვლიან შორეთს გავყურებდი და ვგრძნობდი, რომ ყინვითა და უამური, შინაგანი თრთოლვით სუნთქვა შემეკრა. გაისმა ზარის მოულოდნელი, გუგუნა ხმა. ყურისწამღებად აჭრიალდა და არახუნდა გასასვლელები, ატყდა სადგურიდან გამომავალი ხალხის ჩქარი ნაბიჯების ხშირი და ძძაფრი ტაკატუკი — და შორს შავად აილანდა კიდეც რაღაცნაირად აფხორილი ორთქლმავალი, გამოჩნდა მისი მძიმე ქშინვის თანხლებით ნელ-ნელა მომავალი მკრთალი წითელი სინათლეების უცნაური სამკუთხედი... ქოშინით, ჭრიალით,

ოხვრით, დიდის ჭაპანწყვეტით ჩამოდგა გაყინული, თოვლში გახვეული მატარებელი... მე ვაგონის წინა დერეფანში შევვარდი, კარები გავაღე — ის მთელ ვაგონში მარტოდმარტო, ფარნების ალუბლისფერი ფარდით დაფარულ სიბნელეში ქურთუკმოხურული იჯდა და პირდაპირ ჩემსკენ იყურებოდა...

ვაგონი იყო ძველი და მაღალი, სამ წყვილ თვალზე შემდგარი; სვლის დროს ერთთავად რახრახებდა და ბორძიკობდა; აწყდებოდა აქეთ-იქით, აჭრიალებდა კარებსა და კედლებს, ნაცრისფერ ალმასებად ციაგობდა მისი შეყინული მინები... ჩვენ უკვე სადღაც შორს ვიყავით, იყო შუაღამე... ყველაფერი როგორღაც თავისთავად, ჩვენდა უნებურად, ჩვენი ცნობიერების გარეშე მოხდა... იგი ანთებული, ამღვრეული სახით წამოდგა, თმები გაისწორა, თვალები დახუჭა და პირგამეხებული დაჯდა კუთხეში...

VII

ზამთარი ორიოლში გავატარეთ.

როგორ გამოვხატო ის გრძნობა, რომლითაც დილით ვაგონიდან გადმოვედით და რედაქციაში შევედით ამ ახალი, საშინელი სიახლოვით საიდუმლოდ დაკავშირებულნი!

მე პატარა სასტუმროში დავსახლდი, იგი ძველებურად ავილოვას შეეკედლა, მთელ დღეს თითქმის იქ ვატარებდით, სანუკვარ საათებს კი — სასტუმროში.

ეს იყო ხორციელად და სულიერად რაღაც მძიმე, მომქანცველი ნეტარება.

მახსოვს: ერთ საღამოს საიგურაოდ იყო წასული, მე რედაქციაში ვიჯექი და ვმუშაობდი, — იქ უკვე ცოტ-ცოტა სამუშაოს, გარკვეულ გასამრჯელოს მაძლევდნენ, — სახლში სიცარიელე და მყუდროება მეფობდა, ავილოვა რომელიღაც კრებაზე წავიდა, საღამოს ბოლო არ უჩანდა, ქუჩის ფარანი ნაღვლიანად და დუნედ ენთო ფანჯარასთან, გამვლელთა მოახლოებული და დაშორებული ნაბიჯები, მათი ჭრაჭუნი თოვლზე თითქოსდა რაღაცას მტაცებდნენ, რაღაც მიჰქონდათ ჩემგან; გულში ნაღველს, აღშფოთებას, ეჭვებს დაებუდები-

ნათ, — მე აქ მარტოდმარტო მხოლოდ მისი გულისთვის ვუ-ზივარ ამ სულელურ, ჩემთვის შეუფერებელ სამუშაოს, ის კი სადღაც, შავი ნაძვებით და თოვლის თეთრი ზვინულით გარ-შემორტყმულ, პოლკის მუსიკით ახმაურებულ და იასამნის-ფერი დოლბანდის შუქში გახვეულ მოყინულ გუბურაზეა, შავი, მოქანავე ფიგურებით რომ მოფენილა, — იქ მხიარუ-ლად გრძნობს თავს... უეცრად ზარის ხმა გაისმა და ოთახში ლიკა შემოიჭრა. ნაცრისფერ კოსტუმსა და ბეწვის ქუდში გამოწყობილს ხელში ციგურები ეჭირა; მისმა ახალგაზ-რდულმა სიხალისემ, ყინვით ალეწილი სახის სილამაზემ და კრთომამ ყოველივე ერთბაშად აავსო სიხარულით. „ო, რო-გორ დავიღალე!“ — თქვა მან და თავის ოთახში გავიდა, მე უკან გავყევი. ლიკა დივანზე დაეშვა და მოთენთილობის გა-მომხატველი ღიმილით გადაწვა ზედ, ციგურები ისევ ხელში ეჭირა. მე მტანჯველი და უკვე ჩვეული გრძნობით ვუცქერო-დი ზონარით შეკრულ მის მაღალ ფეხის ზურგს, ნაცრისფერ წინდაშემოსხეპილ ფეხს, მოკლე, ნაცრისფერივე ქვედატანი-დან რომ ჩანდა, — მარტო ეს მკვრივი შალის ქსოვილიც კი სულს მიფორიაქებდა, — დავიწყე საყვედურები, — ჩვენ ხომ მთელი დღე არ გვინახავს ერთმანეთი! — შემდეგ უცებ შევ-ნიშნე, რომ მას ეძინა, გულს სინაზისა და სიბრალულის სულ-ში ჩამწვდომი გრძნობა დაეუფლა... როცა გამოიღვიძა, ალერ-სითა და ნაღველით მიპასუხა: „მე თითქმის ყველაფერი მეს-მოდა, ნუ გამიჯავრდები, საერთოდ ძალზე დავიღალე, მე ხომ საკმაოდ ბევრი რამ გადავიტანე წელს!“

VIII

ორიოლში ცხოვრების საბაბი რომ ჰქონოდა, მან მუსიკის სწავლა დაიწყო. საბაბი მეც მოვძებნე — „ხმაში“ მუშაობა. პირველად ეს მახარებდა კიდეც; მახარებდა თუნდაც ჩემს არსებობაში დამკვიდრებული ერთგვარი წესიერება, მამშვი-დებდა ზოგი ვალდებულება, რომელიც ჩემს ყოველგვარ ვალ-დებულებას მოკლებულ ცხოვრებაში შემოვიდა. შემდეგ სულ უფრო მიელვებდა თავში: ნუთუ ასეთ ცხოვრებაზე ვოცნე-ბობდი! აი, მე შესაძლოა ყველაზე საუკეთესო ხანაში ვარ, რო-

ცა მთელ ქვეყანას უნდა ვფლობდე, მე კი რასა ვფლობ? ვთქვათ ყოველივე ეს აჭამდის იყო, ახლა? რა მელის მომავალში? უკვე მეჩვენებოდა, რომ ჩვენს ურთიერთ სიახლოვეშიც. ჩვენი გრძნობების, აზრების, გემოვნების თანხმობაშიც დიდი ხანია ყველაფერი რიგზე ვერაა: ეს „მარადისი უთანხმოება სინამდვილეს და ოცნებას შორის“ სიყვარულის მთლიანობისა და ერთსულოვნების მარადიული განუხორციელებლობა იმ ზამთარს განვიცადე, როგორც სრულიად ახალი და ჩემს მიმართ თითქოსდა საშინლად უკანონო რამ.

ყველაზე მეტად ბალზე, სტუმრად ყოფნისას ვიტანჯებოდი. როცა ის მოხდენილ, მკვირცხლ მამაკაცთან ცეკვავდა და მის კმაყოფილებას, გამოცოცხლებას, მისი ფეხებისა და ქვედატანის სწრაფ მოძრაობას ვუმზერდი, მუსიკა თავისი ხალისიანი ხმოვანებით, ვალსებით მტკივნეულად მხვდებოდა გულზე და ცრემლის საფრქვევად მეწეოდა. მას ყველა აღტაცებით უცქეროდა ტურჩანინოვთან — იმ, შავი ნახევარქილვაშებით და უსიცოცხლო ჩაღამებული თვალებით შემკულ, მოგრძო, მქრქალი — შავგვრემანი სახის წოწოლა ოფიცერთან რომ ცეკვავდა. ლიკა საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ ოფიცერი მაინც მასზე ტანადი ჩანდა და, როცა მჭიდროდ ხელმოხვეული დიდხანს მსუბუქად ატრიალებდა მას, ზემოდან რაღაცნაირი დაჟინებით დაჰყურებდა, ლიკას კი მისკენ აღეპყრო სახე, რომელზეც ერთგვარი ბედნიერებაც და უბედურებაც, მშვენიერი და ამასთან ერთად ჩემთვის უსაზღვროდ საძულველი რამ გამოსახვოდა. ო, როგორ ვეევედრებოდი მაშინ ღმერთს, რაღაც წარმოუდგენელი რამ მომხდარიყო, — ოფიცერი უცებ დახრილიყო, ეკოცნა მისთვის და ამით იმწამსვე დაედასტურებინა ავი მოლოდინი, ჩემი სულის მწუხარე შფოთვა!

— შენ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ, გინდა ყველაფერი შენებურად იყოს,—მითხრა მან ერთხელ,—შენ უსათუოდ, სიამოვნებით მომისპობდი ყოველგვარ პირად ცხოვრებას, ყოველგვარ საზოგადოებას, გამომთიშავდი ყველასაგან. როგორც შენ ხარ გამოთიშული...

და მართლაც: რაღაც იდუმალი კანონის ძალით, რომელიც ყოველგვარ სიყვარულში, განსაკუთრებით კი ქალისადმი

სიყვარულში შებრალების, გულშემატკივარი სინაზის გრძნობას მოითხოვდა, მე ვერაფრით ვერ ვიტანდი, — განსაკუთრებით ხალხის წინ, — მისი მხიარულებისა და გამოცოცხლების წუთებს, მოწონებისა და თავის გამოჩენის სურვილს, მაგრამ ძალზე მიყვარდა მისი უბრალოება, სიწყნარე, უმწეობა, ცრემლები, რომელთა გამოც მაშინვე ბავშვივით ებურცებოდა ტუჩები. საზოგადოებაში უმეტესად თავი განმარტოებით, უკეთურ მეთვალყურედ მეჭირა, გულში ვხარობდი კიდეც ამ განკერძოებითა და არაკეთილმოსურნეობით, რითაც უფრო მძაფრი შთაბეჭდილებები მექმნებოდა, უფრო ნათლად, გარკვევით ვამჩნევდი ხალხის ყოველგვარ ნაკლს. სამაგიეროდ როგორ მინდოდა ლიკასთან სიახლოვე და როგორ ვიტანჯებოდი, ამას რომ ვერ ვახერხებდი! მე ხშირად ლექსებს ვუკითხავდი მას.

— მისმინე, ეს გასაოცარია! — ვიძახდი მე. — „განაელტე სული ჩემი აბობოქრებულ მხარეს, სადაც სევდაა ვით წარაფიანზე მთვარე!“

მაგრამ ლიკა გაოცებას არ გამოხატავდა.

— ჰო, ძალზე კარგია, — წყნარად, უგულისყუროდ ამბობდა იგი, თავქვეშ ხელებამოდებული ნებიერად რომ წამოწოლილიყო დივანზე და ცერად მიცქეროდა, — მაგრამ რატომ „ვით წარაფიანზე მთვარე?“ ეს ფეტი არაა? მას საერთოდ ჭარბად აქვს ბუნების სურათები.

მე ბრაზი მიპყრობდა: ბუნების სურათები! ვუმტკიცებდი, რომ ჩვენგან გამოთიშული არავითარი ბუნება არ არსებობს, რომ ჰაერის ყოველი უმნიშვნელო მოძრაობა ჩვენი საკუთარი სიცოცხლის მოძრაობაა, ის კი იცინოდა.

— ასე მარტო ობობები ცხოვრობენ, ძვირფასო!

მე ვკითხულობდი:

> რა მოწყენაა! ხეივნის ბოლო
> დილიდან ისევ დაინთქა მტვერში,
> და ვერცხლისფერი გველების რემა
> კელავინდებურად გაკრთა ნამქერში...

ის მეკითხებოდა:

— როგორი გველები?

და საჭირო იყო ამეხსნა, რომ ეს ქარბუქია, მიწისპირა ქარია.

მე გაფითრებული ვკითხულობდი:

> დახურულ ეტლში ღამე მსუსხავი
> აცეცებს თავის ამღვრეულ თვალებს...
> მთა-ტყის გადაღმა, ღრუბლების ნისლში
> მთვარის მწუხარე ლანდი ელვარებს...

— მე ხომ, ძვირფასო, არასდროს არ მინახავს ყოველივე ეს! — ამბობდა იგი.

ახლა უკვე ჩუმი საყვედურით ვკითხულობდი:

> ღრუბლებში ატანს მზის სხივები შორი და მწველი,
> ხაზავდი სილას, სილა იყო თვალისმომჭრელი...

იგი მოწონებით მისმენდა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისე წარმოედგინა, თითქოს ბაღში თავად იჯდა და ლამაზი ქოლგით ხაზავდა სილაზე.

— ეს მართლაც მშვენიერია, — თქვა ლიკამ, — მაგრამ გვეყოფა ლექსები, მოიწი აქეთ... შენ კიდევ უკმაყოფილო ხარ ჩემით!

მე ხშირად ვუამბობდი მას ჩემი ბავშვობის, ადრეული ახალგაზრდობის, ჩვენი ეზო-კარის მშვენიერების, დედის, მამისა და დის შესახებ: იგი დაუნდობელი გულგრილობით მისმენდა. მე მწუხარებას, გულის აჩუყებას ველოდი მისგან, როცა ვუყვებოდი ჩვენს ოჯახში ხანდახან არსებულ ხელმოკლეობაზე, — იმის შესახებ, მაგალითად ერთხელ როგორ მოვხსენით ყველა ხატს მთელი ძველებური მოჭედილობა და ქალაქ მეშჩერინოვოში დასაგირავებლად წავუღეთ მარტო მცხოვრებ, საკვირველი აღმოსავლური იერის, ცხვირკეხიან, ულვაშა, თვალებდაშრეტილ, შალით და ბეჭდებით მორთულ ბებრუხანა ქალს, რომლის გამოყრუებულ, ყოველგვარი სამუზეუმო ნივთებით გამოჭედილ სახლში მთელი დღე გამყივანი, შემაზრზენი ხმით კიოდა თუთიყუში; და რა ვნახე სევდისა და გულის აჩუყების მაგიერ?

— ეს საშინელებაა, — უგულისყუროდ ამბობდა იგი.

რაც უფრო დიდხანს ვცხოვრობდი ქალაქში, მით უფრო გვრძნობდი, რომ აქ რატომღაც სრულიად ზედმეტი ვიყავი,

ავილოვამაც შეიცვალა ჩემდამი დამოკიდებულება, — უკარება და დამცინავი გახდა; რაც უფრო უსიცოცხლო და მოწყენილ იერს იღებდა ჩემი ქალაქური ცხოვრება, მით უფრო ხშირად მინდოდა ლიკასთან მარტო ვყოფილიყავ, რაიმე წამეკითხა, მეამბნა, აზრი გამომეთქვა. სასტუმროში ვიწრო, უსიამო ოთახი მეჭირა, საშინელ მოწყენილობას ვასადგურებდით მე, ჩემი პატარა ჩემოდანი და რამდენიმე წიგნი, ჩემს ავლა-დიდებას რომ შეადგენდა, მარტოდ გატარებული ღამეები — ისე სულ-შემხუთველნი და ცივნი, რომ არაქათს მაცლიდნენ და დაძინებას ვერ ვახერხებდი, ძილ-ღვიძილში ველოდი განთიადს, მახლობელ სამრეკლოზე ზამთრის სუსხიან ჰაერში ზარის პირველ ახმიანებას. ლიკასაც ვიწრო ოთახი ჰქონდა, იგი დერეფნის ბოლოს კიბის გვერდით მეზონინში ცხოვრობდა, სამაგიეროდ ოთახის ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდა, იყო კარგად მორთული, მყუდრო და თბილი; დაბინდებისას ღუმელი ენთო, ლიკას ხომ, თავის საოცრად მშვენიერ ფეხსაცმელებს რომ გაიხდიდა, დივანის ბალიშებზე უჩვეულო ნეტარებით წოლა ემარჯვებოდა ოთხად მოკუნტულს. მე ვკითხულობდი:

ისმის ღამეულ ქარბუქის ქშენა,
უდაბურ ტყიანს აკრთობს ქშატინი,
ერთმანეთის წინ დავსხედით ჩვენა,
ფიჩხი იწვება ცეცხლზე შიშანით...

მაგრამ მთელი ეს ქარბუქი, ტყეები, მინდვრები, ცეცხლის, საცხოვრებლის, მყუდროების მძაფრი პოეტური განცდა სრულიად უცხო იყო მისთვის.

მე დიდხანს მეგონა, რომ საკმარისი იყო მეთქვა: „გინახავს ეს შემოდგომის დატკეპნილი, მაგარი, ლილისფერი რეზინის მსგავსი, ნალის კბილებით დაჩეხილი და შუადღის მზით თვალისმომჭრელ ზოლად აელვებული გზები?“ რომ მისი აღტაცება გამომეწვია. მე მას მოვუყევი, ერთხელ, შემოდგომის მიწურულს როგორ წავედი ძმასთან, გიორგისთან ერთად მოსაჭრელი არყის ხის საყიდლად: სამზარეულოში ჭერი ჩამოგვენგრა და კინაღამ იმსხვერპლა ჩვენი ყოფილი ღრმად მოხუცი მზარეული, რომელიც იქ მუდამ ღუმელზე იწვა. არყის ხე საკუჭედ გვინდოდა. გადაუღებლად წვიმდა (მზიანი ციდან სწრაფი,

წვრილ-წვრილი წვეთები ცვიოდა), ფორანში ჩვენთან ერთად გლეხები ისხდნენ და ჩორთით მიედიოდით ჯერ მთავარ გზაზე, შემდეგ კი ტყიანში, რომელიც ამ ათინათებულ წვიმისა და მზის ელვარებაში, ჯერ კიდევ მწვანე, მაგრამ უკვე უსიცოცხლო, წყლით დატბორილ მოლში, განსაცვიფრებელი სილაღით, სილამაზითა და სიმშვიდით იდგა... მე ვთქვი, რარიგ შემეცოდა ეს მხრებგაშლილი, წვრილ ჟანგისფერი ფოთლებით დაფარული არყი, როცა გლეხებმა ბაჯბაჯით, უხეშად შემოუარეს, ახედ-დახედეს, შემდეგ დაკორძილ. ტლანქ ხელისგულებზე დაიფურთხეს, ნაჯახებს მისწვდნენ და ერთდროულად დაჰკრეს თეთრად და შავად აპრელებულ მის ტანს... „ვერ წარმოიდგენ, რა საოცრად სველი იყო ირგვლივ ყოველი, რარიგ ელავდა და ლივლივებდა!“ — ვამბობდი მე და იმით დავამთავრე, რომ გამოვტყდი ამაზე მოთხრობის დაწერას ვაპირებ-მეთქი. მან მხრები აიჩეჩა:

— რა არის აქ სამაგისო, ჩემო კარგო! მთელი ბუნება უნდა აღწერო!

ჩემი ერთ-ერთი ყველაზე რთული და ტანჯვის მომგვრელი სიამოვნება მუსიკა იყო. ო, რარიგ მიყვარდა ლიკა, როცა რაიმე კარგს უკრავდა! რა ზეაღმტაცი სინაზე მეუფლებოდა! რარიგ მსურდა დიდხანს, დიდხანს მეცოცხლა! როცა მუსიკას ვუსმენდი, ხშირად ვფიქრობდი: „ჩვენ თუ ოდესმე განვშორდით, ამას როგორ მოვისმენ უმისოდ! როგორ მეყვარება, როგორ გამახარებს რამე, თუ ამ სიყვარულსა და სიხარულს მას არ გავუზიარებ!“ მაგრამ რაც არ მომწონდა, ისე თავშეუკავებლად ეკიცხავდი, ლიკა წონასწორობას კარგავდა:

— ნადია!—გასძახოდა ავილოვას, კლავიშებს თავს ანებებდა და სწრაფად ბრუნდებოდა მეზობელი ოთახისკენ.—ნადია, უსმინე ერთი რას მიედ-მოედება!

— ასეც ვიზამ! — ვიძახოდი, მე, — ამ თვითეული სონატის სამი მეოთხედი უხამსობა, ღრიანცელი და ალიაქოთია! ოჰ, აქ საფლავის ნიჩბის წკარუნი ისმის! ოჰ, აქ მოლზე ფერიები ცეკვავენ, იქ კი ჩანჩქერები გუგუნებენ! ეს ფერიები ერთ-ერთი ყველაზე საძულველი სიტყვაა ჩემთვის! საგაზეთო „ეჰვ გარეშეაზე“ უარესია!

ლიკას თავი მოჰქონდა თეატრის უზომო სიყვარულით, მე

კი თეატრი მძულდა, სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ მსახიობთა უმრავლესობის ნიჭიერება სხვებთან შედარებით წარმოადგენდა დიდ უნარს ყოფილიყვნენ უხამსნი, თავი სხვებზე უკეთ მოეჩვენებინათ, ყველაზე საძაგელ შემომქმედებად და მხატვრებად. ერუანტელს მგვრიდა აბრეშუმის ხახვისფერ თავსაკრავებსა და თურქულ შალში გახვეული, ერთი და იგივე ამპარტავნული გულმოდგინებით უკან გადახრილი ეს მუდმივი მაჭანკლები, უსათუოდ მკერდზე, გრძელკალთებიანი სერთუკის გვერდითა ჯიბესთან, გაფშეკილი მარცხენელი რომ მიედოთ და ტიტ ტიტიჩების წინაშე პირმოთნე მანჭვითა და მოთაფლული ენით რომ იგრიხებოდნენ; ეს ღორისმაგვარი გოროდნიჩები და ხუნტრუცა ხლესტაკოვები, ულიმღამოდ, გულისამრევად მოხიხინე ოსიპები, ბილწი რეპეტილოვები, ქარაფშუტულად აღშფოთებული ჩაცკები, ეს ბეჭდებმოელვარე ფამუსოვები, ზუსტად ქლიავივით რომ გამობურცვოდათ აქტიორული ტუჩები; ეს მეჩირაღდნეთა ლაბადებსა და ფარფლებდაღვარჭნილ ქუდებში გამოწყობილი, ბიწიერად მიბნედილი, შეღებილი თვალებით შემკული, ბარკლებზე შავხავერდშემოტმასნილი, ბრტყელ, მდაბიოტერფებიანი ჰამლეტები. ოპერა კი! ცხრად მოკაკული-რიგოლეტო, ფეხები ერთხელ და სამუდამოდ რომ ყოვლად უხეიროდ გაეჩაჩხა და მუხლებში შეერთებინა! ცისკენ უსასოოდ და ნეტარებით თვალებმიბრეცილი სუსანინის გრგვინვა: „ამოენთები ჩემო გარიჟრაჟო“, მეწისქვილე „ალიდან“, საზარლად რომ გაეშალა და მრისხანედ აქნევდა ხმელი ტოტებივით ჩამომხმარ ხელებს, რომლებზეც ისევ ჰქონდა ნიშნობის ბეჭედი, ტანთ კი ისეთი კონკები, იმდენად დაფლეთილი, დაგლეჯილი შარვალი ეცვა, გეგონებოდათ, გაცოფებული ძაღლების მთელი ხროვა წეწდაო! თეატრზე კამათის დროს ჩვენი შეთანხმება არ ხერხდებოდა: ერთმანეთს არაფერს ვუთმობდით და არც არაფერი გვეყურებოდა. აი, ორიოლში საგასტროლოდ ჩამოსული სახელგანთქმული პროვინციელი მსახიობი „შეშლილის ჩანაწერებში“ გამოდის, მის თამაშს ყველა დაძაბულად ადევნებს თვალს, აღტაცებაში მოდიან ავადმყოფის საწოლზე წამომჯდარი დედაკაცური სახის, მეტისმეტად წვერმოშვებული, ხალათმოცმული

მსახიობი თუ რა დიდხანს, რა უსაშველოდ დიდხანს დუმს, რაღაც რეგვენული სიხარულით და სულ უფრო მომძლავრებული გაკვირვებით გარინდებული; შემდეგ ნელ-ნელა სწევს თითს, წარმოუდგენლად დუნედ, აუტანელი გამომეტყველებით იქცევს ყბას და დამარცვლით იწყებს: „დღე-ვან-დელ დღეს...“ მომდევნო დღეს იგი ლიუბიმ ტორცოვად გვევლინება, მესამე დღეს კი ჭარხლისფერცხვირიან, გაზინთულ მარმელადოვად: „ნებას მომცემთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თავაზიანად მოგმართოთ?“ — აგერ ცნობილი მსახიობი ქალი სცენაზე წერილს წერს,—უცებ გადაწყვიტა რაღაც საბედისწერო რამ დაეწერა, აწრაფად მიუჯდა მაგიდას, მშრალ სამელნეში მშრალი კალამი ჩააწო, ერთ წამში სამი გრძელი ხაზი გაუსვა ქაღალდზე, კონვერტში ჩადო, ზარი დააწკარუნა და მოკლედ, ცივად უბრძანა შემოსულ, თეთრწინსაფრიან მოსამსახურეს: „დაუყონებლივ გაატანე შიკრიკს!“ — თეატრში გატარებული ყოველი ასეთი საღამოს შემდეგ ერთმანეთს ვუყვირით ღამის სამ საათამდე, ძილს ვუფრთხობთ ავილოვას და მე უკვე ჯვარს კაცმევ არა მარტო გოგოლის შეშლილს, ტორცოვს და მარმელადოვს, თვით გოგოლსაც, ოსტროვსკისაც და დოსტოევსკისაც...

— დავუშვათ, მართალი ბრძანდებით, — იძახის უკვე გაფითრებული, თვალებდაბინდული და ამიტომაც განსაკუთრებულად მშვენიერი ლიკა, — რატომღა ცოფდებით ასე? ნადია, ჰკითხე ერთი!

— იმისათვის, — გავყვირი პასუხად, — მარტო იმისთვის, რომ როცა მსახიობი სიტყვა „არომატის“ წარმოთქმისას ამბობს “ა-რო-მატი!“ — მზად ვარ სული ამოვართვა:

ასეთივე ყვირილი იწყებოდა ორიოლის ყოველი რანგის საზოგადოების ხალხთან ჩვენი თვითეული შეხვედრის შემდეგ. მე სულით და გულით მინდოდა ჩემი დაკვირვებულობით, ამ დაკვირვებულობაში დახელოვნებით მიღებული სიამოვნება მასაც გაეზიარებინა, მსურდა მისთვისაც გადამედო გარემოსადმი ჩემი ულმობელი დამოკიდებულება, მაგრამ სასოწარკვეთით ვხედავდი, რო? ჩემი გრძნობებისა და აზრების თანამონაწილედ გახდომის მაგიერ სავსებით საწინააღმდეგო რამ გამოდიოდა. ერთხელ. ვუთხარი:

— ნეტავ იცოდე, რამდენი მტერი მყავს!

— სად? რომელი? — მკითხა მან.

— ყოველნაირი, ყველგან: სასტუმროში, მაღაზიებში, ქუჩებში, სადგურში...

— მერედა ვინაა ეს მტერი?

— ყველა, ყველა! რამდენი საზიზღარი სახისა და აღნაგობის ადამიანია ქვეყნად! ეს პავლე მოციქულმაც კი თქვა: „არა ყოველი ხორცი ერთ ხორც-არს, არამედ სხუა არს კაცთა, და სხუა ხორც არს პირუტყუთა...“ ზოგიერთი პირდაპირ საშინელი სანახავია! სიარულისას ტერფებს ისე აბიჯებენ, ისე მოხრილად უჭირავთ ტანი, გეგონება, ახლახან ისწავლეს ფეხზე დგომაო. აი, გუშინ ბოლხოვსკაიაზე დიდხანს მივყვებოდი უკან ფართომხარბეჭიან, ჩაფსკვნილ პოლიციის ბოქაულს, თვალს არ ვაშორებდი მაზარაში გახვეულ მის სქელ ზურგს, გამობზეკილ, პრიალა ჩექმის ყელებში გაკრულ კანჭებს; ო, რომ იცოდე, რა მშიერი მგელივით ვუყურებდი ამ ჩექმის აყროლებულ ყელებს, საუცხოოდ ნაკერი ნაცრისფერი მაზარის მაუდს, ქამრის ღილებს და ამ ძალოვან, ორმოცი წლის ცხოველს მთელი თავისი სამხედრო აკაზმულობით!

— როგორ არ გრცხვენია! — თქვა ლიკამ ზიზღნარევი სიბრალულით. — ნუთუ მართლა ასეთი ბოროტი და საძაგელი ხარ? შენი, საერთოდ, ვერაფერი გამიგია. მთლიანად რაღაც საკვირველი წინააღმდეგობებითა ხარ სავსე!

IX

მიუხედავად ამისა, დილით რედაქციაში მოსვლისას ყოველთვის სიხარულით, მთელი გულით ვეგებებოდი საკიდარზე ჩამოკიდებულ მის ნაცრისფერ ქურთუკს. რომელშიც თითქოსდა თვით იგი, მისი რაღაც ქალური ნაწილი იმალებოდა, და საკიდარქვეშ დაწყობილ სანუკვარ, ნაცრისფერ ბოტებს, გრძნობის ყველაზე მეტად ამშლელ ნაწილს. მოუთმენლობით შეპყრობილი — რაც შეიძლება ჩქარა მენახა ლიკა — რედაქციაში ყველაზე ადრე მოვდიოდი, ჩემს სამუშაოს ვუჯდებოდი — ვათვალიერებდი და ვასწორებდი პროვინციებიდან მი-

ღებულ კორესპონდენციებს, ვკითხულობდი დედაქალაქის გაზეთებს და მათი მიხედვით ვადგენდი „საკუთარ დეპეშებს“, კინაღამ ხელახლა გადავწერე პროვინციელი ბელეტრისტების ზოგიერთი მოთხრობა; მთავარი ყურადღება კი მაინც მისკენ მქონდა მიპყრობილი, ველოდი — და აი, ბოლოს: ჩქარი ნაბიჯები. ქვედატანის შარიშური! იგი თითქოსდა საკვლებით გამოცვლილი, გრილი, სურნელოვანი ხელებით, გიჟმაჟი, მაგარი ძილის შემდეგ განსაკუთრებით გამოცოცხლებული თვალების ელვარებით მოირბენდა, მიმოიხედავდა და მაკოცებდა. საატუმროშიც ასევე შემორბოდა ხანდახან, თან ქურთუკის ბეწვის, ზამთრის ჰაერის სუნთქვა შემოჰქონდა; მე ვკოცნიდი მის შეფაკლულ ცივ სახეს, ქურთუკს შიგნით იმ თბილსა და საალერსოს ვეხვეოდი, მის სხეულსა და სამოსს რომ შეადგენდა; ის იცინოდა, ხელიდან მისხლტებოდა, — „გამიშვი, საქმეზე მოვედი!“ — მოსამსახურეს ეძახდა, ბრძანებას აძლევდა ოთახი დაელაგებინა, თვითონ შველოდა დალაგებაში...

ერთხელ შემთხვევით მოვუსმინე ავილოვას და ლიკას საუბარს. — ისინი საღამოთი სასადილოში ისხდნენ და ჩემს შესახებ გულღიად ლაპარაკობდნენ. ეგონათ, რომ მე სტამბაში ვიყავი. ავილოვა ეკითხებოდა:

— ლიკა, ძვირფასო, შემდეგში როგორღა წავა თქვენი საქმე? შენ იცი, რა თვალით ვუყურებ მას, იგი, რა თქმა უნდა, მეტად მშვენიერია, მე მესმის, მოიხიბლე... მაგრამ მერე?

მე თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომეცალა: როგორ, „მეტად მშვენიერი“ ვარ, მეტი არაფერი! ის არც მეტი, არც ნაკლებიმხოლოდ „მოიხიბლა!“

პასუხი უფრო საწყენი იყო:

— მერედა რა უნდა ექნა? მე ვერავითარ გამოსავალს ვერ ვხედავ...

ამ სიტყვებმა ისე გამაცოფა, მინდოდა სასადილოში შევვარდნილიყავ, მეყვირა, რომ გამოსავალი არის, რომ დღეის იქით ჩემი ფეხი არ იქნება ორიოლში, მაგრამ უცებ ლიკამ კელაკ დაიწყო ლაპარაკი:

— ნადია, როგორ ვერ ხედავ, რომ ნამდვილად მიყვარს!

გარდა ამისა, შენ კარგად არ იცნობ მას, — იგი ათასჯერ უკეთესია ვიდრე ჩანს...

დიახ, შეიძლება გაცილებით ცუდი ვგონებოდი ვინმეს, ვიდრე ვიყავი. მე დაძაბულად, აფორიაქებულად ვცხოვრობდი, ხალხში ჰაკარად. გულზვიადად მეჭირა თავი, ადვილად მეუფლებოდა სევდა, სასოწარკვეთილება; მაგრამ ადვილადაც ვიცვლიდი გუნებას, თუკი ვხედავდი, რომ ჩვენს სიმშვიდეს არაფერი ემუქრებოდა, არავინ ხელყოფდა ლიკას: იმწამსვე მიბრუნდებოდა თანდაყოლილი უნარი ვყოფილიყავ კეთილი, გულწრფელი და მხიარული. რა საზეიმოდ ვეწყობოდი, თუ ვიცოდი, რომ საღამო, სადაც წასვლას ვაპირებდით, არც შეურაცხყოფას და არც წუხილს არ მომაყენებდა; როგორ მომწონდა ჩემი თავი, ვიყურებოდი სარკეში. შევბაროდი საკუთარ თვალებს, ახალგაზრდა ღაჟღაჟა სახეს. ქათქათა ხალათს, რომლის გახამებული ნაოჭები მომხიბლავი ტკაცანით იშლებოდა და იკეცებოდა! რა ბედნიერი ვიყავი ბალზე, როცა ეპვები გულს არ მიღრღნიდა! ბალზე წასვლისას მუდამ საშინელ წუთებს განვიცდიდი, — უნდა ჩამეცვა ავილოვას განსვენებული ქმრის ფრაკი, — მიუხედავად იმისა, რომ იგი სავსებით ახალი და, მგონი, სულ უხმარი გახლდათ, გულს მიმძიმებდა. მაგრამ საკმარისი იყო სახლიდან გავსულიყავი, ერთი კი ყინვაში ჩამესუნთქა. ვარსკვლავებით აჭრელებული ცა დამენახა და მარხილში სწრაფად ჩავმჯდარიყავ, რომ ეს წუთები დავიწყებას მისცემოდნენ... ღმერთმა უწყის, რატომ ამკობდნენ საბალო შეკრების გაჩახჩახებულ მისასვლელებს რაღაც წითელზოლიანი კარვებით; რისთვის გამოიყურებოდნენ წმინდა მხედრული სიმკაცრით მათ წინ მდგარ თავყრილობის მომწესრიგებელი უბნის პოლიციელები! მაგრამ სულ ერთია — ეს უცნაური შესასვლელი, რომელიც მის წინ დაბეკნილ, ხრაშუნა თოვლს თვალისმომჭრელი შუქით მძაფრად, თეთრად აჩირაღდნებდა, სინათლეთა მთელი ეს სწრაფი, შეთანხმებული ლიელვი, პოლიციელის მკვეთრი შეძახილი, მისი გაფიჩხებული გაწკეპილი ულვაშები, თოვლზე პრიალა ჩექმების ბაკუნი, თეთრი ნაქსოვი ხელთათმანიანი ხელების ჯიბეებიდან რაღაც საგანგებო უკუტრიალით ამოღება და ჩადება — უკვე ბალს

წარმოადგენდა. თითქმის ყველა აქ მოსულ მამაკაცს ფორმა ეცვა, — რუსეთში მრავალგვარი ფორმა იყო ოდესღაც, — და თავისი ჩინებითა და ფორმებით ყველა გამომწვევად ალგზნებული ჩანდა. მე ჯერ კიდევ მაშინ შევნიშნე, რომ მათაც კი, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მაღალ თანამდებობებს და ტიტულებს ფლობენ, არასოდეს არ შეუძლიათ მათი შეგუება. ეს მოსული ხალხი მეც ნიადაგ მაღელვებდა, მყისვე ჩემი გამახვილებული, მტრული დაკვირვების საგანი ხდებოდა. სამაგიეროდ ქალთაგან ყველა მიმზიდველი და სანდომიანი ჩანდა. ისინი ვესტიბიულში მომხიბვლელად იხსნიდნენ ბეწვეულს და კაპორებს და სწრაფად იქცეოდნენ სწორედ იმ არსებებად, რომელთაც მართლაც რომ შეენოდათ ფართო კიბეების წითელ ხალიჩებზე სარკეებში გამრავლებულ, აგრე რიგად ჯადოქრულ გუნდებად სიარული. და შემდეგ — დარბაზში დამკვიდრებული ბალის წინამორბედი ეს მომხიბვლელი სიცარიელე, მისი მოსალმუნე სიგრილე, ერთთავად ალმასივით მოელვარე, გაჩახჩახებული ჭაღის ვეება მტევანი, უზარმაზარი შიშველი ფანჯრები, პრიალა პარკეტის გაშლილი სივრცე, ცოცხალი ყვავილების, პუდრის, სუნამოს, საბალო თეთრი ლაიკის სუნი და მთელი ეს მღელვარება მომსვლელთა ხილვისას, მოლოდინი მუსიკის პირველი აგრიალებისა, დარბაზის ჯერ კიდევ აუძღვრეველ სივრცეში უეცრივ გაჭრილი, თავის თავში დარწმუნებული, ყველაზე მარდი წყვილებისა.

ბალზე მე ყოველთვის მათზე ადრე მივდიოდი. ჩემი მისვლისას სტუმართა შეკრება ისევ გრძელდებოდა, ქვევით მსახურები თავს ვერ ართმევდნენ მოზღვავებულ სურნელოვან ქურქებს, ქურთუკებსა და მაზარებს, ირგვლივ ყველგან თხელი ფრაკისთვის შეუფერებელი ცივი ჰაერი იდგა. აქ, ამ უცხო ფრაკში, სადად თმადავარცხნილი, ტანადი, თითქოს უფრო გამხდარი და შემსუბუქებული, თავისუფალი, ყველასთვის უცხო და მარტოსული, რედაქციაში რაღაც უცნაურ როლის შემსრულებელი, ვინმე მეტისმეტად ამაყი ჭაბუკი, — პირველად ისე ფხიზლად და საღად, ყველგან ისე განცალკევებულად ვგრძნობდი თავს, თითქოსდა რაღაც ცივი სარკისმაგვარი რამ ვიყავი. შემდეგ ხალხი უფრო მატულობდა, იზრდებოდა ხმაური, მუსიკა

უფრო შეწყობილად ქუხდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ქალები, იქედებოდა დარბაზის შესასვლელები. ჰაერი თბებოდა, მძიმდებოდა და მე თითქოს ვთვრებოდი, ქალებს მეტი სითამამით ვუცქეროდი, კაცებს კი ქედმაღლურად, უფრო რიტმულად დავსრიალებდი ხალხში და, როცა რომელიმე ფრაკს ან მუნდირს წავედებოდი, მეტი თავაზით და მედიდურობით ვიხდიდი ბოდიშს... შემდეგ უეცრივ დავინახავდი მათ, — აი, ფრთხილად, ღიმმორეულნი მოემართებიან,—გულს თბილი, ამასთან უხერხულობისა და განცვიფრების გრძნობა შეატოკებდა ხოლმე: ვუმზერ და თვალებს არ ვუჯერი, სულ შეცვლიათ სახე, განსაკუთრებით ლიკას! ამ წუთში მუდამ მანცვიფრებდა მისი სილაღე, სინატიფე: კორსეტით შეკრული ტანი, მსუბუქი და უზადო-სადღესასწაულო კაბა, ხელთათმანებიდან მხრებამდე შიშველი და ყმაწვილივით გალურჯებული, გაყინული ხელები, სახის გაუბედავი გამომეტყველება... მარტოოდენ წარჩინებული საზოგადოების ქალის თმის მაღალი ვარცხნილობა, რომელშიც განსაკუთრებით მიმზიდველი, მაგრამ თითქოსდა ჩემგან განშორების, ღალატისა და ამავ დროს მალული ბიწიერებისაკენ მისწრაფება გამოსჭვიოდა. მასთან იმწამსვე მიირბენდა ვინმე ბალისათვის ჩვეული, აჩქარებული ნაბიჯით, მდაბლად დაუკრავდა თავს, ლიკა ავილოვას უწვდიდა მარაოს, თავის კავალერს თითქოს დაბნევით, მოხდენილად ადებდა მხარზე ხელს და ფეხის წვერებზე ტრიალით ეფარებოდა თვალს, იკარგებოდა მორიალე ხალხში, ხმაურში, მუსიკაში, მე კი რაღაცნაირი გამოთხოვების და უკვე საშინლად მტრული გრძნობით გავცქეროდი მის კვალს.

პატარა, ცოცხალი. მუდამ მხნე და სამხიარულოდ განწყობილი ავილოვაც ასევე მანცვიფრებდა ბალზე თავისი სიახალგაზრდავით და ნატიფი ეშხიანობით. ერთხელ სწორედ აქ გავიგე, რომ იგი მხოლოდ ოცდაექვსი წლისა იყო, და პირველად — ისე, რომ ვერც კი ვბედავდი ჩემი თავისთვის დამეჯერებინა, მივხვდი ამ ზამთარს ასე უცნაურად რატომ შეიცვალა ჩემდამი დამოკიდებულება, მივხვდი, რომ შეიძლებოდა ვყვარებოდი და ჩემზე ეეჭვიანა..

X

შემდეგ დიდი ხნით დავშორდით ერთმანეთს.

მიზეზი ის იყო, რომ მოულოდნელად ექიმი ჩამოვიდა.

ერთ ნათელ სუსხიან დილას რედაქციის წინა ოთახში შეველ თუ არა, უეცრივ ძალზე ნაცნობი პაპიროსის მკვეთრი სუნი ვიგრძენი, თანაც სასადილოდან გაცხოველებული ლაპარაკი და სიცილი შემომესმა. მე შევდექი. — რაშია საქმე? აღმოჩნდა, რომ მთელი სახლი ექიმს აევსო კვამლით. ლაპარაკობდა სწორედ ის, — ხმამაღლა, იმ ყაიდის ადამიანთა სიხალისით, რომლებმაც მიაღწიეს რა გარკვეულ ასაკს, შემდეგ აღარაფერი შეცვლიათ და ასევე დარჩნენ მთელი წლების მანძილზე, დიდ სიამოვნებას ჰგვრით შესანიშნავი გუნება, თამბაქოს ზედიზედ წევა და გაუთავებელი ლაპარაკი. გულმა რეჩხი მიყო — რას უნდა ნიშნავდეს ეს მოულოდნელი ჩამოსვლა? რაიმე მოთხოვნას უყენებს ლიკას? როგორ შევიდე? როგორ დავიჭირო თავი? — აარაფერი საშინელი არ მომხდარა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველ წუთებში. მე სწრაფად მოვიკრიბე ძალა, შევედი, ღიმილით გამოვხატე განცვიფრება... ექიმი თავისი გულკეთილი ხასიათის გამო, ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდეც, სიცილითა და თითქოს მობოდიშებით ნაჩქარევად თქვა, რომ ჩამოვიდა „პროვინციისაგან ერთი კვირით დაისვენოს“. მე იმწამსვე შევნიშნე ლიკას აღელვება, რატომღაც ავილოვაც აღელვებული იყო. შეიძლებოდა ყოველივე ამის მიზეზად ექიმი მიგვეჩნია, როგორც მოულოდნელი სტუმარი, როგორც კაცი, რომელიც ეს წუთია მაზრიდან გუბერნიაში ჩამოვიდა, რის გამოც ვაგონში ღამის თევის შემდეგ უცხო სასადილოში განსაკუთრებული სიხალისით მიირთმევდა ცხელ ჩაის. მე თანდათან ვმშვიდდებოდი, მაგრამ თურმე სწორედ ახლა მელოდა ზარი: ექიმის ნალაპარაკევიდან უეცრად მივხვდი, რომ ის მარტო არ ჩამოსულა, რომ თან ჩამოჰყოლია ბოგომოლოვი, ჩვენს ქალაქშიც ცნობილი ახალგაზრდა, მდიდარი დაბაღი, რომელსაც უკვე დიდი ხანია თვალი ეჭირა ლიკაზე. შემდეგ ექიმის სიცილიც გავიგონე:

— ‘ლიკა, შენზე ამბობს ჭკუას ვკარგავო, ფრიად მტკიცე გადაწყვეტილებით ჩამოვიდა! ასე, რომ ახლა იმ უბედურის ბედი მთლიანად შენს ხელშია: გინდა მოკლავ, გინდა აცოცხლებ!

ბოგომოლოვი არა მარტო მდიდარი, ჭკვიანი და ამასთან ცოცხალი და სასიამოვნო ხასიათის კაცი გახლდათ, დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი, ცხოვრობდა საზღვარგარეთ, ლაპარაკობდა ორ უცხო ენაზე; გარეგნობით პირველად შეიძლებოდა შეეშინებინეთ კიდეც: წითური, უკან სწორად გადავარცხნილი თმა, ფუნთუსა, მრგვალი სახე, მეტისმეტად, არაადამიანურად მსუქანი — რაღაც უსაშველოდ გაზრდილი და ზღაპრულად ნასუქი ბალღის, ან კიდევ გასისინებული, სისხლჭარბი ახალგაზრდა იორკშირის მსგავსი. მაგრამ ამ იორკშირში ისეთი დიდებული, წმინდა და ჯანსაღი რამ იყო, — ცისფერ თვალებში ცის ლაჟვარდი, სახის ფერი წარმოუდგენლად უბიწო, ყოველგვარ მოქცევაში, სიცილში, ხმაში, თვალებისა და ტუჩების მოძრაობაში რაღაც მოკრძალება და სინაზე,—რომ აღტაცებასაც კი იწვევდა. ფეხები და ხელები შესამჩნევად პატარა ჰქონდა, ეცვა ინგლისური ქსოვილის ტანსაცმელი—აბრეშუმის წინდები, პერანგი, ყელსახვევი. მე სწრაფად გადავხედე ლიკას, მისი უხერხული ღიმილი შევნიშნე... და უცებ ყოველივე უცხოდ და შორეულად მომეჩვენა; სახლში უაღრესად ზედმეტ და არასაჭირო არსებად ვიქეცი, მე ლიკასადმი სიძულვილმა შემიპყრო...

ამის შემდეგ დღეში ერთი საათიც კი არ შეგვეძლო მარტო გაგვეტარებინა, ის ან მამასთან იყო, ან ბოგომოლოვთან. ავილოვას იდუმალი, ანცი ღიმილი არ შორდებოდა სახიდან, ბოგომოლოვს ისეთი თავაზით და ალერსით ეპყრობოდა, რომ იგი პირველი დღეებიდანვე სახლში შინაკაცად იქცა, გამოჩნდებოდა დილით და შემდეგ გვიანობამდე აქ იჯდა, სასტუმროში მხოლოდ ღამეს ათევდა. ამას გარდა, თეატრის მოყვარულთა დრამატიული წრის რეპეტიციები დაიწყო. — წრე, რომლის წევრი ლიკაც იყო, ყველიერისთვის სპექტაკლს ამზადებდა და ლიკას მეშვეობით პატარა როლების შესასრულებლად არა მარტო ბოგომოლოვი, თვით ექიმიც ჩაითრია. ლიკა ამბობდა, რომ ბოგომოლოვის არშიყობას მხოლოდ მამის ხათრით არ თაკილობდა, არ უნდოდა მასთან მწვავე დამოკიდებულებით მამისთვის ეწყენინებინა. მე ყოველნაირად ვითმენდი, ისეთ სახეს ვიღებდი, თითქოს მისი მჯეროდა, თავს ძალას ვა-

ტანდი და რეპეტიციებს ვესწრებოდი, ამით ვცდილობდი ჩემი აუტანელი ეჭვებისა და იმ ტანჯვა-წამების დაფარვას, რასაც რეპეტიციებზე განვიცდიდი: სირცხვილით არ ვიცოდი სად დამემალა თვალები, როცა ვუმზერდი ლიკას, მის უსუსურ ცდას „ეთამაშნა". მერე საერთოდ რა საშინელი რამ იყო ეს ადამიანური უნიჭობის სანახაობა! რეპეტიციებს ხელმძღვანელობდა უმუშევარი, პროფესიონალი მსახიობი, რომელიც გაბრუებული იყო თავისი უბადრუკი სცენიური გამოცდილებით და თავს, რასაკვირველია, დიდ ტალანტად ასაღებდა. იგი გაურკვეველი ასაკის კაცი გახლდათ, საგოზავისფერ სახეზე ისე დიდი ნაოჭები ჰქონდა, საგანგებოდ გაკეთებული გეგონებოდათ. მოთმინებას წამდაუწუმ კარგავდა და, როცა მითითებას იძლეოდა, როგორ უნდა ეთამაშნა ამა თუ იმ როლში, ისე უხეშად და ბრაზმორევით ილანძღებოდა, საფეთქლებზე თოკივით ებურცებოდა სკლეროზული ძარღვები. თვითონ ხან კაცების, ხან ქალების როლებს ასრულებდა, ხალხს არაქათი ეცლებოდა მისი მიბაძვისას, მე კიდევ ხმის ყოველი ბგერა, სხეულის ყოველი მიმოხრა ეკალივით მესობოდა გულზე: რამდენად მომაბეზრებელი იყო მსახიობი, მით უფრო აუტანელნი იყვნენ მისი მიმბაძველები. მერედა რატომ, რისთვის თამაშობდნენ? მათ შორის იყო ყველა პროვინციული ქალაქის დამახასიათებელი ბანოვანი — სამხედრო პირის ქვრივი. ჩხირივით გამხდარი, თავის თავში დაჯერებული და უტიფარი ქალი; მუდამ ბრწყინვალედ მორთული, ყოველთვის მღელვარე და რაღაცის მომლოდინე ქალიშვილი, რომელიც ტუჩების კვნეტას დაუფლებოდა; ერთმანეთთან განუყრელობით და საოცარი მსგავსებით მთელ ქალაქში განთქმული, მეტისმეტად მდუმარე, ზედმიწევნით შავი თმებითა და შავი შეზრდილი წარბებით შემკული ორი და — ყორანა სახელნე ცხენების ნამდვილი ცალები; გუბერნატორის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი, — წითელი ქუთუთოებიდან დაჭყეტილი, ცისფერი თვალებით მომზირალი, ძალზე მაღალი. ძალზე მაღალ საყელოში თავჩარგული, აუტანლად თავაზიანი და ზრდილი, ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა, მაგრამ მელოტშეპარული ბობრი კაცი; ბრგე, ტანმოსული, მკერდმსხვილი და მხრებფართო, ტლანქტერფე-

ბიანი ადგილობრივი, სახელმოხვეჭილი ვექილი, — როცა მას ბალზე ფრაკში გამოწყობილს ვხედავდი, მუდამ უფროს ლაქიაში მეცვლებოდა; ახალგაზრდა მხატვარი: შავი ხავერდის ხალათში, გრძელი ინდუსური თმებით, თხის პროფილით, თხისავე წვერით, ქალური ბიწიერებით აღსავსე მოჭუტული თვალებითა და მეტად წითელი, ნაზი ტუჩებით, რომელთა დანახვაც უხერხულობას მგვრიდა, — ქალის მენჯით...

შემდეგ სპექტაკლიც დაიდგა. ფარდის აწევამდე კულისებში შეძრომა მოვახერხე: იქ ერთი ორომტრიალი იდგა, იცვამდნენ, იკეთებდნენ გრიმს, ყვიროდნენ, ჩხუბობდნენ, გამორბოდნენ საპირფარეშოდან, ეჯახებოდნენ და ვერ ცნობდნენ ერთიმეორეს, ისე უცნაურად მორთულიყვნენ, — ვიღაცას ყავისფერი ფრაკი და იისფერი შარვალიც კი ეცვა, — ისეთი ულაზათო პარიკები და წვერები ჰქონდათ, ისე უხეიროდ გათხიპნილი, უმეტყველო სახეები: ვარდისფერი სალბუნით დამშვენებული შუბლი და ცხვირი, მოელვარე, ჩავარდნილი თვალები, შავად შეღებილი, მანეკენივით მსხვილი და მძიმედ მოხამხამე წამწამები. მე ლიკას შევეჩეხე და ვეღარც ის ვიცანი, — ძალზე გამაოცა მისმა თოჯინისმაგვარმა იერმა, — რაღაც ვარდისფერმა, ძველმოდურმა კოხტა კაბამ, ქერა, სქელთმიანმა პარიკმა, შეფერადებული სახის უშნო სილამაზემ და ბავშვურობამ... ბოგომოლოვი ყვითელთმიან მეეზოვეს თამაშობდა, ივი განსაკუთრებული ხელოვნებით მოერთოთ „საყოფაცხოვრებო ტიპის“ მსგავს ქმნილებად, — ექიმი კი ბებერი ბიძის, გადამდგარი გენერლის როლს ასრულებდა; მანვე დაიწყო სპექტაკლიც: ახალთახალ ჩესუჩის კოსტუმში გამოწყობილი, ისიც მთლად ვარდისფრად გათხიპნილი სახითა და ვეება ჟღალი ულვაშებით, ჭაღარა და მაინც განსაცვიფრებლად ახალგაზრდული შესახედაობისა, აგარაკზე, იატაკზე დადგმული ფიცრის მწვანე ხის ქვეშ წნულ სავარძელში გადაწოლილიყო და მიუხედავად ქვემოდან რამპის ნათურების მძაფრი სინათლით გაშუქებული დეკორაციის ზაფხულის მშვენიერი დილისა, გაბღენძილი ჩაჰყურებდა ფართოდ გაშლილ გაზეთს. მას გაზეთის წაკითხვის შემდეგ ხმადაბლა რაღაც უნდა წაებუტბუტებინა, მაგრამ სულ წინ იცქირებოდა და მიუხედავად მოკარნახის თავგამოდებუ-

ლი სისინისა, ენას ვერ იბრუნებდა პირში: მხოლოდ მაშინ, როცა ლიკა (ბავშვის მომხიბვლელი, წკრიალა, თამამი სიცილით) კულისებიდან გამოვარდა, უკანიდან მიიჭრა მასთან, თვალებზე ხელი დააფარა და დაიძახა:

„აბა, გამოიცან, ვინა ვარ?“ მხოლოდ მაშინ იყვირა, თანაც გარკვევით: „მომეშვი ანცო, კარგად ვიცი, ვინცა ხარ!“

დარბაზში ნახევრად ბნელოდა, სცენაზე სინათლე კაშკაშებდა. მე პირველ რიგში ვიჯექი და ხან სცენას გავყურებდი, ხან ირგვლივ ვიხედებოდი; წინ ისხდნენ ყველაზე მდიდარი, სიმსუქნით სულშეხუთული სამოქალაქო პირნი და პოლიციელთა და სამხედროთაგან ყველაზე დიდჩინიანი გვამნი, რომლებიც სავსებით მოეჯადოებინა ყოველივე იმას, რაც სცენაზე ხდებოდა: დაძაბული პოზები, დაუმთავრებელი ღიმილი... მე პირველი მოქმედების დასასრულამდე ვეღარ გავძელი, როგორც კი სცენაზე რაღაცამ დაიჯახუნა, — იმის ნიშანმა, რომ მალე ფარდა დაეშვებოდა,—სასწრაფოდ დავტოვე დარბაზი. სცენაზე უკვე მთელი მონდომებით თამაშობდნენ, ნათელ, ბუნებრივ დერეფანში, სადაც ყველაფერს შეჩვეული მოხუცი ჩაცმაში მეხმარებოდა, განსაკუთრებით არაბუნებრივად ისმოდა მსაჯიობთა ზღვარგადასული, გაცხარებული წამოძახილები. ბოლოს ქუჩაში გამოვვარდი. სულში რაღაც გამანადგურებელი მარტოობის გრძნობა ჩაგუბდა. ირგვლივ არავინ ჩანდა, ფარნები უნიათოდ ენთო. სახლის მაგიერ რედაქციისაკენ მივდიოდი,—სასტუმროში, ჩემს ვიწრო ოთახში მისვლა საშინელებას უდრიდა. მე დაწესებულებებს ჩავუარე და გადავუხვიე ცარიელი მოედნისაკენ, რომლის შუაში აღმართულ ტაძარს, ოდნავ ელვარე, ოქროსფერი გუმბათი ვარსკვლავებიან ცაში აეზიდა... თოვლზე ჩემი ნაბიჯების ჭრაჭუნშიც კი რაღაც გამოუცნობი და შემზარავი რამ იგრძნობოდა... თბილ სახლში სიწყნარე იდგა, განათებული სასადილოდან საათის ნელი, მშვიდი წიკწიკი ისმოდა. ავილოვას ბავშვს ეძინა, კარები ძიძამ გამიღო, ნამძინარევი თვალებით შემომხედა და წავიდა. მე კიბესთან მიდგმულ, უკვე ესოდენ ნაცნობ და ჩემთვის ესოდენ განსაკუთრებულ ოთახში შეველ და ნაცნობ, ახლა როგორღაც საბედისწერო დივანზე ჩამოვჯექი... ველოდი, თანაც გულს მიკლავდა ის წუთი, როცა ისინი

ანაზდად მოვიდოდნენ, ხმაურით შემოიჭრებოდნენ ოთახში, ერთმანეთის დასწრებით დაიწყებდხენ ლაპარაკს, სიცილს, მიუსხდებოდნენ ჩაის, გაუზიარებდნენ შთაბეჭდილებებს; — ყველაზე მეტად მაინც ის წამი მაკრთობდა, როცა ლიკას სიცილს, ხმას გავიგონებდი... ოთახი სავსე იყო მისით, მისი ყოფნით და არყოფნით, მისი ტანსაცმლით, სუნამოს, ჩემს გვერდით დივანის მუთაქაზე გადადებული მისი მსუბუქი ხალათის სურნელით... ფანჯარაში მკაცრად იცქირებოდა ზამთრის ლურჯი ღამე, ბაღში ალანდული შავი ტოტების მიღმა ვარსკვლავები ციაგებდნენ..

მარხვის პირველ კვირას ლიკა მამასა და ბოგომოლოვთან ერთად გაემგზავრა (ბოგომოლოვს უარი უთხრა). მე დიდი ხანია აღარც კი ველაპარაკებოდი მას. როცა გასამგზავრებლად ემზადებოდა, სულ ტიროდა, ყოველ წუთს იმის მოლოდინში იყო, რომ უცებ დავაკავებდი, არ გავუშვებდი.

XI

მშვენიერი პროვინციული დღეები იდგა. საქმეშემოლეული მეეტლეები კუთხე-კუთხე ატუზულიყვნენ. გათოშილები დროდადრო გაცხარებით იქნევდნენ ხელებს, გაუბედავად უხმობდნენ გამვლელ ოფიცერს: „თქვენო კეთილშობილებავ! გაინავარდებთ?“ ჭკები ალღოთი გრძნობდნენ გაზაფხულის მოახლოებას და ნერვულად, ხალისიანად ჟივჟივებდნენ, ყვავები კი უფრო შემაზრზენად და საშინლად ყრანტალებდნენ.

გახშორება განსაკუთრებით აუტანლად ღამ-ღამობით მეჩვენებოდა. შუაღამით გამომეღვიძებოდა და მიკვირდა: როგორ და რიღასთვის ვიცხოვრო ახლა? ნუთუ ეს მე ვარ ამ უაზრო ღამის ბინდში, ათასობით უცხო ადამიანით დასახლებულ რომელიღაც საგუბერნიო ქალაქში, მთელი ღამე რაღაც უტყვი ეშმაკით განაცრისფერებულ, ფანჯრებვიწრო ოთახში წამოწოლილი არსება! მთელ ქალაქში ერთადერთი მახლობელი ადამიანი ავილოვაა, მაგრამ ნამდვილად მახლობელი კია? ორპირი და უხერხული მახლობლობა...

ახლა გვიან-გვიან მოვდიოდი რედაქციაში, ავილოვა, როგორც კი მისაღებიდან წინა ოთახში დამინახავდა, სიხარულით იღიმებოდა — იგი კვლავ ალერსიანი და მოსიყვარულე გახ-

და, აღარ დამცინოდა, ახლა ნიადაგ ვამჩნევდი მის ყურადღებას, მზრუნველობას, მის ნამდვილ სიყვარულს, ხშირად მთელ საღამოებს მასთან ვატარებდი, — იგი დიდხანს უკრავდა ჩემი გულისთვის, მე კი დივანზე ვიწექ და მუსიკით განსაკუთრებულად გამძაფრებული სიყვარულით აღძრული წუხილითა და ყოვლისმომტევებელი სინაზით ცრემლმომდგარ თვალებს ვლულავდი. მისაღებში შესვლისას მის პატარა, მკვრივ ხელს ვკოცნიდი და მუდმივ თანამშრომელთა ოთახში გავდიოდი. იქ პაპიროსს ეწეოდა მოწინავე სტატიების ავტორი, ორიოლში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადმოსახლებული სულელი, ჩაფიქრებული, შესახედავად საკმაოდ უცნაური კაცი: მდაბიური წვერით, წაბლისფერ უხეშ მაუდის ხიფთანსა და გაწმენდილ ჩექმებში, რომლებიც მეტად მძაფრ და სასიამოვნო სუნს აყენებდნენ. იგი ამასთან ცაციაც იყო: მარჯვენა ხელის ნახევარი არ ჰქონდა, სახელოში ჩამალული მეორე ნახევრით ქაღალდს აწვებოდა, მარცხენათი კი წერდა: იგი დიდხანს იჯდა. ფიქრობდა, ახრჩოლებდა პაპიროსს, უცებ ქაღალდს უფრო მაგრად აჭერდა ხელს და ჩქარ-ჩქარა, მაიმუნივით მარდად ჩააგვირისტებდა. მის შემდეგ განსაცვიფრებელსათვალიანი, ფეხებმოკლე, პატარა მოხუცი — საზღვარგარეთის მიმომხილველი მოდიოდა. წინა ოთახში ყურებიან ფინურ ქუდსა და კურდღლის ბეწვით გაწყობილ კაზაკურას რომ გაიხდიდა, პატარა ჩექმებში, შარვალსა და ქამარშემორტყმულ ფლანელის ხალათში ისე პატარა ჩანდა, ათი წლისა გეგონებოდათ; მაღლა, სხვადასხვა მხარეს მრისხანედ აშვერილი, მონაცრისფრო ჭაღარა თმა კი მაჩვზღარბას ამგვანებდა; მრისხანედ გამოიყურებოდა მისი განსაცვიფრებელი სათვალეც. მოხუცს ორი კოლოფი მოჰქონდა მუდამ, — ერთი თუთუნისა, მეორე ჰილზებისა—და მუშაობის დროს სულ პაპიროსებს ტენიდა: ჩვეულებრივად დაჰყურებდა რა დედაქალაქის გაზეთს, საპაპიროსე ხელსაწყოს სარქველიან მილში ღია ფერის ბოჭკოვან თამბაქოს აწყობდა. ტენიდა, უგულისყუროდ, ხელის ფათურით ეძებდა ჰილზს, ხელსაწყოს სახელურს მკერდზე, რბილ ხალათზე იჭერდა, ზილაკს კი ჰილზის სათუთუნე სტვირში ჩრიდა და პაპიროსს

მარდად ისროდა მაგიდაზე. შემდეგ დამკაბადონებელი და კორექტორი შემოდიოდნენ. დამკაბადონებელი მშვიდად, თავისუფლად მოაბიჯებდა. განსაცვიფოებლად თავაზიანი, მდუმარე და გულჩათხრობილი კაცი გახლდათ; არაჩვეულებრივად გამხდარი და ხმელ-ხმელი იყო, ბოშასავით შავი თმა, ზეთისხილისფრად მწვანე სახე, შავი პატარა ულვაშები და ნაცრისფერი, ჩალურჯებული ტუჩები ჰქონდა, ზედმიწევნით ფაქიზად და სალუქად ეცვა ყოველთვის: შავი შარვალი, ლურჯი ხალათი, კისერზემოთ აწეული დიდი გახამებული საყელო — სისუფთავით და სიახლით ბზინავდა; მე ხანდახან სტამბაში ველაპარაკებოდი მას: ამ დროს დუმილს არღვევდა, მუქი თვალებით პირდაპირ დაჟინებით შემომცქეროდა და წინასწარმეტყველივით ხმის აუმაღლებლად მუდამ ერთსა და იგივეს: მთელ ქვეყანაზე ყოველი მხრით, ყველგან და ყველაფერში გამეფებულ უსამართლობაზე ლაპარაკობდა. კორექტორი წამი ერთი იყო და ათჯერ მაინც გამოჩნდებოდა — მუდამ რაღაცას ვერ იგებდა, ან ის წერილი არ მოსწონდა, რომელსაც ასწორებდა. წერილის ავტორს ხან გარმარტებას, ხან გაუგებარი ადგილის შეცვლას სთხოვდა: „აქ მომიტევეთ და რაღაც მთლად კარგად ვერაა ნათქვამი“. იგი მსუქანი და მოუხეშავი იყო, თითქოსდა ოდნავ სველი, ხეეული თმა ჰქონდა, იმაზე შიშისა და ნერვიულობის გამო, რომ ყველა ამჩნევდა მის საშინელ სიმთვრალეს, მხრებში იწურებოდა, ვისაც განმარტებას სთხოვდა, მისკენ იხრებოდა, თან ალკოჰოლით გაჟღენთილ სუნთქვას იკავებდა და მოელვარე, გასიებული, აცახცახებული ხელით შორიდან უჩვენებდა გაუგებარ, ან მისი აზრით შეუსაბამო სტრიქონს. მე ამ ოთახში უგულისყუროდ ვასწორებდი სხვადასხვა უცხო ხელნაწერს, უფრო მეტად კი ვფიქრობდი, თვით რა და როგორ დამეწერა.

ახლა კიდევ ერთი იდუმალი ტანჯვა,—კიდევ ერთი მწარე „განუხორციელებლობა“ შემომემატა. კვლავ რაღაც-რაღაცეების წერას შევუდექი—ამჟამად უმთავრესად პროზაში და ისევ დავიწყე დაწერილის ბეჭდვა. მაგრამ იმაზე არ ვფიქრობდი, რასაც ვწერდი და ვბეჭდავდი. სურვილი მტანჯავდა, დამეწე-

რა რაღაც სრულიად სხვა, სრულიად განსხვავებული რამ, ვიდრე ის, რის დაწერაც შემეძლო და ვწერდი: რაღაც ისეთი, რის დაწერაც ჩემს ძალას აღემატებოდა. რა წარმოუდგენელი ბედნიერებაა — ყოველივე იმისაგან, რასაც ცხოვრება იძლევა, ჭეშმარიტად წერის ღირსი რამ ჩამოქნა, — რამოდენა სულიერი შრომა სჭირდება ამას! ჩემი ცხოვრებაც უფრო და უფრო ებმებოდა „განუხორციელებლობასთან“ ამ ახალ ბრძოლაში, ამ სხვა რამის, ასევე მოუხელებელი ბედნიერების ძიებისა და პოვნის, მასზე დაკვირვებათა და შეუნელებელ ფიქრთა ჭიდილში.

შუადღით ფოსტა მოდიოდა. მე მისაღებ ოთახში გავდიოდი და კვლავ ვხედავდი ავილოვას კოხტად, გულმოდგინედ დავარცხნილ, ნიადაგ საბუშაოზე დახრილ თავს და ყოველივე იმ ძვირფასს, რაც მისი მაგიდისქვეშ შეწყობილ შაგრენის პატარა ფეხსაცმელების მკრთალ ბზინვასა და მხრებზე მოხურულ ბეწვის მოსასხამში გამოსჭვიოდა, მოსასხამზეც ასევე ბზინავდა ზამთრის უსიცოცხლო დღისა და ფანჯრების შუქი, მათ მიღმა კი ყომრალი, მოქურუხებული თოვლიანი ცა იმზირებოდა. ფოსტიდან დედაქალაქის ჟურნალის ახალ ნომერს ვირჩევდი, აჩქარებით ვხსნიდი... ჩეხოვის ახალი მოთხრობა! ამ გვარის ერთი დანახვითაც კი ისეთ რამეს განვიცდიდი. მარტოოდენ მოთხრობას დავყურებდი, — დასაწყისის წაკითხვაც კი არ შემეძლო მისგან მოსალოდნელი სიამოვნებით აღძრული შურის გამო. მისაღებ ოთახში ამასობაში უფრო მეტი და მეტი ხალხი შემოდიოდა და გადიოდა: მოდიოდნენ განცხადებათა შემკვეთელები, ასევე მწერლობის ჟინით შეპყრობილი სხვადასხვა ჯურის ადამიანთა ზღვა: აქ შეიძლებოდა გენახათ თივთიკის ყელსახვევითა და თივთიკის ხელთათმანებით მორთული კეთილსახიერი მოხუკი, რომელსაც დიდი ფორმატის იაფფასიანი ქაღალდის მთელი შეკვრა მოეტანა, ბატის ფრთის კალმისდროინდელი კანცელარული სინატიფით გამოყვანილი სათაურით: „სიმღერები და ფიქრები“: სიმორცხვისაგან სახეალეწილი ახალგაზრდა ოფიცერი, თავის ხელნაწერს მოკლე და მკაფიო თავაზიანი თხოვნით რომ ტოგებდა — გადაგვეხედა და დაბეჭდვისას არამც და არამც მისი

ნამდვილი გვარი არ გაგვემჟღავნებინა — „მხოლოდ ინიციალები დასვით, თუ ეს დაშვებულია რედაქციის წესით". ხანშიშესული მღვდელი, რომელსაც მღელვარებისაგან ქუჩქიც კი გაოფლიანებოდა და სურდა მისი „სოფლის სურათები" Spectator — ის ფსევდონიმით დაგვებეჭდა; შემდეგ სამაზრო სასამართლოს მოღვაწე... მოღვაწე არაჩვეულებრივად ფაქიზი კაცი გახლდათ. მისაღებში უცნაური აუჩქარებლობით იხდიდა ახალ კალოშებს, ახალი ტყავის ხელთათმანებს, ქრცვინის ახალ პალტოს და ბოიარის ახალ ქუდს, რის შემდეგ უაღრესად გამხდარი, ტანჯაღალი, სუფთა და ნაფოტაკბილება ჩანდა. ულვაშებს თითქმის ნახევარ საათს იწმენდდა თოვლივით თეთრი ცხვირსახოცით, მე ამასობაში საკუთარი მწერლური გამჭრიახობით მთვრალი, ხარბად ვაკვირდებოდი მის ყოველ მოძრაობას:

— დიახ, დიახ, უთუოდ ასეთი სუფთა, ფაქიზი, აუჩქარებელი უნდა იყოს, ასე უნდა უვლიდეს თავს, რადგან მეჩხერი კბილები და სქელი ულვაშები აქვს... რადგან ეს ვაშლივით გამობურცული შუბლი უკვე უმელოტდება, თვალები ცოცხლად უელავს და ყვრიმალებზე წითლად უღვივის ჭლექიანის ლაქები, რადგან დიდი და ბრტყელი ტერფები, ასევე დიდი და ბრტყელი, ვეება ფრჩხილებიანი ხელები აქვს!

საუზმის ხანს გადიას ბიჭუნა სეირნობიდან ჩოჰყავდა. ავილოვ. წინა ოთახში გარბოდა, მარდად იმუხლებდა მის წინ, თეთრი კრაველის ქუდს აძრობდა, უხსნიდა ლურჯ, თეთრი კრაველითვე გაწყობილ ხიფთანს, ქორფა, შეღაჟღაჟებულ სახეზე ჰკოცნიდა, ის კი სადღაც უგულისყუროდ იმზირებოდა, რაღაც თავისზე, შორეულზე ფიქრობდა, უგულოდ ანებებდა გახდას და კოცნას — და მე ვგრძნობდი, რომ ყოველივე ეს: ბავშვის უაზრო მიამიტობა, ავილოვას დედობრივი ბედნიერება, გადიის ბებრული სიწყნარე შურით მავსებდა. მე უკვე ყველასი მშურდა, ვისაც ცხოვრება საქმეებითა და საზრუნავით ჰქონდა სავსე და არა ლოდინით, რომლებიც ადამიანურ საქმეთაგან ყველაზე უცნაურ — ვიღაცისათვის რაღაცის შეთხზვით არ იტკიებენ თავს, წერა რომ ჰქვია; რომელთაც უბრალო, ზუსტი და განსაზღვრული საქმე აქვთ,

რის შესრულების შემდეგ მეორე დღემდე სავსებით მშვიდად და თავისუფლად შეუძლიათ იყვნენ.

ნასაუზმევს სახლიდან გავდიოდი. ქალაქს სქლად, მთვლემარე ფანტელებად ეფინებოდა დიდმარხვის ის მშვენიერი თოვლი, რომელიც თავისი ფაქიზი, განსაკუთრებულად უზადო სიქათქათით ყოველთვის იტყუება, თითქოს გაზაფხული კარზეა მომდგარი. ჩემს გვერდით ჩუმად მიქროდა უზრუნველი, ეს-ეს არის, ალბათ, სადმე სახელდახელოდ დალეული, თითქოსდა რაღაც კარგი, კეთილი საქმის ჩასადენად გამზადებული მეეტლე... რა იყო აქ არაჩვეულებრივი? მაგრამ მე ახლა ყველაფერი გულზე მხვდებოდა — თითქმის ყოველი წუთიერი შთაბეჭდილება — და მყისვე სურვილი მიჩნდებოდა მისთვის, ამ შთაბეჭდილებისთვის ნება არ მიმეცა ტყუილუბრალოდ დაკარგულიყო, უკეალოდ გამქრალიყო, — ანგარების მოყვარულივით სწრაფად მექცია ჩემს საკუთრებად და მისგან რაღაც ამომეძალა. აი, იმ მეეტლემ ერთი წამით გაიელვა და ყველაფერი, რითაც და როგორც გაიელვა, მკვეთრად გაკრთა ჩემს სულშიც და იქ გაელვებულის რაღაც უცნაურ მსგავსებად დარჩენილი კიდევ რა დიდხანს და ამაოდ მაწამებს! შორით — მდიდრული სადარბაზო კარია, მის წინ ფილაქანთან თეთრ ფანტელებში შავად ილანდება კარეტის სანდალოზის ძარა, მოჩანს ახალი თოვლით დაფარულ ძველ თოვლში ჩაფლული უკანა თვლების დიდი, თითქოსდა გაპოხილი სალტეები, — მე მივდივარ და, თვალი შევავლე თუ არა კოფოზე წამომართულ, მხრებფართო, იღლიის ქვემოთ ბავშვურად ქამარშემორტყმულ, ბალიშივით სქელი ხავერდის კონფედერატკით მორთული მეეტლის ზურგს, უცებ დავინახე: კარეტის მინებიან კარებთან ატლასის ბონბონიერში ზის, კანკალებს და ისე დაჟინებით იცქირება, გეგონება, აგერ-აგერ რაღაცას იტყვისო, პატარა, ცქრიალა ძაღლი, რომლის ყურები ზუსტად ჰგავს განასკვულ ბაბთს, — და კვლავ ელვასავით მოიკრა სიხარული: ო, არ დამავიწყდეს — ნამდვილი ბაბთი!

მე ბიბლიოთეკაში შევდიოდი ხოლმე. ეს ძველი, იშვიათი სიმდიდრის ბიბლიოთეკა გახლდათ, მაგრამ რა საოცრად მოწ-

ყენილი და უკაცური! ძველი ხელმიშვებული შენობა, ვეება, ცარიელი დერეფნები, მეორე სართულის სიცოცხლემიმქრალი კიბე, ნაბადივით გადაფენილი, აგლეჯილ მუშამბიანი კარი, გაცვეთილი, დაფლეთილი წიგნებით გამოპენილი სამი დარბაზი, გრძელი ხარიხა, მაღალი საწერი მაგიდა, შავი, ქამისფერ რაღაცაში გამოწყობილი, მკერდალასტული, ჩუმი, უქმური, ტანმომცრო ბიბლიოთეკის გამგე, გამხმარი, ფერგამკრთალი ხელებით, შუა თითზე მელნის ლაქა რომ აჩნდა, მისი ბრძანების აღმასრულებელი ნაცრისფერხალათიანი მოუვლელი ბიჭი, რომელსაც დიდი ხანია რაც თავისი თონთლო, თაგვის თავი არ გაეპარსა... მე „სამკითხველო კაბინეტში“ — დახუთული ჰაერით გაგუდულ მრგვალ ოთახში შევდიოდი, რომლის შუაში ასევე მრგვალი მაგიდა იდგა, ზედ კი „საეპარქიო უწყებანი“ და „რუსი მლოცველი“ ეწყო. მაგიდას ერთი უცვლელი მკითხველი — გამხდარი გიმნაზიელი უჯდა. მას მოკლე, გაცვეთილი მაზარა ეცვა, მოპმუპნული ცხვირსახოცით წამდაუწუმ ფრთხილად იწმენდდა ცხვირს, წინ იხრებოდა და სქელტანიან წიგნს რაღაცნაირი იდუმალებით ფურცლავდა... ან კი ვინ უნდა მჯდარიყო აქ ჩვენ ორს გარდა, რომლებიც მთელს ქალაქში ერთნაირად საოცარნი ვიყავით მარტოობით და იმით, რომ ორივე ვკითხულობდით, იგი გიმნაზიელისათვის შეუფერებელ რაღაცას კითხულობდა „საკომლო გადასახადის“ შესახებ. გამგემ მეც არა ერთხელ შემომხედა გაოცებით: მე „ჩრდილოეთის ფუტკარს“, „მოსკოვის უწყებანს“, „პოლარულ ვარსკვლავს“, „ჩრდილოეთის ყვავილებს“, პუშკინის „სოვრემენიკს“ ვთხოულობდი... სხვათა შორის, არც ახალს ვიკითხავდი, ყოველგარ „გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებს“ ვეტანებოდი: მხოლოდ იმიტომ, რომ მათში რაღაც მხარდაჭერა მეპოვნა. ჩემს თავს შურით ვადარებდი გამოჩენილ ადამიანებს... „გამოჩენილი ადამიანები!“ რამდენი პოეტი, რამდენი რომანისტი იყო დედამიწაზე, მაგრამ რამდენი შემორჩა დღემდე? მხოლოდ ერთი და იგივე სახელები უძლებს საუკუნეებს! ჰომეროსი, ჰორაციუსი, ვირგილიუსი, დანტე, პეტრარკა... შექსპირი, ბაირონი, შელი, გოეთე... რასინი, მოლიერი... იგივე „დონ კიხოტი“

იგივე „მანონ ლესკო...“ მახსოვს, ამ ოთახში პირველად დიდი აღტაცებით წავიკითხე რადიშჩევი: „მიმოვიხედე—ადამიანთა ტანჯვამ სული დამიმწუხრა!“

საღამოს ბიბლიოთეკიდან გამოვედი და წყნარად მივაბიჯებდი ბინდშეპარულ ქუჩებში. აქა-იქ ზარების ნელი რეკვა ისმოდა. ჩემს თავზე, ლიკაზე, მშობლიურ სახლზე ნაღველშემოწოლილი ეკლესიაში შევდიოდი. ეკლესიაში სიცარიელე და ბინდია, მიდამოს სანთლების უნიათო შუქი ჰფენია, ჩანს რამდენიმე მოხუცი კაცი და ქალი. სანთლების უჯრასთან დაუზარებლად დაყუდებულა ჭაღარაშერეული, უბრალოდ თმადავარცხნილი მნათე და თვალებს ვაჭრული სიმკაცრით აცეცებს. დარაჯი ძლივს მიათრევს დაქანცულ ფეხებს, ერთგან ასწორებს გადაღუნულ სანთელს, რომელიც ძალზე სწრაფად იღვენთება, მეორეგან სულს უბერავს ბოლომდე დამწვარ სანთელს, რომელსაც ნამწვისა და სანთლის სუნი, ასდის, შემდეგ ნამწვავებს ბებრულ მუჭაში აგორგალებს და ეტყობა, რა საშინლად მობეზრებია ეს ჩვენი მიწიერი არსებობა და ყველა მისი საიდუმლო: ნათელა, ზიარება, ჯვრისწერა, დასაფლავება, წლიდან წლამდე ერთმანეთს მიყოლებული ყოველი დღესასწაული, ყოველი მარხვა. შესამოსელის გარეშე უჩვეულოდ წვრილ, მხოლოდ ანაფორამოცმულ, შინაურულად და ქალივით თავშიშველ მღვდელს სახე დახურულ აღსავლის კარებისაკენ მიუპყრია, მისკენ ისე ღრმად იდრიკება, მკერდიდან ოლარი სცილდება, ძირს ეშვება და ნაღვლიან, იდუმალ ბინდში, მწუხარე სიცარიელეში ირხევა მისი ხმამაღალი, ოხვრით წარმოთქმული: „ღმერთო, მეუფეო სულისა ჩემისა...“ ეკლესიიდან გამოსულმა კვლავ ჩავისუნთქე გაზაფხულის წინამსრბოლი ზამთრის ჰაერი, დავინახე შავმოიისფრო ბინდი. მათხოვარმა, რომელსაც ჩამჩასავით მოემზადებინა ხელისგული, ჩემს წინ თვალთმაქცური მოკრძალებით დახარა სქელთმიანი ჭაღარა თავი. როცა მან შაურიანი დაიჭირა და ხელში ჩამუჭა, თვალი შევავლე და გავვოცდი — ნამდვილი ლოთის ბაცი ფირუზისფერი თვალები, ვეება, ხენდროსმაგვარი ცხვირი — სამი ხორკლიანი, დასვრეტილი, მსხვილი ხენდროსაგან შემდგარი სამკე-

ცი ცხვირი... ო, კვლავ სულისშემგუბებელი სიხარული: სამკეცი ხენდროს ცხვირი!

მე ქვევით მივყვებოდი ბოლხოვსკაიას და ბინდშეპარულ ცას შევყურებდი, — ცაში ალანდულ ძველ სახლთა სახურავების კონტურები და მათი დამამშვიდებელი სილამაზე მოსვენებას არ მაძლევდა. ადამიანის ძველი სადგომი — ვინ წერდა ამის შესახებ? ინთებოდა ფარნები, შუქი ეფინებოდა მაღაზიის ფანჯრებს, შავად კრთოდა ფილაქანზე მიმავალთა გამოსახულებანი, საღამო ლილასავით ლურჯდებოდა, ქალაქში სიმყუდროვე. უშფოთველობა ისადგურებდა... მე ხან ერთ და ხან მეორე გამვლელს ჯაშუშივით მივდევდი უკან, შევყურებდი მათ ზურგებს, კალოშებს, ვცდილობდი რაღაც გამეგო, რაღაც დამეჭირა, შევჭრილიყავ მათში... დამეწერა! სწორედ სახურავებზე, კალოშებზე, ზურგებზე უნდა დაიწეროს, და არა იმისათვის, რომ „ებრძოლო თვითნებობას და ძალადობას, დაიცვა ჩაგრულნი და დაბეჩავებულნი, შექმნა ნათელი ტიპები, დახატო საზოგადოების, თანამედროვეობის, მის განწყობილებათა და მიდრეკილებათა ფართო სურათები!“ მე ნაბიჯს მოვუჩქარე, ორლიკისკენ ვეშვებოდი, საღამო ღამემ შეცვალა, ხიდზე უფრო მკაფიოდ ანათებდა გაზის ფარანი. ფარანქვეშ იღლიაში ხელებამოჩრილი, სახედასიებული, უსიცოცხლო, ჩაღამებული თვალებით მომზირალი, ფერიმჭამელებიანი მაწანწალა შიშველი წითელი თათებით პირდაპირ თოვლში ჩამდგარიყო, ტანთ დაგლეჯილი ჩითის პერანგი და მოკლე ვარდისფერი პერანგის ამხანაგი ეცვა. იგი წელში იკაკვებოდა, მთელი სხეულით ძაღლივით ძაგძაგებდა, ძაღლურად შემომცქეროდა და უნიათოდ ბურტყუნებდა: „თქვენო ბრწყინვალებავ!“ მისი ამგვარი შესახედაობა და მთლიანად ის, ქურდის სისწრაფით შევიგრძენი, სამაგიეროდ ამ განცდის მონიეტებისათვის უზალთუნიანი ჩავუგდე ხელში... საშინელია ცხოვრება! მაგრამ ნამდვილად „საშინელია?“ იქნებ რაღაც სულ სხვაა, ვიდრე „საშინელება?“ ამ რამდენიმე დღის წინ ასეთივე მაწანწალას შაურიანი მივეცი და გულუბრყვილოდ წამოვიძახე: „ეს მაინც საშინელებაა, რომ თქვენ ასე ცხოვრობთ!“ და უნდა გენახათ, ჩემს სისულელეზე რა მოულოდნელი უტიფრობით, როგორ

მტკიცედ და გაბოროტებით შემომყვირა: „სრულიად არავითარი საშინელება არაა, ახალგაზრდავ!“ ხიდთან კი, დიდი სახლის ქვედა სართულში, თვალისმომჭრელად ელავდა საძეხვეს სარკისებრი ვიტრინა, რომელიც ისე დაეფარა ნაირნაირ ძეხვეულსა და შაშხებს, რომ თითქმის არ ჩანდა საძეხვეს თეთრი და ნათელი შიგნითა ნაწილი. „სოციალური კონტრასტები“— გესლიანად ვფიქრობდი ვიღაცის ჯიბრზე, ვიტრინის სინათლესა და ელვარებაში ჩავლისას... მოსკოვსკაიაზე მეეტლეთა ჩაიხანაში შევედი, მე მის ხმაურში სივიწროვესა და მომთენთავ სითბოში ვიჯექი და ვუცქეროდი ჩასუქებულ, ალისფერ სახეებს, ქერა წვერებს, ჟანგმოკიდებულ ატკეცილ სინს, რომელზეც ორი თეთრი ჩაიდანი იდგა და სახურავები სახელურებზე სველი, წვრილი კანაფით ჰქონდათ მიბმული... ხალხის ყოფაცხოვრებაზე დაკვირვება? რა სათქმელია! აი ამ სინს, ამ სველ კანაფებს უნდა მისჩერებოდე!

XII

ხანდახან სადგურზე მივდიოდი.—ტრიუმფალური ჭიშკრის იქით სიბნელე, მაზრის მიყრუებული ადგილები იწყებოდა და მე გონებაში უცნობ, არარსებულ, მხოლოდ ჩემს მიერ წარმოსახულ რომელიღაც პატარა სამაზრო ქალაქს ვხედავდი, თანაც ისე, თითქოს მთელი სიცოცხლე იქ გამეტარებინოს. ვხედავდი ფართო, თოვლით დაფარულ ქუჩებს, თოვლში შავად მომზირალ ქოხებს, წითელ სინათლეს ერთ-ერთ მათგანში... და აღტაცებით ვიმეორებდი: დიახ, დიახ, ასეც უნდა დავწერო, სულ სამი სიტყვა: თოვლი, ქოხი და შიგ ანთებული ლამპარი... მეტი არაფერი!—ზამთრის ქარბორიოს უკვე ორთქლმავლების კივილი, მათი შიშინი და ეს ტკბილი, სიშორის, სივრცის გრძნობით სულის სიღრმემდე ამაღელვებელი ჭვანახშირის სუნი მოჰქონდა. მოპირდაპირე მხარეს შავად ალანდულ., მეეტლეები მგზავრებს მიაქროლებდნენ — უკვე მოვიდა მოსკოვის საფოსტო? მართლაც — ბუფეტის დარბაზში ხალხს, სინათლეებს, სამზარეულოს სუნსა და ჩაიდანს ჰაერი შეეხუთა, ფრაკის კალთების ფრიალით დაქრიან ბირთვიეით მრგვალი, შავმოიისფრო, გაკრეჭილთავა და ცხენის თვალისბუდეებიანი, ფეხებდაჯღვარ-

კული, ღაწვებგანიერი, შავგვრემანი თათარი ლაქიები... საერთო მაგიდასთან მთელი სავაჭრო საზოგადოებაა; ცივ თართს პირშუშხათი მიირთმევენ საჭურისები: დიდი და დაძაგრული, დიაცური, ზაფრანისფერი სახეები, ვიწრო თვალები, მელიის ქურქები... სადგურის წიგნის ფარდული ყოველთვის დიდ აღფრთოვანებას მგვრიდა. მე მშიერი მგელივით ვუვლი გარს. მივიწევ მისკენ, ვაკვირდები წიგნების ყვითელ და ნაცრისფერ ყუაზე გაკეთებულ წარწერებს. ყოველივე ეს ისე ამძაფრებს მგზავრობისადმი, ვაგონისადმი ჩემს მუდმივ მისწრაფებას, ისე მანატრებს მას, ვისთანაც საღმე მიმავალი შეიძლებოდა წარმოუდგენლად ბედნიერი ვყოფილიყავ, რომ გარეთ მივიჩქარი, მივრბივარ მეეტლესთან და ქალაქში. რედაქციისაკენ მივქრი. რა კარგია მუდამ ეს ერთმანეთში აღრეული გულის წუხილი და სიჩქარე! მე მარხილში ვზივარ და მათთან ერთად მივჯაუჯაუებ, ვვარდები ოღროჩოღროებში, თავს მაღლა ვწევ — ღამე ეტყობა მთვარიანია: მღვრიედ მიმავალ ზამთრის ღრუბლებში გაფითრებული მთვარე ციმციმებს, ელავს, ანათებს. რა მაღლაა და რა უცხოა ყველასათვის! ღრუბლები მიცურავენ, აშიშვლებენ მას, შემდეგ ისევ ეხვევიან — მისთვის კი სულ ერთია, მათთან არაფერი ესაქმება! თავი უკან მაქვს გადახრილი, თვალს არ ვაშორებ და სულ ვცდილობ, როცა ციმციმით ღრუბლებიდან მთლიანად გამოგორდება, გავიგო: როგორია ცხენდრის თეთრი ნიღაბი? ერთთავად შიგნიდან მანათობელი, მაგრამ როგორი? სტეარინისებური? დიახ, დიახ, სტეარინისებური! ასეც ვიტყვი სადმე! შესასვლელში გაკვირვებულ ავილოვას ვეჯახები: „ოჰო, რა სულზე მოხვედი! წავიდეთ კონცერტზე!“ მას შავმაქმანიანი, ძალზე ლამაზი რაღაც აცვია, რომელშიც უფრო პატარა და ტანკენარი ჩანს, მხრები, ხელები და მკერდის ნაზი სათავე მოუშიშვლებია. ავილოვას თმა პარიკმახერთან დაეყენებინა, ოდნავ შეპუღრულიყო, ისის გამოც მისი თვალები უფრო ელვარე და ჩამუქებული ჩანდა. მე ქურთუკს ვაცმევ და თავს ძლივს ვიკავებ, რომ უცებ არ ვაკოცო ასე ახლო მყოფ შიშველ სხეულს. დახვეულ სურნელოვან თმებს... თავადაზნაურთა საკრებულოს ქორკანდელით

განათებულ ესტრადაზე დედაქალაქის სახელგანთქმული მომღერლებია: მშვენიერი ქალი და ვეება, შავგვრემანი ჰამაკაცი, რომელიც ყველა მომღერალივით განცვიფრებას იწვევდა საოცარი სიჯანსაღითა და ახალგაზრდა ულაყის მოუხეშავი, საუცხოო ძალ-ღონით. იგი ვეება ტერფებზე წამოცმული ფეხსაცმელებით, უცნაურად შეკერილი ფრაკით, თეთრი გულისპირით და თეთრივე ყელსახვევით აბზინებული გამომწვევად. ომახიანად გრგვინავს მამაცური, ვაჟკაცური შემართებით და მუქარის გამომხატველი მომთხოვნელობით. ქალი ხან ცილდება, ხან ეკვრის, აჩქარებით პასუხობს მას, ნაზი საყვედურებით, ჩივილით, უღრმესი მწუხარებითა და ზეაღმტაცი სიხარულით, გულსწრაფი, სანეტარო, კისკისა ფიორიტურებით აწყვეტინებს სიმღერას...

XIII

ხშირად გათენებამდე ვდგებოდი ხოლმე, საათს რომ დავხედავდი, ჯერ კიდევ არ იყო შვიდი. უზომოდ მინდოდა კვლავ საბანში გავხვეულიყავ და თბილად ვწოლილიყავ; ოთახში უამური, ნაცრისფეი ბინდი ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო. მძინარე სასტუმროს სიჩუმეში რაღაც ძალზე ადრეული ისმოდა, — სადღაც დერეფნის ბოლოს სასტუმროს მსახური ტანსაცმელს ჯაგრისით წმენდდა და ღილებს აჩხარუნებდა: მაგრამ ისეთი შიში მიპყრობდა წინანდებურად უქმად არ დამეკარგა დღე, ისეთი მოუთმენლობა, რაც შეიძლება ჩქარა და ახლა უკვე ბეჯითად მივჯდომოდი მაგიდას, რომ მსწრაფლ ზეზე ვდგებოდი. რა უცხო და აუტანელია ყველაფერი — ეს ბინძური მსახური, სადღაც ჯაგრისს რომ აფხაკუნებს, ეს სასტუმრო, თუნუქის უბადრუკი პირსაბანი, რომლიდანაც სახეში გეზად გარტყამს ცივი ნაკადი! რა საცოდავად გამოიყურება ჩემი ახალგაზრდული სიგამხდრე ამ თხელ ლაშის პერანგში, როგორ გაშეშებულა მინასთან რაფის ხორხოშელა თოვლზე მობუზული მტრედი! გული უცებ სასიხარულო, თამამი გადაწყვეტილებით ინთებოდა: არა, ახლავე უკან ბატურინში, ჩემს მშვენიერ მშობლიურ

სახლში უნდა დავბრუნდე, მაგრამ როგორც კი სახელდახელოდ დავლევდი ჩაის და წიგნებს დიდი წვალებით ავალაგებდი მეორე ნომრის კარებთან მიდგმულ მაგიდიდან, სადაც ერთი ფერგამკრთალი, სევდისმომგვრელი სილამაზის ქალი ცხოვრობდა რვა წლის ბავშვით, მაშინვე მითრევდა ჩემი ჩვეულებრივი დილის საქმიანობა: საწერად ჰზადება — იმის დაძაბული გარჩევა: რა არის ჩემში, იმ რაღაცის გამონახვა ჩემს შინაგან სამყაროში, რაც ასე მეგონა, აგერ-აგერ ჩამოყალიბდებოდა, რაღაცად იქცეოდა... ველოდი ამ წუთს — და უკვე შიშს ვგრძნობდი, რომ საქმე ისევ და ისევ მხოლოდ ლოდინით, უფრო და უფრო მხარდი მღელვარებით, გაშეშებული ხელებით, შემდეგ კი სრული უნუგეშობით და სადმე ქალაქში, რედაქციაში სირბილით დასრულდებოდა. თავში კი ისევ ირეოდა, ბორგავდა თავისი თვითნებურობითა და ქაოსით, უაღრესად სხვადასხვაგვარი გრძნობების, აზრებისა და წარმოდგენების სიმრავლით გულის გამწყალებელი რაღაც... ძირითადი ყოველთვის საკუთარი, პირადი იყო, — მაშინ განა მართლა მაინტერესებდა სხვა ადამიანები როგორი ყურადღებითაც არ უნდა დავკვირვებოდი მათ? რას იზამ, ვფიქრობდი მე, იქნებ, პირდაპირ საკუთარ თავზე დავიწყო თხრობა? მაგრამ როგორ? „ბავშვობისა და ყრმობის“ მსგავსად? თუ უფრო მარტივად? „მე დავიბადე სწორედ იქ, სწორედ იმჟამად...“ მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა მშრალი, უბადრუკი — და არაფრისმთქმელია! მე ხომ სავსებით სხვას ვგრძნობდი! ეს სირცხვილია, სათქმელად ძნელია, მაგრამ ეს ასეა: მე დავიბადე სამყაროში, დროისა და სივრცის უსასრულობაში, სადაც თითქოსდა ოდესღაც რაღაც მზის სისტემა შეიქმნა, შემდეგ რაღაც მზედწოდებული, შემდეგ მიწა, მაგრამ რა არის ეს? რა ვიცი ყოველივე ამის შესახებ. ცარიელი სიტყვების გარდა? მიწა პირველად გაზისებრ მანათობელ მასას წარმოადგენდა... მილიონი წლების შემდეგ ეს გაზი სითხედ იქცა, შემდეგ სითხე გამყარდა, აქეღან მოკიდებული თითქოსდა კიდევ ორმა მილიონმა წელმა ღანვლო და დედამიწაზე გაჩნდა ერთუჯრედიანი წყალმცენარეები, ინფუზორები... მერე კი უხერხემლონი: ჭიები, მოლუსკები... შემდეგ ამფიბიები... ამფიბიებს მოჰყვა გი-

განტური ქვეწარმავლები... მერე რაღაც გამოქვაბულის ადამიანი და მის მიერ ცეცხლის გაჩენა... შემდეგ რომელიღაც ქალდეა, ასირია, რომელიღაც ეგვიპტე, თითქოსდა მარტოოდენ დაბალზამებული მუმიებისა და პირამიდების შემქმნელი... რომელიღაც არტაქსერქსე, რომელმაც ჰელესპონტეს გამოლტვა ბრძანა... პერიკლე და ასპაზია, ბრძოლა თერმოპილთან, მარათონის ბრძოლა... თუმცაღა ყოველივე ამას დიდი ხნით წინ უსწრებდა ის ლეგენდარული დღეები, როცა აბრამი თავის ფარაონთან ერთად აღდგა და აღთქმული მიწის საძებნელად გაეშურა... „რწმენითა აბრაამ დაემორჩილა მოწოდებას წასულიყო მხარეს, აღთქმულს სამემკვიდროდ და წარვიდა, რამეთუ არა უწყოდა საით ვიდოდა...“ დიახ. არ იცოდა! ისევე, როგორც ბე! „რწმენითა დაემორჩილა მოწოდებას...“ რის რწმენით? უფლის ბრძანების სიკეთის რწმენით. „და წარვიდა რამეთუ არა უწყოდა საით...“ არა, იცოდა: რაღაც ბედნიერებისაკენ, ესე იგი იმისკენ, რაც მიმზიდველი და კარგი იქნებოდა, მიანიჭებდა სიხარულს, იგივე სიყვარულს — სიცოცხლისას... მეც ხომ იმით ვცხოვრობდი მუდამ, რაც სიყვარულს, სიხარულს იწვევდა...

კარებთან პატარა მაგიდის გვერდით უკვე ისმოდა ქალისა და ბავშვის ხმა, პირსაბანის პედალის ჟღარუნი. წყლის წანწკარი, დუღდა ჩაი, იწყებოდა ბეგონებანი: „კოსტენკა, ჭაძე ფუნთუშა!“ მე ვდგებოდი და ოთახში სიარულს ვიწყებდი. ახლა კიდევ ეს კოსტენკა... დედამისი, ჩაის დაალევინებდა თუ არა, შუადღემდე სადღაც მიდიოდა. შინ მობრუნებისას რაღაცას ამზადებდა ნავთქურაზე, ანაყრებდა მას და ისევ მიდიოდა. მერედა რა ტანჯვა იყო იმის ყურება, როგორ დაძვრება ეს საერთო სანომრო ბავშვად ქცეული კოსტენკა ნომრებში, როგორ იქყიტება ხან ერთ, ხან მეორე მცხოვრებთან, თუ ვინმე შინ აღმოჩნდება, როგორ გაუბედავად ამბობს რაღაცას; დროდადრო როგორ ცდილობს წაიქლესოს, რაიმე ფარისევლური უთხრას, კოსტენკას კი არავინ უსმენს. ზოგი სხაპასხუპით მიაყრის: „აბა, წადი, წადი, ძმობილო, თუ ღმერთი გწამს, ხელს ნუ გვიშლი!“ — და გარეთაც აგდებს. ერთ ნომერში ცხოვრობდა მეტისმეტად სერიოზული, მეტისმე-

ტად წესიერი, ტანმორჩილი მოხუცი ქალი, რომელიც თავის თავს ყველა მცხოვრებზე მაღლა აყენებდა, დერეფანში ისე ჩაივლიდა, არავის შეხედავდა, ხშირად, ძალზე ხშირადაც კი იკეტებოდა საპირფარეშოში, სადაც შემდეგ წყალს ახმიანებდა. მას ერთი დიდი, გასისინებული ოთახის ძაღლი ჰყავდა, რომელსაც ფართო ზურგი, ოაჭყეტილი, გამოციებული ხურტკმელის თვალები, ბილწი, ჩაჭყლეტილი ცხვირი, საზიზღრად წამოწეული, ამპარტავნული ქვედა ყბა და ორ ეშვს შუა გამოჩხერილი გომბეშოს ენა ჰქონდა. მის დრუნჩს ჩვეულებრივ ერთი და იგივე გამომეტყველება — უტიფარი ყურადღება — არ შორდებოდა, ოღონდ ძალზე ნერვული იყო. თუ ვინმეს მიერ ოთახიდან გამოგდებული კოსტენკა დერეფანში შემოხვდებოდა, იმწამსვე გაიგონებდით მის ბოროტ ღრენას, ქშინვას და ხიხინს, რაც მალე ბრაზმორეულ სიშმაგეში გადადიოდა და ხმამაღალი ყეფით მთავრდებოდა, კოსტენკა კი ისტერიულ ღრიალს იწყებდა...

მაგიდასთან ხელახლა დაჯდომისას სულს მიწუხებდა ცხოვრების უბადრუკობა, მისი ერთფეროვნება და გულისგამწყალებელი სირთულე. ახლა მინდოდა კოსტენკაზე და კიდევ რაღაც ამისდაგვარზე მეთქვა რაიმე. აი. მაგალითად, ნიკულინას ფუნდუკში ერთხელ მთელი კვირა ცხოვრობდა და მუშაობდა ხნიერი მედაბური მკერავი ქალი, რომელიც ჩამონაჭრებით ავსებულ მაგიდაზე სულ რაღაცას ჭრიდა, შემდეგ დალამბულს საკერავ მანქანაზე სდებდა და დაგვირისტებას იწყებდა... მარტო ის რად ღირს, როცა ჭრიდა და მაკრატლის მოძრაობას თვალს აყოლებდა, როგორ იღრეცდა გაფშეკილ, ლაფშა პირს, რა სიამოვნებით სვამდა ჩაის და მუდამ მოწადინებული იყო რაიმე მაამებელი ეთქვა ნიკულინასთვის, და როცა მას თვალთმაქცური გამოცოცხლებით აალაპარაკებდა, როგორ უწვდიდა — თითქოსდა უნებლიეთ — თავის მსხვილ, ნაჯაფ ხელს, თეთრი პურის ნაჭრებით ავსებულ პატარა კალათს და მურაბიან, დაწახნაგებულ ლარნაკს! ყავარჯნიან ფეხუცა ქალს აღარ იკითხავთ, რამდენიმე დღის წინ რომ კარაჩევსკაიაზე შემომხვდა? ყველა კოჭლი და კუზიანი გამომწვევად, აპრეზით დადის: ის კი მორიდებით მოჩინდრიკობ-

და ჩემსკენ, ხელები ყავარჯნის შავი სახელურებისთვის ჩაევლო, მოძრაობისას თანაბრად ეყრდნობოდა მათ, ზემოთ სწევდა მხრებს, რომელთა ქვეშ ყავარჯნის შავი საყრდენები გამოჩრილიყო და ჩაციებით შემომცქეროდა... მას გოგონას მოკლე ქურთუკი ეცვა, ჭკვიანი, ნათელი და უცოდველი, მუქი თაფლისფერი და ქალწულური, მაგრამ უკვე ცხოვრების ავ-კარგის, მისი მწუხარებისა და იდუმალების მცოდნე თვალები ჰქონდა... რა მშვენიერია ზოგი უბედური ადამიანი, მისი სახე, თვალები, რომელთაგანაც მთელი მისი სული შემოგყურებს!

შემდეგ კვლავ შეეცადე გავყოლოდი იმაზე ფიქრს, რითაც ჩემს ცხოვრებაზე წერა უნდა დამეწყო. მაგრამ რით! უპირველეს ყოვლისა, ხომ საჭიროა ვთქვა თუ სამყაროს შესახებ არა, სადაც მე გავჩნდი მისთვის ღირსსახსოვარ წამს, რუსეთის შესახებ მაინც: წარმოდგენა მივცე მკითხველს, რომელ ქვეყანას ვეკუთვნი, რა ვითარების შედეგად მოვევლინე დედამიწას. მაგრამ ან ამის შესახებ რა ვიცი? სლავიანთა გვაროვნული ყოფა-ცხოვრება, სლავურ გვართა განხეთქილებანი... სლავები გამოირჩეოდნენ მაღალი ტანით. ქერა თმებით, სიმამაცით, სტუმართმოყვარეობით, აღმერთებდნენ მზეს, ჰეჭა-ქუხილს და ელვას, თაყვანს სცემდნენ ოჩოპინტრეს, ალებს, წყლის კაცებს, საერთოდ ბუნების ძალებს და მოვლენებს... კიდევ რა? მთავართა მოწოდება, ცარგრადის ელჩები მთავარ ვლადიმირთან, საერთო სახალხო ტირილში დნეპრში პერუნის დამხობა... იაროსლავ ბრძენი, მისი შვილებისა და შვილიშვილების შინა ომი... რომელიღაც ვსევოლოდ ბოლშოე გნეზდო... ესეც არ იყოს, — მე სრულებით არაფერი ვიცი ახლანდელი რუსეთის შესახებაც! ჰო, ვთქვათ, გაღატაკებული მემამულენი, დამშეული გლეხები, საერობო უფროსები, ჟანდარმები, პოლიციელები, სოფლის მღვდლები, მწერლების თქმით, უთუოდ რომ მრავალრიცხოვანი ოჯახი აწევთ კისერზე... შემდეგ? აი, ორიოლი ერთ-ერთი ყველაზე ძირეული რუსული ქალაქი, — მისი ცხოვრება, მისი ადამიანები მაინც გამეცნო, მე კი რა გავიცანი? ქუჩები, მეეტლეები, დატკეპნილი თოვლი, მაღაზიები, აბრები — სულ აბრები და

აბრები... მღვდელმთავარი, გუბერნატორი... გოლიათი, ლამაზი, მაგრამ მხეცი ბოქაული რაშევსკი... პალიცინი: ორიოლის დიდება, მისი ერთ-ერთი ბურჯი, ერთ-ერთი იმ ახირებული კაძეჩთაგანი, რომლებითაც რუსეთმა უხსოვარ დროიდანვე გაითქვა სახელი: კაცი დიდგვაროვანი, აქსაკოვისა და ლესკოვის მეგობარი, ხნიერი; ცხოვრობს ძველი რუსული დარბაზისმაგვარ შენობაში, რომლის კედლები ძველთაძველი, იშვიათი ხატებითაა დაფარული, თვით რაღაცნაირი, ფერადი ტარსიკონით მოქარგული განიერი ხიფთანი აცვია. თავს შემოკვერცხვლით იკრეჭს, დაძაგრული სახე და ვიწრო თვალები აქვს, მეტად გონებამახვილია, როგორც ამბობენ განსაცვიფრებლად ნაკითხიც... სხვა რა ვიცი ამ პალიცინის შესახებ? სრულიად არაფერი!

მაგრამ ამ დროს აღშფოთება მიპყრობდა: რა აუცილებელია რაღაცაზ და ვიღაცას მთელი სისრულით ვიცნობდე, რატომ არ შეიძლება ვწერო ისე, როგორ ვიცი და ვგრძნობ! მე კვლავ ზეზე ვდგებოდი და სიარულს ვიწყებდი, მახარებდა ჩემი აღშფოთება, ვეჭიდებოდი მას როგორც შველას... და მოულოდნელად თვალწინ მიდგებოდა სვიატიგორის მონასტერი, სადაც გასულ გაზაფხულს ვიყავი, მისი კედლების მახლობლად, დონეცის ნაპირზე გაშლილი სხვადასხვა ჯურის მლოცველთა ბანაკი, მორჩილი, რომელსაც მონასტრის ეზოში დავდევდი და ამაოდ ვცდილობდი სადმე ღამის გასათევი მოეცა, ვხედავდი როგორ იჩეჩდა მხრებს, გამირბოდა და სირბილში როგორ მიაფარფატებდა კაბის ბოლოებს, ხელებს, ფეხებს, თმებს; რა წვრილი, მოქნილი ტანი, ახალგაზრდული, ჭორფლით დაფარული სახე, დამფრთხალი, მწვანე თვალები და საოცრად აჩეჩილი, ფაფუკი, რბილი და ნაზი, ნათელი ოქროსფერი ხუჭუჭა თმა ჰქონდა... შემდეგ იმ გაზაფხულის დღეებს ვხედავდი, როცა მე, თითქოს, დაუსრულებლად ვცურავდი დნეპრზე... შემდეგ გარიჟრაჟს სადღაც ტრამალში... თვალწინ კრთებოდა — როგორ გავიღვიძე მაგარი ვაგონის მერხზე ამ სიმაგრითა და დილის სიცივით ერთიანად გაფიჩხებულმა, ორთქლით გათეთრებულ მინებში არაფერი ჩანდა — სრულიად გაუგებარი იყო, სად მიდიოდა მატარებელი! — და

ვიგრძენი, რომ სწორედ ეს გაუგებრობა იყო აღმაფრთოვანებელი... მე დილის ცოცხალი გონებით წამოვხტი, ფანჯარა გავაღე, ზედ დავეყრდენ: თეთრი დილა, თეთრი თვალშეუვალი ნისლი, გაზაფხულის დილისა და ნისლის სუნი, ვაგონი მიქრის და ნისლი სველი თეთრეულივით გირტყამს ხელებზე, და სახეზე...

XIV

ერთხელ ჩემი ადგომის დრო რატომღაც ძილში გამეპარა. როცა გავიღვიძე, არც მაშინ ავმდგარვარ, ვიწექი და ჩემს პირდაპირ ფანჯარაში ზამთრის დღის ლიცლიცა სინათლეს გავცქეროდი. თან იშვიათ სიმშვიდეს, გონებისა და სულის იშვიათ სიფხიზლეს ვგრძნობდი. მთელი გარემო რაღაც პატარა და უმნიშვნელო რამედ მეჩვენებოდა. მე დიდხანს ვიწექი ასე, ვგრძნობდი რარიგ მეხამუშებოდა, რარიგ მევიწროებოდა ოთახი და არაფერი მაკავშირებდა მასთან. შემდეგ ავდექი, პირი დავიბანე, ჩავიცვი და ჩვეულებისამებრ პირჯვარი გადავისახე ჩემი უხეირო რკინის საწოლის თავზე ჩამოკიდებულ პატარა ხატთან, სწორედ იმ ხატთან, რომელიც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ახლაც ჰკიდია ჩემს საწოლ ოთახში: ტლანქ, ვერცხლისფერ მოჭედილობაში ჩასმული, მუქი წენგოსფერი, დროთა ვითარებაში გაქვავებული სწორი ფიცარი; მოჭედილობის ამობურცული ადგილები გამოსახავს აბრამის ტრაპეზთან მსხდომ სამ ანგელოზს, რომელთა დაშრეტილი, საოცრად აღმოსავლური სახეები ყავისფრად მოჩანს, მის მრგვალ ჭრილებში; ეს არის დედაჩემის საგვარეულო მემკვიდრეობა, რითაც ცხოვრების გზა, კაცობაში ფეხშედგმა დამილოცა იმ ბერობის მსგავსი რაღაციდან, რასაც ჩემი ბავშვობა, ყრმობა, პირველი ჭაბუკური წლები, ჩემი მიწიერი არსებობის მთელი ის მიყუჩებული, იდუმალი ხანა წარმოადგენდა, რაც ახლა მის სანუკვარ, ზღაპრულ, დიდი ხნიდან თითქოსდა რაღაც განცალკევებულ, ჩემთვისაც კი უცხო ყოფად გარდასახულ, განსაკუთრებულ ხანად მეჩვენება... პირჯვარის გადასახვის შემდეგ საყიდლებზე წავედი,

რომელთა შეძენაც წოლისას მოვიფიქრე. გზად წუხანდელი სიზმარი გამახსენდა: ყველიერი იყო, მე კვლავ როსტოვ-ცევებთან ვცხოვრობდი, მამასთან ერთად ცირკში ვიჯექი და მოედანს გავყურებდი, სადაც ყორნისფერი ჯუჯა ცხენების პატარა რემა, მთელი ექვსეული დარბოდა... ცხენებს თავზე წითელი ჯიღები ედგათ, ისინი კოხტად შეეკაზმათ ზანზალაკებიანი პატარა, სპილენძისფერი უნაგირებით, ლაგამიც მაგრად ამოედოთ — უნაგირთან მიბმული ხავერდის სადავეები ისე დაჭიმვოდათ, რკალივით ხრიდნენ მსხვილ, მოკლე კისრებს, რომლებზეც შავი ჯაგრისივით აფხოროდათ მოკლედ შეკრეჭილი ფაფარი... ცხენებს უკეთურად, ჯიუტად დაეხარათ შავი თავები და ფეხშეწყობილნი, ერთრიგად, ნელი ჩორთით დარბოდნენ ზანზალაკების ჟღარუნით, — ყველას ერთნაირად მოკლე ფეხები, ერთნაირი ფერდები, ერთი ფერი და სიმაღლე ჰქონდა, — მცირე გარბენის შემდეგ მოულოდნელად ლაგამის ღრჭიალითა და ჯიღების რხევით შედგნენ... ფრაკში გამოწყობილი დირექტორი დიდხანს ყვიროდა და ატყლაშუნებდა მათრახს, ვიდრე არ აიძულა ცხენები მუხლებზე დაცემულიყვნენ და შაყურებლებს მისალმებოდნენ, რის შემდეგ მხიარული გალოპით უცებ ახმიანებულმა მუსიკამ — თითქო უკან მისდევსო — სწრაფად გააქროლა, მწკრივად გარეკა ისინი მრგვალი მოედნის გასწვრივ... მე საწერი ნივთების მაღაზიაში შეველ და შავმუშამბიანი, სქელი რვეული ვიყიდე. შინ რომ მოვბრუნდი, ჩაის მივუჯექი, თან ვფიქრობდი: „საკმარისია, დღეიდან მხოლოდ ვიკითხავ და ხანდახან ყოველგვარი ამოჩემების გარეშე მოკლედ ჩავინიშნავ ზოგ რამეს — ყოველნაირ აზრს, გრძნობას, დაკვირვებას...“ მე კალმი ავიღე და მონდომებით, მკაფიოდ გამოვიყვანე:

— ალექსი არსენიევი. ჩანაწერები.

შემდეგ დიდხანს ვიჯექი, ვფიქრობდი რა ჩამეწერა, მთელი ოთახი კვამლით ავავსე, მაგრამ არ ვწუხდი, მხოლოდ ჩუმად და მოწყენილად ვიყავი. ბოლოს ჩაწერა დავიწყე:

— რედაქციაში შემოვიდა ცნობილი ტოლსტოველი თავადი ნ-ის, ტულის დამშეულთათვის გამოსაღებისა და გაწეული ხარჯების ანგარიშის დაბეჭდვას ითხოვდა. თავადი გახ-

ლდათ პატარა, საკმაოდ მსუქანი კაცი, ეცვა რაღაც მსუბუქი, კავკასიურის მსგავსი ჩექმები, კრაველის საყელოიანი პალტო, ეხურა კრაველის ქუდი, — ყოველივე ძველი და გაცვეთილი, მაგრამ ძვირფასი და სუფთა, — ამასთან თხელი ნაცრისფერი ხალათი, ზედ შემოჭერილი თასმით, რომლის ქვეშ მუცელი მრგვალდებოდა, თვალებზე კი ოქროს პენსნე ეკეთა. თავი მეტად მორიდებულად ეჭირა, ბაგრამ სრულიად არ მესიამოვნა მისი წესიერი, ნაპატივები, რძისფერი სახე და ცივი თვალები. იმწამსვე შემძულდა იგი. მე, რასაკვირველია, ტოლსტოველი არა ვარ, მაგრამ არც ისა ვარ, სხვებს რომ ჰგონიათ: მე მინდა ცხოვრება, ხალხი მშვენიერი იყოს, სიყვარულს, სიხარულს აღგიძრავდეს და მხოლოდ ის ბძულს, რაც ხელს უშლის ამას.

რამდენიმე ხნის წინ ბოლხოვსკაიას აღმა ავუყევი და ასეთი სურათი ვიხილე: მზე ჩადის, ყინავს, დასავლეთით ცა იწმინდება და იქიდან, ამ მწვანე, გამჭვირვალე და სუსხიანი ციდან მთელ ქალაქს ეფინება დაისის ნათელი შუქი, რომლის გამოუცნობი სევდის გამოხატვა ყოვლად შეუძლებელია; ფილაქანზე კი ჩამოკონკილი, სიცივისაგან გალურჯებული მოხუცი მეარღნე დგას და ამ სუსხიან საღამოს ახმიანებს თავისი დანჯღრეული არღნის ბგერებით, ფლეიტისებური სტვენით, რაკრაკით, ხრიალით და ამ სტვენისა და ხრიალისაგან ამონატაცი რომანტიული, რაღაც უცხო და შორეული, ძველთაძველი მელოდიით, რაც აგრეთვე სულს აწამებს — რაღაც ოცნებებით, რაღაცაზე სინანულით...

— მე ყველგან განვიცდი სევდას ან შიშს. დღემდე თვალწინ მიდგას ამ ორი კვირის წინ ნანახი სურათი. ესეც საღამოს მოხდა, მხოლოდ ბნელ და მოქუშულ საღამოს. შემთხვევით ერთ პატარა ეკლესიაში შევედი, სიბნელეში ამბიონთან, თითქმის იატაკზე სინათლე ჩანდა, მე ახლოს მიველ და სული შემიგუბდა: ბავშვის კუბოს თავზე მიმაგრებული სამი თაფლის სანთელი მკრთალად და მწუხარედ აშუქებდა ქაღალდის არშიაშემოვლებულ ვარდისფერ პატარა სასახლეს, შიგ მწოლარე შუბლვიწრო, შავგვრემან ბავშვს. გეგონებოდათ, ბავშვს სძინავსო, თუ არა ფაიფურისებურ სახეზე, ამობერილ,

დახუჭულ ქუთუთოებსა და ბაგეთა სამკუთხედში ის რაღაც იასამნისფერი და ამ ქვეყნად ყოველივესგან ის უსაზღვროდ მორჩილი, მარადისი განრიდება, რითაც კუბოში იწვა!

— მე დავწერე და გამოვაქვეყნე ორი მოთხრობა, მაგრამ მათში ყველაფერი ყალბი და უამურია: ერთი დამშეულ გლეხებზე, რომლებიც არ მინახავს, — და, კაცმა რომ თქვას, არც ვნანობ, — მეორე მემამულეთა გაღატაკების გაცვეთილ თემაზე, რაც ასევე გამოვიგონე, ნამდვილად კი როგორ მსურდა დამეწერა მხოლოდ თეთრი ალვის შესახებ, ღარიბი მემამულე პ.—ს სახლის წინ რომ ხარობს, და კიდევ მის კაბინეტში, კარადაში დადგმული ქორის უძრავ ფიტულზე, რომელიც ელვარე თვალებით გაშლილი, ჭრელი, ღიაყავისფერი ფრთებით ყვითელი მინიდან ნიადაგ, ნიადაგ ძირს იყურება. თუ გაღატაკებაზე დავწერდი, მინდოდა მხოლოდ მისი პოეტურობა გამომეხატა: უბადრუკი ყანები, რომელიმე კარ-მიდამოს, ბაღების, შინაყმების, ცხენების, სანადირო ძაღლების საცოდავი ნაშთები, მოხუცებული მამაკაცები და ქალები, იგივე „ძველი ბატონები“, რომლებმაც წინა ოთახები ახალგაზრდებს დაუთმეს და თავად უკანა ოთახებში იყუჟებიან,— ყველაფერი ეს სამწუხარო და ამაღელვებელია. თან ისიც უნდა ვთქვათ, როგორი არიან „ახალგაზრდა ბატონები“. უმეცარნი, უსაქმურნი, გლახაკნი, ჯერ კიდევ სულ იმის ფიქრში გართულნი, რომ ცისფერი სისხლისანი არიან, რომ ერთად ერთ უმაღლეს და უკეთილშობილეს წოდებას შეადგენენ: აზნაურის ქუდებში, გვერდზე შესაკრავ პერანგებში, შარვლებში, ჩექმებში გამოწყობილნი... შეურისთანავე მოჰყვებიან სმას, თუთუნის წევას, ტრაბახს. არაყს ძველებური შამპანურის ბაკალით სვამენ, თოფებში ხორხოცით აწყობენ ფუჭ ტყვიებს და ანთებულ სანთლებს ესვრიან, სროლით აჭრობენ მათ. ვინმე პ., ერთი ამგვარ „ახალგაზრდა ბატონთაგანი“, გატიალებულ კარ-მიდამოდან სულ გადასახლდა თავის, რასაკვირველია, დიდი ხნიდან უმოქმედო წყლის წისქვილში და იქ ერთ ცხვირმიგნესილ საყვარელთან ცხოვრობს ქოხში. მასთან სძინავს ტახტზე, თივაზე თუ „ბაღში,“ ანუ ქოხის გვერდით მდგარ ვაშლის ძირში. ვაშლის ტოტზე დაუკიდია

სარკის ნატეხი, რომელშიც თეთრი ღრუბლები ისახება. მოწყენილობისაგან ზის და ნიადაგ ქვებს ესვრის წისქვილის გვერდით საგუბარში მოცურავე იხვებს, რომლებიც ყოველ ქვის სროლაზე ერთბაშად, გუნდად აყიყინდებოდნენ და ახმაურდებოდნენ.

ჩვენი ყოფილი შინაყმა, ბრმა, მოხუცი გერასიმე დადიოდა ყველა ბრმასავით თავაწეული, თითქოს რაღაცას აყურადებსო, გუმანით სინჯავდა გზას ჯოხით. ის მარტოკა ცხოვრობდა სოფლის განაპირას, ქოხში ჰყავდა მხოლოდ ლ.-ფნის გალიაში გამომწყვდეული მწყერი, რომელიც სულ ფრთხიალებდა, უხეში ტილოს სახურავს ახტებოდა და ნიადაგ მასზე ხეთქებით ბუმბული მთლიანად გასცვივნოდა. გერასიმე სიბრმავის მიუხედავად ზაფხულის ყოველ გარიჟრაჟზე მინდვრად გადიოდა მწყერების საჭერად, ტკბებოდა მათი ქუთქუთით, უსინათლო სახეზე მოლამუნე, თბილ ქარს რომ მოჰქონდა. იგი ამბობდა — არაფერიაო ქვეყნად გულის ფანცქალზე უფრო საამო იმ წუთებში, როცა მწყერი, ბადესთან სულ უფრო ახლო მისვლისას, დროის გარკვეულ მანძილზე უფრო ფიცხად, ხმამაღლა და მონადირესავით გულის მომკვლელად ხმიანებს. აი, ის იყო ჰეშმარიტი, უანგარო პოეტი.

XV

რედაქციაში სასაუზმოდ გული არ მიმიწევდა. მოსკოვსკაიაზე წაველ სამიკიტნოში. იქ რამდენიმე ჭიქა არაყი შევსვი და ქაშაყი შევატანე. მე თეფშზე სიგრძივ გაჭრილ ქაშაყის თავს დავყურებდი და ვფიქრობდი: „ესეც უნდა ჩავიწერო — ქაშაყს სადაფისფერი ლაყუჩები აქვს“. შემდეგ ცხარე ერბოკვერცხი ვჭამე. ხალხი ბლომად იყო სამიკიტნოში. ირგვლივ ქადებისა და შემწვარი ტბის ცქიმურას სუნი ტრიალებდა, ჭერდაბალ დარბაზში დახუთული ჰაერი იდგა. თეთრხალათიანი, მხრებში მოხრილი და კეფაგადაწეული ფაღეშები ცეკვაცეკვით მიმორბოდნენ, მიკიტანი, ყველაფერში რუსული სულის განსახიერება, დიდი ხნის ათვისებული სიმკაცრისა და კეთილმსახურების გამომეტყველებით მოხდენილად იდგა დახლთან და ყურადღებით ზვერავდა თვითეულ მათგანს; პა-

ტარა მაგიდებს შუა, რომლებიც მედაბურებს დაეკავებინათ, დინჯად დადიოდნენ უხეშ, ყურებიან წაღებში ფეხწადგმული ჭკის მსგავსი, ტანმომცრო, შავი მონაზნები.. მედაბურები იჭმუხნებოდნენ და ქისებიდან ყურგახვრეტილ კაპიკიანებს იღებდნენ... ყოველივე ეს თითქოსდა ჩემი სიზმრის გაგრძელება იყო: არყით, ცხარე ერბოკვერცხით და ბავშვობის მოგონებით გაბრუებული ცრემლების მოახლოებას ვგრძნობდი... შინ დავბრუნდი თუ არა, დავწექი და დავიძინე. მწუხრისას სევდიანს, რაღაცაზე სინანულით შეპყრობილს, გამეღვიძა. თავი სარკეში შევათვალიერე, დავივარცხნე, უკმაყოფილოდ შევნიშნე, რომ ჩემს გრძელ თმებს გადაჭარბებული არტისტულობა ეტყობოდა და საპარიკმახეროს მივაშურე. საპარიკმახეროში იჯდა ვიღაც თეთრბალახონიანი, ტანმორჩილი, მჭლოტი და ყურებაფშეკილი ღამურა, რომელსაც პარიკმახერი საოცრად სქლად და გულუხვად უსაპნავდა ზედა ტუჩსა და ლოყებს. მან მთელი ეს რძისფერი ქაფი სამართებლით მარდად ჩამოაცალა ღამურას, შემდეგ ხელახლა ოდნავ გასაპნა და ისევ ჩამოასუფთავა — ამჯერად ქვემოდან, სამართებელი დაუდევრად, მოკლე-მოკლედ აჰკრა ლოყაზე, — ღამურა წამოდგა, ბალახონი გადაიწია, დაიხარა, ჭარხალივით გაწითლდა, ცალი ხელით ბალახონი მიიმაგრა მკერდზე და მეორეთი პირის ბანას შეუდგა.

— ხომ არ დაგასხუროთ? — ჰკითხა პარიკმახერმა.

— მიდი, — თქვა ღამურამ.

პარიკმახერმაც სურნელოვანი საპკური ააშიშინა და ღამურას სველ ლოყებს მსუბუქად მოუცაცუნა ხელსახოცი.

— გაამოთ, — მკაფიოდ თქვა პარიკმახერმა, თან ბალახონს აცლიდა. ღამურაც წამოდგა, იგი საშინელი შესახედავი იყო: დიდყურა, დაბალ-დაბალი, მხარბეჭიანი, უზარმაზარი თავის ქალა, ფართო, გამხდარი, წითელი ტარსიკონისფერი სახე, პირის მაგივრად შავი ხვრელი, ობობასავით დაბარძღული, მოკლე ტანი და წვრილი, მრუდე ფეხები ჰქონდა. გაპარსვის შემდეგ თვალები ბალღივით უელავდა. მან პარიკმახერს გასამრჯელო მისცა, შავი ძვირფასი პალტო ჩაიცვა, მაღალი ცილინდრი დაიხურა, სიგარას მოუკიდა და გავიდა.

— იცით ვინ არის? — მომმართა პარიკმახერმა, — უმდიდრესი კაცი, ვაჭარი ერმაკოვი. მერედა რამდენს მაძლევს ხოლმე? დახედეთ.

მან ხელისგული გაშალა და მხიარული სიცილით მიჩვენა:

— ზუსტად ორი კაპიკი!

შემდეგ ჩვეულებისამებრ ქუჩებში დავიწყე ხეტიალი. ეკლესიის ეზო დავინახე და შიგ შევედი, იქიდან ეკლესიას მივაშურე — მარტოობისა და მოწყენისაგან ეკლესიებში სიარული უკვე ჩვეულებად მექცა.

შენობაში თბილოდა. გარემოს, საწიგნეს ირგვლივ, მაღალ შანდლებზე გუნდ-გუნდად მოკაშკაშე სანთლების ელვარებით შექმნილი ნაღვლიანი სადღესასწაულო იერი დაჰკრავდა. საწიგნეზე ხელოვნური ლალით მოოქვილი ჯვარი იდო, წინ კი მღვდელმსახურნი იდგნენ და სევდანარევი გულისაჩუყებით გალობდნენ: „თაყვანსა ვცემთ, უფალო, ჯვარსა შენსა...“ შესასვლელთან ბინდში ატუზულიყო გრძელი ხიფთანითა და ტყავის საცვეთებით მორთული, ბებერი ცხენივით მოუქნელი და ჩაფსკვნილი ვეება მოხუცი, რომელიც (ვიღაცის ჭკუის სასწავლებლად) გალობას მრისხანე გუგუნით აყოლებდა ხმას. ხალხში კი, საწიგნეს გვერდით წინიდან სანთლის ოქროსფერი შუქით გასხივოსნებული, ჩხირივით გამხდარი მწირი იდგა. მისი წმინდანივით გაცრეცილი და ჩაღამებული, ძირს დახრილი სახე არც კი მოჩანდა ლოყებზე უთავბოლოდ, ქალურად ჩამოშლილ შავ კულულებში; მარცხენა ხელში წელთა სიმრავლით გაპრიალებული გრძელი ხელჯოხი ჩაებღუჯა, მხარზე გუდა ჰქონდა გადაკიდებული; მწირი მარტო, ყველასგან გამოცალკევებით იდგა უძრავად. მე ვუცქეროდი მას და თვალებზე ისევ მომადგა სამშობლოზე, რუსეთზე, მთელ მის ბნელ წარსულზე გულში აღძრული, დაუოკებელი ტკბილი და მწარე გრძნობებით გამოწვეული ცრემლები. ვიღაცამ უკანიდან მხარზე მსუბუქად დამკრა სანთელი: მე შეეგბრუნდი — ჩემს უკან სალოფსა და ვეება შალში გახვეული მოხუცი ქალი იხრებოდა, რომელსაც ერთადერთი კბილიღა შემორჩენოდა: „ილოცე, ბატონო!“ მე სიხარულით დავემორჩილე, ცივი, დამჭკნარი, ფრჩხილებმოლურჯო ხელიდან სან-

თელი გამოვართვი, ჩაბჟუტულ შანდალს მივაშურე, სანთელი უხეიროდ, რაღაცნაირად მივამაგრე ჴედ, თან მრცხვენოდა ჩემი უგერგილობისა, და უცებ გავიფიქრე: „წავალ!“ გვერდზე გავდექი, მუხლი მოვიყარე და შემდეგ ბინდში სწრაფად, ფრთხილად გამოვემართე გასასვლელისკენ, უკან კი ეკლესიის საამო, უშფოთველი სინათლე და სითბო დავტოვე. კაიბჭესთან პირქუში სიბნელე და სადღაც ზემოთ აოგრიალე ქარი შემომხვდა... „მივდივარ!“ — გავიელე გულში, გადავწყვიტე სმოლენსკში წასვლა და ქუდი დავიხურე.

სმოლენსკში რატომ? ოცნებები ბრიანსკში, „ბრინსკის“ ტყეებში, „ბრინსკის“ ყაჩაღებთან ქროდა... რომელიღაც შესახვევში სამიკიტნოში შეველ. ერთ პატარა მაგიდასთან ვიღაც არამზადა სიმთვრალეს იგონებდა, თავს აკანტურებდა და ამოჩემებული რუსული გულჩვილობით საკუთარ უბედურებაზე გაჰკიოდა: „მე საბედისწერო შეცდომით რატომღაც კატორღაში მოვხვდი!“ მას მეორე მაგიდიდან ზიზღით უცქეროდა უკან თავგადაწეული, შავ, მეჩხერულვაშებიანი, — თუ მისი გრძელი კისრით, ყელის თხელ კანქვეშ მოძრავი წვეტიანი და მსხვილი ხორხის თავით ვიმსჯელებ, ქურდი. დახლთან ტანმაღალი, გამხმარ ფეხებზე სიფრიფანა კაბამიკრული მთვრალი ქალი ირწეოდა. როგორც ეტყობოდა, მრეცხავი: ის ვიღაცის უნიფუსობას უმტკიცებდა ნოქარს და დახლზე მინისებრ ელვარე. რეცხვისაგან გალეულ წვრილ თითებს უკაკუნებდა. წინ არ.ყიანი, თლილი ჭიქა ედგა, დროდადრო ხელში იღებდა მას, ცოტას მოსვამდა, კვლავ ძირს დებდა და თითების კაკუნით განაგრძობდა ლაპარაკს. ლუდის დალევა მინდოდა, მაგრამ სამიკიტნოს აშმორებული ჰაერი მეტისმეტად უარდა, ნათურა საცოდავად ბუუტავდა და პატარა გაყინული ფანჯრების რაფებიდან და ზედ მიმპალი ჩვრებიდან წვეთები დიოდა...

ავილოვასთან, სამწუხაროდ, სტუმრები დამხვდა სასადილოში. „ა—ა! ჩვენი საყვარელი პოეტი! — თქვა მან. — არ იცნობთ ერთმანეთს?“ მე ავილოვას მივესალმე. სტუმრებსაც თავი დავუკარი. ავილოვას გვერდით თეთრ აბრეშუმის ჟილეტსა და შავ ვიზიტურაში გამოწყობილი, სახედაღარული, მო-

კლე, ყავისფრად შეღებილულვაშებიანი და ყავისფერივე პარიკით შემკული მოხუცი ვაჟბატონი იჯდა. ის სწრაფად წამოდგა და მისი ასაკისთვის განსაცვიფრებელი სიმარდით უაღრესად თავაზიანად დამიკრა თავი? ვიზიტურას კიდეები შავი ყაითნით იყო შემოკერილი, რაც ყოველთვის ძლიერ მიზიდავდა და შურითა და ოცნებებით მაწამებდა ხოლმე. მაგიდის შუა ადგილი ენაჭარტალა და ამავე დროს ოსტატურად მოლაპარაკე ქალს დაეკავებინა. მან ზუსტად სელაპის ფარფლ-თათი — პატარა ფუმფულა ხელი გამომიწოდა, რომლის კრიალა ყუთრბალიშს ხელთათმანის ნაკერებისაგან დარჩენილი დაკბილული ზოლები აჩნდა. ქალი ცოცხლად, სხაპასხუპით და ცოტა სულშეგუბებით ლაპარაკობდა. კისერი სრულიად არ ემჩნეოდა, საკმაოდ სქელი იყო, განსაკუთრებით უკან, იღლიებთან; ქვასავით მაგარი და მრგვალი წელი კორსეტით შეეკრა, მხრებზე კი ნაცრისფერი ბეწვი ებურა, რომელსაც შალის კაბის, თბილი სხეულისა და ნელსაცხებლის სუნთან შეზავებული მძაფრი სურნელი ასდიოდა.

ათ საათზე სტუმრები აიშალნენ, წაილაქუცეს და წავიდნენ.

ავილოვამ გაიცინა.

— ოჰ, როგორც იქნა, გვეშველა! წავიდეთ, ჩვენთან დავსხდეთ. აქ სარკმელი უნდა გავაღო... მაგრამ, ჩემო ძვირფასო, რათა ხართ ასე რაღაცნაირი? — ალერსიანი საყვედურით მითხრა და ორივე ხელი გამომიწოდა.

მე ხელი მოვუჭირე და ვუპასუხე:

— ხვალ მივემგზავრები...

მან შეშფოთებით შემომხედა:

— საით?

— სმოლენსკში.

— რისთვის?

— როგორღაც აღარ შემიძლია ამგვარად ცხოვრება...

— მერედა სმოლენსკში რა დაგრჩენიათ? მაგრამ მოდი ჩამოვსხდეთ... მე ალაფერი მესმის...

ჩვენ ზოლებიანი სამითლე ტილოს შალით გაღაფარებულ დივანზე დავსხედით.

— ხედავთ ამ სამითლე ტილოს? — ვუთხარი მე. — ვაგონისაა, არ შემიძლია ამასაც კი დამშვიდებით ვუცქირო, სამგზავროდ მეწევა.

ავილოვა უფრო ღრმად ჩაჯდა. მისი ფეხები ჩემს წინ ეწყო.

— მაგრამ რატომ სმოლენსკში? — მკითხა მან, თან გაოკებული თვალს არ მაშორებდა.

— შემდეგ ვიტებსკში... პოლოცკში...

— რისთვის?

— არ ვიცი. უწინარეს ყოვლისა, ძალზე მომწონს სიტყვები: სმოლენსკი, ვიტებსკი, პოლოცკი...

— ო, ხუმრობის გარეშე ამბობთ?

— მე არ ვხუმრობ. განა არ იცით, რა მიმზიდველია ზოგიერთი სიტყვა? სმოლენსკი ძველად მუდამ იწვოდა. მუდამ ალყაში იყო... მე რაღაც ნათესაურსაც კი ვგრძნობ მისდამი — იქ ერთ დროს, რომელიღაც საშინელი ხანძრისას ჩვენი საგვარეულოს რაღაც ძველი სიგელები დაიწვა, რის გამოც დიდი სამემკვიდრო უფლებები და საგვარეულო პრივილეგიები დავკარგეთ...

— თქვენ უფრო და უფრო გიმძიმთ აქ ყოფნა! ბევრს დარდობთ? ლიკა არაფერს იწერება?

— არა. მაგრამ საქმე ამაში როდია. ორიოლის მთელი ეს ცხოვრება ჭკუაში არ მომდის. „თავის იალაღს ცნობს ირემი ველად გაჭრილი...“ ლიტერატურულ საქმეებსაც ხეირი არ ეტყობა. მთელი დილა ვზივარ და ისეთი სისულელეები მებადება, თავი შეშლილი მგონია... მაგრამ რით ვცხოვრობ? ჩვენთან ბატერინში ერთი მედუქნის ქალიშვილია, მან გათხოვების იმედი უკვე დაკარგა და ამიტომ მხოლოდ სხვების ფხიზელი და უკეთური თვალთვალით იქცევს თავს. მეც ასე ვარ.

— ო, რა ბავშვი ხართ ჯერ კიდევ! — ალერსით მითხრა ავილოვამ და თავზე ხელი გადამისვა.

— სწრაფად მხოლოდ უმდაბლესი ორგანიზმები ვითარდებიან, — ვუპასუხე მე, — მერედა ვინ არაა ბავშვი? ერთხელ ორიოლში მოვემგზავრებოდი, ჩემს გვერდით იჯდა ელეცკის

საოლქო სასამართლოს წევრი, პატივსაცემი, სერიოზული კაცი, რომელიც პიკის მეფეს ჩამოჰგავდა... ის დიდხანს კითხულობდა „ახალ დროებას“, შემდეგ წამოდგა, გარეთ გავიდა და დაიკარგა. მე შევშფოთდი კიდეც, გამოველ და წინა დერეფნის კარი გავაღე. მატარებლის ხმაურში მას ჩემი ხმა არ ესმოდა, ვერც მხედავდა — მერე და რას შევესწარ? ეს პატივსაცემი კაცი თავდავიწყებით ცეკვავდა და ბორბლების ტაქტს აყოლილი მეტად გასაოცარ ილეთებს აკეთებდა.

ავილოვამ თვალები მომაპყრო და უცებ წყნარად, მრავალმნიშვნელოვნად მკითხა.

— გინდათ მოსკოვში წავიდეთ?

მე საშინელმა ერუანტელმა დამიარა... გავწითლდი. უარისა და მადლობის სიტყვები წავიბურტყუნე... დღემდე ვიგონებ ამ წუთებს, დიდ დანაკარგზე გულისტკივილის გრძნობით.

XVI

მომდევნო ღამე უკვე მესამე კლასის ვაგონის ცარიელ კუპეში გავატარე. სულ მარტო ვიყავი, ცოტა მეშინოდა კიდეც, ხის მერხებზე ფარნის მკრთალი შუქი ნაღვლიანად ცახცახებდა და ირხეოდა. მე ვიდექი ბნელ ფანჯარასთან, რომლის უხილავი ნახვრეტებიდან მძაფრი, გრილი ჰაერი მოჰქროდა და ხელით სინათლემოჩრდილული ყურადღებით ჩავცქეროდი ღამესა და ტყეებს. იქ ათასობით წითელი ფუტკარი ქროდა, ფარფატებდა, ხანდახან ზამთრის სიგრილესთან ერთად საკმევლისა და ორთქლმავალში ცეცხლშენთებული ხის სუნი დგებოდა... ო, რა ზღაპრულად მოქუშული, მკაცრი და დიდებული იყო ეს ტყიური ღამე! ტყეში გამავალი გზის უსასრულო, ვიწრო და ღრმა განაკაფს ასწლოვანი ფიჭვების დიდრონი, დაბინდული ლანდები მჭიდრო, უსიერი მწყობრით მიჰყვებოდა. ტყის ძირას თეთრ ნამქერში გეზად მირბოდა ფანჯრების ნათელი ოთხკუთხედები, ხანდახან ტელეგრაფის ბოძები კრთებოდა — მაღლა და შორს კი ყველაფერი სიბნელესა და იდუმალებაში ჩანთქმულიყო.

დილით უცებ, ხალისიანად გამეღვიძა: ყველაფერი კაშკაშებს, ყველაფერი მშვიდია, მატარებელი დგას — უკვე სმო-

ლენსკია, დიდი სადგური. მე ვაგონიდან გამოვვარდი, ხარბად ჩავისუნთქე სუფთა ჰაერი... სადგურის კარებთან ხალხი რაღაცასთან იყრიდა თავს: მეც მივირბინე — ნადირობისას მოკლული ვეებერთელა, ტლანქი, გაქვავებული და გაყინული, შესახედავადაც კი საზარელი, ძალოვანი ტახი იწვა, რომლის გრძელ, ნაცრისფერ წვეტებად აშვერილ ხშირ ჯაგარს მშრალი თოვლი დაჰყროდა; მას პატარა, ღორული თვალები და ორი მაგრად მოჭერილი თეთრი ეშვი უჩანდა. დავრჩე? — გავივლე გულში. — არა; ისევ ვიტებსკში წასვლა სჯობს!

ვიტებსკში საღამოს ჩავედი, ნათელი და სუსხიანი საღამო იყო. ყველგან მაღალი თოვლი, დუმილი, სისპეტაკე და უბიწობა გამეფებულიყო. იგი ძველ და არარუსულ ქალაქად მეჩვენა მაღალი, ერთი ყაიდის დამრეცსახურავიანი და ფანჯრებპატარა სახლების გამო, რომელთაც ქვედა სართულებში შიგ შეწეული და ტლანქი ნახევარწრიული კარები ჰქონდათ დატანებული. წამდაუწუმ მხვდებიან ლაპსერდაკებში, თეთრ წინდებსა და წაღებში გამოწყობილი, ცხვრის ხვეული რქის მსგავსი კიკინებით შემკული, ერთთავად ჩაღამებული, მწუხარე და შემკითხველი თვალებით მომზირალი, სისხლნაკლული ბებერი ებრაელები. მთავარ ქუჩაზე სეირნობა იყო გამართული, — ფილაქანზე ნელა იძროდა ლილისფერ, მტრედისფერ და ბროწეულისფერ ხავერდის სქელ ქურთუკებში ებრაული პროვინციული ბრწყინვალებით მორთული, ჩასუქებული ქალიშვილების მჭიდრო გუნდი. მათ უკან ანტილოპის მინაზებული მზერით მორიდებულად, განცალკევებით მიაბიჯებდა ქალიშვილური სინაზისა და აღმოსავლურად ფერადი, მრგვალი სახის, ასევე კიკინებიანი ყმაწვილკაცობა, რომელთაც მაღალი ცილინდრები ეხურათ, ლოყებზე კი ახალგაზრდული, აბრეშუმივით რბილი ბუსუსები წამოშლოდათ... მე მოჯადოებულივით მივდიოდი ამ ჯგუფში, ამ, ჩემის ფიქრით, ესოდენ ძველ ქალაქში, რომელიც საოცარი სიახლით წარმომიდგა.

ბინდდებოდა, მე მივადექი რომელიღაც მოედანს, სადაც ორსამრეკლოიანი ეკლესია აღმართულიყო. შიგ შესვლისას ცოტაოდენი ბინდი, გრძელი მერხების წყება და ტრაპეზზე ნახევარწრედ შემორიგებული სანთლები მეცა თვალში. შეს-

ვლისთანავე სადღაც ზემოთ ნელა, დაფიქრებით ახმიანდა ორღანი, მისი ბგერები ყრუდ და ნარნარად დაიღვარა ირგვლივ, შემდეგ ხმის ამაღლება, სიმკვეთრე, სიმჭექარე დაეტყო ორღანს... ერთთავად თრთოდა და ელრიალი დაიწყო, თითქოს მისი ხმის ჩამხშობ რაღაცას უსხლტებაო. ბოლოს დაუსხლტა კიდეც და ციურ საგალობლად ძალუმად მოეფინა მიდამოს. წინ, სადაც სანთლები ენთო, ხან მაღალი, ხან ჩუმი ბუტბუტი ირხეოდა, ისმოდა დუდღუნა ლათინური წამოძახილები. ზემოთ, სიბნელეში ჩაკარგული, ორთავე მხარეს სიგრძეზე ჩამწკრივებული ქვის მსხვილი სვეტების ზეძირკველებზე ბინდში შავ მოჩვენებებად იდგნენ რკინის უცნაური აბჯროსნები, საკურთხეველს მაღლა კი ძლივს ჩანდა დიდი, ნაირფერადი ფანჯარა...

XVII

მე იმ საღამოსვე გავემგზავრე პეტერბურგს. ეკლესიიდან გამოველ და სადგურში პოლოცკის მატარებელს მივაშურე: მინდოდა პოლოცკში რომელიმე ძველ სასტუმროში დავბინავებულიყავ და რამდენიმე ხანს რატომღაც სრულ მარტოობაში მეცხოვრა. მატარებელი გვიან გადიოდა. დაბინდულ სადგურში არავინ ჩანდა. ბუფეტს მხოლოდ დახლზე შემოდგმული ლამპის უღიმღამო შუქი ანათებდა. კედლის საათი ისე დუნედ წიკწიკებდა, თითქოს თვით დრო იწურებაო. მე უსაშველოდ დიდხანს მარტო ვიჯექ სამარისებურ სიჩუმეში. როცა დასასრულ, საიდანღაც ჩაის სუნი მოიჭრა და სადგურმა გამოცოცხლება, განათება იწყო, მე თვითონ არ მესმოდა, რას ვაკეთებდი, აჩქარებით ავიღე პეტერბურგის ბილეთი.

ვიტებსკის სადგურში, პოლოცკს მიმავალი მატარებლის დაუსრულებელ ლოდინში, გარემოსაგან საშინელი განკერძოების, გაკვირვებისა და გაუგებრობის, გრძნობამ შემიპყრო,— რა არის ყოველივე ეს, გარს რომ მარტყია; რისთვის და რატომ ვარ მათ შორის? წყნარი, ნახევრადბნელი ბუფეტი დახლითა და ზედ შემოდგმული უღიმღამოდ მანათობელი ლამპით, სადგურის დარბაზის დაბინდული სივრცე, მისი სიგრძე-

სიმაღლე, ყველა სადგურისთვის დამახასიათებელი ერთფეროვნებით მილაგებული მაგიდა, დარბაზის მთელი შუაგული რომ დაუკავებია, ძილმორეული, მოხუცი ლაქია, რომელიც ბუფეტში ამ ღამეული სადგურის მძაფრი ჩაის სუნის დადგომისას უკან ჩამოკიდებული, ჩამოფართხუნებული ფრაკის კალთებით სადღაც დახლქვეშოდან ოთხადმოკაკული, ფეხმორთხმული გამობობღდა და უკმაყოფილო, ბებრული უგერგილობით კედლებთან მიდგმულ სკამებზე შედგომა და ხელის კანკალით მქრქალშუშიანი ლამპების ანთება დაიწყო... შემდეგ ახოვანი ჟანდარმი, დეზების მოურიდებელი ჟღარუნით ბუფეტზე რომ გაიარა და ბაქანს მიაშურა, რომლის ფოფიალა მაზარის უკანა ჩანაჭერი კაი ულაყის კუდს ჩამოჰგავდა, — რა არის ეს? რატომაა, რისთვისაა? როგორ არაფრის ნასახი არ ჰქონდა ზამთრის ღამისა და თოვლის იმ სიგრილეს, ჟანდარმის ბაქანზე გასვლისას რომ დაჰქროლა გარედან! აი, სწორედ აქ გამოვფხიზლდი გარინდებისგან და უცებ გადავწყვიტე რატომღაც პეტერბურგს წავსულიყავ.

პოლოცკში წვიმდა, სველ ქუჩებს უბადრუკი იერი ედო. ქალაქს მატარებელთა შორის გავხედე და გამიხარდა, რომ მოლოდინი არ გამიმართლდა. შემდგომ გზაზე ჩავიწერე: „უსასრულო დღე. თოვლისა და ტყის უსაზღვრო სივრცე. ფანჯრებს ცისა და თოვლის უნიათო შუქი არ სცილდება. მატარებელი ხან ტყეში შედის, სადაც ტევრების ბინდში ეხვევა, ხან ისევ გამოდის თოვლის მოწყენილ, გაშლილ ვაკეებზე, რომელთა შორეულ ჰორიზონტზე, ჩაშავებული ტყის ზემოთ, დაბალ ცას მწკრივად ჩამოჰკიდებია რაღაც მქრქალი ტყვიისფერი... ყველგან ხის სადგურები... ჩრდილოეთი, ჩრდილოეთი!“

პეტერბურგი მე უკვე უკიდურეს ჩრდილოეთად მომეჩვენა. მეეტლე ჩემდა გასაოცარი ერთმანეთის მსგავსი, დიდებული, ლაზათიანი ქუჩებით მოქურუხებულ ქარბუქში ლიგოვკისკენ, ნიკოლაევსკის სადგურისკენ მიმაქროლებდა. ჯერ სამი ხაათი იყო, მაგრამ სადგურის ვეება, უფერული შენობის მრგვალი საათი ქარბუქში უკვე ანათებდა. მე სადგურის ახლოს შევჩერდი, ლიგოვკის იმ მხარეს, რომელიც არხის გა-

ყოლებით მდებარეობდა. ეს ადგილი საშინელი სანახავი იყო,— შეშის საწყობები, საჩაიეები, მეეტლეთა სადგომები, სამიკიტნოები, ლუდხანები. ნომერში, რომელიც მეეტლეს მირჩია, დიდხანს გაუხდელად ვიჯექი და დაღლილობითა და ვაგონის ჯაჯუჯაყით მთლად მოცელილი მეექვსე სართულიდან უსაზღვროდ ნაღვლიან ფანჯარას, მიმწუხრის თოვლის დურდოს გავყურებდი... პეტერბურგი! მთელი არსებით განვიცდიდი ამას: მე აქ ვარ, გარს შარტყია მისი პირქუში, ჩამოკირული, ცივი სიდიადე. ნომერში თბილოდა, ძველი შალის ფარდების, ასეთივე შალითგადაფარებული ტახტის სუნსა და რაღაც მოწითელოს სიმყრალეს, რითაც ცუდ სასტუმროში იატაკს წმენდნენ, ჰაერი შეეხუთა. მე გარეთ გამოვევლ და ხვეულ კიბეებზე ჩამოვირბინე. ქუჩაში თვალშეუვალმა ქარბუქმა თოვლის სიცივე შემომაგება. ქარბუქში მეეტლე დავლანდე და ფინეთის სადგურზე გავიქერი, რომ საზღვარგარეთის გრძნობა განმეცადა. აქ მალე გვარიანად შევთვერი და დეპეშა გავუგზავნე ლიკას:

„ჩამოვალ ზეგ".

უზარმაზარი, ხალხმრავალი, ბებერი მოსკოვი ზამთრის მზის სითბოთი ატირებული ნამქერით, ნაკადებით და გუბეებით, კონკების გრიალითა და ჟღარუნით, მიმავალთა და მომავალთა უთავბოლო ქოთქოთით, საქონლით მძიმედ დატვირთული, საპალნე ცხენებშებმული უამრავი მარხილით, ვიწრო ტალახიანი ქუჩებით, კრემლის კედლების დარბაზების, სასახლეთა და მათ შუაში უხალისოდ აბზინებული ტაძრის ოქროსფერი გუმბათების უგემური სიკოხტავით შემხვდა. გამაოცა ვასილ ნეტარმა, შემოვიარე კრემლის ტაძარი, ოხოტნი რიადში ეგოროვის განთქმულ სამიკიტნოში ვისაუზმე. ეს დიდებული ადგილი გახლდათ: ქვევით მოვაჭრე მდაბიოთა ერთი აურზაური და ყაყანი ისმოდა, ზევით კი ორ პატარა, დაბალჭერიან დარბაზში სისუფთავე, სიწყნარე და წესიერება სუფევდა, — მოწევაც კი არ შეიძლებოდა, — სადღაც ეზოდან პატარა, გამთბარ ფანჯრებში მომზირალი მზე და გალიაში ამღერებული იადონი სიმყუდროვეს ასადგურებდა; კუთხეში თეთრად კიაფობდა კანდელი, ერთი კედლის მთელი ზედა ნა-

წილის გაყოლებით კი მოშავო ლაქივით ბრწყინავდა ჩამუქებული სურათი: ზევით აპრეხილი, ქერქლიანი სახურავი, გრძელი აივანი, სადაც ჩაის სვამდნენ ოქროსფერ ხალათში გამოწყობილი, სახეყვითელ ჩინელთა შეუსაბამოდ დიდი გამოსახულებანი, რომელთაც თავზე იაფფასიანი ლამპის თალფაქივით ედოთ მწვანე ჩაჩები... იმავე დღეს, საღამოთი მოსკოვი დავტოვე.

ჩვენს ქალაქში მარხილები უკვე აღარ დადიოდა, სადგურში აზოვის. მშფოთვარე ქარი თარეშობდა, ლიკა მშრალ, თოვლგადაგვილ ბაქანზე მელოდა. ქარი მის საგაზაფხულო ქუდს არხევდა და მზერას უშლიდა. მე შორიდან შევნიშნე იგი, — დაბნეული, ქარისაგან სახემოჭმუხვნილი, თვალით მეძებდა მიმავალ ვაგონებში. ლიკას ის ამაღელვებელი, შესაბრალისი რამ აღბეჭდოდა, რაც ყოველთვის გვანცვიფრებს ხოლმე მახლობელ ადამიანში მასთან განშორების შემდეგ. იგი გამხდარიყო, ტანთ უბრალოდ ეცვა. როცა ვაგონიდან ჩამოვხტი, ბაგეებიდან პირბადის აწევა მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო და მკვდარივით გადაფითრებულმა მოუხერხებლად მაკოცა მის შიგნიდან.

მან ქარის საპირისპირო მიმართულებით თავი დუმილით დახარა და მეეტლეზე მიმითითა, მხოლოდ რამდენჯერმე გაიმეორა მწარედ და მშრალად:

— ეს რა მიყავი, ეს რა მიყავი!

შემდეგ ასევე სერიოზულად თქვა:

— აზნაურთა სასტუმროში, არა? მეც. შენთან წამოვალ.

ნომერი სასტუმროს მეორე სართულზე იყო, მას დიდი წინაოთახი ჰქონდა. შიგ შესვლისას ლიკა დივანზე დაჯდა და უყურებდა სასტუმროს მსახური რა ბრიყვულად დგამდა ჩემს ჩემოდანს ოთახის შუაში, ხალიჩაზე. მსახურმა ჩემოდანი დადგა და იკითხა, ხომ არაფერს მიბრძანებთო.

— არაფერი არ გვინდა, წადით... — ჩემს მაგიერ უთხრა ლიკამ და ქუდის მოხდას შეუდგა.

— რას გაჩუმებულხარ, არაფერს მეტყვი? — უხალისოდ თქვა მან, თან ცდილობდა ბაგეთა თრთოლა დაეძლია.

მე მუხლი მოვიყარე, მის ფეხებს მოვეხვიე, და კაბის ზე-

მოდან ვკოცნიდი აცრემლებული. ლიკამ თავი ასწია და კვლავ ვიცანი, ვიგრძენი მისი ნაცნობი, უზომოდ ტკბილი ტუჩები და ჩვენი გულების საოცრად ნეტარი გარინდება. მე ზეზე წამოვიჭერ, კარების გასაღები გადავატრიალე, გალიგვებული ხელით ჩამოვუშვი ფანჯრებზე თეთრი, დაბურთული ფარდები, — ფანჯრებთან ეკალ-მუხას არხევდა ქარი, ზედ მოუსვენრად ხმიანებდა მთვრალივით მოქანავე ჭილყვავი...

— მამა მხოლოდ ერთს ითხოვდა, — თქვა შემდეგ მხართეძოზე ნებივრად წამოწოლილმა ლიკამ. — ჯვრისწერა თუნდაც ნახევარი წლით გადავდოთ. მოითმინე, ახლა სულ ერთია, ჩემი სიცოცხლე მხოლოდ შენ ერთს გეკუთვნის, რაც გინდა, ის მიყავი.

სარკის სადგამზე დაუწვავი სანთლები ელაგა, უძრავად ჩამოკიდებულ თეთრ ფარდებს სიმქრქალე დაჰკრავდა, თეთრ ჭერზე სხვადასხვა, უცნაურ ფიგურებად ჩანდა რაღაც ნაძერწი კაზმულობა.

XVIII

ჩემი ძმა გიორგი ერთ მალოროსიულ ქალაქში ერობის სტატისტიკას განაგებდა. ჩვენც იქ გავემგზავრეთ სამუშაოდ. ვნების კვირა და აღდგომა ბატურინში გავატარეთ. ლიკა დედას და დას თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდნენ. მამაც სიყვარულით მიმართავდა შენობით, დილ-დილობით თავად უწვდიდა ხელს საამბოროდ, მარტო ჩემი ძმა ნიკოლოზი იკავებდა თავს და მოკრძალებით, თავაზიანად ეპყრობოდა. ლიკას ჩემმა ოთახმა, სადაც ჭაბუკობა გავატარე და მას ახლა ამაღელვებელ, მშვენიერ რამედ ესახებოდა, ჩემმა წიგნებმა, რომლებსაც გაუბედავი სიხარულით ათვალიერებდა. ჩემს ოჯახთან, სახლთან, ეზო-მიდამოსთან დაკავშირებამ ჩუმი, გაურკვეველი ბედნიერება მოჰგვარა... შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ...

ღამე ორიოლამდე. განთიადისას ხარკოვის მატარებელში გადაჯდომა მოგვიხდა.

მზიან დილას ცხელ ფანჯარასთან ვდგავართ ვაგონის დერეფანში.

— რა უცნაურია, ორიოლის და ლიპეცკის გარდა ჯერ არსად არ ვყოფილვარ! — ამბობს ლიკა. — ახლა კურსკია? ეს ჩემთვის უკვე სამხრეთია.

— ჰო, ჩემთვისაც.

— კურსკში ვისაუზმებთ? — იცი, მე ჩემს სიცოცხლეში სადგურში არ მისაუზმია...

კურსკს იქით, რაც უფრო შორს მივდივართ, მით მეტი სითბო და სიხარული იგრძნობა. შპალების გაყოლებით, ფერდობებზე აბიბინებული ბალახი, ყვავილები და თეთრი პეპლებია. პეპლების ფრთებზე უკვე ზაფხული იცინის.

— ზაფხულში იქ სიცხე იქნება. — ღიმილით ამბობს ლიკა.

— ჩემი ძმა იწერება ქალაქი ბაღებშია ჩაფლულიო.

— ო, მალოროსია. მართლაცდა ვერასდროს ვერ ვიფიქრებდი... შეხე, შეხე, რამოდენა ალვის ხეებია! უკვე მწვანით შემოსილნი! რად არის ამდენი წისქვილი?

— ეს ქარის წისქვილებია და არა წყლისა. ახლა ცარცის მთები გამოჩნდება, შემდეგ ბელგოროდი.

— მე ახლა მესმის შენი. მეც ვერასდროს ვერ შევძლებდი ჩრდილოეთში ცხოვრებას ამ უხვი სინათლის გარეშე.

მე ფანჯარას ვუშვებ. უბერავს თბილი, მზედაკრული ქარი, ორთქლმავლის ბოლს სამხრეთულად ასდის ქვანახშირის სუნი. ლიკა თვალებზე ხელს იფარებს, მზე მწველ ზოლებად ეცემა მის სახეს, შუბლთან ათამაშებულ მუქ ახალგაზრდულ თმებს, უბრალო ჩითის კაბას, თვალისმომჭრელად ანათებს და ათბობს მას.

ბელგოროდის ველს აფეთქებული ალუბლის ბაღების, თეთრად ელვარე ქოხების მიმზიდველი კრძალვა გადაჰფენია. სადგურში ბილითების გამყიდველი პატარა ხოხოლების სულმოუთქმელი, ალერსიანი ლაპარაკი ისმის.

ლიკა ყიდულობს და ვაჭრობს, თან კმაყოფილია თავისი ყაირათიანობით და მალოროსიული სიტყვების ხმარებით.

საღამოს ხარკოვში ვართ, ჩვენ კვლავ ვიცვლით გზას.

განთიადისას ქალაქს ვუახლოვდებით.

ლიკას სძინავს. ვაგონში სანთლები იფერფლება, ტრამალებში ისევ ღამე, თვალშეუდგამი ბინდია. მათ მიღმა კი ჩანს შორეული აღმოსავლეთი, რომელსაც მკრთალი, იდუმალი სიმწვანე ედება. როგორ არა ჰგავს ეს მიწა ჩვენსას — ეს მოშიშვლებული, უსაზღვრო ვაკე თავისი მწვანე-ნაცრისფერი ვიწრო ყორღანებით! გაიელვა მძინარე, პატარა სადგურმა, — არც ბუჩქი და არც ხეა მის ახლომახლო, თვითონაც უსიცოცხლო, ცარიელი და თეთრ-მოლურჯოა განთიადის ამ იდუმალ დაბადებაში...

აი, ვაგონშიც იჭრება დღის ნათელი. ქვევით, იატაკზე ბინდია, მაგრამ ზემოთ, უკვე მკრთალი სინათლე ჩანს. ლიკამ ძილში თავი ბალიშში ჩარგო, ფეხები შემოიკეცა. მე ფრთხილად ვახურავ დედაჩემის ნაჩუქარ ძველებურ აბრეშუმის შარფს.

XIX

სადგური ქალაქიდან შორს, ტრიალ ველშია. იგი პატარაა და მიმზიდველი. სადგურში ირევიან თავაზიანი ლაქიები, ალერსიანი მებარგულენი, მშვენიერ წყვილცხენა ტარანტასის კოფოზე წამოსკუპებულან კეთილი მეეტლეები.

ქალაქი დაბურულ ბაღებში ჩაძირულა, მთის ფლატეზე, საიდანაც ის აღმოსავლეთს და სამხრეთს გაჰყურებს, ჰეტმანის ტაძარი დგას, ველის აღმოსავლეთით კი განმარტოებით მოჩანს ციცაბო გორაკი, რომლის წვეროზე ძველი მონასტერია აღმართული, მონასტრის მიღმა სიმწვანე და სიცარიელე სუფევს. სამხრეთით, მდინარის გაღმა აქოჩრილი მდელოების იქით მზერა თვალისმომჭრელ ელვარებაში იკარგება.

ქალაქის ბევრი ქუჩა ვიწრო ჩანდა ფიცრის „საქვეითოთა“ გასწვრივ მწყობრად გადაჭიმული ბაღებისა და ალვის ხეთა გამო. „საქვეითოებზე“ ხშირად შეხვდებოდით ღონიერ მხარზე მძიმე მხრეულდადებულ, თეძოებზე პლახტაშემოკრულ, მკერდსავსე და ამაყ გოგონებს. აღტაცებაში მოვყავდით არაჩვეულებრივად მაღალ და მსხვილ ალვის ხეებს; იდგა მაისი, ხშირად გრუხუნებდა ცა, დიოდა ღვართქაფი და რა ხასხასა

სიმწვანე ედებოდა ხეების მკვრივ ფოთლებს, რა მძაფრი და საამო კეთილსურნელება იფრქვეოდა ირგვლივ! — აქ გაზაფხული მუდამ კაშკაშა და მხიარული, ზაფხული ხორშაკიანი, შემოდგომა ნათელი და ხანგრძლივი, ზამთარი კი რბილი და ქარნოტიო იცოდა, მარხილები ეყვნების მშვენიერი, ყრუ დუდუნით დადიოდნენ.

მზით გარუჯულ, ჭაღარა, მრგვლად თავშეკრეჭილ ვეება მოხუც კოვანკოს, რომელთანაც ერთ ამგვარ ქუჩაზე დავსახლდით, მთელი ადგილ-მამული ჰქონდა: ეზო, ფლიგელი, სახლი და სახლის უკან ბაღი. თვითონ ფლიგელში გადავიდა, ჩვენ კი თეთრად შეღებილი, უკანიდან ბაღით დაჩრდილული და ფასადის მხარეს დიდშუშაბანდიანი სახლი დაგვითმო. ის სადღაც მსახურობდა; სამსახურიდან დაბრუნებისას მადიანად სადილობდა, ისვენებდა, შემდეგ კი ნახევრად გახდილი ღია ფანჯრის წინ იჯდა, „ჩიბუხს“ აბოლებდა და მღეროდა: „ჰაი, მთაზედა მკიან მომკალნი...“

ოთახები დაბალი და უბრალოდ გაწყობილი იყო; წინაოთახში რაღაც ძველი სკივრი იდგა, ზედ ფერადი გვირისტით ნაკერი ხამი, უხეში ტილო ეფარა. ჩვენ გვემსახურებოდა კაზაკი გოგონა, რომლის სილამაზეში რაღაც ნოღაური იგრძნობოდა.

ჩემი ძმა უფრო სათნო და კეთილი გახდა. იმედები გამიმართლდა — ლიკასა და გიორგის შორის მალე ნათესაური და მეგობრული სიახლოვე დამკვიდრდა; როცა რომელიმეს შეეელაპარაკებოდი, მუდამ ერთმანეთს უჭერდნენ მხარს.

ჩვენი თანამშრომლებისა და ნაცნობების (ექიმების, ვექილების, მეშამფულეების) წრე ძმის ხარკოვურ წრეს ჰგავდა, — მე ადვილად შევეწყვე ყველას, სიამოვნებით გავაბი ურთიერთობა ლეონტოვიჩსა და ვაგინთან, რომლებიც აგრეთვე ხარკოვიდან გადმოსულიყვნენ. ეს წრე ხარკოვურისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ შედგებოდა უფრო თავდაჭერილი, თითქმის სავსებით ქალაქის, მყუდროქალაქური კეთილდღეობის შესაბამისად მცხოვრები ადამიანებისაგან, რომლებიც მეგობრულად ხვდებოდნენ არა მარტო ქალაქის სხვა საზოგადოების ხალხს, პოლიცმეისტერსაც კი.

ჩვენ ყველაზე ხშირად სამმართველოს ერთ-ერთი წევრის სახლში ვიკრიბებოდით: იგი ხუთი ათასი დესეტინა მიწისა და ათი ათასი სული ცხვრის მფლობელი გახლდათ, მდიდრული, ბრწყინვალედ მორთული სახლი მხოლოდ ოჯახისთვის ეჭირა, თვით კი, თავის დროზე იაკუტსკში ნამყოფი, ტანმომცრო, ღარიბულად ჩაცმული, მორიდებული კაცი, აქ საბრალო სტუმარივით ჩანდა.

XX

ეზოში ქვის ძველი ჭა იყო, ფლიგელის წინ იზრდებოდა ორი თეთრი აკაცია, სახლის პარმაღის გვერდით კი აშვერილიყო წაბლის ხის შავი კენწერო, რომელიც შუშაბანდის მარჯვენა მხარეს ჩრდილავდა. ზაფხულში, დილის შვიდი საათისათვის ყოველივე ეს უკვე ელავდა, მზით კაშკაშებდა, ხურდა; საქათმიდან მამლის ერთფეროვანი, აბნეული, შემკითხველი ყივილი ისმოდა, სახლში, განსაკუთრებით, უკანა ოთახებში, რომელთა ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდა, ჯერ კიდევ გრილოდა; საწოლ ოთახში, სადაც პატარა, თათრულ ფეხსაცმელებზე შემდგარი, სიცივით მობუზული ლიკა ჭყუმპალაობდა, წყლისა და საპნის მოლიტინე სუნი ტრიალებდა; სახესველი, კისერზე თმებქვეშ გასაპნული ლიკა ჩემსკენ დარცხვენით მოტრიალდებოდა ხოლმე და ფეხს მიბაკუნებდა: „დაიკარგე აქედან!“ შემდეგ იმ ოთახიდან, რომლის ფანჯრები შუშაბანდს ეკვროდა, ადუღებული ჩაის სუნი მოდიოდა. — იქ კაზაკი გოგონა ტიტველ ფეხზე წამოცმულ ნალებიან ქოშებს დააბაკუნებდა. მისი შიშველი, ჯიშიანი ფაშატივით ჩამოსხმული კანჭები აღმოსავლურად გამოკრთოდა ქვედაწელიდან; ელავდა გოგონას ქარვის ყელსაბამიანი, მრგვალი, პატარა კისერიც, ცოცხლად და ცქვიტად ატრიალებდა შავთმიან თავს, ასევე ცოცხლად უციმციმებდა ირიბად მომზირალი თვალები, — ყოველ მოძრაობაზე გავას იქნევდა.

ჩემი ძმა პაპიროსით ხელში, ღიმილითა და მამისათვის დამახასიათებელი მიხვრა-მოხვრით გამოდიოდა ჩაიზე. ტანმომცრო და მსუქანი იყო, მამას არ ჰგავდა, მაგრამ მისი ბატონკაცური

მანერებიდან ზოგი რამ მაინც ეტყობოდა; მან ახლა მოხდენილად ჩაცმა დაიწყო, დაჯდომისას დიდკაცურად გადაიდებდა ფეხს ფეხზე და პაპიროსიც ბატონკაცურად ეჭირა. ოდესღაც ყველა დარწმუნებული იყო მის ბრწყინვალე მომავალში, თავადაც სჯეროდა ამისა, ახლა კი სავსებით კმაყოფილდებოდა იმ როლით, რომელსაც ამ მალოროსიულ მიყრუებულ ადგილას ასრულებდა, ჩაიზეც ხალისიანად გამოდიოდა; იგი სავსებით ჯანსაღად, ყოჩაღად გრძნობდა თავს. მის ოჯახს, მეტად საყვარელ ოჯახს ჩვენ შევადგენდით, სამსახურში ჩვენთან ერთად სიარული, რასაც, ხარკოვის არ იყოს, ნახევრად თამბაქოს წევა და ლაპარაკი შეადგენდა, მისთვის ყოველდღიური სიამოვნება იყო. როცა დასასრულ, უკვე წასასვლელად გამზადებული, ზაფხულის სიხალისით მორთული ლიკა გამოჩნდებოდა, სახე უბრწყინდებოდა და ხელზე კოცნიდა.

ჩვენ მზის შუქით აბზინებულ საოცარ ალვის ხეთა გასწვრივ სახლების ცხელ კედლებსა და თაკარა ბაღებს კიდეკიდე მივყვებოდით ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ გახურებულ ფიცრებზე; ლიკას გაშლილი ქოლგა კამკამა აბრეშუმივით ნათლად ისახებოდა მუქ სილურჯეში. შემდეგ ჩვენ სიცხის ალმურში გახვეულ მოედანს ვჭრიდით და სამმართველოს ყვითელ შენობაში შევდიოდით. იქ ქვემოთ დარაჯების ჩექმებისა და მათ მიერ ახრჩოლებული თუთუნის სუნი ტრიალებდა. მეორე სართულის კიბეზე ქაღალდებით ხელში დაფიქრებით ადიოდნენ და ხოხოლურად ხრიდნენ თავს შავი ლუსტრინის პიჯაკებში გამოწყობილი ყოველნაირი საქმის მწარმოებლები და საქმის მმართველები, — გარეგნული სიჩერჩეტის მიუხედავად, ცბიერი და დიდად გამოცდილი ხალხი.

ჩვენ გავდიოდით კიბის ქვეშ პირველი სართულის სიღრმეში, ჩვენი განყოფილების ინტელიგენტურად დაუდევარი, მხიარული ადამიანებით ავსებულ და შათი გამოისობით მეტად მიმზიდველ ოთახებში... საშინლად მიმძიმდა, როცა ლიკას აქ ვხედავდი ათასნაირ დასაკითხ ფურცლებთან, რომლებსაც ის კონვერტებში დებდა მაზრებში დასაგზავნად.

შუადღით დარაჯებს უხეირო ჭიქით ჩაი და ასევე უხეი-

რო ლამბაქით ლიმონის ნაჭერი შემოჰქონდათ. ეს ერთფეროვნება პირველ ხანებში რაღაც სიამოვნებასაც კი მგვრიდა. ამ დროს სხვა განყოფილებებიდან სალაღობოდ და გასაბოლებლად ყველა ჩვენი მეგობარი იკრიბებოდა. მოდიოდა სამმართველოს მდივანი სულიმაც. ეს გახლდათ ლამაზი, რამდენადმე წელში მოხრილი, ოქროს სათვალიანი კაცი, რომელსაც ხავერდივით რბილი, შავად მოელვარე დიდებული თმა და წვერი ამშვენებდა; სულიმამ მსუბუქი, შემპარავი სიარული, შემპარავი ღიმილი და ასეთივე მანერით ლაპარაკი იცოდა; ყოველთვის იღიმებოდა და ყოველთვის ბრწყინავდა თავისი სიმსუბუქით და სილაზათით. იგი დიდი ესთეტი იყო, მონასტერს, რომელიც ბორცვზე იდგა, გაყინულ აკორდს უწოდებდა. ჩვენთან ხშირად იყო და ლიკას სულ უფრო მეტი სიამით და იდუმალებით უცქეროდა. ლიკას მაგიდასთან მისვლისას, მისი ხელებისაკენ იხრებოდა ხოლმე, სათვალეს მაღლა იწევდა და ტკბილად, უშფოთველად ულიმოდა: „ახლა რაღას აგზავნით?“ ლიკა ამაზე ერთთავად იშმუშნებოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება თავაზიანად, მაგრამ რაც შეიძლება უბრალოდ ეპასუხნა. მე სავსებით დამშვიდებული ვიყავი, ახლა არავიზე არ ვეჭვიანობდი.

სამსახურში, ორიოლის „ხმის“ რედაქციის არ იყოს, ჩემდა უნებურად რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობა მოვიპოვე — როგორც თანამშრომელს, ალერსიანი დაცინვით მიცქეროდნენ. მე ჩემთვის ვიჯექი და აუჩქარებლად ვაჯამებდი, ვადგენდი ცნობებს, ამა და ამ მაზრის ამა და ამ თემში რამდენი თამბაქო, შაქრის ჭარხალია დათესილი, რა ზომები მიიღეს ჭარხლის მავნებელ ხოჭოებთან „ბრძოლაში“, ხანდახან უბრალოდ რაღაცას ვკითხულობდი და აინუნშიაც არ ვაგდებდი ირგვლივ ლაპარაკს. მე ის მახარებდა, რომ საკუთარი მაგიდა მქონდა, რომ კანცელარიიდან რამდენიც მინდოდა იმდენი ახალი კალმის, ფანქრის და კარგი საწერი ქაღალდის მოთხოვნა შემეძლო.

ორ საათზე მუშაობა მთავრდებოდა, ჩემი ძმა ღიმილით დგებოდა ზეზე — „დროა დავიძრათ!“ ყველა ცოცხლად ეძებ-

და თავის საზაფხულო ქუდს. ელვარე მოედანზე ჯგუფურად გამოდიოდნენ, ერთმანეთს ხელს უქნევდნენ და დარაიისა და ჯოხების ბზინვით მიდიოდნენ სხვადასხვა მხარეს.

XXI

ქალაქში ხუთ საათამდე კაცის ჭაჭანება არ იყო, ბაღები სიცხის ალმურში ეხვია. ჩემს ძმას ეძინა, ჩვენ კი ლიკას ფართო საწოლზე ვიყავით გაშოტილნი. მზემ სახლს თავი დაუარა და ახლა საწოლი ოთახის ფანჯრებში ბრჭყვიალებდა, ბაღიდან იჭყიტებოდა შიგ, პირსაბანის სარკეში თავისი ღია მწვანე ფოთლებით ისახებოდა ბაღი. ამ ქალაქში სწავლობდა გოგოლი, მთელი ეს გარემო წარმოადგენდა მის მირგოროდს, იანოვშჩინას, შიშაკს, იარესკის, — ხშირად სიცილით ვიგონებდით: „რა მომხიბვლელი, რა საუცხოოა ზაფხულის დღე მალოროსიაში!“

— მაგრამ მაინც ცხელა! — ამბობდა ლიკა და ხვნეშით ბრუნდებოდა გულაღმა, — თანაც რამდენი ბუზია! შემდეგ როგორღაა ბოსტნების შესახებ?

— „ჰაეროვანი მწერების ზურმუხტი, თოფაზი, იაგუნდი სცვივა ნაირფერ ბოსტნებს...“

— საოცრად დიდებული რამაა. მე გაგიჟებით მინდა მირგოროდში წასვლა. რამენაირად აუცილებლად უნდა წავიდეთ, ხომ? წავიდეთ როგორმე! ოღონდაც რა უცნაური, რა უსიამო კაცი იყო ცხოვრებაში გოგოლი, არავინ უყვარდა ახალგაზრდობაშიც კი...

— მაშ, მთელი ახალგაზრდობის მანძილზე ერთადერთი დაუფიქრებელი საქციელი — ლიუბეკში წასვლაა.

— როგორც შენი პეტერბურგში... ასე რამ შეგაყვარა მგზავრობა?

— რატომ გიყვარს შენ წერილების მიღება?

— ახლა ვიღასგან ვიღებ!

— სულ ერთია, გიყვარს. ადამიანი მუდამ მოელის რაღაც სასიხარულოს, საინტერესოს, ოცნებობს სიხარულზე, რაიმე ამბავზე. ამით გიზიდავს გზაც. შემდეგ თავისუფლება, სილა-

ღე... სიახლე, რომელიც აღგაფრთოვანებს, ზრდის ცხოვრების აზრს, ჩვენც ხომ ამას ვეძებთ ყოველგვარ ძლიერ გრძნობაში.

— ჰო, ჰო, მართალს ამბობ.

— ამბობ — პეტერბურგიო. შენ რომ იცოდე რა საშინელებაა ეს და როგორ ერთბაშად, სამუდამოდ ვიგრძენი იქ, რომ მე სულის სიღრმემდე სამხრეთელი ვარ. გოგოლი იტალიიდან იწერებოდა: „პეტერბურგი, თოვლი, არამზადები, დეპარტამენტი — ყოველივე ეს სიზმრად ვნახე: მე კვლავ სამშობლოში გავიღვიძე". მეც სწორედ ასე გავიღვიძე იქ. არ შემიძლია დამშვიდებით მოვისმინო ეს სიტყვები: ჩიგირინი, ჩერკასი, ხოროლი, ლუბნი, ჩერტომლიკი, დიკოე პოლე, — აუღელვებლად ვუცქირო ლერწმის სახურავებს, გლეხის შეკრეპილ თავს, ყვითელ და წითელ წაღებიან დედაკაცებს, ლაფნის კალათებსაც კი, მხრეულზე რომ გადიკიდებენ და ალუბალი და ქლიავი დააქვთ. „თოლია დაჰქრის, ვითა ბავშვი ტირის ფრთამალი, ქარო, დაბერე, მზევ, გაათბე კაზაკთ ტრამალი..." ეს, შევჩენკოა, — ნამდვილად გენიალური პოეტი! მალოროსიაზე მშვენიერი სხვა ქვეყანა არ მეგულება. და რაც მთავარია, მას უკვე ისტორია არა აქვს, — მისი ისტორიული ცხოვრება დიდი ხანია და ამასთან სამუდამოდ დასამარდა. დარჩა მხოლოდ მოგონება, სიმღერები და ლეგენდები მის შესახებ, — რაღაც უდროობა. მე ეს მაღფრთოვანებს ყველაზე მეტად.

— შენ ხშირად გაიძახი — მაღფრთოვანებს, აღფრთოვანება.

— ცხოვრება სწორედაც აღმაფრთოვანებელი უნდა იყოს.

მზე იწვერებოდა, მისი შუქი ღია ფანჯრებიდან უხვად ეფინებოდა შეღებილ იატაკს, ჭერზე სარკის ათინათები ციაგებდა. რაფებს, რომლებზეც გუნდ-გუნდად ზრიალებდნენ ბუზები. სიმხურვალე ემატებოდა. ბუზები გრილ, შიშველ მხრებზე კბენდნენ ლიკას. რაფაზე უცებ ბელურა ჯდებოდა, ფხიზლად, მკვირცხლად მიმოიხედავდა, შეფრთხიალდებოდა და ისევ ჭრებოდა დაისის მზეზე უკვე აბზინებულ ბაღის ნათელ სიმწვანეში.

— კიდევ თქვი რაიმე, — ამბობდა ლიკა, — მითხარი, ყი-

რიმში როდისმე წავალთ? ო, რომ იცოდე, როგორ ვოცნებობ ამაზე! შენ შეგეძლო რაიმე დაგეწერა, — მე მგონია შესანიშნავადაც დაწერდი, — გვექნებოდა ფული, ავიღებდით შვებულებას... რატომ მიატოვე წერა? შენ რატომღაც უგულისყუროდ ეკიდები, არად აგდებ შენს ნიჭს!

— იყო ერთი რიგი კაზაკებისა, რომელთაც „მოხეტიალეებს“ ეძახდნენ, სიტყვა ხეტიალის მიხედვით. ჰოდა, მეც ნამდვილი მოხეტიალე ვარ. „ღმერთი მექუდეს ჰგავს, ზოგს კარგ ქუდს დაახურავს, ზოგსაც თავშიშველს ატარებს“. გოგოლის ნაწერებში ყველაზე საუკეთესოა მისი უბის წიგნაკი: „ქოჩორა ველის თოლია გზიდან ზევით მიიწევს და რკალს ხაზავს ჰაერში... გზის ორთავე მხარე აყვავებულ ნარცეცხლათი გადამწვანებულა, მათ მიღმა არაფერია თვალუწვდენელ ვაკეთა გარდა... ტყრუშული ღობეებისა და თხრილების თავზე მზესუმზირები წამოწვდილა, ჩანს სუფთად შელესილი ქოხის ჩალის საჩიხი, წითელჩარჩოიანი მოხდენილი ფანჯარა... შენ ძველთაძველი ფუძე ხარ რუსეთისა, სადაც გულითადია გრძნობა და ნაზია სლავური ბუნება!“

ლიკა ყურადღებით მისმენდა, შემდეგ მოულოდნელად მეკითხებოდა:

— ერთი მითხარი, რად წამიკითხე ეს ადგილი გოეთედან? აი, თუ როგორ გაემგზავრა ფრედერიკისგან და უცებ როგორ წარმოსახა სადღაც მიმავალი, ოქროთი მოსირმულ ნაცრისფერ კამზოლში გამოწყობილი ვიღაც მხედარი. როგორა აქვს ნათქვამი?

— „ეს მხედარი ვიყავი თვით მე. მეცვა ოქროთი მოსირმული კამზოლი, როგორიც არასოდეს მიტარებია“.

— ო, ეს უცნაურიცაა, და შესანიშნავიც. შენ ისიც თქვი, რომ ახალგაზრდობაში ყველა თავის სანატრელ კამზოლს ხედავს ოცნებაში... რატომ მიატოვა მან იგი?

— ამბობდა, რომ მას ყოველთვის მისი „დემონი“ განაგებდა.

— ჰოდა, შენც მალე გადამიყვარებ. აბა, მითხარი მართალი, რაზე ოცნებობ ყველაზე მეტად?

— რაზე? ვიყო ყირიმის რომელიმე ხანი, შენთან ერთად

ვცხოვრობდე ბაღჩისარაის სასახლეში... ბაღჩისარაი სულ მთლად კლდოვან, საშინლად ცხელ ხეობაშია, სასახლეში კი მუდამ ჩრდილი, სიგრილე და შადრევნებია, ფანჯრებთან თუთის ხეები...

— სერიოზულად ამბობ?

— სერიოზულად. მე ხომ მუდამ რაღაც საშინელი სისულელით ვცხოვრობ. აი, თუნდაც ეს ველის თოლია, მასში ველისა და ზღვის ეს შენივთება... ნიკოლოზი ხანდახან სიცილით მეუბნებოდა, რომ ბუნებამ გამომასულელა. მე ძალზე ვიტანჯებოდი, ვიდრე ერთხელ შემთხვევით არ წავიკითხე დეკარტეს ნათქვამი, რომ მის სულიერ ცხოვრებაში ნათელ და ჭკვიანურ აზრებს ყოველთვის ყველაზე უმნიშვნელო ადგილი ეჭირა.

— მერედა რა, სასახლეში ჰარამხანაა? მეც სერიოზულად გეუბნები ამას. გახსოვს, თავად მიმტკიცებდი, რომ მამაკაცის სიყვარულში სხვადასხვა სასიყვარულო გრძნობათა ბევრი შენარევია, რომ ეს თვით შენ გამოსცადე ნიკულინასთან, შემდეგ ნადიასთან... შენ ხომ ხანდახან ძალზე ულმობლად მიხსნი გულს! რაღაც ამისდაგვარს ჩვენს კაზაკ გოგონაზეც კი ამბობდ.

— მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ როცა მას ვუყურებ, საშინლად მინდა სადღაც ველებში, კარავში ვიცხოვროთქო.

— აი, ხომ ხედავ, შენი პირით ამბობ, რომ მასთან კარავში ცხოვრება გსურს.

— მე არ მითქვამს მასთან ერთად-მეთქი.

— აბა, ვისთან? ოჰ, ისევ ბელურა! ტანში მზარავს როცა ისინი მოფრინდებიან და სარკეს აწყდებიან!

ლიკა წამოხტა და ჩქარ-ჩქარა, უხერხულად შემოჰკრა ტაში. მე მოვეხვიე, ვკოცნიდი მის შიშველ მხრებს, ფეხებს... ყველაზე მეტად მისი სხეულის ცხელი და გრილი ადგილების სხვაობა მაოცებდა.

XXII

საღამო ხანს პაპანაქებამ იკლო. მზე სახლს განრიდებოდა; ჩვენ შუშაბანდში, ეზოში გამავალ ღია ფანჯრებთან ჩაის ვსვამდით. ლიკა ახლა ბევრს კითხულობდა და ამ დროს სულ რაღაცას ეკითხებოდა ჩემს ძმას, ისიც სიამოვნებით მოძღვრავდა მას. საღამო უსაზღვროდ ჩუმი და მყუდრო იყო — გარეთ მხოლოდ მერცხლები კროებოდნენ დროდადრო, ერთს დაიჟივლებდნენ და ცის სიღრმეში იკარგებოდნენ. ლიკა და ჩემი ძმა ლაპარაკობდნენ, მე კი ყურს ვუგდებდი სიმღერას: „ჰაი, მთაზედა მკიან მომკალნი...“ სიმღერა გადმოგვცემდა, რომ მთაზე გლეხები მკიდნენ, იგი საკმაო ხანს დინჯად, ნაღვლიანად ხმიანებდა, შემდეგ ძლიერდებოდა და მტკიცედ ქუხდა სილაღით, სიმამაცით, შემართებით და ლაშქრული ჟღერადობით:

მაღალ მთიანს
მიჰყვებიან
კაზაკები!

სიმღერა გაბმით და სევდიანად ჰყვებოდა, თუ როგორ მიიწევს ხეობაში კაზაკთა მხედრობა, როგორ მიუძღვის, მიდის ყველაზე წინ, სახელგანთქმული დოროშენკო, მის უკან, კი, — ამბობდა სიმღერა, — მის უკან საგაიდაჩნი, —

რათა ცოლი გაეცვალა
თამბაქოსა და ჩიბუხზე,
ჰაიჰარად მავალს...

სიმღერა ტემპს უკლებდა, — ანცვიფრებდა ესოდენ უცნაური კაცი, მაგრამ შემდეგ კვლავ განსაკუთრებული სიხარულით სცემდა დაფდაფებს:

ცოლთან არ მწყალობს
ბედი!
თამბაქო და ჩიბუხი კი
კაზაკს გზაში
გამოადგების!

მე ვუსმენდი რაღაც ტკბილი და ნაღვლიანი წერით აღვსილი.

მზის ჩასვლის ჟამს ხან ქალაქში მივდიოდით სასეირნოდ, ხან ტაძართან ფლატეზე გაშენებულ პატარა ბაღში, ხან კი ქალაქგარეთ მინდორში. ქალაქის რამდენიმე ქუჩა ათასგვარი ებრაული სავაჭროებით, აფთიაქებით, საათების და თამაქოს მაღაზიებით იყო მოფენილი; ქუჩები თეთრად გამოიყურებოდნენ, ეგო ქვაფენილი, და დღის პაპანაქების შემდეგ სითბოთი სუნთქავდნენ. გზაჯვარედინებზე იდგა ფარდულები, სადაც გამვლელნი შუშხუნა, ნაირფერ სეროფიან წყალს სვამდნენ, ეს კი სამხრეთზე მეტყველებდა და სადღაც უფრო შორს სამხრეთისკენ გეზიდებოდა, — მახსოვს, მაშინ რატომღაც ხშირად ვფიქრობდი ქერჩზე. ტაძრიდან ველად მომზირალი ოცნებით კრემენჩუკს, ნიკოლაევს მივდიოდი. ქალაქგარეთ თითქმის სოფლურ, დასაელეთ გარეუბანს ვეწვეოდით ხოლმე. მისი ქოხები, ალუბლის ბაღები და ბაღჩები ისარივით სწორი მირგოროდის გზისკენ გაჭრილიყვნენ. გზის დასალიერში, ტელეგრაფის ბოძების გასწვრივ, ნელ-ნელა მიიწევდა ხოხოლების ფორანი, შიგ შებმული ხარები თავის ქნევით მიირხეოდნენ გზაზე. ფორანი მიდიოდა და, თითქოს ზღვაში იკარგებაო, ბოძებთან ერთად ეფარებოდა თვალს, — უკანასკნელი ბოძები ჯოხებივით დაპატარავებულიყვნენ, უკვე ძლივსღა ჩანდნენ ველში. ეს იყო იანოვშჩინისკენ, იარესკისა და შიშაკისკენ მიმავალი გზა...

საღამოს ხშირად ქალაქის ბაღში ვატარებდით. ხმიანებდა მუსიკა, რესტორნის განათებული აივანი სიბნელეში თეატრის სცენასავით ჩანდა შორიდან. ჩემი ძმა პირდაპირ რესტორნისკენ მიდიოდა, ჩვენ კი ხანდახან ბაღის იმ მხარეს გავუხვევდით, ხრამით რომ მთავრდებოდა. ღამე იყო თვალშეუდგამი და თბილი. ქვევით სიბნელეში აქა-იქ სინათლეები კრთოდა, და მწყობრად, დინჯად აგუგუნებული სიმღერების ხან ნელი, ხან მჭექარე ჰანგები ისმოდა,—ეს გარეუბნელი ბიჭები მღეროდნენ. სიმღერები ღამის ბინდსა და სიწყნარეს ერთვოდა. მათ ზოგჯერ მანათობელ რგოლებად მიმავალი მატარებლის გრიალი ფარავდა, — ამ დროს უფრო იგრძნობოდა, რა

დაუსაბამო და შავი იყო ველი, — მატარებელი შემდეგ თანდათან ყუჩდებოდა, ეკარგებოდა შუქი, თითქო ქვესკნელში შედისო, და ისევ ისმოდა სიმღერები. ველს იქით კი მთელ ჰორიზონტს ატოკებდა გომბეშოების მოუსვენარი დრტვინვა, რომელიც იდუმალად ახმიანებდა ამ სიწყნარესა და ღამეს, და თითქოს სამუდამოდ არინდებდა ლიკას.

როცა რესტორნის ხალხმრავალ აივანზე შევდიოდით, ლიკა იშმუშნებოდა, თვალები უჭრელდებოდა სინათლეზე. ჩემი ძმა, უკვე შემთვრალი და გულაჩვილებული, მაშინვე ხელს გვიქნევდა მაგიდიდან, სადაც მასთან ერთად ვაგინი, ლეონტოვიჩი და სულიმა ისხდნენ. ჩვენ ერთის ამბით გვსვამდნენ. კვლავ ითხოვდნენ თეთრ ღვინოს, ბოკლებსა და ყინულს. შემდეგ მუსიკა წყდებოდა, აივნის იქით, ბაღში სიბნელე და სიცოცხლე იდგა, მინის თალფაქებიანი სანთლები, რომელთაც ღამის თეფრები დახვეოდათ, უკვე სულს ღაფავდნენ, მაგრამ ყველა ამბობდა ჯერ ბავშვების ძილის დროაო. ბოლოს წასვლაზე თანხმდებოდნენ, თუმცა ერთმანეთს უცებ არ შორდებოდნენ, — ხმამაღალი ლაპარაკითა და „საქვეითოებზე“ ბაკუნით ჯგროდ მიაბიჯებდნენ სახლებისკენ. ბაღებს ეძინა, ნაგვიანევი მთვარის ქათქათა შუქით განათებულნი იდუმალ ბინდში გახვეულიყვნენ. როცა ჩვენ, უკვე მარტონი, ეზოში შევდიოდით, შუშაბანდის შავ მინებში გამკრთალი მთვარე ზემოდან დასცქეროდა მას; ისმოდა კუტკალიას უშფოთველი ჭრიჭინი. ფლიგელის გვერდით მდგარი აკაციების თვითეული ტოტი და ფოთოლი თავის უძრავ ჩრდილს საოცრად მკაფიოდ და მოხდენილად ხატავდა თეთრ კედელზე.

ძილის წინა წუთები ყველაზე სანუკვარი იყო. მაგიდაზე წყნარად ენთო სანთელი, ღია ფანჯრებში ლაღი, ახალგაზრდული, სიცოცხლის მომნიჭებელი სიგრილე შემოდიოდა. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი, ხალათმოხურული ლიკა სანთელს ჩამუქებული თვალებით უცქეროდა და ნაზად მოელვარე თმებს იწნავდა.

— აი, შენ სულ გიკვირს, რომ მე გამოვიცვალე, — ამბობდა იგი, — მაგრამ ნეტავ იცოდე, თვით როგორ ხარ გამოცვლილი. მხოლოდ შენ როგორღაც უფრო ნაკლებად მამჩნევ,

განსაკუთრებით, როცა მარტონი არა ვართ. მე ვშიშობ, რომ შენთვის ჰაერივით ვხდები, უმისოდ ცხოვრება შეუძლებელია, მას კი ვერ ამჩნევ — განა მართალი არაა? შენ ამბობ სწორედ ესაა ყველაზე დიდი სიყვარულიო. ჩემის აზრით კი ეს იმას ნიშნავს, რომ შენთვის ჩემი სიყვარული ცოტაა.

— ცოტაა, ცოტა, — მივუგე სიცილით, — მე ახლა ყველაფერი მეცოტავება.

— ამასაც გეტყვი: გული სადღაც მიგიწევს. გიორგი ალექსანდროვიჩი უკვე მეუბნებოდა, რომ შენ ითხოვ მივლინებაში გაგიშვან. რისთვის? სიცხესა და მტვერში რომ ბრიჩკაში დაინჯღრე, შემდეგ დახუთულ სათემო სამმართველოში იჯდე და დაუსრულებლად დაკითხო ხოხოლები, სწორედ იმ ბარათებით, რომლებსაც მე ვაგზავნი...

მან თვალები ასწია და ნაწნავი უკან გადაიგდო.

— რა გეზიდება იქით?

— მხოლოდ ის, რომ ბედნიერი ვარ, რომ ახლა მართლაცდა ყოველივე არარად მიმაჩნია.

მან ჩემი ხელი აიღო:

— მართლა ბედნიერი ხარ?

XXIII

პირველად გავემგზავრე იქ, სადაც ლიკას ასე უნდოდა ჩემთან ერთად წასვლა — მირგოროდის გზით. მე ვაგინმა წამიყოლა, რომელიც შიშაკში რაღაცისთვის გაეგზავნათ.

მახსოვს როგორ ვღელავდით მე და ლიკა, რომ დანიშნული დრო ძილში არ გაგვპარვოდა, — ჩვენ დასიცხებამდე, ადრიანად უნდა გავსულიყავით, — როგორი ალერსით გამაღვიძა, თვითონ მზისთვის დაესწრო ადგომა, ჩაი მოემზადებინა და ნაღველს გულში იკლავდა, რომ მარტო მივდიოდი. გრილოდა, გარემოს ნაცრისფერი ედო. ლიკა სულ ფანჯარაში იცქირებოდა: ნუთუ წვიმა ჩამიშლის მგზავრობას? მე დღემდის ვგრძნობ იმ სათუთ და შიშნარევ მღელვარებას, რამაც ჭიშკართან საფოსტო ფორნის ზანზალაკების ჟღარუნზე ზეზე წამოგვაგდო. ერთმანეთს ნაჩქარევად დავემშვიდობეთ, ჭიშ-

კარში გავიჭერით და მივირბინეთ ფორანთან, რომელშიც გრძელ, ქერელის ტილოს ბალახონსა და ნაცრისფერ, საზაფხულო კარტუზში გამოწყობილი ვაგინი იჯდა.

შემდეგ ზანზალაკების ჟღარუნი ვეება სივრცეში დაინთქა. მოძალებული დღე მშრალი და ცხელი იყო, ფორანი ნელა მიჩაქჩაქებდა მტვრის კორიანტელში, გარემოს ისეთი ერთფეროვანი იერი ედო, მალე ხალისი წამიხდა ჰორიზონტის მკრთალი ნათელი შორეთისთვის მემზირა და მისგან დაძაბულად მოვლოდებოდი რაიმეს. შუადღით პურის ამ თაკარა უდაბნოში ჩვენს გვერდით რაღაც მომთაბარული გაკრთა: კოჩუბეის თვალუწვდენი ფარეხები. „შუადღე, ფარეხები, — ჩავიწერე ფორნის ჯაყჯაყში. — გაგანია სიცხით ფერგამკრთალი ცა. ქორი და ყაპყაპი... მე ნამდვილად ბედნიერი ვარ!“ იანოვშჩინაში ფუნდუკის შესახებ აღვნიშნე: „იანოვშჩინა, ძველი ფუნდუკი, შიგნით სიშავე და უშფოთველი ბინდბუნდი; ებრაელმა თქვა ლუდი არა მაქვსო, „არის მხოლოდ სასმელი“, — „რა სასმელი?“ — „სასმელი რაღა! სასმელი „ფიალკა“. ებრაელი გამხდარი კაცი იყო, ტანთ ლაპსერდაკი ემოსა, სასმელი მისმა შვილმა, უჩვეულოდ მსუქანმა ყმაწვილმა, სპარსული სილამაზის გიმნაზიელმა გამოგვიტანა უკანა ოთახიდან. მას ღია ნაცრისფერ ქურთუკზე ახალი ქამარი ზემოთ შემოეჭირა. შიშაკს რომ გავცდით, მაშინვე გოგოლის უბის წიგნაკი გამახსენდა: „უცებ მოშანდაკებულ გზაზე გამოჩნდა ფლატე — ფლატე შორს და ქვევით ეშვებოდა; ტყის სიღრმეში და ტყეებს იქით, — ტყეს ტყე მოსდევს, — ახლობელს და მწვანეს შორეული და ლურჯი, — მოვერცხლისფერო, ჩალისფერი ქვიშიხ ზოლია... უფსკრულსა და კბოდეს თავზე ფრთებს არხევდა მოჭრილე ქარის წისქვილი...“ ამ ფლატეს ძირში, ხეობის სიღრმეში, ისარივით წამოწეულიყო პსიოლი, ჩანდა ბაღებით გადამწვანებული დიდი სოფელი. აქ დიდხანს ვეძებდით ვინმე ვასილენკოს, რომელთანაც საქმე ჰქონდა ვაგინს, როცა მივაკვლიეთ, შინ არ დაგვხვდა და საკმაო ხანს ვისხედით მისი ქოხის გვერდით აშოლტილი ცაცხვის ძირში, ბაყაყების ყიყინითა და ტირიფის სინესტით გარშემორტყმულნი. აქვე გავატარეთ მთელი საღამო, ვასილენ-

კოსთან ერთად ვივახშმეთ, ვსვით ნაყენი. ლამპა ქვე-ზოდან ანათებდა მწვანე ფოთლებს, მაშინ როცა ირგვლივ ზაფხულის კუნაპეტი ღამე დგებოდა. სიბნელეში უეცრად ჭიშკარმა დაიჭრიალა და მაგიდასთან კოხტად მორთული, ფერუმარილით ტყვიისფრად შეფეთქილი ფერშალი ქალი გა-მოჩნდა; მან, რა თქმა უნდა, მაშინვე გაიგო, რომ ვასილენკოს გუბერნიიდან ჩამოსული სტუმრები ჰყავდა; პირველ წუთებში დარცხვენისაგან არ იცოდა რა ექნა, რაც ენაზე მოადგებოდა, იმას ლაპარაკობდა, შემდეგ კი ჩვენთან ერთად დაიწყო ჭიქის ჭიქაზე დაცლა და ჩემს ყოველ ოხუნჯობაზე სულ უფრო მეტად კიოდა. იგი საშინლად ნერვული იყო, ფართო ყვრიმალები, და ძლიერ შავი თვალები ჰქონდა; და-ძარღვულ ხელებზე შიპრის მძაფრი სუნი ასდიოდა; წელში წვრილს და თეძოებგანიერს თხელი, ცისფერი ზედა წელის ქვეშ სავსე ძუძუები ეწყო. ღამით მე გავაცილე. სიბნელეში რომელიღაც შესახვევის გამხმარ ნაურმალზე მივაბიჯებდით. იგი სადღაც ტყრუშულ ღობესთან შეჩერდა და მკერდზე მო-მეყრდნო. მე ძლივს შევიკავე თავი...

მე და ვაგინი სახლში მეორე დღეს გვიან დავბრუნდით. ლიკა უკვე იწვა და წიგნს კითხულობდა. ჩემს დანახვაზე სი-ხარულით, თან გაკვირვებით წამოხტა: „როგორ, უკვე ჩამოხ-ვედი?“ როცა მთელ მგზავრობაზე ნაჩქარევად ვუამბე და შემდეგ ფერშლის შესახებ სიცილით დავიწყე მოყოლა, მან ლაპარაკი შემაწყვეტინა:

— რატომ მიამბობ ამას?

და თვალები ცრემლებით აევსო.

— რა შეუბრალებლად მეპყრობი! — მითხრა მან, თან ბა-ლიშქვეშ აჩქარებით ეძებდა ცხვირსახოცს. — არ გეყოფა, რომ მარტო მტოვებ...

რამდენჯერ გამხსენებია ცხოვრებაში ეს ცრემლები! აი, მაგონდება როგორ გამახსენდა ერთხელ იმ ღამიდან ოცი წლის შემდეგ: ეს იყო ბესარაბიის ზღვისპირა აგარაკზე. მე ბანაობიდან დავბრუნდი და კაბინეტში წამოვწექი. ცხელი, ქარიანი შუადღე იყო: სახლის ირგვლივ ფიცხად, ძალუმად ხმიანებდა ბაღი, ხან მიწყნარდებოდა ხან ისევ მძლავრად

აბუბუნდებოდა. ბზინავდა ჩრდილოვანი ხეები, აქეთ-იქით ირწეოდა ოდნავ მოხრილი ტოტები... როცა მძაფრად მოზუ-ზუნე, გაძლიერებული ქარი მოახლოვდებოდა, დაჩრდილული კაბინეტის ფანჯარაზე ჩამოფარებულ მთელ ამ მცენარეთა მწვანე ფარდას გვერდზე ხრიდა და თაკარა, მომინანქრებულ ზეცას აჩენდა, თეთრ ჰერზეც მაშინვე იფანტებოდა ჩრდილი, ნათელი ჰერი იისფერი ხდებოდა უცებ. შემდეგ კვლავ სიჩუ-მე ისადგურებდა, ქარი უკანვე მიჰქროდა და სადღაც ბაღის სიღრმეში, სანაპირო ფლატეს ზემოთ იკარგებოდა. მე გავ-ცქეროდი ყოველივე ამას, ვუსმენდი ხმაურს და უცებ გავი-ფიქრე: სადღაც, დიდი ხნით დავიწყებულ ამ მალოროსიულ მიყრუებულ ადგილას, სადაც ჩვენ ის-ის იყო ერთად ცხოვ-რება დავიწყეთ, ოცი წლის წინ სწორედ ასეთი შუადღე იდგა. მე გვიან გამეღვიძა, — ლიკა უკვე სამსახურში წასულიყო, — ბაღში გამავალი ფანჯრებიც ასევე ღია იყო, ასევე ისმოდა ხმაური, ირწეოდა ტოტები და ნაირფერებად ელავდა გარემო, ოთახში კი თავისუფლად დაჰქროდა ის გულლაღი ქარი, რომელიც მოახლოებულ საუზმეს გპირდება, მოაქვს შემ-წვარი ხახვის სუნი; თვალები გავახილე, ჩემს ბალიშს ნი-დაყვით დავეყრდენ და მეორეს, იქვე მდებარეს, დავუ-წყე ყურება, რომელზეც ისევ დარჩენილიყო მისი მშვე-ნიერი, მუქი თმების იის სურნელი, და ცხვირსახოცი, რო-მელიც მას ჩემთან შერიგების შემდეგ კიდევ დიდხანს ეჭი-რა ხელში. გამახსენდა რა ყოველივე ეს, გამახსენდა რა, რომ მას შემდეგ ნახევარი ცხოვრება უმისოდ გავლილ, ვუმზერდი ქვეყანას და აი, ახლა ისევე ვცოცხლობ, თვალს ვახელ იმ დროს, როცა ის დიდი ხანია უკვე ამქვეყნად აღარაა, დამწუხრებულმა ფეხები დივანიდან გადმოვყავი, გარეთ გამოველ და ფლატესკენ მსუბუქად გავყევი ხეივანს. ხეივნის ჭრილში ზღვის შაბიამნისფერ-მწვანე ნაპერს გავყუ-რებდი, რაც უცებ სრულიად ახლებურად, საშინელ და გასა-ოცარ რამედ წარმომიდგა...

იმ ღამეს ლიკას შევფიცე, რომ არსად წავიდოდი. რამდე-ნიმე დღის შემდეგ კი ისევ წავედი.

XXIV

ბატურინში ყოფნისას ნიკოლოზი მეუბნებოდა:

— ძალიან მეცოდები! ადრე დაიდგი უღელი.

მე არავითარ უღელს არ ვგრძნობდი.

სამსახურს კვლავ შემთხვევითობად ვთვლიდი, თავი ცოლიანი ვერ წარმომედგინა. ლიკას გარეშე ცხოვრებაზე მარტოოდენ ფიქრიც კი ახლა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდებდა, მაგრამ ჩვენი მუდმივი ერთად ყოფნაც მეეჭვებოდა: ნუთუ მართლაც სამუდამოდ შეეერთდით და თვით სიბერემდე ასე ვიცხოვრებთ, გვექნება სახლი, გვეყოლება შვილები, როგორც ყველას? უკანასკნელი — შვილები, სახლი — განსაკუთრებით აუტანლად მეჩვენებოდა.

— მალე ჯვარს დავიწერთ, — მეუბნებოდა მომავალზე ოცნებაში წასული ლიკა, — რაც უნდა იყოს, მე ძალიან მინდა ეს, თანაც რა შეედრება ჯვრისწერას! შეიძლება, ბავშვიც გვეყოლოს... განა შენ არ ინდომებდი?

გულს ტკბილი და რაღაც იდუმალი რამ მიკუმშავდა, მაგრამ ყოველივეს ხუმრობაში ვატარებდი:

— „უკვდავნი ჰქმნიან, მოკვდავნი შობენ თავის მსგავსთ“.

— მერედა მე? — მეკითხებოდა იგი, — რითღა ვისულდგმულო, როცა ჩვენი სიყვარული გაივლის და მეტად აღარაფერში დაგჭირდება?

ამის მოსმენა ნაღველს მგვრიდა და მხურვალედ ვპასუხობდი:

— არაფერიც არ გაივლის, შენ მუდამ საჭირო იქნები ჩემთვის!

ახლა მე უკვე (როგორც მას ადრე ორიოლში) მინდოდა ვყვარებოდი, და მყვარებოდა, მაგრამ ისე, რომ თავისუფალი და ყველაფრით უფლებამოსილი დავრჩენილიყავ.

ყველაზე მეტად ლიკა მაშინ მიტოკებდა გულს, როცა ძილის წინ თმას დაიწნავდა, მოვიდოდა და გამოთხოვების ნიშნად მაკოცებდა; მე ვხედავდი უფეხსაცმელებოდ რა პატარა იყო ჩემზე, როგორ შემომცქეროდა თვალებში ქვევიდან ზევით.

ყველაზე მეტად მიყვარდა იმ წუთებში, როცა ერთგულებას მიმჟღავნებდა, როცა ჩემი გულისთვის თავის თავს ანგარიშს არ უწევდა, როცა სჯეროდა, რომ რაღაც განსაკუთრებული გრძნობებისა და მოქმედების უფლება მქონდა.

ჩვენ ხშირად ვიგონებდით ორიოლში გატარებულ ზამთარს, იმას, თუ როგორ დავშორდი იქ, როგორ წავედი ვიტებსკში და ვეუბნებოდი:

— აი, თუნდაც პოლოცკი, რა მეზიდებოდა იქით? ამ სიტყვას — პოლოცკი, ანუ ძველებურად პოლოტსკი — ჩემში დიდი ხანია დაუკავშირდა თქმულება ძველი კიევის თავადის ვსესლავის შესახებ, რაც ჯერ კიდევ ყრმობაში წავიკითხე სადღაც: ვსესლავი ძმამ ჩამოაგდო ტახტიდან, გაიქცა „ბნელსა მხარეს პოლოისასა“ და სქემაჩაცმულმა მთელი ცხოვრება „შეჯირვებასა შინა“, ლოცვა-გარჯაში გაატარა, აწამებდა „მოჩუენებანი“: ვითომც ყოველ ცისმარე „ცხარე ცრემლთაგან ღაწვთა ზედა“ მაცდური ოცნებით ეღვიძებოდა, რომ კვლავ კიევშია, თავის „დიდებულ სამთავროსა შინა“ და, რომ პოლოცკში კი არა, კიევის სოფიაში რეკდნენ ზარები შუაღამისას. იქიდან მოყოლებული იმდროინდელი პოლოცკი თავისი ძველთაძველობითა და სიტლანქით ნამდვილად სასწაულებრივ რამედ მესახებოდა ყოველთვის: ზამთრის მობურული, უამური დღე, ხის ეკლესიებითა და შავი ქოხმახებით გარშემორტყმული რაღაცნაირი ძელური კრემლი, ცხენოსნებისა და ტყაპუჭმოცმული, ქალამნიანი ქვეითების მიერ გადათქეფილი თოვლის ნამქერი... როცა ბოლოს და ბოლოს ნამდვილ პოლოცკში მოვხვდი, რასაკვირველია, გამოგონილის მსგავსი ვერაფერი ვიპოვნე. მიუხედავად ამისა ჩემში დღემდე ცოცხლობს ორი პოლოცკი — მოგონილი და ნამდვილი. და ამ ნამდვილსაც დღეს უკვე პოეტური თვალით ვუცქერი: ქალაქს მოწყენილობა, ჭენჭყო, სიცივე და სიბნელე დაუფლებია, სადგურში კი უზარმაზარ, ნახევრად ფანჯრებმრგვალ დარბაზში თბილა, ანთია ჭაღები, თუმცა გარეთ ახლახან დაიწყო დაბინდება, ირევა უამრავი ხალხი, სამოქალაქოც და სამხედროც, პეტერბურგს მიმავალი მატარებლის მოსვლამდე საჩქაროდ შეექცევიან საჭმელს. ისმის ლაპარაკი, თეფშებზე დანე-

ბის რაჩხუნი, ჰაერში გამჯდარა სოუსისა და წვნიანის სუნი, რასაც აქეთ-იქით მორბენალი ლაქიები აფრქვევენ...

ლიკა, როგორც ყოველთვის ამგვარ წუთებში, განსაკუთრებული დაძაბული ყურადღებით მისმენდა და როცა ლაპარაკს გავათავებდი, დარწმუნებული მეთანხმებოდა: „ჰო, ჰო, მე მესმის შენი!“ მეც ამით ვსარგებლობდი და შთავაგონებდი:

— გოეთე ამბობდა: „ჩვენ ჩვენს მიერვე შექმნილ კრეატურებზე ვართ დამოკიდებული“. არის გრძნობები, რომელთა წინააღმდეგ ვერაფერს ვაწყობ: ზოგჯერ რომელიღაც წარმოდგენა რაიმეს შესახებ ,ისე გაწამებით მეწევა იქით, სადაც ის რაღაც წარმომესახა, ესე იგი რაღაც იმისკენ, რაც ამ წარმოდგენის მიღმაა — გესმის: მიღმა! — რომ ვერაფრით ვერ აგიწერ!

ერთხელ მე და ვაგინი კაზაჩი ბროდში, ძველ სოფელ პოდნეპროვიეში უსურიის მხარეს მიმავალ ახალმოშენეთა გასაცილებლად გავემგზავრეთ. უკან დილით მოვბრუნდით მატარებლით. სადგურიდან რომ მოვედი, ლიკა ჩემს ძმასთან ერთად გამგეობაში დამხვდა წასული. გზაზე მაგრად გარუჯულმა და მხნემ, საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილმა, სურვილით აღტყინებულმა, რაც შეიძლება ჩქარა მეამბნა ლიკასა და ძმისთვის თუ რა იშვიათი სურათი ვიხილე, — ჩემს თვალწინ კაზაჩი ბროდიდან ათი ათასობით ვერსზე მყოფ ამ ზღაპრულ მხარეს მიმავალი მთელი ურდო როგორ დაიძრა,— სწრაფად შემოვირბინე ცარიელი, მილაგებული სახლი, შევედი საწოლ ოთახში, რათა ტანსაცმელი გამომეცვალა და დამებანა; მე რაღაც სიხარულნარევი ტკივილით შევავლე თვალი ლიკას ტუალეტის ნივთებს, მის მოქარგულ ჯურთბალიშს — ყოველივე ეს უსაზღვროდ ძვირფასი, ამასთან მარტოსული მეჩვენა და გულში დანაშაული ვიგრძენ ლიკას წინაშე, — მაგრამ მაგიდაზე გადაშლილი წიგნი დავინახე და წამით შევჩერდი: ეს იყო ტოლსტოის „ოჯახური ბედნიერება“, გადაშლილ გვერდზე ხაზგასმული სტრიქონები ჩანდა: „ყველა ჩვენი მაშინდელი აზრი, ყველა მაშინდელი გრძნობა, ჩემი კი არა, მისი აზრები და გრძნობები იყო, რომლებიც უცებ იქცნენ

ჩემად...“ შემდეგ კიდევ რამდენიმე გვერდი გადავფურცლე, კიდევ აღნიშვნები: „ამ ზაფხულს ხშირად მოვდიოდი ჩემს საწოლ ოთახში და მომავლის შესახებ წინანდებული სევდიანი ნატვრისა და იმედების ნაცვლად, დღევანდელი ბედნიერების შიში მეუფლებოდა... ასე გავიდა ზაფხული და თავს უკვე ეულად ვგრძნობდი. ის მუდამ აქეთ-იქით დადიოდა და არ ვეცოდებოდი, არც ჩემი მარტო დატოვებისა ეშინოდა“...

რამდენიმე ხანს გაშეშებული ვიდექი. როგორც ჩანს, აზრადაც არ მომსვლია, რომ მას შეიძლებოდა ჰქონოდა (და ჰქონდა კიდეც) საიდუმლო, ჩემთვის უცნობი და, რაც მთავარია, სევდიანი გრძნობები და ფიქრები, თანაც უკვე წარსული დროის ფორმაში „ყველა ჩემი მ ა შ ი ნ დ ე ლ ი აზრი, ყველა მ ა შ ი ნ დ ე ლ ი გრძნობა... ამ ზაფხულს ხშირად მ ო ვ დ ი ო დ ი...“ ყველაზე მოულოდნელი ეს უკანასკნელი იყო: „ასე გავიდა ზაფხული და თავს უკვე ეულად ვგრძნობდი...“ მაშასადამე, იმ ღამეს, როცა მე შიშაკიდან ვოვედი, შემთხვევით არ უტირია?

გამგეობაში განსაკუთრებული სითამამით შევედი, მხიარულად გადავეხვიე ლიკას და ძმას, სულმოუთქმელად ვლაპარაკობდი და ვხუმრობდი. ბოლოს მეშველა და, როცა მარტონი დავრჩით, მაშინვე მივახალე:

— შენ, როგორც ჩანს, „ოჯახური ბედნიერება“ უჩემოდ წაიკითხე, არა?

ის გაწითლდა.

— ჰო, მერე რა?

— განმაცვიფრა შენმა აღნიშვნებმა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ იქიდან სავსებით გარკვევით ჩანს, თითქოს ჩემთან უკვე იტანჯები, უკვე მარტო დარჩი, იმედები გაგიცრუვდა.

— როგორ ყოველთვის, აჭარბებ ხოლმე! — მიპასუხა მან. — რა იმედგაცრუება? უბრალოდ ცოტა ნაღვლიანად ვიყავი, და მართლა ვიპოვე ერთგვარი მსგავსება... გარწმუნებ, არაფერია იმის მსგავსი, რაც შენ წარმოგიდგენია.

ვის არწმუნებდა? მე თუ საკუთარ თავს? მე მაინც ძალიან

გამეხარდა ამის გაგონება, — ძალიანაც მინდოდა, სასარგებლო იყო მისთვის დამეჯერებინა. „ველის ქოჩორა თოლია გზიდან მიიწევს ზევით... მირბის, წელზე ლურჯი წინსაფარი შემოუჭერია, ტილოს ქვეშ მთრთოლვარე ძუძუები ირხევა, მუხლამდე შიშველ ფეხებში კი ცეცხლი და სიჯანსაღე გამოსჭვივის...“ რამდენი „მიღმა“ არ იყო აქ! შემეძლო კი მათზე უარი მეთქვა! ამას გარდა ვფიქრობდი, რომ ყოველივე ეს ლიკასთან იყო შენივთებული. მხოლოდ ერთი მინდოდა შეეგნო: ეცოცხლა მხოლოდ ჩემთვის და ჩემით, ნუ წამართმევ თავისუფლებას, ვიქნები ჩემს ნებაზე — მე შენ მიყვარხარ და ამისთვის კიდევ უფრო მეყვარები. ჩემი აზრით, ისე მიყვარდა იგი, რომ ყველაფრის უფლება მქონდა, ყველაფერი მეპატიებოდა.

XXV

— ძალიან გამოიცვალე, — მეუბნებოდა ლიკა. — შენ დავაჟკაცდი, უფრო კეთილი, სათნო და ხალისიანი შეიქენი.

— აი, ხომ ხედავ, ჩემს ძმას ნიკოლოზს და მამაშენს კი ასე ეგონათ უბედურები ვიქნებოდით.

— ეს იმიტომ, რომ ნიკოლოზს თავიდანვე არ მოვუვედი თვალში. ვერც წარმოიდგენ, რა განვიცადე ბატურინში მისი ცივი თავაზიანობის გამო.

— პირიქით, შენზე დიდი სინაზით ლაპარაკობდა. ისიც ძლიერ მეცოდებაო, — ასე ამბობდა, — ჯერ კიდევ ბავშვია, ჰოდა, დაფიქრდი რა გელით აწ: რამდენიმე წლის შემდეგ რით იქნება განსხვავებული შენი ცხოვრება მაზრის აქციზის რომელიმე მოხელის ცხოვრებისაგან? გახსოვს, ხუმრობით როგორ გიხატავდი ხოლმე მომავალს? სამოთახიანი ბინა, ორმოცდაათი მანეთი ჯამაგირი...

— მას მხოლოდ შენ ეცოდებოდი.

— ცუდად ვეცოდებოდი. ამბობდა, ვითომც მთელ იმედს იმაზე ამყარებდა, რომ ჩვენ ორთავეს ჩემი „ქარაფშუტობა“ გვიხსნის, რომ მე ასეთ კარიერას ვერ გავიკეთებ და მალე გა-

ვიყრებით: ამ საყვარელ სტატისტიკაში ცოტა ხანს რომ ჩაჯდება და გაიგებს რა ბედში ჩააგდე, ან ის გაიქცევა, ან შენ მიატოვებ შეუბრალებლადო.

— ჩემი იმედი ტყუილა ჰქონია — მე შენ არასოდეს არ მიგატოვებ. წავალ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დავინახავ, რომ მეტად აღარ გჭირდები, რომ ხელს გიშლი, წინ ვეღობები შენს თავისუფლებას, შენს მოწოდებას...

როცა კაცს ფათერაკი შეეყრება, გამუდმებით უბრუნდება ერთსა და იმავე მტანჯველ, ამაო აზრს: როგორ და როდის დაიწყო ეს? რამ გამოიწვია ყოველივე და როგორ არ მივეცი თავიდანვე მნიშვნელობა იმას, რასაც უნდა გავეფრთხილებინე? „წავალ მხოლოდ იმ შემთხვევაში“... როგორ არ მივაქციე ყურადღება ასეთ სიტყვებს, — იმას, რომ ერთგვარ „შემთხვევას“ ის მაინც არ გამორიცხავდა?

მე მეტისმეტად ვაფასებდი საკუთარ „მოწოდებას“, უფრო და უფრო ქარაფშუტულად ვსარგებლობდი თავისუფლებით — ნიკოლოზი მართალი იყო. შინ სულ უფრო ვეღარ ვჩერდებოდი, როგორც კი თავისუფალ დღეს მოვიხელთებდი, სადმე მივემგზავრებოდი ან მივდიოდი.

— ასე სად დაიწვი მზეზე, — მეკითხებოდა ძმა სადილზე, — კვლავ სად გადაიკარგე?

— მონასტერში, მდინარეზე, სადგურზე ვიყავი...

— და ყოველთვის მარტო, — მსაყვედურობდა ლიკა. — რამდენჯერ დამპირდი მონასტერში წაგიყვანო, მე ხომ მხოლოდ ერთხელ ვიყავი იქ, მერე რა სილამაზეა, რა კედლები, მერცხლები, ბერები...

მე მრცხვენოდა და თვალებს ვეღარ ვუსწორებდი. თავისუფლების დაკარგვის შიშით მხოლოდ მხრებს ვიჩეჩდი:

— რაში გჭირდება ეს ბერები?

— შენ რაღაში გჭირდება?

მე ვცდილობდი სიტყვა ბანზე ამეგდო:

— სასაფლაოზე რაღაც უცნაურობას წავაწყდი: ვნახე ცარიელი, მაგრამ უკვე გამზადებული სამარე — რომელიღაც ბერს ადრევე უბრძანებია, მისთვის გაეთხარათ იგი, ჯვარიც კი დაუსვამს თავით, ჯვარს უკვე ეწერა ვინაა დასაფლავებუ-

ლი, როდის დაიბადა, „გარდაიცვალაც“ კი წაუწერიათ ოღონდ გარდაცვლის თარიღის ადგილი დაუტოვებიათ თავისუფალი. ირგვლივ სისუფთავე და წესრიგია, ჩანს ბილიკები, ყვავილები — და უცებ ეს მომლოდინე სამარე.

— აი, ხომ ხედავ?

— რას ვხედავ?

— შენ განგებ არ გსურს გამიგო. მაგრამ არა უშავს, ღმერთი იყოს შენი მფარველი. მართალი უთქვამს ტურგენევს...

მე სიტყვას ვაწყვეტინებდი:

— შენ, როგორც ჩანს, მარტო იმისთვის კითხულობ, რომ შენსა და ჩემს შესახებ რაღაც მსგავსებას წააწყდე. თუმცა ყველა ქალი ასე კითხულობს.

— მერე რა მოხდა, რომ ქალი ვარ, სამაგიეროდ ეგეთი ეგოისტი არ გახლავარ...

ძმა ალერსიანად ჩაგვერეოდა ხოლმე:

— კარგი, გეყოფათ, ბატონებო!

XXVI

ზაფხულის ბოლოს ჩემი საქმეები უფრო კარგად წარიმართა: ადრე მხოლოდ „შტატგარეშედ“ ვითვლებოდი, ახლა კი შტატში ჩამრიცხეს და ჩემთვის სწორედ ზედგამოჭრილი ადგილიც მივიღე: გამგეობის სარდაფებში შექუჩებული ერობის სხვადასხვა გამოცემათა — ბიბლიოთეკის „მფარველი“ გავხდი. ადგილი, რომელიც სულიმამ ჩემთვის გამოიგონა, მავალდებულებდა: ეს გამოცემები გადამერჩია, წესრიგში მომეყვანა და პირველ სართულზე, ნახევრად მიწაში მდებარე, საჭირო რაოდენობის თაროებითა და კარადებით აღჭურვილ, საგანგებოდ გამოყოფილ, გრძელ, თაღებიან ოთახში მომეთავსებინა. შემდეგ კი თვალყური მედევნებინა და საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ განყოფილებისთვის მიმეცა. მე წიგნები გადავარჩიე, დავაწყვე და შევუდექი მათ მოვლას. ველოდი როდის მომთხოვდნენ რაიმეს, მაგრამ რადგან არაფრის გაცემა არ მიხდებოდა — განყოფილებას რაღა-

ცეები მხოლოდ შემოდგომით, საერო კრების წინ ესაჭიროებოდა, — ერთადერთიღა თვალყურის დევნება მრჩებოდა მოვალეობად. მე ვიჯექი და ჩემთვის ვიყავი ამ სარდაფის მსგავს ოთახში, რომელმაც ციხისმაგვარი კედლების, სიჩუმის — აქ ჩქამიც კი არსაიდან აღწევდა, — და იატაკიდან დაშორებული პატარა ფანჯრის გამო, საიდანაც გამგეობის უშენ ადგილზე წამოზრდილი ნაირ-ნაირი ველური ბუჩქების და ბალახების ძირები ჩანდა, თავი შემაყვარა. ამის შემდეგ უფრო თავისუფალი გავხდი: ამ აკლდამაში სრულიად მარტო ვიჯექი, ვწერდი, ვკითხულობდი, როცა მომესურვებოდა შემეძლო თუნდაც მთელი კვირა არ შემეხედა შიგ, დაბალი მუხის კარებისთვის ბოქლომი დამედო და სადაც მომეპრიანებოდა, იქ წავსულიყავ.

მე რატომღაც ნიკოლაევში წაველ. ხშირად დავდიოდი ქალაქის მახლობელ ხუტორში, სადაც ორი ტოლსტოველი ძმა დასახლდა, რომ საწუთრო უმწიკვლოდ გაეტარებინათ. ერთ ხანს კი ყოველ კვირა საღამოს ქალაქიდან პირველივე სადგურთან მყოფ ხოხოლთა დიდ სოფელში ვატარებდი და შინ გვიანი მატარებლით ვბრუნდებოდი... რისთვის დავეხეტებოდი? ლიკა გრძნობდა იმ საიდუმლოს, რაც, სხვა რამის გარდა, ჩემი ხეტიალის მიზანს შეადგენდა. შიშაკელ ფერშალზე ნაამბობმა უფრო მეტად იმოქმედა მაზე, ვიდრე მეგონა. ამის შემდეგ ეჭვებიც მიეძალა, ცდილობდა არ დაეტყო, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდა ამას, შიშაკის ამბის თხრობიდან ორიოდე კვირის შემდეგ თავისი კეთილი, სათნო, ჯერ კიდევ ბავშვური ხასიათის სრულიად საწინააღმდეგოდ, უეცრად ისე მოიქცა, როგორც ყველაზე ჩვეულებრივი „დიასახლისი“: ჩვენს მოსამსახურე კაზაკ გოგონას რაღაც მიუშიზეზა და გულცივად დაითხოვა.

— მე კარგად ვიცი, — უსიამოდ მითხრა მან, — რომ ძალზე გეწყინა: რატომაც არა, ოთახებში ისე მშვენიერად „დაბაკუნებს“ მაშიებს ეს, როგორც შენ ამბობ, „ფაშატი“, ისეთი თლილი ფეხები აქვს, ისეთი ირიბად მომზირალი წყლიანი თვალები! მაგრამ გავიწყდება რა უტიფარი, რა უჯიათია ეს ფაშატი, და რომ ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს...

მე სრული გულწრფელობით ვუპასუხე:

— როგორ შეგიძლია ჩემზე იეჭვიანო? აი, ვუყურებ შენს შეუდარებელ ხელს და ვფიქრობ: მთელი ქვეყნის ლამაზმანებშიც არ გავცვლი მას! მაგრამ მე პოეტი, მხატვარი ვარ, ყოველგვარი ხელოვნება კი, გოეთესი არ იყოს, გრძნობისეულია.

XXVII

ერთხელ, აგვისტოში, ვიდრე დაბინდდებოდა, ტოლსტოველების ხუტორში წაველ. ქალაქში კვლავ ცხელოდა და გარეთ არავინ ჩანდა, თანაც შაბათი იყო. მე ებრაელთა გამოკეტილ მაღაზიებს და ძველ სავაჭროებს მივყვებოდი. ზარები ნელა რეკდნენ მწუხრისას, ქუჩებში უკვე სახლებისა და ბაღების წაგრძელებული ჩრდილები იწვა, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობოდა ის განსაკუთრებული ბინდისწინა პაპანაქება, რაც სამხრეთის ქალაქებში იცის ზაფხულის მიწურულს, როცა დღითი დღე მზეზე დახრუკულ ბაღებსა და ბაღჩებშიც კი ყველაფერი გადამწვარია, როცა ყველგან — ქალაქშიც. მინდორშიც. ბაღჩებშიც, — ყველაფერი ტკბილადაა მოღლილი გრძელი ზაფხულით.

მოედანზე, საერთო ჭასთან, ქალღმერთივით იდგა ტანადი. ხოხოლი ქალიშვილი, ტიტველ ფეხებზე ნალდაკრული ქოშები ეცვა: მას თაფლისფერი თვალები და ისეთი ნათელი შუბლი ჰქონდა, როგორიც ხოხოლ და პოლონელ ქალებს ახასიათებთ. მოედნიდან მთის ძირისკენ მიმავალ ქუჩაში და ტრიალ ველში სამხრეთული ჰორიზონტის. ოდნავ შესამჩნევი ბორცვების საღამოსწინა შორეთი იმზირებოდა. მე ამ ქუჩიდან მებადურთა ქალაქგარე მამულებში მიმავალ წყნარ შუკაში შევუხვიე და სათიბში გავედი, რომ მთაზე ავსულიყავ, იქიდან კი მინდორში დავშვებულიყავ. სათიბში თეთრსა და ცისფერ ქოხმახებს შორის მოთავსებულ კალოებზე დროდადრო ჯაჭვები კრთებოდა ჰაერში: აქ ლეწდნენ სწორედ ის ბეჭები. რომლებიც საეკლესიო ჰანგზე ასე უჩვეულოდ. ასე საუცხოოდ ზუზუნებდნენ თუ მღეროდნენ ზაფხულის ღამეებ-

ში. მინდორს, სანამდეც კი თვალი წვდებოდა, ხშირი ნამკალის გამო ოქროსფერი დაჰკრავდა, შარაგზას კი ისეთი სქელი და ლბილი მტვერი ეფინა, გეგონებოდა ხავერდის ხალიჩაზე მიაბიჯებო. ირგვლივ ყოველი — მთელი მინდორი და ჰაერი, — მზეზე აუტანლად ბრწყინავდა. შარაგზის მარცხნივ, კბოდეზე კედლებშეცხავებული ქოხი იდგა — სწორედ ეს გახლდათ ტოლსტოველთა ხუტორი. მე ნამკალზე გადავედი და იქით გავეშურე. ხუტორში არავინ აღმოჩნდა. — არც ქოხში, არც გარეთ. მე პატარა ღია ფანჯარაში შეეიხედე: კედლებზე, ჭერზე და თაროებზე შემოდგმულ ქოთნებზე ბუზების ურიცხვი ჯარი ზრიალებდა. შემდეგ გომურის ღია კარებში შევყავი თავი — იქ მხოლოდ საღამოს მზე ბრწყინავდა გამხმარ ნაკელზე. აქედან ბაღჩისკენ გავემართე და განაპირა კვალში ჩამჯდარი, უმცროსი ტოლსტოველის ცოლი დავინახე. მე ვუახლოვდებოდი — ქალი ვერ მამჩნევდა, ან ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ვერ მამჩნევდა: განმარტოებული პატარა ქალი უძრავად ზის, გვერდზე ოდნავ გადახრილა, შიშველი ფეხები განზე გაუწევია, ერთი ხელით მიწას ეყრდნობა, მეორეთი კი პირში ჩადებული ბალახის ღერო უჭირავს.

— საღამო მშვიდობისა, — ვუთხარი ახლოს მისვლისას. — რად ხართ ასე მოწყენილი?

— იცოცხლეთ, დაბრძანდით, — ჩაიცინა მან, ბალახის ღერო გადააგდო და მზისგან გარუჯული ხელი გამომიწოდა.

დავჯექი და შევხედე: ჯერ სულ გოგონაა, ბაღჩის მოდარაჯე გოგონა! თმები მზეზე გახუნებია, კისერთან გვარიანად ჩაჭრილი სოფლური პერანგი და ქალურ თეძოებზე შემორტყმული ძველი შავი პლახტა აცვია. მზეზე გარუჯული და გახევებული, პატარა, შიშველი ფეხები მტვერს დაუფარავს, — როგორ დადის ფეხშიშველი ნაკელსა და ათასგვარ მჩხვლეტავ ბალახზე! — გავიფიქრე მე. იმის გამო, რომ ჩვენს წრეს ეკუთვნოდა, სადაც შიშველ ფეხებს არ აჩენენ, ყოველთვის მეუხერხულებოდა, თანაც გული მიმიწევდა მისი ფეხებისთვის მეცქირა. მან ჩემი მზერა რომ იგრძნო, ფეხები დამალა.

— თქვენები სადღა არიან?

მან კვლავ ჩაიცინა.

— წავიდ-წამოვიდნენ. ერთი წმინდა ძმა ყანაშია, რომელიღაც ქვრივ-ოხერს ლეწვაში ეხმარება, მეორემ დიდ მასწავლებელს მოხსენებითი ბარათები წაუღო ქალაქში: მორიგი საკვირაო ანგარიში ჩვენს შეცოდებათა, ცდუნებათა და ხორციელი სიწმინდის შესახებ. და ამას გარდა — მორიგი „გამოცდა", რაზეც აგრეთვე უნდა მოახსენოს: ხარკოვში ფურცლების გავრცელებისათვის, — რა თქმა უნდა, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ, — „ძმა" პავლოვსკი დააპატიმრეს.

— თქვენ რაღაც გუნებაზე ვერა ხართ.

— მომწყინდა, — თქვა მან და თავი უკან გადაიწია. — მეტი აღარ შემიძლია, — დაუმატა წყნარად.

— რა აღარ შეგიძლიათ?

— აღარაფერი, აღარაფერი არ შემიძლია. მომეცით პაპიროსი.

— პაპიროსი?

— ჰო, ჰო, პაპიროსი!

მე პაპიროსი მივაწოდე, ასანთს გავკარი, მან სწრაფად და უშნოდ მოუკიდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოქაჩა, ბოლი ქალურად გამოუშვა ტუჩებიდან და გაჩუმდა. ის ველის მიღმა იცქირებოდა, ჩამავალი მზე კვლავ გვითბობდა მხრებს, კვლავ ათბობდა ჩვენს ახლოს გველებივით გადაწნულ ლერწმებს შორის მშრალ მიწაში გვერდულად ჩამჯდარ, გრძელ, ვეება საზამთროებს... მან უეცრად პაპიროსი გადააგდო, ჩემს მუხლებზე დაემხო და ბავშვივით აქვითინდა. იმის მიხედვით, თუ როგორ ვამშვიდებდი, როგორ ვუკოცნიდი თმებს, რომლებსაც მზის სურნელი ასდიოდა, მხრებზე როგორ ვუჭერდი ხელს და როგორ ვზვერავდი მის ფეხებს, ძალიან კარგად ვიგრძენი რატომ დავდიოდი ტოლსტოველებთან.

მაგრამ ნიკოლაევი? ნიკოლაევი რაღად მჭირდებოდა? იქ წასვლისას რაღაც-რაღაცებს ვიწერდი ხოლმე:

— ეს-ესაა კრემენჩუკიდან გამოვედით, საღამოა. კრემენჩუკის სადგურში, ბაქანზე და ბუფეტში უამრავი ხალხი, სამხრეთული სიცხე და სამხრეთული ჯგლეთაა. ასევეა ვაგონებშიც. ყველაზე მეტი — თამამი, ახალგაზრდა, მზით დამწვა-

რი, გზისა და სიცხისაგან აღგზნებული — ხოხოლი ქალიშვილებია, რომლებიც სადღაც „ქვემოთკენ“ სამუშაოზე მიდიან. ისინი ისე მაღელვებენ ᲐᲮᲔᲣᲚᲘᲡᲐ და სოფლური ტანსაცმლის სიმხურვალით, ისე ტკრციალებენ, სვამენ, ჭამენ, სხაპასხუპით ლაპარაკობენ და ფართო თვალებს აბრიალებენ, რომ ცუდად ვხდები...

— გრძელი, გრძელი ხიდი დნეპრზე, მარჯვნივ, ფანჯარაში თვალისმომჭრელი მზე, ქვევით და შორს კი მღვრიე, ყვითელი წყალი. სილიან მეჩეჩზე ქალები მოურიდებლად შიშვლდებიან და ბანაობენ. აი, ერთმა პერანგი გაიძრო, გაიქცა, წყალში მოუხერხებლად გადაეშვა მკერდით და ᲨᲫᲐᲒᲐᲓ აატყაპუნა ფეხები...

— უკვე საკმაოდ დავშორდით დნეპრს. ნათიბით დაფარულ უკაცურ გორაკებზე ბინდი გაწოლილა. რატომღაც შენაჩვენებ სვიატოპოლკზე ვფიქრობდი: სწორედ ამგვარ საღამოს, ამ ველზე ცხენით მიუძღვება პატარა რაზმს — მაგრამ ᲡᲐᲘᲗ, რას ფიქრობს? ეს იყო ათასი წლის წინ, ამ მიწაზე ახლაც წინანდებურად ლამაზია ყველაფერი. არა, ეს სვიატოპოლკი როდია, ვიღაც გაგრია გლეხს გორაკის ჩრდილში გაოფლილი ცხენი მიჰყავს, უკან თმაჩამოშლილი, ზურგზე ხელებგაკრული ქალი უზის, ქალს ქორფა მუხლისთავები გაშიშვლებია, იგი კეფაში უცქერის მხედარს, მხედარი მჭრელი თვალებით იყურება წინ...

— ნათელი, ტენიანი ღამეა! ფანჯრების მიღმა სწორი მინდორი და გზაზე ამდგარი ტალახი ჩანს. ვაგონს სძინავს, ბნელა, გამტვერილ ფარანში სანთლის მსხვილი ნამწვი დევს. ჩამოშვებული ფანჯრიდან მინდვრის სინესტე შემოდის და ვაგონის შეხუთულ, მყრალ ჰაერში უცნაურად ირევა. ზოგ ხოხოლ ქალიშვილს გულაღმა სძინავს: ოდნავ გახსნილი ბაგეები, პერანგქვეშ ძუძუები, ქვედაწელსა და პლახტებში გახვეული ჩაქვირითებული თეძოები მოუჩანთ... ერთმა ახლა გაიღვიძა, დიდხანს მომჩერებოდა, ყველას სძინავს — და ასე მგონია, სადაცაა იდუმალი ჩურჩულით მიმიხმობს თავისთან...

სოფელი, სადაც კვირაობით დავდიოდი, სადგურთან ახლოს, ვრცელ, გაშლილ ვაკეზე მდებარეობდა. ერთხელ

უმიზნოდ მოველ ამ სადგურზე, მატარებლიდან ჩამოვხტი და სოფლისკენ გავემართე. ბინდდებოდა. ბაღებში თეთრად მოჩანდა ქოხები, შორიახლოს, საძოვარზე ძველი ქარის წისქვილი ალანდულიყო. მის ქვეშ ხალხს შეეყარა თავი, იქვე გამომწვევად უკრავდა ვიოლინო და მოცეკვავეთა ფეხების ბაგაბუგი ისმოდა. ამ ხალხთან რამდენიმე კვირა-საღამო გავატარე, შუაღამემდე ვუსმენდი ხან ფეხების ბაგაბუგს და ვიოლინოს, ხან კი გრძელ გუნდურ სიმღერებს; მე ვდგებოდი ხოლმე მკერდმაღალ, ქერა გოგოსთან, რომელსაც სქელი ტუჩები და უცნაური ცეცხლით მომზირალი უვითელი თვალები ჰქონდა. ჩვენ სიბნელით ვსარგებლობდით და ხელი-ხელს ვკიდებდით მალულად. ვიდექით წყნარად, ვცდილობდით ერთმანეთისთვის არ შეგვეხედა, — ვიცოდით, რომ ცუდი დღე დამადგებოდა, თუ სოფლელი ბიჭები მიხვდებოდნენ ვიღაც ქალაქელი ბატონიშვილი რატომ მოდიოდა ქარის წისქვილთან. პირველად შემთხვევით აღმოვჩხდით გვერდი-გვერდ, შემდეგ როგორც კი მივიდოდი, ის წამით მოტრიალდებოდა, იგრძნობდა თუ არა, რომ მის ახლო ვიყავი, მთელი საღამო ეპატრონებოდა ჩემს თითებს, და რაც უფრო ბნელდებოდა, მით უფრო მაგრად მიჭერდა ხელს, მით უფრო მაწვებოდა მხრით. ღამით, როცა ხალხი წასვლა-წამოსვლას იწყებდა, ის შეუმჩნევლად მიიპარებოდა წისქვილის უკან, სწრაფად იმალებოდა იქ, მე კი ნელა მივყვებოდი სადგურის გზას, ველოდი ვიდრე ყველა არ წავიდოდა წისქვილიდან და წელში მოხრილი უკანვე გამოვრბოდი. ჩვენ უსიტყვოდ მოვილაპარაკეთ ამაზე, უსიტყვოდ ვიდექით წისქვილის ქვეშაც, — და უსიტყვოდ ტკბილად ვიტანჯებოდით. ერთხელ მან გამაცილა, მატარებლის მოსვლას ნახევარი საათი აკლდა, სადგურზე სიჩუმე და ბინდი იდგა, მარტო ჭრიჭინობელების დამამშვიდებელი ხმაური ისმოდა, შორით კი სოფლის თავზე, დაბინდული ბაღების ზემოთ აზიდული მეწამული მთვარე ანათებდა. სათადარიგო ხაზზე ერთი კარღია სატვირთო ვაგონი იდგა. მე უნებურად, ასეთი ქცევით თვითონვე შემკრთალმა, იგი ვაგონისკენ წავიყვანე, შიგ შევედი, ისიც შემოხტა და მაგრად მომეხვია კისერ-

'ხე. მე კი ასანთს გავკარი, რომ იქაურობა შემეთვალიერებინა — და ელდა მეცა: ვაგონის შუაში გრძელი უბრალო კუბო იდგა. გოგომ თხასავით ისკუპა ქირს, მეც უკან მივყევი... ვაგონქვეშ წამდაუწუმ ეცემოდა იგი, სიცილით იხრჩობოდა, შმაგი სიხარულით მკოცნიდა, მე კი ერთი სული მქონდა როდის გავემგზავრებოდი. ამის შემდეგ სოფელში აღარ გამოვჩენილვარ.

XXVIII

შემოდგომით არ მოგვიწყენია, — როგორც ყოველთვის წლის ბოლოს, ერობის, საგუბერნიო თათბირი მოეწყო. ხალისიანად გავატარეთ ზამთარიც: საგასტროლოდ გვეწვია. მალოროსიული თეატრი, რომელსაც ზანკოვეცკაია და საკსაგანსკი ჩამოჰყვა, დედაქალაქის ცნობილმა მსახიობებმა — ჩერნოვმა, იაკოვლევმა, მრავინამ — კონცერტები გამართეს. ხშირი იყო ბალები, მასკარადები, საღამოები. ერობის თათბირის შემდეგ მოსკოვში ტოლსტოი-თან გავემგზავრე და იქიდან მობრუნებულმა განსაკუთრებული სიამოვნებით მივეცი თავი ამ ქვეყნიურ ცდუნებებს, ამ ცდუნებებმა გარეგნულად ძალიან გამოცვალა ჩვენი ცხოვრება — არც ერთი საღამო, მგონი, სახლში არ გაგვიტარებია. შეუმჩნევლად იცვლებოდა და უარესდებოდა ჩვენი ურთიერთობაც.

— ისევ სხვანაირი ხდები, — მითხრა ერთხელ ლიკამ, — მთლად დავაკაცდი. წვერს რატომღაც ფრანგულად იპარსავ.

— არ მოგწონს?

— არა, რატომ არა? მაგრამ რა ჩქარა გადის ყველაფერი!

— აბა. შენც უკვე ახალგაზრდა ქალს დაემსგავსე. გახდი და უფრო გალამაზდი.

— და შენ ისევ დაიწყე ეჭვიანობა, მე კი მეშინია, გამოგიტყდე.

— რაში?

— იმაში, რომ მომავალ მასკარადზე მინდა კოსტუმი მეცვას. იაფი და ძალიან უბრალო. შავი ნიღაბი და რაიმე შავი, მსუბუქი, გრძელი...

— მერედა რა იქნება ეს?

— ღამე.

— მაშასადამე, კვლავ რაღაც ორიოლისებური იწყება? ღამე! ეს საკმაოდ მოძველებულია.

— მე ამაში ვერაფერს ვხედავ ორიოლისებურს და მოძველებულს,—მშრალად და უჯიათად მიპასუხა მან, რაშიაც მართლა ვიგრძენი რაღაც უწინდებური. — შენ კვლავ ეჭვიანობ!

— რატომ უნდა ვიეჭვიანო?

— არ ვიცი.

— არა, იცი. იმიტომ რომ შენ ისევ მშორდები, ისევ გინდა სხვებს მოსწონდე, აღტაცებაში მოდიოდნენ შენით.

მან ამრეზით გაიღიმა.

— ეს შენ არ უნდა გეთქვა. მთელი ზამთარი კუდში დასდევ ჩერკასოვას.

მე გავწითლდი.

— კუდში დასდევ! თითქოს მე ვარ დამნაშავე, რომ ისიც იქ აღმოჩნდება, სადაც ჩვენ მივდივართ ხოლმე. მე იმაზე მტკივა გული, რომ ჩემთან უწინდებურად თავისუფლად აღარ იქცევი, პირდაპირ მითხარი: რას, რას მიმალავ?

— რას გიმალავ? — მპასუხობდა იგი. — ნაღველს, რომ გაქრა ჩვენი წინანდელი სიყვარული. მაგრამ არ ღირს ამაზე ლაპარაკი...

ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:

— რაც შეეხება მასკარადს, რახან არ გსიამოვნებს, სულ არ წავალ. თუმცა ძალიან მკაცრად კი შეკიდები, ყოველ ჩემს ოცნებას გაცვეთილს უწოდებ, მე ყველაფერს მაშორებ, თვით კი არაფერს იკლებ...

გაზაფხულსა და ზაფხულშიც ცოტა არ მიხეტიალია. შემოდგომის დასაწყისში ისევ შევხვდი ჩერკასოვას (რომელთანაც აქამდე მართლა არავითარი ურთიერთობა არ მქონია) და გავიგე, რომ კიევში გადადიოდა.

— სამუდამოდ გტოვებთ, ძვირფასო, — მითხრა და თავისი ქორული თვალები შემომანათა. — ქმარს ვენატრები. გინდათ კრემენჩუკამდე გამაცილოთ? მხოლოდ, რა თქმა უნდა, სავსებით საიდუმლოდ. იქ მთელი ღამე გემის მოლოდინში უნდა გავატარო...

XXIX

ეს ნოემბერში მოხდა, აქამდე ვხედავ და ვგრძნობ მივარდნილი, მაღაროსეული ქალაქის ამ უფერულ, ბნელ დღეებს, ხის ვიწრო ტროტუარებიან უკაცურ ქუჩებს, რომელთაც ღობეებს გადაღმა წამოწვდილი ჩაშავებული ბაღები გასდევდათ; ბულვარებზე აშოლტილ ალვის ხეებს, ქალაქის ცარიელ ბაღს, ფანჯრებჩამტვრეულ საზაფხულო რესტორანს, ამ დღეთა ტენიან ჰაერს, ფოთლების ლპობის სასაფლაოსმაგვარ სუნს — და ჩემს უაზრო, უმიზნო ხეტიალს ამ ქუჩებში, ამ ბაღში, ჩემს ერთსა და იმავე ფიქრებსა და მოგონებებს... მოგონებებს — რაღაც იმდენად მძიმეს და საშინელს, რომ განსაკუთრებული ლოცვაც კი არსებობს მათი თავიდან მოსაცილებლად.

რომელიღაც საბედისწერო ჟამს იდუმალმა ტანჯვა-წამებამ, რის შესახებაც მხოლოდ დროდადრო თუ იტყოდა ლიკა რაიმეს, მას ჭკუა დააკარგვინა. გიორგი იმ დღეს გვიან დაბრუნდა სახლში, მე კიდევ უფრო გვიან მოვედი, მან იცოდა, რომ დავიგვიანებდით, გამგეობა კვლავ საერო თათბირისთვის ემზადებოდა. — ლიკა მარტო რჩებოდა შინ, რამდენიმე დღე გარეთ არ გამოსულა, როგორც ყოველ თვეს და როგორც ნიადაგ ამ დროს, იგი სულ სხვანაირი ხდებოდა. ჩვენს საწოლ ოთახში, ალბათ, ჩვეულებისამებრ ფეხებმოკეცილი, ტახტზე დიდხანს იყო წამოწოლილი, ბევრს ეწეოდა, — მან რამდენიმე ხანია წევა დაიწყო, ყურს არ უგდებდა არც ჩემს მუდარას და არც მოთხოვნას, რომ ეს მისთვის შეუფერებელი საქმე მიეტოვებინა, — იყურებოდა, ალბათ, პირდაპირ, შემდეგ უცებ წამოდგა, ქაღალდის ნაგლეჯზე გადაუჩხაპნავად დამიწერა რამდენიმე სტრიქონი, — რაც ჩემმა ძმამ შინ დაბრუნებისას ამ დაცარიელებულ ოთახში მაგიდაზე იპოვა, — და თავისი ნივთებიდან რაღაც-რაღაცეების ჩალაგებას შეუდგა, დანარჩენებს აქეთ-იქით ყრიდა. მე შემდეგ დიდხანს არ მყოფნიდა გამბედაობა ეს დანარჩენი ამეკრიფა და სადმე შემენახა. ღამით ის უკვე შორს იყო, სახლისკენ მიმავალ გზაზე, მამასთან... რატომ მაშინვე არ დავედევნე? შეიძლება, სირცხვილისა და იმის გამოც, რომ ახლა უკვე კარგად ვიცოდი მისი შეურყეველობა,

რასაც ხანდახან იჩენდა ხოლმე. ჩემს დეპეშებსა და წერილებზე საბოლოოდ ორიოდე სიტყვით მიპასუხეს: „ჩემი ქალიშვილი გაემგზავრა და ამიკრძალა მისი ადგილსამყოფელი ვინმეს შევატყობინო“.

არ ვიცოდი, პირველად რა დამემართებოდა, თან რომ ძმა არ მყოლოდა (მიუხედავად მისი უმწეობისა და დაბნეულობისა). ის რამდენიმე სტრიქონი, რაც ლიკამ თავისი გაქცევის ასახსნელად დამიტოვა, გიორგის მაშინვე არ მოუცია, ჯერ მამზადებდა — და ძალიან მოუხერხებლადაც, — ბოლოს გაბედა, ძუნწად წაიტირა და გადმომცა, ქაღალდის ნაგლეჯზე გაკრული ხელით ეწერა: „ალარ შემიძლია ვუყურო როგორ თანდათან მშორდები, ალარ ძალმიძს იმ შეურაცხყოფის ატანა, რასაც დაუსრულებლად და სულ უფრო ხშირად აყენებ ჩემს სიყვარულს, ძალა არ მყოფნის გულში ჩავიკლა იგი, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ჩემმა დამცირებამ უკანასკნელ ზღვარს მიაღწია, გამიცრუვდა მთელი ჩემი სულელური იმედები და ოცნებები, ღმერთს ვევედრები, ძალა მოგცეს ამ განშორებას გაუძლო, დამივიწყო და ბედნიერი გახდე შენი ახალი, უკვე თავისუფალი ცხოვრებით...“ მე ერთი გადახედვით წავიკითხე ყოველივე ეს და თუმცა ვგრძნობდი, რომ ფეხქვეშ მიწა მეცლებოდა, სახესა და თავზე კანი მილიგვდებოდა, იკრუნჩხებოდა, საკმაოდ თავხედურად ვთქვი:

— რას იზამ, ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, ჩვეულებრივი ამბავია ეს „იმედგაცრუებანი“!

ამის შემდეგ იმდენი ძალა ალმომაჩნდა, საწოლ ოთახში შევსულიყავ და ვითომ გულგრილად ტახტზე წამოვწოლილიყავ. შებინდებისას გიორგიმ ფრთხილად შემოიხედა — მე თავი მოვიმძინარე. ის უბედურებას მამაჩემივით ვერ უძლებდა და თავგზა ებნეოდა. მაშინვე დაიჯერა, რომ მართლა მეძინა, და რადგანაც იმ საღამოს გამგეობაში იყო . წასასვლელი, ჩუმად ჩაიცვა და წავიდა... იმ ღამეს, მგონი, მხოლოდ იმიტომ არ მოვიკალი თავი, რომ მტკიცედ გადავწყვიტე, ეს დღეს თუ ხრა, ხვალ გამეკეთებინა. როცა ოთახში მთვარის შუქმა შემოაღწია, სასადილოში გავედი, ლამპა ავანთე, ბუფეტთან ერთი ჩაის ჭიქა არაყი გადავკარი, ერთს მეორე მივაყოლე... სახლი-

დან გამოველ და ქუჩებს გავყევი, — მათ საშინელი იერი ედო: ირგვლივ სიჩუმე, სითბო და სინესტე იდგა, გაძარცულ .ბაღებსა და ბულვარზე აღმართულ ალვის ხეთა შორის მთვარის შუქში გახლართული თეთრი ნისლი ჩამდგარიყო... უფრო საშინელი იყო უკან დაბრუნება, სანთლის ანთება და მის მკრთალ შუქზე იმ მიყრილ-მოყრილი წინდების, ფეხსაცმელების, საზაფხულო კაბებისა და იმ ჭრელი ხალათის დანახვა, რომელშიაც ლიკას ძილის წინ ვეხვეოდი ხოლმე, მის ზეაპყრობილ მორჩილ სახეს ვკოცნიდი, მის თბილ სუნთქვას ვგრძნობდი. ამ საშინელებისაგან თავის დაღწევა მდუღარე ცრემლებით მხოლოდ ლიკასთან, ლიკას წინაშე შეიძლებოდა, მაგრამ სწორედ ის აღარ იყო აქ.

შემდეგ მოვიდა მეორე ღამე. ჩემი საწოლი ოთახის გარინდებულ სიჩუმეში სანთლის იგივე მიმქრალი შუქი დგას. ბინდში ჩაბნელებულ ფანჯრებთან დაძაბუნებული შემოდგომის ღამეული წვიმა შხაპუნობს. მე ვწევარ და მოპირდაპირე კუთხეს ვუცქერი — მის სამკუთხედში ძველი ხატი ჰკიდია, რომლის წინ ლიკა დაძინებისას ლოცულობდა ხოლმე. ის სინგურით შეღებილი, ძველი, მკვრივი ფიცარია, ზედ ამ ლაქის წითელ ფონზე ოქროსფერ სამოსში გახვეული მკაცრი და მწუხარე ღვთისმშობელია გამოსახული, შავ ფოსოებში ჩამჯდარი, მუქი, დიდრონი, ფართო თვალებით! საშინელი ფოსოები! ფიქრებში უხამსად მკრეხელურად ვუკავშირებ: ღვთისმშობელი — და ლიკა, ეს ხატი — და ყოველივე ის ქალური, რაც ამ გიჟურ სიჩქარეში მიუყრ-მოუყრია მას.

შემდეგ გავიდა ერთი კვირა, შემდეგ მეორე, შემდეგ თვე. მე დიდი ხანია სამსახურს თავი დავანებე, ხალხში აღარ ვჩნდებოდი. ყოველ დღე, ყოველ ღამე მოგონებას მოგონებაზე ვძლევდი — და რატომღაც ვფიქრობდი, აი, ასე, ოდესღაც, სადღაც ვიღაც სლავი გლეხები ტყეში გამავალ გზებზე, ღრანტედან ღრანტეში მძიმე განძით დატვირთულ ნავებს მიათრევდნენ ხოლმე.

XXX

იგი თან მახლდა ყველგან: სახლშიც, ქალაქშიც და კიდევ მთელი თვე მაწამებდა. ბოლოს ვიგრძენი, რომ ამ ტანჯვის ატანა აღარ შემეძლო, გადავწყვიტე ბატურინში წავსულიყავი და რამდენიმე ხანს ისე მეცხოვრა, მომავალზე არ მეფიქრა. ძალზე უცნაური იყო დაძრულ მატარებელში ჩემი შესვლა, როცა ძმას უკანასკნელად გადავეხვიე, და ამის თქმა: აი, კვლავ თავისუფალი ხარ, როგორც ფრინველი! ზამთრის უთოვლო, ბნელი საღამო იდგა, ვაგონი მშრალ ჰაერში მიგრიალებდა, მე ჩემი ჩემოდნით კართან ახლოს ვიჯექი, ვიგონებდი, როგორ მიყვარდა ლიკას თანდასწრებით ეს პოლონური ანდაზა გამემეორებინა: „ადამიანი შექმნილია ბედნიერებისათვის, როგორც ფრინველი ფრენისათვის“ — და ჯიუტად ვიცქირებოდი მოგრიალე ვაგონის ბნელ ფანჯარაში, რომ არავის დაენახა ჩემი ცრემლები. ღამე ხარკოვამდე... აი, ის მეორე ღამეც — ხარკოვიდან, ორი წლის წინ: გაზაფხული, რიჟრაჟი, ლიკას მაგრად სძინავს სინათლეშემოტანებულ ვაგონში... მე ფარანქვეშ დაძაბულად ვიჯექი და ველოდი მხოლოდ ერთს — დილას, ხალხს, მათ მოძრაობას, ერთ ჭიქა ცხელ ყავას ხარკოვის სადგურზე.

შემდეგ გამოჩნდა კურსკი, ასევე სამახსოვრო ადგილი: ზაფხულის შუადღე, საუზმე სადგურში, ლიკას სიხარული: „სადგურში პირველად ვსაუზმობ ჩემს სიცოცხლეში!“ ახლა ზამთრის უფერულ, მოქუშულ საღამოს ამ სადგურის წინ ჩვენი არაჩვეულებრივად გრძელი და მოფუსფუსე სამგზავრო მატარებელი იდგა — მძიმე და ვეება მესამე კლასის ვაგონების თვალუწვდენი კედელი, — რითაც კურსკ-ხარკოვ-აზოვის რკინიგზა გამოირჩეოდა. მე გარეთ გამოველ, მიმოვიხედე. ორთქლმავალი ისე შორს ალანდულა, არც კი ჩანს. მატარებლის საფეხურებიდან ხტებიან ერთნაირად აუტანელი ადამიანები, რომელთაც ჩაიდნები უჭირავთ ხელში და ადუღებული წყლისთვის ბუფეტში მიიჩქარიან, გამოვიდნენ ჩემი თანამგზავრებიც: ავადმყოფური სიმსუქნით გაწამებული გულცივი ვაჭარი და საოცრად ცოცხალი, მეტად ცნობისმოყვარე ბიჭი,

რომლის გამხმარი სახე და ტუჩები მთელი დღე ზიზღს იწვევ-და ჩემში. იგი ეჭვის თვალით მიყურებს — მეც მთელი დღე ვიქცევდი ბიჭის ყურადღებას: რატომღაც სულ ზის, ხმას არ იღებს ეს ვიღაც ბატონიშვილი, ან კაცმა არ იცის ვინაო! — მაგრამ მეგობრულად მაინც მაფრთხილებს:

— მხედველობაში გქონდეთ, აქ ხშირად შემწვარ ბატებს ჰყიდიან, ზღაპრულად იაფია!

მე ვდგავარ და ბუფეტზე ვფიქრობ, სადაც შესვლა არ შე-მიძლია — იქ ის მაგიდაა, რომელსაც ოდესღაც ვუსხედით ჩვენ. უკვე რუსული სუსხიანი ზამთარი იგრძნობა, თუმცა თოვლი ჯერ კიდევ არ ჩანს. ო, რა საშინელება მელის ბატუ-რინში! მოხუცი მამა და დედა, ჩემი უბედური, ჩამომხმარი და, უბადრუკი კარ-მიდამო, ღატაკი სახლი, გაძარცული ბაღი, რო-მელსაც ცივი ქარი უბერავს, ძაღლების ყეფა ზამთარში—ზამ-თარში, როცა სწორედ ასეთი ქარი დაქრის, რაღაც განსაკუთ-რებული, უშაქნისი და გულჩახვეული... მატარებლის ბოლო-საც არ უჩანს დასასრული. პირდაპირ, ბაქნის ზღუდესთან შიშველ ალვის ხეებს ცოცხივით გაუშვერიათ ტოტები, ალვის ხეების იქით დამზრალ ქვაფენილზე მგზავრებს ელიან მეეტ-ლეები, რომელთა გამომეტყველება უსიტყვოდ ლაპარაკობს იმ სევდასა და ნაღველზე, რასაც კურსკი ჰქვია. ბაქანზე ალვის ხეე-ბის ქვეშ შალმოხვეული, სიცივისაგან სახეგალურჯებული დე-დაკაცები დგანან, პირფერულად გაჰყვირიან, ეპატიჟებიან მყიდველებს — ჰყიდიან სწორედ ამ ზღაპრულ, ვეება, კანხორ-კლიან გაყინულ ბატებს. ისინი, ვინც ადულებული წყალი მოი-მარაგა, კმაყოფილი სახით გამორბიან უკანვე, თბილი ვაგონე-ბისკენ, გზადაგზა თვალხარბი სიხალისით ვაჭრობენ დედაკა-ცებთან... ბოლოს ჯოჯოხეთური სიმკაცრით ღრიალებს ორთქლმავალი, რომელიც შემდგომი გზით მემუქრება... ყვე-ლაზე ცუდი ის იყო, რომ არ ვიცოდი, სად მიიმალა ლიკა. ეს რომ არა, ყოველგვარ სირცხვილს გადავლახავდი, დიდი ხანია სადმე მოვძებნიდი და უკანვე დავიბრუნებდი, — მისი უხიაკი საქციელი, უეჭველად, სისულელის შემოტევის ბრალი იყო, რომლის მონანიება მასაც მხოლოდ სირცხვილის გამო არ შეეძლო.

ჩემი ახალი დაბრუნება მამისეულ სახლში უკვე აღარ ჰგავდა სამი წლის წინანდელ დაბრუნებას. ახლა ყოველივეს სხვა თვალით ვუცქეროდი. ყველაფერი უარეს მდგომარეობაში დამხვდა, ვიდრე გზაში წარმომედგინა: სოფლის ღატაკი ქოხები, ზღურბლის მახლობლად დამზრალ ტალახში ჩამდგარი საზარელი ბანჯგვლიანი ძაღლები და საზარელი, გაყინული წყალმზიდები, ტალახის კოლბოხები კარ-მიდამოსკენ მიმავალ გზაზე; ცარიელი ეზო, მამა-პაპისეული, შეუსაბამოდ მაღალი და ტლანქი სახურავით, მოწყენილი ფანჯრებით, წელთა სიმრავლით ფიცრებგაშავებული, ორი ჩაბნელებული პარმაღით მომზირალი სახლის წინ — ყველაფერი დაძველებული, გატიალებული და უსაზმნოა; — სახურავს იქით წამოწვდილ, იდუმალი ნაძვის წვეროს ცივი, ასევე უსაზმნო ქარი იჯაბნის... სიღარიბეს უკვე თავისი ტლანქი ნაბიჯი შემოედგა სახლში — ღუმელის ბზარები ტალახით ამოელესათ, იატაკზე კი უხეში ჩული ეფინა სითბოს შესაკავებლად... ერთადერთი მამაჩემი ცდილობდა როგორმე გაძალიანებოდა ყოველივე ამას: უკვე გამხდარი, დაპატარავებული და სავსებით ჭაღარა, ახლა მუდამ სუფთად გაპარსული და სადად თმადავარცხნილი დადიოდა, წინანდებური დაუდევრობით აღარ იცვამდა, — საშინელება იყო ამ გულგაუტეხავი სიბერისა და სიღატაკის ყურება, — მას თავი (ალბათ, ჩემს გამო, ჩემი სირცხვილისა და უბედურების გამო) მხნედ და ყველაზე მხიარულად ეჭირა. ერთხელ აკანკალებულ, უკვე ჩამომხმარ ხელში პაპიროსი ეკავა, ნაზი მწუხარებით შემომხედა და მითხრა:

— რას იზამ, ჩემო კარგო, ყველაფერს თავისი კანონი აქვს — ყოველ მღელვარებას, ყოველ ახალგაზრდულ მწუხარებას და სიხარულს, ბებრულ სიმშვიდეს და მოსვენებას... ეს როგორაა ნათქვამი? — მითხრა თვალებმოცინარმა, — „უშფოთველი ტკბობა“, ეშმაკსაც წაუღია:

> გალაღებული თავისუფლებით,
> განრიდებასა და სიჩუმეში,
> ჩვენი უწყინარ ქოხის უბეში,
> ვსუნთქავთ უშფოთველ ტკბობის წუთებით...“

როცა მამას ვიგონებ, მუდამ სინანულს ვგრძნობ — სულ

მგონია, რომ არასაკმაოდ ვაფასებდი და მიყვარდა იგი. თავს ყოველთვის დამნაშავედ ვთვლი, რომ ძალიან ცუდად ვიცნობ მის ცხოვრებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, — ძალიან ცოტას ვზრუნავდი შემესწავლა, როცა ეს შესაძლებელი იყო! სულ ვცდილობ და ვერ გამიგია რა კაცი იყო, — კაცი სრულიად განსაკუთრებული დროისა და მოდგმისა, განსაკუთრებული, თავისი ერთგვარად უნაყოფო, მაგრამ საუცხოო და მრავალმხრივ ნიჭიერებით, ხალისიანი გულისა და ყველაფრის ერთი მინიშნებით გამგები, ერთი მინიშნებით ჩამწვდომი, გახსნილი გონების კაცი, რომელიც ერთად ათავსებდა სულის იშვიათ პირდაპირობასა და იდუმალებას, ხასიათის გარეგნულ უბრალოებასა და შინაგან სიმტკიცეს, თვალის სიმახვილესა და გულის ამღერებულ რომანტიკულობას. იმ ზამთარს მე ოცი წლის ვიყავი, ის კიდევ სამოცდაათისა. რატომღაც არ მჯერა: ოდესღაც ოცი წლის ვიყავი და ყოველივეს მიუხედავად კიდევ გაიფურჩქნა ჩემი ახალგაზრდული ძალები! მას კი მთელი ცხოვრება უკან დარჩა. იმ ზამთარს მამაჩემივით არავის არ ესმოდა რა ცეცხლი მიტრიალებდა სულში და ალბათ, არავინ არ გრძნობდა ისე მწუხარებისა და ახალგაზრდობის ამ შეერთებას, როგორც იგი. ჩვენ იმ დღეს მის კაბინეტში ვისხედით. გარემოს უკვე თოვლი ეფინა, იდგა წყნარი და უდრტვინველი მზიანი დღე, შუქმოელვარე თოვლიანი ეზო ალერსით იცქირებოდა კვამლით ავსებულ, თბილ, ხელმიშვებულ, ამ ხელმიშვებულობითა და მყუდროებით, თავისი უბრალო და უცვლელი მორთულობით ბავშვობიდანვე ჩემი საყვარელი კაბინეტის დაბალ ფანჯარაში; როგორც კი მამამ „უშფოთველი ტკბობის“ შესახებ თქვა, პაპიროსი დადო, კედლიდან ძველი გიტარა ჩამოიღო და რაღაც თავისი საყვარელი, ხალხური სიმღერა დაუკრა. მისმა სახემ მტკიცე და ხალისიანი იერი მიიღო; ამავე დროს რაღაცას მალავდა გულში, გიტარის ნაზ თრთოლვაზე ნაღვლიანი ღიმილით დუდუნებდა რაღაც ძვირფასსა და დაკარგულზე, კიდევ იმის შესახებ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ჩაივლის და ცრემლების ღვრად არ ღირს...

შინ მყოფს მალე გულმა აღარ გამიძლო, ერთხელ ავიწყვიტე და დაუფიქრებლად გავვარდი ქალაქში — იმავ დღეს უკან

მოვბრუნდი, პირში ჩალაგამოვლებული: ექიმის სახლში, ასე ვთქვათ, არ შემიშვეს. ნაცნობი, ახლა გულისმომკვლელი შესასვლელის წინ გახელებული გადმოვხტი მარხილიდან. მწუხარებით გავხედე სასადილოს ნახევრად ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებს, სადაც დივანზე ოდესღაც ერთად გავატარეთ იმდენი დღე, ის ჩვენი პირველი დღეები, შემოდგომის დღეები! ჩამოვკარი ზარს... კარი გაიღო და მე აღმოვჩნდი ლიკას ძმის პირისპირ, რომელსაც სახე გაუფითრდა და გარკვევით თქვა:

— მამას თქვენი ნახვა არ სურს. ის, როგორც მოგეხსენებათ, აქ არ გახლავთ.

ეს სწორედ ის გიმნაზიელი იყო, რომელიც იმ შემოდგომაზე ვოლჩოკთან ერთად ცოფიანივით არბი-ჩამორბოდა კიბეზე. ახლა ჩემს წინ იდგა პირკუშტი, მეტად შავგვრემანი, ოფიცრის თეთრ პერანგსა და მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილი, აკოკრებული შავი ულვაშებითა და სიავეჩამდგარი შავი, პატარა თვალებით მომზირალი ყმაწვილი, რომლის სახესაც სიშავის გამო მალაქიტის ფერი დაჰკრავდა.

— თუ შეიძლება, მიბრძანდით, — წყნარად დაუმატა მან. გარკვევით ჩანდა, როგორ გაჰქონდა მის გულს ბაგაბუგი პერანგქვეშ.

მე მთელი ზამთარი მაინც ყოველ დღე ველოდი ლიკას წერილს, — არაფრით არ შემეძლო. დამეჯერებინა, რომ იგი ასე გულქვა და სასტიკი გახდა.

XXXI

იმავე წლის გაზაფხულზე გავიგე, რომ ფილტვების ანთებით დაავადებული დაბრუნდა შინ და ერთ კვირაში გარდაიცვალა. გავიგე ისიც, რომ თავად ენება მისი სიკვდილი ჩემთვის არ შეეტყობინებინათ.

დღემდე ვინახავ ყავისფერ სნატშემოვლებულ რვეულს, რომელიც პირველი ხელფასით საჩუქრად მიყიდა მან: ალბათ, ყველაზე ამაღელვებელ დღეს მის ცხოვრებაში. რვეულის თავფურცელზე ახლაც შეიძლება წაიკითხოთ ის ორიოდე სიტყვა, რომელიც ზედ წააწერა და მღელვარების, სიჩქარისა და სიმორცხვის გამო ორი შეცდომა დაუშვა...

რამდენიმე ხნის წინ სიზმარში ვნახე — უიმისოდ გატარებული მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ. ის იმდენივე წლის იყო, რამდენისაც ჩვენი ერთად ცხოვრებისა და ჩვენი ახალგაზრდობის დროს. მაგრამ მის სახეს უკვე გახუნებული სილამაზის ელფერი ედო, გამხდარი იყო, ტანთ ძაძების მსგავსი რამ ეცვა. მე ბუნდოვნად ვხედავდი მას, მაგრამ ისეთი სიყვარულით და სიხარულით ეუცქეროდი, ისეთ ხორციელ და სულიერ სიახლოვეს ვგრძნობდი მისდამი, რაც სხვის მიმართ არასოდეს არ განმიცდია.

ზღვისპირა ალპები, 1933.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სოფელი. თარგმ. გ ი ვ ი ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი ს ა 3
ლიკა. თარგმ. ა კ ა კ ი ბ რ ე გ ა ძ ი ს ა 157

რედაქტორი დ. სტურუა
გამომც. რედაქტორი ნ. დონაძე
მხატვარი თ. მირზაშვილი
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექრედაქტორი ვ. მეტრეველი
კორექტორები მ. გვარამია, ე. ჯიქია

*

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XII-61 წ.
ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$
ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{32}$
ნაბეჭდი თაბახი 17,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,62
ტირაჟი 10.000 შეკვ. № 1342
ფასი 53 კაპ.

*

* *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სტუდიო
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.